ჯორჯოხი

6 2023

აჭარის მწერალთა სახლი

ISSN 0134-3459
23006
9 770134 345001

ჭოროხი

გამოცემის 65-ე წელი | ნოემბერი-დეკემბერი | №6 | 2023 წელი

სალიტერატურო-სამხატვრო და საზოგადოებრივი ჟურნალი

მთავარი რედაქტორი

სანდრო ბერიძე

სარედაქციო კოლეგია

როინ აბუსელიძე
ცისანა ანთაძე
გენრი დოლიძე
იაშა თანდილავა
დავით თედორაძე
ლალი კონცელიძე
გურანდა ნიჭარაძე
ჯემალ სურმანიძე
ბელა ქებურია
ვახტანგ ღლონტი
თინა შიოშვილი
მაია ჯაფარიძე

ტექნიკური რედაქტორი და
კომპიუტერული უზრუნველყოფა

მალხაზ ფაღავა

ოპერატორი

მარიკა ლაშხია

დაარსებულია 1958 წელს
გამოდის ორ თვეში ერთხელ

ISSN 0134-3459

© „ჭოროხი“, 2023

რედაქციის მისამართი:
6009, ბათუმი, მელიქიშვილის ქ. №21
ტელ.: 599 91-84-80. E-mail: chorokhi.mag@gmail.com

გამომცემელი
ა(ა)იპ აჭარის მწერალთა სახლი

ჟურნალი დაიბეჭდა
სტამბა „კოლორ პრესში“.
ქ. თბილისი, ა. ენუქიძის ქ., 5

ავტორთა საყურადღებოდ:
რედაქციაში ელექტრონული სახით შემოსული ნაწარმოებები აწყობილი უნდა იყოს
შრიფტით Sylfaen, 12 pt. (კოდირება: უნიკოდი (UTF-8);
რედაქციაში შემოსული მასალა ავტორს არ უბრუნდება.

შინაარსი

პოეზია, პროზა

ნინო სადღოგელაშვილი – ლექსები 3
გიორგი ტულუში – ირინეოსი (რომანი. დასასრული) 11
გენრიეტა ქუთათელაძე – ლექსები 36
ვენერა ხურციძე – ლექსები 44
შალვა კვასხვაძე – ჩემი ხატიჯე (მოთხრობა) 50
ირინა ხინიკაძე – ლექსები 84
ლელა მეტონიძე – ლექსები 88
დალი თედორაძე – უჩვეულო ახალი წელი (ზღაპარი) 93
ეთო მახვილაძე – ლექსები 99
მზია თავართქილაძე – ლექსები 102

კრიტიკა, პუბლიცისტიკა

შორენა მახაჭაძე – ცხელ-ცხელი რეცენზია 104
ეკა კვანტალიანი – ლოცვა ლექსებით ანუ ცა ჩვენი სულის მისამართია... 109

ჯანთლება

დიანა ზოიძე – ციფრული ტექნოლოგიების დანერგვა ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში 115

ნინო სადღოჯელაშვილი

საბრაბვო

აფრიდნენ ფხოვის ქედნები,
ნისლები გადიშრიალეს,
ჩემო წყაროსწყლის ალმასო,
გულო ცამიწატიალო!
მოგძახი! დევის ნავალზე
მზის თვალი ლურჯად ბიბინებს,
მომაქვს ნატკენი ძვლებიდან
თავგამოჩრილი პირიმზე!
მოგძახი! გზები გავფლითე
როგორც მგლის ლეკვმა ჩრდილები,
იმ შუაღამეს შევესწარ
მთებს რომ დაუჩნდათ შვილები
განა სათქმელი რამე მაქ,
ან განა ვიცი რა მინდა,
შენ მყავხარ, ჰოდა გეძახი
წუთისოფელის გაღმიდან!..
ნეტა მას, ვისაც თავისი
მეორე ცალი დაუდის,
გასძახებს, მთებს გააჟრჟოლებს,
ცას თავს უბეში ჩაუდებს,
უფალს მადლობას შესწირავს,
დარდის კუბოდან ადგება,
მარტო თავის თავს კი არა,
ქვეყანას გამოადგება!

მწვანე ჩაი

ეს დაგეგმილი შეხვედრა იყო,
საქმიანი, გამიზნული.
პატარა მაგიდა ავირჩიეთ,
მწვანე ჩაის ვსვამდით
რიგრიგობით,
ბევრს ვლაპარაკობდით.
დროდადრო უხერხულად
ვახველებდი, როცა სიტყვები
იმას არ ამბობდნენ,
რაც გულში მქონდა.
ისიც ოსტატურად იყო
შენიღბული,
სიტყასიტყვით – შავი სათვალით.
დავცინეთ პოეტებს,
რომლებიც თავდაუზოგავად ცდილობენ
მკვდრის გაცოცხლებას –
მკვდარი დროის, მკვდარი
სიყვარულის და ამისთანა
სისულელეების.
რიგრიგობით ვაღიარეთ, რომ
ცხოვრება პოეზიაზე მეტია და
საინტერესო, რომ
ლექსებს მხოლოდ საკუთარი თავისთვის ვწერთ და
მასვე ვუკითხავთ
მარტოობის წყვდიადში,
სიცარიელის ხაროში
უიმედოდ ჩავარდნილები.
ვუყურებდი დაჟინებით,
საფეთქლებზე ჭაღარის ბზარები
მეათასედ გადავუთვალე და
ფიქრში მთელი ეს სცენა
ისევ ლექსად წარმოვიდგინე.
მაწანწალა ძაღლი შემოვიდა და
ჩვენს წინ მშვიდად გაწვა,
მასაც თავისი ადგილი ჰქონდა
ამ კაფეში,
ამ სითბოში,
არავინ არღვევდა ერთმანეთის
მყუდროებას,
საზღვრები იყო მტკიცედ

დაცული და სანდო,
მე ეს ძაღლიც მაშინვე
ლექსში შევიყვანე და
გავაგრძელე მისი ყურება,
მან კი სიჩუმე განაგრძო,
უდაბნოს სიჩუმე,
რომელიც თურმე
ზღვის მიქცევის მერე გაჩნდა მასში.
ბოლოს ჩვენი 19 წლის შვილი
შემოვიდა,
ძაღლს მიუწვა,
მასაც თავისი ადგილი ჰქონდა,
სითბოს კუნძული,
ერთადერთხელ დავხედე და
მორკალულ ზურგზე მზერა
ხელისგულივით გადავუტარე,
ჩვენს 19 წლის შვილს,
რომელიც, შესაძლოა მართლაც
გვყოლოდა,
რომლის ადგილიც ყველგან იქნებოდა
იმ ლექსის გარდა,
ამ კაფეში ფიქრით რომ
ვწერდი,
მარტოობის წყვდიადში,
სიცარიელის ხაროში ჩავარდნილი
საკუთარი თავისთვის...

* * *

დაბერდა დედაჩემი,
ტკბილს ეტანება და
ჩვენ აღარაფერს გვიტოვებს.
გაიპარება სამზარეულოში,
ჩვენთვისვე შემალულ
ოდესღაცინდელ სასუსნავებს გამოაძვრენს,
მიიყუჟება ფარდასთან ან
ფარდის უკან
(რომ უფრო მეტად გაამძაფროს
მალულობის მაცდური განცდა),
ჩაყოფს თეთრ, უმწეო და
გალეულ თითებს ფერადფოჩებიან კანფეტებში,

ამოკენკავს, ამოათავებს...
რამდენჯერმე ისეც მოხდა,
კარი იმ დროს გავაღე,
როცა სიამოვნებისგან გატანჯულ ღიმილს
შოკოლადის ლიანდაგზე
ფრთხილად იწმენდდა,
თვალი შემასწრო და ბავშვივით
აიფარა ღიმილზე ხელი
და ორი იმხელა ცრემლი გადმოუვარდა,
რამხელაც მე ყოველთვის ჩემი ბავშვობა
წარმომედგინა,
მოგორავდა ეს ორი ცრემლი
ჩემკენ,
მთელი ოთახი გადმოლახა,
ბოლოს ერთმანეთს შეეწება,
შევაღე შაქრისფერი ცრემლის კარი,
შევედი და თვალს მოვეფარე,
რომ ხელი არ შემეშალა დედაჩემისთვის
რომელიც, ჩვენთვის ნაგროვებ
ცხოვრებასთან მიპარულიყო
და კიდეებზე შერჩენილ თაფლს
ჩუმად ლოკავდა...

ალების შთამომავალს

შვიდი ვარსკვლავი ავანთე
შვიდჯერ შევაღე ცის ბჭენი,
ტყვიები ამოგიკოცნე
ცამ რომ გახალა მიბჯენით,
ალების შთამომავალო
სულ ვერაფერი იგრძენი?

ისეთი გაზაფხული ვარ
ბალახს ტუჩებთან მოგიწევ,
მდინარეების თავქვეზე
დედიშობილას მოგიწვენ,
ალმურებს შემოგაშველებ
როცა სიზმარი მოგვიწევს.

შენი დარდების თანა ვარ,
თან ვმღერი, თანაც ვტირი მე,

ალების შთამომავალო
ნულარ გაიწევ ხირიმზე,
სულ სხვა მწვერვალებს ანათებს
შენი საკრეფი პირიმზე...

* * *

ფრთები სიკვდილზე უნდა ალესო,
როგორც სიგიჟეს ლესავს სალოსი,
სევდავ, შვებაზე უსაყვარლესო
ლამაზ აჩრდილთა სამკერვალოსი.

* * *

საწყალი კაცის თვალებში გადავიხედე
როგორც ნაგავსაყრელში
გადაგდებული ჩვილივით კვნესოდა შიგ
სიცოცხლის ნდობა.

პეტრეს სიმღერა

დილის ჭვირული ალმური
მზეგაფოფრილი ხვალე
თუ მაინც უნდა უარგყო
არ მომაშორო თვალი
ჩაჭრილა გულის ნაპრალში
სიცარიელის ცეცხლი
უფსკრულის ტბორი ირეკლავს
ზეცას უთაღოს, მეცხრეს...
ჭალაში კვდება ქედანი
ჩემი სურვილის აღე
რად გინდა ჩემი უარი
სულის გამხმარი ყაღი
იწვის გადაშლილ ფურცლებში
სირცხვილის მატიანე
თუ მაინც უნდა მიპოვო
საწყევრად, სატიალოდ,
თუ სხვას არავის ეყოფა
ჩემდენი ცრემლი თუნდა

და ბედზე ხელაღებულმა
მე თუკი მაინც უნდა!..
ამხსენი ეს სიყვარული
ვიდრე ლაჟვარდით მოხვალ
სიცოცხლე უნდა ვიმღერო
უარგყოფ – ნიშნავს რომ ხარ.

ჩიტი და საათი

მუცელში საათი მედგა,
დროს უხმოდ იჩრდილებდა,
ისრებად – შიში და სიხარული
სადაფის კედელზე ცოცავდნენ,
სიზმარზე ზუსტი იყო და
წყვდიადში მაღვიძებდა,
ომებიც შემახსენა
განა ერთი, ოცამდე.

მუცლიდან საათი გამომგლიჯეს და
შიგ ჩიტი შემისახლეს,
ჩიტმა აღარ იცის რა დროა,
და მღერის თავის თავის სახლზე
და გალობს თავის სახლზე
და მიხმობს თავის სახლში,
ცად როა.

სიყვარული შამიანობისას

სიჩუმემ ჯიბეში ხელები ჩაიწყო
და ქუჩებს და დღეებს და მზეებს ჩაუყვა,
აინთო ცეცხლი და თამაში დაიწყო,
სიყვარულს რა ვუყო?..

აქ ყველა მარტოა და დიდი რიგია,
სიცოცხლე – ერთ კაცზე გათვლილი საძილე ტომარა,
ჰაერი – ჩემიდან შენამდე ნაბეჭვი რიდეა
და ცეცხლის ოლარი

შეხება ისჯება ცხოვრების კანონით,
შეხებამ სიზმრიდან კოშმარის ვირუსი გადმოგვდო,

კანონი ეხება მოგვსა და მამონას
რა მოგვდის?

ვინახავ ენისქვეშ შენახულ გაზაფხულს,
სუნთქვის კრისტალებად აჭედილ
სიტყვების სარკეებს სასაზე
და მათ ანარეკლში უშენოდ დაზაფრულს
მაყვირებს წუხილი,
მაშ ასე:

გავიხდი ცოდვებს და იმედებს, სურვილებს
გამოხრულს სხეულის ჭიით და დარკილულს ვნებების ნაგავით
გავიხდი რაც ჩემზე ბევრია, მიწისგან ურვილი,
ავფრინდე – მაკავებს

ვტეხ დროის ნაჭუჭს და შიშველი
შეშლილი შეხების შიმშილით
სამყაროს სინათლის სადინარს დავეძებ,
ცა სკდება ღიმილის ფირუზით –
სული ახლეჩილი ცეცხლოვან ენებად
შენს ფესვებს, შენს კედლებს, შენს ხანძრებს ედება
და შთანთქავს სიცოცხლის
უკვდავი ვირუსით.

* * *

ომში სხვა ტკივილს ყმუიან
უშვილო ქალები.
მათ ხომ ისიც ვერ გააჩინეს,
რისი მოკვლაც (არ) შეიძლება,
ვერასდროს გამოგოზეს მუცლის ქვევრები
ნაყოფის წვენით,
სისხლს რძე ვერ შეურიეს
ომის ცეცხლზე ჯადოსავით
მისასხურებლად,
ყელიდან თეთრი ბროწეულის
ასაყვავებლად,
მათი ცრემლიც საწყალია,
ტილებივით გადახილავს ღმერთი
ბავშვების თავზე,
დედების ცრემლის მარგალიტებს
ამოფარებულთ

რა შეგვიძლია ქალებს,
ცარიელ ჭურჭელს?
რა გავაყოლოთ
ცისკენ დაძრულ ჩვილთა ქარავანს?
იქნებ დედამიწის ცეცხლოვან გულში
შევიკრიბოთ,
ჭურჭელი შევაერთოთ,
სხეული მოვუძაბროთ
ელვარე სადინარებს და
ჩვენს გამონგრეულ წიაღში –
ომის ნაალაფარ თასში
სიცოცხლის თესლი შევისახლოთ
ვიდრე ბოლო გამარჯვებამდე,
მოთმინებით გამოვკვებოთ,
სამყაროს სისხლი გადავუსხათ,
ძვლების ლიბომდე მოვუტეხოთ
ჩვენი სიმტკიცე,
სინათლის წყლებში მოვაშუშოთ,
საორსულე სული ვბეროთ
გასაღვივებლად!..

რომ, როცა მოვა დიდი დედა
და აკლდამის სახვევს მოიხსნის,
ცას შესძახოს და
აბრეშუმის ჩვილი გააჩინოს –
ჩვენს ჭურჭელში დაწყებული,
ჩვენი ბნელით გაბრწყინებული.

გიორგი ტულუში

ირინეოსი*

ახალი გულისცემა

* * *

ენდე ადამიანს ბოლომდე და თუ გიღალატა, თვითონვე დაისჯება, – ფიქრობდა მამაპაპისეული აგარაკისკენ მიმავალი ირინეოსი და განმარტოებას უახლოვდებოდა.

ბატონ ფაუსტულუსს კი – ჩემთვის არასდროს უღალატია. როგორ ძლიერ ჰყვარებია საკუთარი თავი.

ირინეოსის ავტომობილი ბზრიალ-ბზრიალით მიაპობდა ზღვიდან არეკლილი მზის სხივებით აწაბლისფერებულ ტრასას და მზის ბოლო ბურანი დამდნარ, მდუღარე, კალიუმისფერ სივრცეს ობობის ქსელისებრ, მეტალისფერ ამოსუნთქვებით ლეშავდა.

ბავშვობისდროინდელი დილის ნამით გაჟღენთილი სიმწვანე, ჩაფლული მსხლის ხეებითა და თხილით საახალწლო ნაძვისხესავით გაწყობილ, პატარა, მყუდრო ეზოში, რომლის ორი ბოლო, ერთი ეზოს კიჩოსა და მეორე – ქიმის მხარეს, მწვანე გველებივით მიიზლაზნებოდა და მიდაღმართობდა, ენატრებოდა ჩვენს გმირს და იზიდავდა, იზიდავდა ნალიის სუნი, როცა ღამეს წვიმა ენალებოდა, წვიმით გაჯერებული ქარი კი – ნალიას და თვითონ ნალიაშივე გასუსული იჯდა, თივისა და ხორბლის სუნში, დატუსაღებული აისის მოლოდინში.

ოდესღაც ირინეოსი ამ აგარაკზე, ერთი გადანათებული ზაფხულის დღეს, როცა მზისგან არდანდობილი, გადაბრტყელებული სივრცე მეწყრისფერდებოდა, პირველად ელოდებოდა (პირველად მაშინ დაფიქრდა ამ მოლოდინის მნიშვნელობაზე) იმავე დღის უმშვიდეს საღამოს, მოგვიანებით კი – ცაზე გამეფებულ, ამაყ მთვარეს და პირველსაწყისისის პირველსაწყისში – სიბნელეში კანკალით წვებოდა. მაშინ მისი ერთადერთი მანათობელი მზის ანასხლეტი, კამკამა წყალივით გამჭვირვალე მთვარე იყო.

შემდეგ იხსენებდა თოვლად ქცეულ ეზოს, სითეთრეში მარტოხელა, ლალის წითელ ბრწყინვალებასავით მომნუსხველ ბარბარისის მტევნებს და ამ მტევნებში გადარჩენისთვის მებრძოლ წყავისფერ შაშვებს.

ჩასაფრებას, პნევმატური თოფის შეწკეპვას, დამიზნებას და წამით გარინდებას ელოდებოდა ირინეოსი, როდესაც ისურვებდა, რომ ჩახმახის გამოკვრამდე სუნთქვა წართმეოდა და ბოლოს, ნეტარება გასროლისა, სიცოცხლის დაუფლებისა, სიკვდილის ტყვიად ქცევისა.

---

* დასასრული. დასაწყისი იხილეთ ჟურნალი „ჭოროხი“ №5, 2023.

რატომღაც, ჩვენს გმირს არ აგონდებოდა აგარაკზე გატარებული შემოდგომა და ალბათ იმიტომ, რომ შემოდგომის შეგრძნებას, მის გათავისებას, გარკვეული სიბრძნე სჭირდება, მაგრამ მაინც დაძვრებოდა ირინეოსში ბეთანიისფერი, სიკვდილის პირას მყოფი, დამჭკნარი, გამუქებული სიყვითლე (წამით გაიფიქრა: ჩემში ისევ ცოცხლობს პოეტი? აბა, რა დამჭკნარი სიყვითლე?) და გაახსენდა ლექსი, რომელიც გაოკეანებულ ქალს მიუძღვნა, ჩაფლულს უმარტოსულეს ქვიშაში, რომელიც გამუდმებით ელოდება ოკეანისგან გამორიყულ თავის ქალებსა და წყლისგან გატაცებულ ჩონჩხებს გაუბედურებული ქმრებისა და თრთის, თრთის, რათა სილაღე არ დაკარგოს, არ დაფეთდეს, არ გადამიღმურდეს, არ გაპოეტდეს, არ გამეფდეს, არ გარაინდდეს, არ დაგლახაკდეს, არ იცოცხლოს, არ მოკვდეს – ასეთ მგრძნობიარე ქვიშაში ბინადრობდა ჩვენი გმირის ლექსის მთავარი გმირი.

„ყველასგან მიტოვებულს, ოკეანის სანაპიროსთან გამეღვიძა.
და როდესაც მარტოობის შეგრძნება აწითლებას მიპირებდა,
შენ გამახსენდი, ბავშვობის სიყვარულო,
და ამ ოკეანურ სიმარტოვეში გავლაღდი.
გავლაღდი მაშინ, როდესაც გულს თითოეული
ადამიანის მარტოობა მიჩქარებდა, რომელიც
ოდესმე დაბადებულა და ჩვენს დედამიწაზე უცხოვრია.
მე მახსოვს ეზო, რომელშიც ერთად ვიზრდებოდით
და რომელშიც უსხეულოდ მიყვარდი...
მე მახსოვს ამ ეზოს შესასვლელის გვერდით
მდებარე პატარა სახლის შესასვლელიც
და ამ შესასვლელის ზევით დაკიდული ვაზიც.
ო, მე მახსოვს შენი თვითნაბადი თვალებიც,
რომლებიც ჩემს ტუჩებზე ფიქრობდნენ და დაცემა ეთვისებოდათ.
ო, ოკეანევ, გთხოვ, შემიერთე და დაასრულე ეს არაფერი!“

* * *

ირინეოსი მწვანე ეზოში შევიდა, რომელშიც სტაფილოსფერი, ერთსართულიანი, მოლივლივე კაფელითა და რკინასავით მყარი, სისხლისფერი ხით ნაგები სახლი თითქოს ბავშვური ღიმილითა და მოლოდინით ეგებებოდა. ჭიშკრის მოძველებული, მაგრამ თავის დროზე თავნება, თავისუფალი და მფლანგველი ოჯახის უფროსის მიერ შეძენილ საკეტში „ჩაქუჩით ზვიგენის“ თავივით ბოლოსმქონე გასაღები გადასწია, ეზო გაიარა და სახლის შესასვლელთან გაირინდა, ერთხელ კიდევ მიიხედა უკან, სევდანარევი სილაღით შეპყრობილ ეზოს თვალი მიმოავლო და ზუსტად იგივე მოძრაობა გაიმეორა, რომელიც ჭიშკრის გაღებისას.

სულ რაღაც ათ წამში ჩვენი მთავარი გმირი ძველმოდურად (სინამდვილეში, სიტყვა „ძველმოდური“ გადაღლილმა სულელებმა მოიგონეს და არც არსებობს) შემკობილ, ჯადოსნურ სახლში აღმოჩნდა, რომლის ირინეოსის მოპირდაპირედ აღმართულ კედელზე ორი ხელიხელგადახვეული, მოკლე, მოტკეცილ შორტებსა და ასევე შემოტმასნულ, საზაფხულო მაისურებში გამოწყობილი, ათ წლამდე ბავშვის ფოტო ეკიდა. კედლისავე ქვემოთ კოხტა, მოვლილი, თეთრი მარმარილოს მაგიდა იდგა, მაგიდაზე ვიღაცის გადაღებული და გადიდებული, მრავალ, პატარა წერტილში დატყვევებულ მზეთა აფეთქებისფერ ჩარჩოში ჩასმული, საკმაოდ მოზრდილი სურათი მიეყუდებინათ, რომელზეც, თავის მხრივ, შემოდგომის ქარის მიერ, გამსკდარი ატომური ბომბის ნათებისფერი ფოთლები

ერთ მუშტად შეკრული წამოფოთლილიყვნენ, ყვითელ სვეტად აღმართულიყვნენ და ერთმანეთს შესულებოდნენ.

ირინეოსს ისე ეძინებოდა, მანქანიდან მცირეოდენი ბარგი სახლის მისაღებ ოთახში შემოალაგა და იქვე მდგარ წითელ დივანზე მიიძინა (ერთიც გაიფიქრა, რა მარტოსულია ეს დივანიო).

* * *

როდესაც ჩვენს ბიჭუნას გამოეღვიძა, უმალვე ზურგჩანთა გახსნა, ცოტაოდენი საკვები ამოალაგა და ციცქნა დაუწყო. ირინეოსს გასეირნება გადაეწყვიტა და ემზადებოდა კიდეც. დაახლოებით საღამოს ცხრა საათი იქნებოდა. საკმაოდ გრილოდა. სიგრილე ძალასა და შემართებას ჰპირდებოდა, თუმც ჯერ კიდევ იმდენად დასევდიანებულიყო, რომ ჭამის მადაც წართმეოდა (ვის წაერთმია, სევდას, ღმერთს, თუ ღმერთის მიერ შექმნილ ადამიანებს?). უღიმღამოდ აღებდა და მუწავდა პირს ჩვენი გმირი, რომელსაც ამ დროს, ქალაქში ცხოვრებისას, მგელივით შიოდა ხოლმე, ახლა კი – თავს ძალას ატანდა, რომ ეჭამა, თუმცა პირის დამუწვა-გაღებაში ნელ-ნელა მაინც ფხიზლდებოდა და სიცოცხლეში შემოდიოდა.

ყოველი ჯამბაზი გაწაფულია. ის ურთულესი დავალებების შესასრულებლად შექმნეს და ყოვლისმცოდნე უნდა იყოს, მეფესავით ყოვლისმცოდნე და მრისხანე. მონაა ყოველი ჯამბაზი, გენიოსების შექმნილი მონა და ამიტომაცაა უძლეველი. მის მიერ ძალაუფლების განსამტკიცებლად ძალის გამოყენებაც ხომ ამ ფაქტზე მეტყველებს, – ფიქრობდა ირინეოსი და ნანობდა, რომ კაცობრიობა ქრისტეში გაირინდა, ქრისტეში გაშეშდა და მის მიღმა ვეღარ იხედებოდა, ან იხედებოდა, მაგრამ მონუსხულიყო და გალიგვულიყო – იტანჯებოდა ირინეოსი, თუმცა იმას კი ვეღარ ხვდებოდა, თუ რატომ ვერ ერეოდა თავს და რატომ არ წყვეტდა ფიქრებს, რატომ ვერ ნებივრობდა პირველსაწყის სიცარიელეში, სივრცეში, რომელიც ფიქრების გაჩენამდე არსებობდა.

ვისაც სიშორით მონატრებია, მონატრება დედის რძესავით გამოშრობია და გადაქანცულა, ვისაც გრძელი გზა გამოუვლია, სიშორე დაუმოკლებია და დაწაფნია თავის წილ ყველაფერს, ისიც მოთენთილა და მოდუნებულა.

ვისაც ყველაფერი მოუპოვებია, კიდევ ცოტა ხანს უცხოვრია თვითკმარობის აღტაცებით და ისიც გამთლიანებით, თვითკმარობით დაცემულა.

და რადგანაც გააზრებაც მულტისამყაროებივით ულევია – კვლავ იგვემებოდა ჩვენი ირინეოსი, ადამიანიც არასდროს შეწყვეტს შემეცნებას, გაცნობიერებას, რაც ოდესმე ახალ სამყაროს შობს, მაგრამ მე ამ აქტში მონაწილებას ვერ მივიღებ, რადგან გადანეირონებული – გვიან ვრეინკარნირდები.

მისეირნობდა ფუნქციადაკარგული და ქუჩებივით მოპირკეთებულ (აქ მას გაახსენდა ერთი ჩანახატი, რომელიც სააეშაგოს პარკში გააკეთა და ჩანახატს „ხე და ფილაქანი“ დაარქვა:

„ჩამოფოთლილა ერთ დროს ნაზი,
პატარა ნერგი
და დაჰფენია ერთ დროს მზეზე
აცეცხლილ ქვიშას,
ნერგი ხომ ხეა, ხოლო მქრქალი,
მზისფერი ქვიშა
ფილაქანია, რომ დააკრეს
გაყინულ მიწას“), დანისლული ლამპიონებით გადაფელამუშისფრებულ ჩიხებს შეიგრძნობდა, შეიგრძნობდა და თითქოს მათზე მისიყვარულებას ცდილობდა, თუმც იმის მოლოდინში, რომ ჩიხები

თავიანთ სიმარტოვეს არავის გაუნაწილებდნენ და ირინეოსსაც მარტო დატოვებდნენ, სიყვარულის თამამად გაცემისგან თავს იკავებდა.

როდესაც ჩვენი ბიჭუნა სახლში შევიდა, უკვე საკმაოდ დაღამებულიყო, მაგრამ ტელევიზორი მაინც ჩართო და ყურება დაიწყო.

„ჩინელები ტელეპორტაციაზე მუშაობენ“ – ჟურნალისტებს ასეთი სათაურით რეპორტაჟი გაეკეთებინათ და გვაუწყებდნენ, რომ ახალი ადამიანის დაბადებას იწყებდნენ. მშობიარობდა ეპოქა.

ტელეპორტირებული კაცობრიობა ტელეპორტაციის შექმნიდან რამდენიმე ასწლეულში გაიაზრებს, რომ ფოტონის სიჩქარით მოძრაობისას აღარ გვენატრება, აღარ ვძრწით, აღარ მივისწრაფვით (რადგანაც ყველგან ვართ და საითკენ უნდა მივისწრაფოდეთ?), ვეღარ ვგრძნობთ სიშორეს, ან ვგრძნობთ უსიგრძეგანო სიშორეს, რომელიც ასევე უკიდეგანოდ სწრაფად მოკლდება და ჩვენი უცნობი ძალისგან დაძრული გულისცემა სუბატომური სიჩქარეებით იცვითება.

მილიარდობით მონატრება წამის მემილიონედში არმონატრებად იქცევა და არმონატრება მონატრებად – კვლავაც თვითიროზგებოდა ირინეოსი და ფიქრებს ებრძოლებოდა, თუმცა აგარაკზე გადმოსვლის შემდეგ, თუნდაც წამიერად, მაგრამ მაინც იგრძნო სიმშვიდისა და მყუდროების ნეტარება.

„მე ხომ ვთქვი, რომ ახალი სამყაროს შექმნაში მონაწილეობას არ მივიღებდი, ჰოდა, რაღატომ ვფიქრობ?“ – ეს იყო ბოლო ფიქრი, რომელმაც ჩაძინებამდე გაუელვა.

* * *

დილის ხუთი საათი იქნებოდა, როდესაც ირინეოსს გამოეღვიძა. საწოლიდან კლაუსტროფობიით შეპყრობილივით წამოქროლდა (თუ წამოიზლაზნა? არა, უფრო წამოფრინდა, როგორც მაშინ, მითოსის დასაწყისისას), სააბაზანოში შევიდა, თითქმის გაყინული წყლით ხელ-პირი დაიბანა, იგივე ტანისამოსი ჩაიცვა, რაც გუშინ ეცვა და გარეთ ისე გავარდა, თითქოს სახლში მოჩვენებები დევნიდნენ.

გადაქალაქებულ სოფელში არც მინდვრის ჭრიჭინების ჭრიჭინი ისმოდა და არც სფინქსისებრნი დაფარფატებდნენ. ბუნება ჩამოსახრჩობად გამზადებულ მეამბოხესავით გარინდებულიყო და ხელებს საკუთარ დუმილშივე აფათურებდა.

მხოლოდ ლამპიონების ზაფრანისფერშუქნარევი ფოტონები ერეოდნენ დედის რძესავით თეთრ და უმანკო ნისლს. აქ არავინ იყო ირინეოსისა და ბუნების გარდა.

როდესაც ერთი ჩიხის შუკას მიუახლოვდა, გვერდით მდებარე, მოზაიკისფრად შეღებილ სკამზე გოგონას პატარა და გამხდარი სხეული შენიშნა, რომელიც ლამის მედიტაციის პოზაში ჩამჯდარიყო და სკამის მოპირდაპირე მხარეს მდებარე ეზოს მისჩერებოდა, რომელსაც ჯერ კიდევ ეძინა. ნისლი დაბორიალობდა ეზოში. უცნობ გოგონას თითქოს აინტერესებდა, რას განიცდიდა სახლი (მასში მდებარე მოსახლეებით თუ მათ გარეშე?).

ირინეოსი არც კი შეჩერებულა, უბრალოდ, წამით გაუელვა, იქითკენ უცნობი გოგონა მიზიდავს თუ მისტიური სახლიო და უეცრად მზერა გოგონას მიაპყრო.

– ამ გამთენიოს ძალიან გამიკვირდა, რომ აქ ჩემს გარდა სხვაც არის. – თითქმის ჩაილაპარაკა გოგონასგან დაახლოებით სამ მეტრში უცებ შეყოვნებულმა ირინეოსმა.

გოგონა კი ტიროდა და კვლავაც ეზოს მისჩერებოდა. ტიროდა, ჰო, ბანალურად ჟღერს, არა? ჰოდა, ბანალურობაშია გენიალურობა, რადგან სიტყვა „ტიროდა“ ხომ პირდაპირ უმიზნებს სამყაროს დემიურგებს, ატერორებს და ამხელს მათ, ქმნის პოეზიას, რომელთა შემქმნელნი ღმერთების ბუდეში ცდილობენ გამოზამთრებას.

სანამ უცნობი გოგონას პასუხის მომლოდინე, საშინელებათა ფილმის მაყურებელივით გარინდული ირინეოსი უცნობი გოგონასვე აფეთქებული მეტეორის ბრწყინვალებასავით მოციმციმე მზერის ძლიერებით ინუსხებოდა, სველ მიწაში აზელილი მწერები გამარჯვებულ განთიადს ეგებებოდნენ (უნდა გენახათ, რა სანახავი იყო დანისლულ ეზოში ჩაძირული სიმწვანეც).

ყვაა, ყვაა, ყვაააა... დასჩხაოდა მოცვისფერ სოფელს ეზოში ფრენოფობიით შეპყრობილი ყვავი და ისიც დამარცხებულივით ეგებებოდა ბრძოლაში გასისხლულ, მაგრამ მაინც გამარჯვებულ აისს.

ჭრ-ჭრ-ჭრ-ჭრ-ჭრ... ჭრიჭინებდნენ, ჭრიჭინებენ, ჭრიჭინებენ ჭრიჭინები და ტკივილში ათენებენ ღამეს... არა, არა, მწერების გრძნობებზე ფიქრის დრო არ არის, უკვე დამტკიცებულია, რომ მწერებს სული არა აქვთ და რა ტკივილი, რის ტკივილი, დავატიოთ თავის ადგილას სიტყვა „ჭრიჭინში“ და მარადიულად ვიჭრიჭინოთ.

– რატომ შეხურვებულხართ ასე მოშორებით, ბატონო, ცოტა მომიახლოვდით, რომ მოგესალმოთ. – გაისმა თვრამეტიოდე წლის უცნობის სილაღით სავსე ხმა.

ირინეოსს გაუკვირდა, რომ გოგონას შეეძლო ერთდროულად მოტირალიც ყოფილიყო და გალაღებულიც (ხმა ხომ ადამიანის ყველაზე მისტიური ამოძახილია, ხმა ხომ თავად ბგერისა და ასოს მშობელია).

– უბრალოდ, გამიკვირდა ორი რამ, – მიუგო საკმაოდ დამშვიდებულმა ირინეოსმა (ხმა ხომ ამშვიდებს, თუმცა ყველას სხეულიდან ამოსული ხმა არა, მხოლოდ რჩეულებისა).

– და მაინც რა გაგიკვირდათ, ბატონო?

– ის, რომ ასეთ დროს, ჩემ გარდა, გარეთ კიდევ არის ვინმე სულიერი და კიდევ ის, რომ თვალცრემლიან გოგონას ლაღი და დამამშვიდებელი ხმა აქვს.

– იმიტომაც ვტირი, რომ დამამშვიდებელი ხმა მქონდეს. – მიუგო გოგონამ და ირინეოსს სკამზე ჩამოჯდომა შესთავაზა.

სკამის ქვემოთ ძველმოდურ სანიაღვრე არხში (რომელიც შეუკეთებიათ და არ გამოუცვლიათ) დავრდომილივით სუსტი, ბალერინასავით თხელი წყალი მირაკრაკებდა და ჩვენი გმირი ფიქრობდა ცუნამზე და იმაზე, რომ ცუნამიც ისეთივე წყალია, როგორიც ეს სუსტი მონაგარი დიადი, საყოველთაო წყლისა.

შუკის პირას მხოლოდ ორი ადამიანი, პატარა წყალი და ღამესთავდაღწეული მწერები ჩამიჩუმობდნენ.

– კი მაგრამ, თუ ტირი, სხვებზე ზრუნვას როგორღა ახერხებ? – ჰკითხა ირინეოსმა და დინჯად მიუჯდა გვერდით, – მე პირიქით მეგონა, – განაგრძო ჩვენმა გაორებულმა გმირმა, – ადამიანები მხნედ რომ არიან, რომ არ ტირიან და ხარობენ, მხოლოდ მაშინ შესწევთ ძალა, იფიქრონ სხვებზე.

– ალბათ, გასხივოსნების იმ ნიშნულამდე ჯერ კიდევ არ მიგიღწევიათ, სადაც იმიტომ სევდიანობენ, ან თუ გნებავთ თავისთავად არსებულ სევდას იმიტომ ათავისუფლებენ, რომ კაცობრიობის სამსახურში ჩააყენონ.

– გამოდის, რომ მწუხარება სიკეთის სამსახურში ჩააყენე? – იკითხა ოდნავ განცვიფრებულმა ირინეოსმა.

– მწუხარება ფეკალიებივითაა, ის არ გვჭირდება, უფრო სწორად, მხოლოდ სასუქის მისაღებად გვჭირდება, მაგრამ არა პირდაპირი და ხილული სიამოვნებისათვის, ასე ვთქვათ, ხელშესახები სიამოვნებისთვის, თუმცა მაინც არსებობს და ჩვენზეა მოტმასნული. ჰოდა, მე მწუხარებას ფეკალიობაზე დიადი მიზანი დავუსახე, კაცობრიობის გალაღება და დამშვიდება. განა ამას არ ქადაგებდა ქრისტეც? – დაასრულა სქელტუჩა უცნობმა და ყურადღებით დააკვირდა ირინეოსის ინტერესით აღსავსე მზერას.

– კი, ამას ქადაგებდა ქრისტეც, შეიძლება ითქვას, რომ ზუსტად ამას, თუმცა მე არ ველოდი, რომ ამ სიღრმისეულ მისტერიას შენი ასაკის გოგონებიც იაზრებდნენ. თანაც არ მეგონა, რომ ერთ ასეთ გოგონას მე შევეფეთებოდი, შევეფეთებოდი ამ პატარა ნახევრადსოფელში და ისიც გამთენიოს, როდესაც ყველას სძინავს და სიმშვიდის ნეტარებაშია გარინდული. – ხელების დინჯი, მაგრამ ინტენსიური მოძრაობით უპასუხა ირინეოსმა.

– ჰო, მაგრამ არ მესმის თქვენი. არ მესმის, რადგან ნუთუ ასეთი რთული გასაგებია, რომ ქრისტე თითოეული ჩვენგანის ცნობიერის კილიმანჯაროზეა გამაგრებული და მას იქიდან ვეღარავინ ჩამოაგდებს? თითოეული ჩვენგანის ცნობიერის ნაერთი კი ახალი ცნობიერის ნაირსახეობაა, კოლექტიური არაცნობიერისა, რომლის მწვერვალზეც, უფრო სწორად, ერთ-ერთ მწვერვალზე ქრისტეც ზის, მას თავისი უჩვეულო და ამაღლებული პოეზია შეუქმნია და დანარჩენ ღმერთებს თავზარს სცემს.

უკვე ნათდებოდა. ერთი ძველმოდური, ვაზში ჩაფლული სახლის კოხტა ფანჯრიდან ირინეოსის ბიძაშვილის შვილის ქმარი მზის ამოყვითლებას ელოდა და თვალებს ისრესდა.

მალე კვაზარის აფეთქების სიმძლავრით აფეთქდებოდა მზე და ახალი დღის დასაწყისს გამოაცხადებდა.

ახალი დღის, რომელსაც ჩვენი მეზღვაური ვერ მოესწრებოდა, ვერ შეიგრძნობდა, მაგრამ ერთხელ მაინც ნეიტრონივით მოციალე, უცნაური მზის უცხო სხივებით დაელექტრონდებოდა.

– კი, გეთანხმებით. – მშვიდად მიუგო გოგონამ, სკამიდან ლამის წამოხტა, ირინეოსს ხელი ჩამოართვა და თავისი სახელი უთხრა: „მე დალი მქვია, ბატონო“.

– მე ირინეოსი ვარ და ძალიან მიხარია შენისთანა ახალგაზრდის გაცნობა, იქნებ ხელახლა ვიშვა შენით.

– კარგით, ბატონო. – უთხრა დალიმ, გაიღიმა და რამდენიმე წამში გაიყარნენ კიდეც.

გოგონა ახალგამარჯვებულმა განთიადმა ჩიხის შორეულ ნაწილში შთანთქა, ხოლო ჩვენი ირინეოსი თითქმის იმ ადგილას, სადაც ერთმანეთს დაუშორიშორდნენ.

ჩვენმა გმირმა ორი ნაბიჯი უკან გადმოდგა და შემდეგ დალის უმანკო სხეულის ფორმებსა და დღის ამოხეთქვას მიაპყრო მზერა, ბოლოს კი – დალის გადაპლაზმვამ და ამონეიტრონებამ გამოაფხიზლა.

და ახალი ერთდროულად ახალიცაა და ძველიც.

* * *

ირინეოსი კარგად გრძნობდა თავს ნახევრადსოფელში, ზუსტად ისევე კარგად, უფრო სწორად – იმ დოზით კარგად, რამდენადაც ქალაქში და ზუსტად ისე ენატრებოდა ახლა ქალაქი, როგორც მაშინ ქალაქიდან სოფელი. ქალაქში თუ ახალ ამორძალს ყოველ დღე ელი და მისი მოლოდინის ძალით ივსები, სოფლად დილის შეთეთრებულ-შენისლული ამოსუნთქვა გაცოცხლებს, გასიცოცხლისუნარიანებს – კვლავაც ფიქრებით იშოლტებოდა გაორებული ხიზანი.

ქალაქში ადამიანებს ელაპარაკები, ხელს ხვევ, კოცნი, ეხმარები, გეხმარებიან, მაგრამ მაინც მარტო ხარ, ხოლო სოფლად ყოფნის ჟამს მარტო ხარ და ვერავის ეხები, ვერავის ემეგობრები, თუმცა აქაც მარტოსულობ. თუ ყველგან მარტო ხარ, რა მნიშვნელობა აქვს სად იქნები – ქალაქად, სოფლად თუ მარსზედა. ასეთ გაუგებრობაში მყოფი კაცი იყო ჩვენი გმირი.

იხსენებდა ქალაქის სასტუმროებში განცდილ ხორციელი მისწრაფებების დაკმაყოფილებით გამოყოფილ სიამოვნებას და ყელსა და მენჯს შორის არსებული სხეულის ყოველ უჯრედში ჟრუანტელი უვლიდა. შემდეგ იხსენებდა პატარა დალისთან შეხვედრის ნეტარებას და გული უჩქარდებოდა, უჩქარდებოდა მიუღწევლის მოახლოებით, უფრო სწორად, მიუღწევლის მოლამუნებით,

შეხებით, მაგრამ მხოლოდ გული, ეს სიცოცხლის მამოძრავებელი გორგალი (რა მიმართულებით, კაციშვილმა არ იცის).

ეს ორი განცდა, ვნება თუ სურვილი, ისე დაპატრონებოდა, რომ მათ შორის არჩევანის გაკეთების შემთხვევაში დაობლდებოდა, გამომთლიანდებოდა და გადაპირველფოტონდებოდა.

მას კი ჯერ კიდევ არ უნდოდა განუსაზღვრელობად ქცევა და ადამიანობას ებღაუჭებოდა.

* * *

შუაღამე იღრინებოდა. ირინეოსს ეძინა და თან ფხიზლობდა. სინათლის სხივის სიჩქარით მოძრავი სხეულის თუ სუბსტანციის ხვედრი გაეზიარებინა, ანუ აღარ ენატრებოდა და თან ენატრებოდა, სძულდა და თან არ სძულდა, ბობოქრობდა და თან არ ბობოქრობდა, მაგრამ ახლა ყოველივე ეს ისე სწრაფად ხდებოდა, მოვლენები ისე სწრაფად იცვლებოდა, როგორც არასდროს, არც ერთ ეპოქაში. უკვე ყველაფერი სწრაფად აღზევდებოდა და სწრაფადვე ეცემოდა, ლამის სუბატომური ნაწილაკების მოძრაობის სიხშირით.

თითქოს ჩნდებოდნენ და ქრებოდნენ ახალ-ახალი პარკები, სკვერები, ბაღები, ჩიხები, ქუჩები, ქალაქები, ქვეყნები, ქვეყანათა გაერთიანებები, დედამიწა, მზე, გალაქტიკები და ულევი მულტისამყაროები.

სადღაც შორეთის უშორეს წყვდიადში აფრიკული სავანისფერი მულტისამყარო კალიბრისფერთან შეუღლებას ზეიმობდა.

ჩვენ აჩქარების, დიდი აჩქარების ეპოქაში მოგვიწია არსებობა და ამ ეპოქაში თვალის დახამხამებას ვერ მოასწრებ, ისე მოგკლავს ის, ვისაც უყვარდი და ვინც გიყვარდა, მაგრამ ეგ კიდევ დიდი არაფერი, მერე მიდი და იცხოვრე დარდით, რომ მთელი ცხოვრება გულწრფელობის ვალი გექნება, ვალი სრულყოფილების, ვალი ადამიანობის და ეგეც არაფერი, მერე თქვი შენ, როცა შენში ჩაბუდებული ზეკაცი უსამართლობის მორევში ჭყუმპალაობას აღარ გაცლის, აღარ გაცლის და დაიწყება ახალი შერკინებების იგივე, მაგრამ მაინც განსხვავებული იგავი.

და დაე, მოძრაობის ამ გაცვეთილ თუ გაუცვეთელ ორომტრიალში, ჩვენი სულგამომწყვდეული ყუთების მოხმარებისას, ერთადერთ მარადიულ ღმერთად – აზროვნება დაგვესვას, რათა მარად ვიარსებოთ, ვიარსებოთ, რათა გვიყვარდეს.

მაგრამ ჩვენმა ირინეოსმა ხომ აზროვნებაზეც უარი თქვა, ამ დიად ღმერთზე ნეტარებისა და გარინდებისა; მან აზრთა ბზუილის ჩახშობის, დაამების გზა აირჩია.

* * *

საათი ზუსტად იმ დროს აჩვენებდა, რომელსაც მაშინ, ირინეოსი რომ ჯერ კიდევ უცნობ დალის შეხვდა.

ჩვენმა გმირმა ხელ-პირი ცივი წყლით დაიბანა, ასიდან ერთამდე დაითვალა, სარკესთან დადგა და დილის გამამხნევებელი ვარჯიშები გააკეთა, შემდეგ კარმიდამო დატოვა და იმ ადგილისაკენ გაემართა, სადაც პირველად შეხვდა ჩვენს ახალ გმირს, პატარა დალის.

* * *

ისეთივე უხმაურო დილის მომლოდინე დალი თითქოს ელოდებოდა მის ცხოვრებაში ახლადმოვლენილ ხიზანს, რომელიც საიდან მოვარდა, თითქოს თავადაც არ იცოდა, მაგრამ მაინც ელოდებოდა, როგორც პირველი ფოტონი თანაფოტონს, რომელსაც სულ მალე გადმოიელექტრონებდა (შეიუღლებდა).

ამჯერად იმავე ადგილას მჯდომი ჩვენი ყოფილი უცნობი გადამეტებული სილაღისგან იღიმოდა. მწუხარება მისი თვალებიდან სადღაც უიღბლო მოგზაურობაში გამგზავრებულიყო, სამწუხაროდ, უიღბლოში. უიღბლობაა კვლავაც დამწუხრების მიზეზი. აღარ ვიცი, იღბალს ვინ და რა მოტივებით განაგებს, ან საერთოდ თუ განაგებს (შესაძლებელია, სადღაც პატარა ტეხასურ ბარში ზის და უდაბნოს საკუთარ თავში გასაგრილებლად ცივ ლუდს მიირთმევს, ან სულაც წიგნებს კითხულობს, მაგრამ წაკითხულზე აღარ ფიქრობს).

როდესაც ირინეოსი ნაცნობ სკამს მიუახლოვდა და მდგომარეობა იყნოსა, გაკვირვებული დარჩა დალის სილაღით, ის ხომ სულ რაღაც გუშინ ამავე სკამზე იჯდა და ტიროდა.

მგონი გავმთლიანდები, მგონი ახალ ერასთან შესახვედრად მოვემზადები და პირველი ფოტონისგან შობილი ბოლო მზის აფეთქებას დავაკვირდები, – გაიფიქრა ირინეოსმა და დალის მიესალმა.

– მოგესალმებით, ბატონო, ნუ მორცხვობთ, ჩამომიჯექით. – მიუგო გოგონამ და ფართოდ გაიღიმა, უფრო სწორად, საფეთქლებამდე.

– რეინკარნაციის გჯერა, დალი? – მოულოდნელად შეეკითხა ირინეოსი.

– რა თქმა უნდა. – მოკლედ მოუჭრა ყოფილა უცნობმა.

– მგონია, რომ წინა ცხოვრებაში პატარა უფლისწული იყავი.

– ვისი უფლისწული, ეგზიუპერის? – სხარტადვე კითხა გოგონამ.

– არა, უბრალოდ წინა ცხოვრებაში ბიჭუნა იყავი.

– გეთანხმებით, ზოგჯერ ვარ კიდეც ბიჭი. არის ჩემში კაცთა ნამსხვრევები.

– რაც გაგიცანი, მხოლოდ ერთს ვსწავლობ შენგან, რომ ყველაფერი სამყაროს სამსახურში უნდა იდგეს.

– დიახ, მაგრამ ჩვენ ამ სამყაროს არსებობაზე მხოლოდ იმიტომ ვიცით, რომ ტვინი გვაქვს.

– შესაბამისად, გავუფრთხილდეთ იმ ღეროს, რომელსაც ტვინი გატენილი თავთავივით ჩამოკიდებია, ანუ გავუფრთხილდეთ ადამიანს.

– და ეს ღერო მოვრწყათ ყველაფრით, რაშიც მისი წინაპრები ჩაისახნენ.

– დიახ, თქვენ სწორად გამიგეთ. – ღიმილით თქვა დალიმ.

ამ მეტად საინტერესო დიალოგისას ირინეოსს მხოლოდ ორჯერ გაექცა თვალი მზის დუღილის გადმონაჩქეფის დაცემისკენ და პირველად დაინახა, რომ გათენებულიყო, ხოლო მეორედ იხილა, როგორ მორთო დედამ პირმშო, რომ მშობელ დედამიწაზე ბრწყინვალედ წარმოედგინა, რათა დედამამიშვილებს ერთმანეთი უკეთ გაეცნოთ (უფრო სწორად, ერთმანეთს მიახლოებოდნენ და შემდეგ ისევ გაყრილიყვნენ).

– წამოდი, გავისეირნოთ. – შესთავაზა ირინეოსმა.

– კარგი, წავიდეთ. – მიუგო გოგონამ და ჩვენი ახალგაცნობილი, მაგრამ მონათესავე სულები სველ და ცივ, თუმცა სუფთა ჰაერით სავსე ჩიხს გაუყვნენ.

უკვე მერამდენედ დაეცხრო ლამპიონის სიმხურვალე დილის სუსხს და ეს ყოვლისმომცველი აქტი გახლდათ. ამ აქტში ნათების დაძაბვა თავისივე დედმამიშვილის, სიცივის მიერ ხდებოდა, დაძაბვა კი – სიკვდილის ძახილია. მოვა სიკვდილი და კვლავ გაუმზადებს ნიადაგს ძლევამოსილ სიცოცხლეს, ნიადაგს, რომელიც დახოცილი დედმამიშვილების, სიმხურვალისა და სიცივის გვამებით იქნება განოყიერებული.

როდესაც დალი სახლში მივიდა, რომლის ეზო და სახლის მოცულობა ირინეოსის ეზოსა და სახლის მოცულობისგან დიდად არ განსხვავდებოდა (უბრალოდ, დალის სახლი მუქი მწვანე კაფელით იყო გაწყობილი და წითელი ხის კონსტრუქციის ნაცვლად თეთრი ხისა ჰქონდა), კომპიუტერი ჩართო და ბატონი ფაუსტულუსის შეტყობინება წაიკითხა:

„ხომ იცი, ჩემო გოგონავ, ჩვენს გმირზე უფრო მეტი სიღრმეები გვჭირდება, მეტი ინფორმაცია მისი სულის შესახებ, რომელიც ჩვენ მიერ მოზელილ სამყაროში გამოგვადგება“.

დალიმ მოკლედ მიწერა, დიახ, ბატონო ქალაქის თავკაცო, ვიციო და საძინებელი ოთახისკენ გაემართა.

ამ ამბიდან დაახლოებით ათ წუთში ფაუსტულუსი რაღაცას ბაბუა იოსებს წერდა, მაგრამ თუ თითების „თაგვზე“ მოძრაობას დავაკვირდებოდით, შევამჩნევდით, რომ ფაილებსაც უგზავნიდა.

ზუსტად ამ დროს, ირინეოსის ბიძაშვილის შვილის ქმარი თავისი კოხტად მოწყობილი სახლის ფანჯრიდან მზის ჩასვლას აკვირდებოდა და პაპიროსს აბოლებდა. მისი ცოლი კი ზღვაზე წასასვლელად ემზადებოდა.

და ახალი ერთდროულად ახალიცაა და ძველიც.

* * *

ჩვენს უმთავრეს გმირს დილისთვის სანადიროდ წასვლა გადაეწყვიტა და წინა დღეს ძველი ორტუჩა შეემოწმებინა. შემდეგ მწყერისთვის რამდენიმე თექვსმეტკალიბრიანი, ოქროს საწმისის ფერი ვაზნა შეურჩევია და ამბროზიის სამეფოსკენ მიუშურებია.

ნაწვიმარი იყო. ამბროზიის შეწოვისუნარიანი სხეული ირინეოსის მუხლებამდე შიშველ ფეხებს ეხებოდა და ტანში ჟრუანტელს გვრიდა.

ამბროზიები ისე შემოეხვივნენ, როგორც ქარბორბალა შემოეხვევა ხოლმე მოწყენილ ტრამალებს.

და დილა გაყინულ სითეთრეში ეხვეოდა, რომელიც მზის ქალღმერთის სარძევე ჯირკვლის მწვერვალებიდან მოჩუხჩუხებდა.

ირინეოსში მონადირისა და მკვლელის მარადიული წყურვილი გადაბუნებობის, ანუ ბუნებასთან შეუღლების გამაერთიანებელ წადილს ექიშპებოდა და ციოდა ჩვენს გმირს.

ამბროზიის სამეფომ ისე შთანთქა, რომ იმ დღეს თავისი ძველი ორტუჩა ერთხელაც არ გაუსვრია, ერთხელაც არ შეუგრძვნია დაჭრილი, ან ჰაერშივე განგმირული მწყერის სველ ბალახზე დაცემის მოლოდინის მოლოდინის მაგიურობა, გულისამაჩქარებლობა. შემდეგ, როდესაც აჩქარებული ნაბიჯებით (ლამის გარბიხარ) მიიწევ, რათა ნახო ბუნების პირმშოს მიერ მოკლული ბუნებისვე პირმშოს მკვდარი, ან ნახევრად ცოცხალი თვალების გარინდება.

დაბოლოს, როდესაც უდანაშაულოდ მოკლულ მწყერს ხელის გულზე დაისვენებ, მერე დახედავ კიდეც და წამიერად გააცნობიერებ, რომ დედმამიშვილის სისხლში გაგისვრია ხელი და დაგეუფლება წამივით გაელვებული სიცარიელე.

ირინეოსი გაჰყურებდა თეთრწვერა სიმწვანეში ჩარგულ ბოძებს შორის გაყვანილ მავთულზე მოამპლიტუდე მიმინოს და ბრძოლიდან დაბრუნებულ გათენებას პენელოპესეული გულისაჩქარებით ელოდა.

და იდგა ჟამი მწყერზე ნადირობისა.

* * *

სახლში დაბრუნებული ირინეოსი კედელზე ჩამოკიდულ ფოტოს მიაშტერდა და გადაწყვიტა ბავშვობის მეგობარი მოენახულებინა.

ის იგონებდა აკვილასთან ერთად გატარებულ ბავშვობის ტკბილ-მწარე დღეებს და გული სიხარულით უცემდა. ირინეოსს ისიც ახსოვდა, რომ სოფელში მხოლოდ აკვილას მოსანახულებლად ჩამოდიოდა, თითქოს აკვილა წარმოადგენდა ხიდს, გადებულს მასა და სოფელს შორის.

ირინეოსის მეგობარი მშენებელი კომპანიის დამფუძნებელი იყო და მშენებელთა ძლიერი გუნდიც შეეკრა, რომლებიც თავიანთი შრომისუნარიანობით საქვეყნოდ იყვნენ ცნობილნი. აკვილასთვის კოხტა სახლების მშენებლობა ისეთივე ხელოვნებად ქცეულიყო, როგორც პაულ სელანისთვის – პოეზიის სიღრმეების ძიება.

ოდესღაც მრავალ ადამიანს ეხმარებოდა ჩვენი გმირის ბავშვობის მეგობარი, მაგრამ შემდეგ ამისგანაც გადაღლილა და სოფელში დაბრუნებულა. ირინეოსი კი ვერსადაც ვერ დაბრუნდება, მას ხომ სოფელში მუდმივად არც არასდროს უცხოვრია და არც მასში დაბადებულა. ირინეოსი ჩახუთულ სივრცეებში იშვა, სადაც ყველაფერს აკეთებდნენ, რათა უდაბნოდან თავი დაეღწიათ, მაგრამ საბოლოოდ მიხვდნენ, რომ ისევ უდაბნოში ამოქარავანდნენ, უფრო საშიშ და მქუხარე უდაბნოში.

აკვილას კარმიდამო ირინეოსის კარმიდამოსგან დაახლოებით სამასი მეტრით იყო მოშორებული და აღმართზე მდებარეობდა. ირინეოსმა მეგობრის ეზოში უფრო მეტი დრო გაატარა, ვიდრე საკუთარში.

ამ ეზოში უსაფრდებოდნენ თაგვებს, რათა დაეხოცათ და ერთმანეთსაც გაჯიბრებოდნენ ხოცვაში, ამ ეზოში ატყავებდნენ ბაყაყებს, ნაზდებოდნენ პეპლების ფრიალით და ფითრთებოდნენ გადამწვანებულ ნისლში.

ირინეოსი იხსენებდა, როგორ ბრუნდებოდნენ თევზაობიდან და მგლებივით დამშეულნი გადაკვდებოდნენ ხოლმე აკვილას ბებიის გაკეთებულ ამა თუ იმ უგემრიელეს კერძს, უფრო სწორად, ხელოვნების ნიმუშს.

ეს ყველაფერი ახსოვდა ჩვენს გმირს, მაგრამ ისიც ახსოვდა, რომ სათამაშო უფრო მეტად აკვილასთვის შესახარბებლად სჭირდებოდა, ვიდრე სათამაშოდ.

ირინეოსმა დაუღალავად აიარა სამასამდე მეტრი და მეგობრის ეზოს ჭიშკარს მიადგა, შემდეგ კი – ზარი დარეკა.

სახლიდან საშუალო სიმაღლის, შუა ასაკის, უმხარბეჭო, საშუალო წონისა და ლამაზი პირისახის ბიჭი გამოვიდა, რომელიც ირინეოსზე ბევრად უფრო შეუხედავი იყო.

გამოვიდა და ჭიშკარი გააღო.

ირინეოსის დანახვა არც კი გაკვირვებია, ისე მოიპატიჟა ჩვენი გმირი და მთელის მოწიწებით გულში ჩაიკრა, როგორც მხოლოდ დედმამიშვილებს სჩვევიათ.

ირინეოსმაც სიყვარულით ჩაიხუტა ძმა და სახლისკენ გაჰყვა.

აკვილას სახლიც თითქმის ზუსტად იგივენაირი იყო, როგორიც ირინეოსის, იმ განსხვავებით, რომ ამ უკანასკნელის კონსტრუქცია თავს შავი კაფელითა და ღია წაბლისფერის ნაზავით იწონებდა.

– რას დალევ, ჩემო მონატრებულო ძმაო? – ლაღად კითხა მასპინძელმა.

– ორას გრამ მაგარ არაყს, ჩემო ძმაო. – ასევე ლაღად და სიხარულით აღსავსე ხმით უპასუხა სტუმარმა.

– დაგიწყია თავის მოკვლა. – ეხუმრა სიყრმის მეგობარს მასპინძელი.

– ეეჰ, ჩემო ძმაო, ეგ დაბადებამდე დაიწყო ჩემი სულის პირველმა აღტაცებამ, მაშინ, როდესაც ყველაფერი თან იყო და თან არა. – თამამად თქვა ირინეოსმა, რადგანაც იცოდა, რომ ამის საფუძველი ჰქონდა, მას წინ ძალიან კარგი, თითქმის გენიალური მსმენელი ეჯდა.

– ამ სოფელშიც არავინ დარჩა, რომ ამბავი მოგიტანოს კაცს. – დანანებით ჩაილაპარაკა აკვილამ.

– ჰო, მესმის, მე უარი ვთქვი სიყვარულზე, ანუ სიცოცხლეზე და დავიწყე ძებნა რაღაცის, რაც იწყება მხოლოდ აღზევება-დაცემის თუ დაცემა-აღზევების შემდეგ. – დამამშვიდებელი ხმით უთხრა ირინეოსმა.

– იქნებ სიყვარული იწყება დაცემისა და აღზევების, თუ აღზევებისა და დაცემის შემდეგ? – საკითხში გენიალურად გარკვეული კაცის იერით იკითხა აკვილამ.

– შეიძლება, მაგრამ მე უფრო მაინტერესებს, რა იწყება სიყვარულის გაუფასურების შემდეგ.

– ალბათ, ისევ გაუფასურება. – კვლავაც დამაჯერებლად თქვა აკვილამ.

– ჩვენ უნდა ვიპოვოთ ისეთი რამ, რაც არსებობს, მაგრამ არამატერიალურია, რათა არ შემოგვეცვითოს, თორემ ხომ იცი, მატერიალური რაოდენ სწრაფად გადაკვდება ხოლმე.

– და ასეთი რამ არსებობს? – გაიკვირვა აკვილამ.

– კი და მას აზროვნება ჰქვია. თუ ამ ფაქტს გავაცნობიერებთ, უსიყვარულოდაც გვექნება ბედნიერების მოპოვების შესაძლებლობა.

– კი, მაგრამ განა სიყვარული არ ამოძრავებს აზროვნებასაც? – იკითხა მასპინძელმა.

– არა, ჩემო აკვილა, არა, სიყვარული დედამიწას ატრიალებს, მაგრამ აზროვნებას – ვერა (როგორც გაბრიელ გარსია მარკესი იტყოდა).

– და რა ატრიალებს აზროვნებას? – კვლავ გაიკვირვა აკვილამ.

– მათემატიკა და სტატისტიკა.

– ეგ როგორ?

– როგორ და, მაგალითად, შენ თუ შეძლებ და გამოთვლი რამდენ ხანს გეყოფა ერთი თვის ხელფასი ოჯახის რჩენისთვის და დაადგენ, რომ საერთოდ არ გეყოფა და იმასაც დაინახავ, რომ შენს ოჯახს არსებობა-არარსებობის საფრთხე ემუქრება, წახვალ და მის გადასარჩენად ბოროტებსაც კი ჩაიდენ და ამას მხოლოდ იმიტომ გააკეთებ, რომ შენი შვილები ეგოისტურად გიყვარს, მაგრამ რამდენად ეთავსება ერთმანეთს ეგოიზმი და სიყვარული? სიყვარულის გამოხატულების უმაღლესი მწვერვალი ხომ სხვების ტკივილით ტკივილია.

– და ამიტომ ხსნის გასაღები აზროვნების ღმერთის გულცივობის უფრო მაღლა დაყენებაშია, ვიდრე სიყვარული დგას?

– დიახ და სამყაროც მოიპოვებს ნანატრ და პირველსაწყის მშვიდობას.

– და რადგანაც აზროვნებითვე ვითარდება აზროვნება და აზროვნების განვითარებაშია ახალი თვალსაწიერის მქონე სამყაროს შობა, ჩვენ აზროვნება ღმერთების მბრძანებლად უნდა ვაქციოთ.

– უკვე არის. – თქვა აკვილამ.

– მე ის მაოცებს, – გააგრძელა საუბარი ირინეოსმა, – რომ ამდენი ხნის უნახავები ერთმანეთს აზროვნებებით ვეხმალავეთ, მაგრამ ამ ომში თითქმის არასდროს არავინ დაჭრილა და ერთი გრამი სისხლიც არ დაღვრილა, ხოლო თუ ვინმე დაჭრილა, მხოლოდ საკუთარი დიდებისთვის და მარადიული ხსოვნის მოპოვებისთვის.

– იომე სუბატომური ნაწილაკებით და ვერავინ დაგინახავს, როგორ იქცევი ღმერთად. – აღმოხდა აკვილას და დასძინა, – არა უშავს, ცოტა შევხურდით და თუ როგორ ვებრძვით ყოველდღიურობას, ამაზე ლაპარაკს მერეც მოვასწრებთო.

მეგობრები ერთმანეთს გამოემშვიდობნენ.

ირინეოსი გაუყვა დაღმართს და მყუდრო სახლზე ფიქრმა გაიტაცა, უფრო სწორად, სახლისეულ სიმყუდროვეზე ფიქრმა.

* * *

ეზოში შევიდა და პატარა სკამზე ჩამოჯდა, თითქოს იმ დღეს სამუდამო ბედნიერება ჰპოვა იმ სკამზე, კოხტა ეზოში, მაგრამ მაინც ექაჩებოდა ვიღაც მოცინარ-მტირალი უცნობი.

უყვარდება დალი, თუმცა იკლავდა სიყვარულს, რადგან სიყვარულს „საქმენი საგმირონით“ სჭირდება გამაგრება და თავის მხრივ, „საქმენი საგმირონი“ ბოროტებას შობს, ბოროტება კი – ქრისტეს.

ქრისტე ბოროტების პირმშოა, მაგრამ ირინეოსისთვის უკვე ბოროტებაც გამქრალიყო და ქრისტეც.

ის რაღაც სხვას ეძებდა და იცოდა, რომ ეს „რაღაც სხვა“ ამ პატარა „მინდა ვიყო სოფელს“ მიღმა არ მოიძებნებოდა.

ის მხოლოდ აქ იყო, ხელთუქმნელ, თეთრწვერა სიმწვანეში.

* * *

დილის ხუთი საათისთვის ჩვენმა გმირმა გაიღვიძა და უმშვიდეს ჩიხებს გაუყვა.

გაუყვა უმიზნოდ.

თუმცა უხილავი ძალა მაინც ეზიდებოდა ნაცნობი სკამისკენ, უფრო სწორად, ამ სკამზე მჯდომი უცნობი გოგონასკენ, მაგრამ ისიც იცოდა, რომ ეს ბოლო შეხვედრა იქნებოდა.

მიუახლოვდა ნაცნობ შუკას და ისევ იგივე სურათი იხილა, რასაც აქამდე ხედავდა: დალი მოპირდაპირე სახლის ეზოს მისჩერებოდა და ვერავინ გაიგებდა, ტიროდა თუ იღიმოდა. მისი სახე მშვიდი და უმანკო იყო, არა ანგელოზივით უმანკო, არამედ ადამიანივით და ეს აქტი მასში შეიცავდა სერაფიმული წარმომავლობის დემონსტრირებასაც.

ირინეოსი კვლავ სკამისგან (თუ დალისგან) დაახლოებით სამი მეტრის მოშორებით დადგა და ამჯერად თავადაც ვერ გაერკვია, გოგონაზე ფიქრობდა თუ სკამის ქვეშ უმწეოდ მორაკრაკე წყალზე.

– მოდი, ბატონო ირინეოს, უკვე ხომ დავმეგობრდით და რაღა დროის სიმორცხვეა. – მშვიდად და ლაღად მიმართა გოგონამ.

– უნდა წავიდე შენგან, ეს გადაწყვეტილია. – მოულოდნელად ამოთქვა ირინეოსმა.

– და ვინ გადაწყვიტა?

– ინტუიციამ.

– და განა ინტუიცია შენში არ ბუდობს? თავად შენ არ ხარ?

– ასეც შეიძლება ითქვას. – მიუგო ჩვენმა გმირმა.

– და რას აპირებ?

– ახალი შეგრძნებების აღმოჩენას, გააზრებას და ამ გააზრებით ტკბობას.

– მე ყოველთვის მეცოდინება, რას გრძნობ შენ, – თითქმის ჩაილაპარაკა დალიმ და დასძინა, – ბედნიერებას გისურვებთ გაქრობაში.

ირინეოსის ბიძაშვილის შვილის ქმარი ფანჯარას მისჯდომოდა და შუადღით გამოფიტული სივრცით სევდიანობდა, ხოლო მისი მეუღლე ბავშვობის სიყვარულზე ფიქრობდა. ორივეს ეტირებოდა, მაგრამ იცოდნენ, რომ ამის უფლება აღარ ჰქონდათ.

მერამდენეღაც მეთორმეტე წლის მეთორმეტე თვის მეთორმეტე დღის მერამდენეღაც მეთორმეტე საათი იდგა და თუხთუხებდა შუადღე.

და ახალი ერთდროულად ახალიცაა და ძველიც.

* * *

ფიქრთცემა გახშირებოდა ირინეოსს, მაგრამ ეს მდგომარეობა თავისუფალი და ლაღი იყო, რადგან არავის გასაწონასწორებლად არ იყო მიმართული. ახლა ირინეოსში საოცარი სამყარო იბადებოდა, სამყარო, რომელშიც არ არსებობს სურვილი, მიზანი და მიზნისკენ სწრაფვა.

ლამის ფიქრებად და გაცნობიერებად გადაქცეულიყო ჩვენი გმირი, დარჩენილი უვნებობაში, უთრთველველობაში, აუჩქარებლობაში, აუღელვებლობაში, უძრაობასა და აბსოლუტურ სინათლეში, თუმცა ამინდი მაინც წრიალებდა და ვერ ისვენებდა. თითქოს წვიმას სურდა შუბის სტყორ-

ცნა, მაგრამ სოფელს გადაფარებული სიცივე აკავებდა, ხოლო სიცივეს ოდნავ ახალისებდა ფერმკრთალი მზე.

შეხედავდა გაზის მილებს და იწყებდა ფიქრს გაზის კომპანიის დამაარსებლის გაცივებულ სულზე, რომელიც ჩვეულებრივი მოკვდავების წუხილს ვეღარ ამჩნევდა, ხოლო გენიოსების მოსაზრებები სასაცილოდაც არ ჰყოფნიდა. ფიქრობდა ჩვენი გმირი, როგორ აღვიძებდა გაზის კომპანიის დამაარსებელს კომპანიის გაკოტრების შიში, დაყადაღებული ქონების გამოუხსნელობით მოზღვავებული ძრწოლა და მშვიდ ძილზე ოცნებობდა. ისიც კი არ ახსოვდა გაჩონჩხებულ მილიარდერს, თუ როდის ელაპარაკა ბოლოს საკუთარ შვილებს და იგრძნო მათი შეგრძნებები, დაინახა მათი ზღაპრული ოცნებები და ხილვები.

ირინეოსი ხანდახან სათევზაოდ და სანადიროდ დადიოდა, მაგრამ არც თევზაობდა და არც ნადირობდა, მხოლოდ ფიქრობდა.

ზოგჯერ დილის სუსხით დახორკლილ მდინარეში ჩახტებოდა, რომ თავში არსებული ბზუილი გაეყინა, მაგრამ გალიგვული წყლის ქვეშ მყოფი ისევ ფიქრობდა, ლამის გათიშული იყო, მაგრამ მაინც არსებობდა.

ჩვენი ბიჭუნა აღარ იხსენებდა არც ბიძაშვილის შვილის ქმარს, არც ქმრის ცოლს და მათ სულებს, მათი სულების ბრძოლას შეუწებებლობის მოსაპოვებლად, არამედ მხოლოდ მათ ფიქრებს დაეძებდა.

აღარც ბატონ იოსებზე, თავის სიყრმის მეგობარზე, ფაუსტულუსზე და დალიზე დარდობდა ირინეოსი, არამედ მხოლოდ მათ განცდებზე, ქცევებსა და ქვეცნობიერზე.

და ესიზმრებოდა ირინეოსს, როგორ ავიდა უზარმაზარ, უსახელო მთაზე, შემდეგ მწვერვალამდე მიაღწია, შედგა და გადმოეშვა, გადმოეშვა და გაიტაცა უხილავმა ძალამ, რომელიც ჩუმი, ნაზი და უძლეველი იყო.

ირინეოსს მიწაც ენატრებოდა და ზეცაც, ის სადღაც მიწასა და ზეცას შორის მიჰქროდა, თუმცა იცოდა, რომ ეს სივრცეც იგივეა, რაც მიწა და ზეცა.

და ფეთქავდა დედამიწა, როგორც მრისხანე ემბრიონი, გარდასაცვლელად მზად მყოფი.

* * *

ჩვენს გმირს უჭირდა აბსოლუტური გასხივოსნების შეხებამდე მიბობღება და ჩანახატების კეთება დაიწყო. დაჯდებოდა ყველაფრით კმაყოფილ-დაღლილი ირინეოსი კომპიუტერთან და წერდა, მაგრამ რას წერდა? იმას, რასაც სამყარო ვეღარასდროს შეიტყობდა, რადგან, მისივე აზრით, არც იყო საჭირო.

მას გაეაზრებინა, რომ აზროვნების, გაცნობიერების ნაყოფი იყო და პირველსაწყისს დაუბრუნდა, თუმცა იმასაც ხვდებოდა, რომ პირველსაწყისი შეიძლება შავი მატერია ყოფილიყო, ანუ ყოველდღიურ ენაზე რომ ვთქვათ, სიბნელე, თუმცა ხილვებში ჭვრეტდა ამ სიბნელეში ატომის ბირთვის სიცარიელესავით, უგზო-უკვლოდ, შეუჩერებლად მოხეტიალე აზრებს, ან დედააზრს, როგორც გენებოთ.

* * *

იხსენებდა ბაბუა იოსებს და ვერ გაეგო, მოხუცს რატომ არასდროს უფიქრია, რამდენი ადამიანი ევედრებოდა დემიურგს, რომ ამ უკანასკნელს სამყარო სულ სხვანაირად და სულ სხვა წესებით მოეწყო.

და თუ ზომიერების დაცვა მუდმივ თავისტკივილად და განსხეულებული სულის წამებად დამიჯდა, უგუნური ყოფილა მისი დამწესებელიც და დამცველიც.

ორგაზმს სიცარიელე არ უნდა მოჰყვებოდეს;

ნანადირევ ფრინველზე შეხება უეცარ მოწყენილობას არ უნდა იწვევდეს;

სიცარიელე და სისავსე ერთი და იგივე არ უნდა იყოს;

ადამიანი ყოველგვარი ტანჯვის გარეშე უნდა სჭვრეტდეს სისავსესა და სიცარიელეს შორის არსებულ „რაღაცას“;

გამოთქმა „უფალო შეგვიწყალენ“ არ უნდა არსებობდეს;

ათწლეულების შემდეგ სატრფოსთან ბოლოჯერ შეხვედრის ადგილზე მხოლოდ ერთი სიყვარულგადატანილი არ უნდა მოდიოდეს;

ფრინველებს აზროვნება უნდა შეეძლოთ, ხოლო ადამიანებს ფრენა და ვირტუალურ ფრთებს გამუდმებით არ უნდა ეძებდნენ, რაც შემდეგ ათასი უბედურების მომტანია;

ცხოველებს საკვები თავზესაყრელად უნდა ჰქონდეთ, რომ ერთმანეთის შეჭმით არ იღუპებოდნენ;

არ უნდა არსებობდეს სუსტი და ძლიერი;

არ უნდა არსებობდეს წყურვილის გრძნობა;

არ უნდა არსებობდეს სიტყვა „ღმერთი“;

არ უნდა არსებობდეს სიკვდილ-სიცოცხლე, არამედ მხოლოდ მათი განცდა უნდა შეგვეძლოს, შემდეგ კი – ჩვეულებრივად ვაგრძელებდეთ არსებობას;

არ უნდა არსებობდეს სიტყვა „ცხადი“;

არ უნდა არსებობდეს სიტყვა „სიზმარი“;

არ უნდა გვაღვიძებდეს ჩაძინებისას ძილიდან ამოხეთქილი მელანქოლია და კიდევ რამდენი რამ არ უნდა არსებობდეს და ხდებოდეს.

მარტის თვალებიდან მოგელავდა აღმაფრთოვანებელი გაზაფხული და სივრცეს კალიისფერ მანტიაში ხვევდა.

გაახსენდა ირინეოსს მისი და ბაბუა იოსების ერთი მეტად უცნაური შეხვედრა და წამიერი დიალოგი, რომელიც მათი სახლების ქუჩისპირას მოხდა:

„– როგორ ხართ, ბაბუა იოსებ?

– შენსავით, ჩემო ირინეოს.

– ჩემსავით? – გაიკვირვა ირინეოსმა.

– დიახ, შენსავით და შენც ჩემსავით ყოფნისგან ღმერთმა არ დაგიფაროს.

– რაო?

– რაც გაიგონე.

– და რა ხეირი, ღმერთი რომ არ დამიფარავს?

– თავად იქცევი ღმერთად.

– ჰმ.“

და ვისთვის ქადაგებდა მოხუცი ქოსა ზომიერების პრინციპის დაცვას? ვის სწირავდა თავის სიცოცხლეს – ქრისტეს, მარქსს, თუ საკუთარი ნერვული სისტემის მსუბუქად ყოფნას?

არა, არა, ბაბუა იოსები მხოლოდ ახალ სამყაროში დამკვიდრებაზე ოცნებობდა, რომელშიც ვერასდროს იარსებებდა, მაგრამ მის შექმნაში თავის ლომის წვლილს შეიტანდა. ყოველ შემთხვევაში, ასე ფიქრობდა ჩვენს ბრძენ მოხუცზე ირინეოსი.

* * *

დილის ხუთი საათი იქნებოდა, როდესაც საკუთარ თავში ჩაკეტილი და ძველებურად ბედნიერი (ან ძველებურად უბედური) ირინეოსი საწოლიდან ადგა და პირდაპირ, დაუფიქრებლად გასწია საბაზანოსაკენ. სახეზე გაყინული წყალი უხვად შეისხა და ამ სასიამოვნო სიგრილის მთელ და თბილ

სხეულზე შეგრძნება მოუნდა. გადაწყვიტა, რომ მდინარეზე წასულიყო და მთის მიერ დაწურულ ლანქერში ჩამხტარიყო.

მიუყვებოდა დაღმართს მდინარისკენ და არც დალისთან პირველად შეხვედრის ადგილისკენ და არც სიყრმის მეგობრის, აკვილას ეზოსკენ არ გაუხედავს.

მას აღარც სიყვარულით მოცოცხლება და აღარც წარსულის მოგონებებში ძრწოლა აღარ სჭირდებოდა, უფრო სწორად, წარსულის მოგონებებისკენ გულაჩუყებული მზერა.

მხოლოდ აწმყოს თვალუწვდენელ სივრცეებზე გაწოლილი მელანქოლიით იკვებებოდა ჩვენი გმირი და თითქოს ყოფას აშალაშინებდა და მომავალი ყოფისთვის ამზადებდა.

როდესაც ირინეოსი ბატონი ფაუსტულუსის სულის ამოძახილებზე ფიქრობდა, ყოველთვის საათის მრავალწახნაგოვანი მექანიზმი ახსენდებოდა, რომელიც არასოდეს ჩერდებოდა და მოძველებული არსებობის ძვლების დასამტვრევად, მის მოსაგუდად მახრჩობელა გველივით ზანტად და შეუჩერებლად მოძრაობდა.

ირინეოსი უკვე მდინარის სანაპიროზე იდგა და ფიქრობდა, ჯერ ცივი წყლით დაეზილა ტანი, თუ პირდაპირ ჩამხტარიყო სითხეში, რომლისგანაც ყველაფერი დაიწყო.

სანამ საკუთარ თავთან ამაზე მსჯელობდა, უკვე შიშველი ჩამდგარიყო მუხლებამდე წყალში, ანუ მაინც ნელ-ნელა არჩია წამიერ გარინდებასთან, დროის შეჩერებასთან მიახლოება და გარინდებაში ჩანთქმამდე, კიდევ ერთხელ ჰკითხა თავს, ვინ იყო სინამდვილეში ბატონი ფაუსტულუსი.

გაყინული მთის გაყინული ლორწო მუცელზე იგრძნო, გულისცემა კიდევ უფრო გაუხშირდა და აი, შთაფვლის, წამიერად გაქრობის დიადი წამიც დადგა, ჩვენი გმირი ოდნავ ჩაიმუხლა და უუმანკოეს სითხეში თავით გადაეშვა.

ირინეოსი უკვე წყლის ქვეშ იმყოფებოდა. უეცრად და წამიერად, თითქოს დრო შეჩერდა, ბოლო განცდა და ფიქრი, რომელიც წყლის ქვეშ შეცურებამდე, დროის მონაკვეთში ნახტომიდან შთაფვლამდე ეწვია, ბატონი ფაუსტულუსისადმი სიძულვილი იყო, რადგან ძალა არ ეყო, რომ მასზე (ირინეოსზე) შური ეძია.

„არ გეყო ძალა და ეს უძიებელი შური მთელი სიცოცხლე გკლავდა“ – ფიქრობდა ერთდროულად მომაკვდინებელი და მაცოცხლებელი წყლით დაფარული ირინეოსი.

„ანუ შენ ხარ თვითმკვლელი, რაც დიდი ცოდვაა ქრისტიანობაში“ – გაიელვა ამოყვინთულის ბოლო ფიქრმა.

ჯერ კიდევ არ გათენებულიყო და ირგვლივ მხოლოდ მდინარის ჩამიჩუმი და ირინეოსის სხეულის კანკალის ჩუმი ხმა ისმოდა, რომელიც არავის ესმოდა, გარდა შთაფლულისა. ყოველ შემთხვევაში, ასე ეგონა ჩვენს გმირს.

მიიჩქაროდა ირინეოსი სახლისკენ და მსჯელობდა, რა უნდა გაეკეთებინა გრეგორი ზამზას, რომ ხოჭოდ არ გადაქცეულიყო? ალბათ, უფრო მეტად დამოუკიდებელი ყოფილიყო, მაგრამ ამისთვის კიდევ უფრო მეტად უნდა გარჯილიყო და ოფლი ეღვარა, რაც მის ისედაც მწირ თავისუფლებას მთლიანად შთანთქავდა, ხოლო ოჯახის წევრების ზრუნვაზე ხელი უნდა აეღო.

ის ხოჭოდ მოკვდა, მაგრამ არავის მონა არ ყოფილა.

ამ მოსაზრებაზე ქალაქის თავკაცს არასდროს უფიქრია და ყოველთვის ჯიუტად იჩემებდა, რომ ზამზას ყველაფერი უნდა გაეკეთებინა იმისათვის, რომ ხოჭოდ არ ქცეულიყო.

და რატომ არ აწყობდა ფაუსტულუსს არავის სწრაფვა გაღმერთკაცებისაკენ?

რომ თავად დარჩენილიყო ერთადერთ და მარადიულ ღმერთად? არა, არა, ალბათ უფრო იმიტომ, რომ საყოველთაო და სიმწრით მოპოვებული ჰარმონიულობა არ დარღვეულიყო.

ანუ მას სურდა, რომ ყველა თვითკმარი ყოფილიყო, მაგრამ თავად იყო კი თვითკმარი? – ეს იყო ბოლო ფიქრი, რომელიც სახლში შესულ ირინეოსს ეწვია და დაწოლისთანავე მკვდარივით დაეძინა,

თუმცა დაახლოებით ერთ სააათში სიმხურვალემ გამოაღვიძა, გარეთ გამოვიდა და ეზოში, დანამულ მინდორზე გადაგებულ, წყალგაუმტარ ზეწარზე განაგრძო ძილი.

შუადღისას, როდესაც გამოიღვიძა, რაც მდინარეზე გადახდა (არადა, არც არაფერი გადახდენია, ან რა უნდა გადახდომოდა, ის ხომ მარტო იყო? რომ გადაგხდეს, სხვა მოქმედი პირებიცაა საჭირო), ყველაფერი დაწერა, ერთ ფაილში გადაიტანა და კვლავაც დაიძინა (დაძინებამდე ერთი ნაჭერი პური და სამი ცალი ზეთისხილი მოცუცქნა).

* * *

პაპიროსის მოწევას იმიტომ შევეშვი, რომ მისგან განთავისუფლება მინდოდა. განთავისუფლება არა პაპიროსის მომაკვდინებელი ეფექტის კლანჭებისგან, არამედ სანთებელისა და პაპიროსის ჯიბით ტარებისგან, თუმცა ჰაშიშის მომქანცველი ძალა ყოველთვის მიზიდავდა, – ფიქრობდა ახალგაღვიძებული ირინეოსი.

მიყვარს სიმჩატე. ოდესღაც დიეტაც იმიტომ დავიწყე, რომ ზედმეტ წონას არ დავეტყვევებინე, და არა სამოთხეში მოსახვედრად.

უკვე რვა საათია და ჯერ არ მოგვიწყენია, მაგრამ დაძინებამდე კიდევ რამდენი უნდა ვიბრძოლოთ, რომ არ მოვიწყინოთ.

ვერ მომერია დილის ურჩხული, ვერც შუადღისა და საღამოსი მომერევა.

გავძლოთ რაც შეიძლება დიდხანს მხიარულად – კვლავ გადიოდა თავის გოლგოთას, მაგრამ ამჯერად საკუთარ და არა სხვების განცდებზე.

ზოგჯერ სანერვიულო იმდენად დიდია, რომ ჩვენში თვითგადარჩენის ინსტინქტი ტორნადოსავით მძვინვარებს, იმდენად მძვინვარებს, რომ აღარაფერზე ვიწყებთ ნერვიულობას.

ირინეოსი იხსენებდა ლიფტში შემოსულ გოგონას, რომლის სულიც მობილურ ტელეფონში გადანერგილიყო. ლიფტში ინტერნეტი არ იჭერდა, მაგრამ გოგონა აგრძელებდა ტელეფონის ღილაკების წვალებას, რომ უხერხულობა გადაეფარა, რომელიც პატარა სივრცეში მაშინ იქმნება ხოლმე, როდესაც ორი, ან ორზე მეტი ერთმანეთისთვის უცნობი ადამიანი იმყოფება.

თუ მტერმა შეამჩნია, რომ დიდებისთვის ებრძვი, გაჩუქებს დიდებას და დაგაშოშმინებს.

თუ შეამჩნია, რომ გადარჩენისთვის ებრძვი, გადაგარჩენს და მიგაყუჩებს.

ხოლო თუ შეამჩნია, რომ გძულს და ამიტომ ებრძვი, უძლური იქნება – იგვემებოდა სასეირნოდ მიმავალი ირინეოსი და თავისი სიყრმის მეგობრის სულის ვიბრირებას აანალიზებდა.

რატომღაც აკვილაზე ვეღარაფერს მოიაზრებდა ჩვენი გმირი და იცოდა, რომ აზროვნებამ შვა სიყვარული თუ პირუკუ, ამაზე პასუხი ახალ სამყაროშიც კი ვერ მოიძებნებოდა.

ისინი იმდენად ერთნაირები იყვნენ, ერთმანეთის იმდენად უსიტყვოდ ესმოდათ, რომ ასეთი ყოფა მალევე მობეზრდათ და გაუცხოვდნენ.

ირინეოსს მოგონებები ჯერ მეხსიერებაში დაუსურათდა, შემდეგ მათი წაშლის მცდელობაში ისე აირია ერთმანეთში, როგორც ხალხი ჩინეთის მეტროში და თავადაც ერთ მძიმე მოგონებად იქცა, რომლის მოცულობა საკმაოდ მცირეა, მაგრამ მასა დიდი და რთულად სატარებელი.

ჰიუგოს „საბრალონის“ და ტოლსტოის „ანა კარენინას“ ერთი ნაკლი აქვთ, ის, რომ მათი კითხვისას შეიძლება სულ სხვა ფიქრებმა გაგიტაცოს.

სარტრისა და ფოლკნერის ნაწარმოებები პირუკუ – ამის შესაძლებლობას არ იძლევა.

და მაინც, რა მოუვა კაცობრიობას, კითხვა რომ დაავიწყდეს? – ეს იყო ბოლო ფიქრი, რომელიც ეზოში შესულ ირინეოსს უტევდა.

* * *

თუ ღმერთი არსებობს, ყოვლისშემძლეა.

პრობლემაც სწორედ ეს არის – თუ ის ყოვლისშემძლეა, ბოროტების კეთებაც შეუძლია.

ასეთი ღმერთის არსებობას კი – სჯობს საერთოდ არ არსებობდეს – ღამის თერთმეტი საათი იქნებოდა, როდესაც ირინეოსი ერთდროულად ალკოჰოლურ სასმელს სვამდა, ჰაშიშს ეწეოდა და აბსოლუტის სულის ანატომიას შიფრავდა, შიფრავდა და ყველაფერს წერდა.

გმირობაა, როდესაც საყვარელ ადამიანს საკუთარი სიცოცხლის რისკის ფასად სიკვდილს გადაარჩენ, მაგრამ კიდევ უფრო დიდი გმირობაა იმაზე ფიქრი, თუ რა მოხდებოდა, რომ ვერ გადაგერჩინა და ჭკუიდან არ შეიშლები, გეყოფა გამძლეობა, რომ ამის შემდეგ კვლავაც ლაღად და აღტაცებით გააგრძელო ცხოვრება, სანამ აღტაცებითვე არ დაეცემი და დაცემაშიც აღტაცებული არ ჩაიძინებ? – ლუღლუღებდა ირინეოსი და ახსენდებოდა მეზობლის რვა თვის ბავშვი, რომელსაც მკერდზე მიკრულს ასეირნებდა, უეცრად ამოტეხილ ფილაქანს ფეხი წამოკრა და ბავშვთან ერთად დაეცა.

მაშინ სასწაულებრივად იხსნა მან თოვლის ფიფქივით უმანკო არსება სიკვდილისგან და პირველად გააცნობიერა ადამიანის ზებუნებრივი შესაძლებლობების ბუნებრიობის შესახებ, რომელსაც აცახცახებულმა ლექსიც მიუძღვნა:

„მე სიკვდილს
გადაგარჩინე,
შეუდრეკელი
მკლავითა,
მაგრამ დავეცი
ლამისა,
როდესაც
წარმოვიდგინე,
რა დღეში
ჩავვარდებოდი,
რომ გამსხლტომოდი
ხელიდან,
წარმოვიდგინე და უცებ,
მკვდრეთით აღვდექი
ფერფლიდან!“

და ახსოვს ირინეოსს, როგორ მიადო სახეზე თავისი პატარა თავი ძლივს გადარჩენილმა, უმანკო არსებამ და მიეფერა.

ისევ ფიქრობდა ირინეოსი უცნობი დალის ფიქრებზე და ბოლომდე ვერ ჩამწვდარიყო, როგორ შეიძლებოდა, რომ ადამიანი, სავსე ცრემლნარევი სევდით, მაინც ლაღი და გაწონასწორებული ყოფილიყო (ახსენდებოდა ირინეოსს ჯვარზე გაკრული, გასისხლული ქრისტე, რომელიც კაცობრიობის ამაღლებაზე ფიქრობდა, ჯვარზევე თავადაც ამაღლებული).

ტანკენარ დალის შეეძლო ქალაქში ეცხოვრა, მხოლოდ და მხოლოდ მისი ტანკენარობითა და ნამგლისებრი თვალის ჭრილით მოეხიბლა სამყარო, მას ამისთვის თანდაყოლილი, თვითნაბადი ნიჭი – სილამაზე ჰქონდა. ყოფილიყო მიმნდობი, არ აერჩია ამინატორობა და ზეციდან ჩამოფრქვეული მიწიერების ტყვეობაში ჩავარდნილიყო.

იროელ, იროელ, ვისი გენისა ხარ? – ჩვენი გმირი თავისთვის ბუტბუტებდა და აცნობიერებდა, რომ დალის ათასწლეულებია იცნობდა და რომ მათი სულების ნაწილები ახალი, უცნობი ერის ბინადარნი გახდებოდნენ.

რაც შეეხება სილამაზეს, ის ყველაზე კეთილისმყოფელი და დიადი ნიჭია, რომელიც კოსმოსში არსებობს. უმეტყველო სილამაზე ჯერ მოგნუსხავს, მუხლებს აგიკანკალებს და მიზიდულობის ძალას მოგწყვეტს, შემდეგ თავის ეკლიან მკლავებში ჩაგიკრავს და დაგაცარიელებს, რაც კიდევ ერთი შესაძლებლობაა, რომ ხელახლა შეივსო. შესაძლებელია კი სილამაზის გარეშე ჯვარცმა? არა, არაა შესაძლებელი, თუმცა ირინეოსს უკვე აღარც სილამაზე და აღარც ჯვარცმა სჭირდებოდა.

როდესაც ჩვენი კომპიუტერთან მიმჯდარი გმირი ამ და ამდაგვარ ჩანახატებს აკეთებდა, მის პროცესორში დალი ვირუსივით შემომძვრალიყო და ყველაფერს კითხულობდა, რასაც ირინეოსი წერდა, შემდეგ წაკითხულს ბატონ ფაუსტულუსს უგზავნიდა, ხოლო ბატონი ფაუსტულუსი – მხცოვან იოსებს.

ასეთ მდგომარეობაში შეეგება ჩვენი ყოფიერებასთან მებრძოლი გმირი აწყვეტილი ნაგაზივით ძლევამოსილ მზის სხივებს.

ირინეოსის ბიძაშვილის შვილის ქმარი კი საკუთარ თავს ებრძოლებოდა, რომ შორეულ ნაოსნობაში აღარ წასულიყო. ენივთებოდა რეალურად ამწვანებულ, მაგრამ მისთვის გაუდაბნოებულ სივრცეებს. ამ დროს მისი მეუღლე მარტოდმარტო სეირნობდა ასევე გაუდაბნოებულ ბულვარში.

* * *

ჰიგსის ბოზონი. სიმები. კვარკები. სიცარიელე. პროტონი. ნეიტრონი. ელექტრონი (ვიღაც კოსმოსის შუაგულში ზის და საკუთარ სასახლეში ელექტროობა გაჰყავს).

ატომი. მოლეკულა. უჯრედი (უჯრედს ნეირონები დაზიანებია და გენიოსებს ჰპირდება სამყაროს). სხეული. ანტისხეული. ბოზონი ბოზონს. სიმები სიმებს. კვარკები კვარკებს. სიცარიელე სიცარიელეს. პროტონი პროტონს. ნეიტრონი ნეიტრონს. ელექტრონი ელექტრონს. ატომი ატომს. მოლეკულა მელეკულას. უჯრედი უჯრედს. სხეული სხეულს. ანტისხეული ანტისხეულს მისდევს შესაჭმელად. ელექტრონი ღმერთივით იჯგიმება, ნეიტრონი დაბადებას იწყევლის, პროტონი ნეიტრონს იბირებს. ნეიტრონი ელექტრონს ეგუება. ელექტრომაგნიტიზმი დაცემას გვიქადის. ელექტრონი ატომის სიცარიელეში იმზირება. ფიქრობს დაუბრუნდეს უხილავ მშობელს. ვერ უბრუნდება ძლევამოსილ „არაფერს“. არაფერშივე იწყებს ხელების ფათურს. ელექტრონი არაფერში ვერაფერს პოულობს. პირველი სევდიანი სტროფის შექმნა. სიცარიელე ელექტრონისთვის მავნე ნარკოტიკია. მალე ლექსების წერას დაასრულებს. დაიწყება დიდი და უაზრო შიმშილი. ყველაფერი დედმამიშვილის მსხვერპლშეწირვით დასრულდება.

გრძნობდა არაფერს მზირალი ელექტრონი, რომ ხელახლა დაბადების დრო დამდგარიყო, მაგრამ ჯერ უნდა გარდაცვლილიყო და უკვე მერამდენედ. მის მოგონებებში სევდიანად დასცურავდნენ მილიარდი წლის წინ შექმნილი უთვალავი გემები, ხოლო ქვეცნობიერი გადახურებულ სავანას ჰგავდა. რაღაც ენატრებოდა ელექტრონს, მაგრამ რა – ვერაფრით გაეცნობიერებინა.

და მაშინ ჩვენს წინაპრებს არ სჭირდებოდათ არც ცხენები, არც ფაეტონნი.

და მაშინ, მოძრაობის დაწყებიდან სულ რაღაც ოცდათხუთმეტი წამის განმავლობაში გონება მუშაობდა, მაგრამ აზრებს არ აწარმოებდა. ფიქრები იყო, მაგრამ ფიქრებში აზრი არ იდო. შესაბამისად, არც სურვილი არსებობდა და არც მიზანი, არაფერი არაფერში გარინდულიყო და უარაფროდ მიიწევდა არარსისკენ.

აწითლება. სიმორცხვე. ხელბორკილები. „მგელობანა“. „ომობანა“. „კუკუდამალობანა“. „სახლობანა“. „წრეში ბურთი“. „ცხენობანა“. „აგზნებობანა“. „ცნობისმოყვარეობანა“. „ჟინიანობანა“. „შური-

ანობანა“. „თანაგრძნობობანა“. სიმძიმე. სიმჩატე. ჟრუანტელი. დიდება. აღტაცება. სიცარიელე. სახლი. მშობლები. გაქცევა. ატმისფერი. მზე. სიმწვანე რძეში. ნდობის გადამოწმება. სრულყოფილების შეძულება. არასრულყოფილითაც დაკმაყოფილება. საკუთარი სულის ყურება (მაგრამ გაურკვევლობა, ამ ორ მაყურებელს შორის ვინ ვინაა). მზისგან ალითონებული ხიდი. ატომური ქარხნები და ავტომობილები. ბავშვობის უსაყვარლესი ეზო. ეზოს შუაგულში მაგიდა. ბებია სუფრას აწყობს. სადღეგრძელოები ნაღდი ბედნიერების საძებნელად, ჩხუბი სუფრის თავკაცის არჩევისას. თანაბრად მაძღარი მეზობლების ურთიერთტრფობა. დიდი მწერლების დიდი კომპლექსები. სქელკანიანი, უსაქმურთა სიგიჟის ფოლიანტები. დაბნეული, გაბრაზებული, თვალებგაყინული ბრბო. შურისძიება გენიოსების სულთა დავალებით. სიძულვილის მომგვრელი, გამაბოროტებელი თავისტკივილი. ცივი არყით ყელის გაგრილება. სამსახურში დაღლილი სხეულით ყოფნა. სულის არარსებულში უხალისოდ გადაფრენა. მიტოვებულ და გადამწვარ სასაფლაოზე კუბო. კუბოსთან გარდაცვლილის ერთადერთი შვილი. შვილის ღაწვებზე ჩამოგორებული ცრემლი. ცრემლი გამშრალი, გაცივებული და უნაყოფო. პატარა, ღარიბული, გაურემონტებელი სახლი. დიდი, გამორჩეული, ცნობილი პიროვნება. გადაშვება ხელოვნების უმატერიო ვნებებში. მრისხანება გენიალური, მაგრამ უშედეგო (ხელოვანი იმიტომ არის ხელოვანი, რომ მას ნაკლებად შია, უფრო სწორად და ზოგადად, ნაკლებად „უნდა“, რადგან ის უნიჭოა და ვერ ამჩნევს მატერიის მატერიალურ ბრწყინვალებას). ზუსტად განსაზღვრული, ბედნიერი მომავალი. ოცნება უსურვილო ეპოქის დასაწყისზე. უსურვილო ეპოქა უკვე იყო. კარუსელით დავქრივარ მობეზრებულ „მეში“.

და გამქრალიყო ფიქრები და დარჩენილიყო მარტო სევდისფერი სურათები.

და შემდეგ იყო დაუფლება, ღმერთით უკმაყოფილება, უსამართლობის განცდა,

არსებობიდან გაპარვა, კვლავ დაბრუნება, ბურანი და გენიალური მემუარები.

აფრიკა. ჩალისფერი. მზე. ძრწოლა. ძიება. ციება. გამოქვაბული. სიცივე. მოწყენილობა. შიმშილი. გამოფხიზლება. მასტოდონტები. თანაგრძნობა. გარდაუვალობა. სიფრთხილე. თვითგადარჩენა. ნადირობა. სისხლი. დანაყრება. სიცარიელე. ერთფეროვნება. ახალი საცხოვრისი. სიმამაცის ტრიუმფი. ძალაუფლების სიტკბოება. გაუმაძღრობის შეგრძნება. დამატყვევებელი გადაძღომა. აუცილებელი სიმკაცრე. მარადიული ტრფობა. სახლეულის შეგრძნება. პირველი დასახლება. პირველი ქაოსი. ქაოსის მოწესრიგება. პირველი შენობა. ბუნების გაღმერთება. პირველი ქალაქი. პირველი შემოტევა. პირველი თავდაცვა. პირველი ქალაქის დაცემა. დაფეთებული მოსახლეობის ჟლეტა. გადარჩენილი მოსახლეობის გაქცევა. გაქცეულის უკან დაბრუნება. დაკარგული განძის ძიება. დაბრუნებულის დიდი შურისძიება. ქალაქის დროებით დაბრუნება. მრისხანებით დაღვრილი სისხლი. გაბრაზებული ღმერთის გოდება. გაბრაზებული ღმერთის თვითმკვლელობა. ღმერთი ყველაფერს მართავს. ღმერთი ყველაფერს ვეღარ მართავს. ადამიანის ღმერთად ქცევა. თვალწარმტაცი სასახლეების აშენება. თვალისმომჭრელი ტაძრების აღმართვა. მონარქიის სადარაჯოზე ეშაფოტები. ეკლესიის სადარაჯოზე ინკვიზიციები.

მეფეების წინააღმდეგ აღმართული გილიოტინა. ეკლესიის წინააღმდეგ ამოგენიალურებული „ქება სისულელისა“. მარტინ ლუთერი პავლეანობას აბრუნებს. ინგლისელები ინდიელებს უმოწყალოდ ხოცავენ. კარლს მეხუთე შავკანიანებს ამონებს. თავისუფლების ქანდაკება ოკეანეში მიიზლაზნება. პირველ ცათამბჯენს საძირკველი ეყრება. კაცობრიობას შეუჩერებელი უძილობა ეუფლება. პრუსტი არისტოკრატიას ნიღაბს ხსნის. არისტოკრატია დაუნდობელ კაპიტალიზმს ელტვის. ქაღალდის ქურქში გახვეული მამონა. მამონას უპირობა გამეფების მცდელობა. კოლექტიურ არაცნობიერში ჩაბუდებული ქრისტე. ბრძოლა მამონასა და მიმქრალ ქრისტეს შორის. გაქრობა, გაქრობა, გაქრობა და გაქრობა.

და ირინეოსი თითქოს უფსკრულის პირას იდგა, რომლის მიღმა სითეთრეში მცურავი არაფერი მოჩანდა.

და ბოლოს შეეცადა უსასრულობაში აბსოლუტური გონი დაენახა, მაგრამ რა ასატანია უსახო, თუ უსახური ღმერთის ყურება?

მოულოდნელად, არსაიდან ფარშევანგისფერი კვირიონი გამომოცარტდა, თუ გამოყიპყიპდა, როგორც გენებოთ.

ამ ფიქრებში დაჭიანობდა ჩვენი ირინეოსი და აზრების ნეირონული საცეცები ატუსაღებდნენ.

* * *

გრავიტაცია. ღრუბელი. კუმშვა. დაპატარავება. გამასიურება. აფეთქება. ანასხლეტები. ლავა. დულილი. გაცივება. წყალი. მიკროორგანიზმები. მოლეკულა. აღრევა. შეგრძნება. გარინდება. გადაადგილება (მაგრამ კუნთის ნატამალიც არაა და როგორ?). მაინც მოძრაობა. ძალის მოკრება. ისევ მოძრაობა. კუნთები ვითარდება. წყლის მიმოქცევა. ხმელეთის სახეცვლილება. გამყინვარება. გლობალური დათბობა. მოჩვენებითი აორთქლება.

დედამიწა თავისი ღერძის გარშემო ბრუნავს და სულ არ ადარდებს დრო, რომელიც ადამიანებმა შექმნეს – ასტროლოგიური გულისცემა.

მგრძნობიარე დედამიწა ხორცის ნაჭერია, ხოლო ბუზები ჩვენ ვართ ყველაო.

ბუზებმა საკუთარი დედამიწა, დედამიწამ შვილობილი ბუზები, დედამიწა და ბუზები მზემ შეჭამაო.

თითქოს ეს ყოველივე მცირეწლოვანმა, თავნება და უგუნურმა ბავშვმა შექმნაო.

შუამდინარეთი. უდაბნო. გრიგალი. მარში. გაუმაძღრობა. თავზეხელაღებულობა. მონობა. შეუბრალებლობა. გაფართოვება. იმპერია. ქვიშა. სიცხე. აკლდამა. მუმია. ცრურწმენები. არცოდნა. მსხვერპლშეწირვა. გაცნობიერება. საიდუმლოება. ძალაუფლების წყურვილი. ძალაუფლების მოპოვება. ძალაუფლების გავრცობა. დასახლებიდან ქალაქამდე. ქალაქიდან სახელმწიფომდე. სახელმწიფოდან იმპერიამდე. შურის დაგროვება. შურის ამოხეთქვა. დაღვრილი სისხლი. ხორცშესხმული შიში. შიშით მორჩილება. მონური იერარქია. იერარქიის სათავეში ღმერთი. ღმერთს ქვემოთ მეფე. მეფის ქვემოთ სპასალარნი. სპასალართა ქვემოთ ჯარი. ჯარს ქვემოთ მონები. მონებს ქვემოთ სევდა. შვილთა აცრემლებული თვალები. მონათა სხეულში ჩამქრალი ვნებები. მონათა სულებში გაცრეცილი აღტაცება. ადამიანური გაუმაძღრობით დასევდიანებული გენეტიკა. იმპერიები ერთმანეთს გემებივით ეჯახებიან. ნამსხვრევებისგან პატარა სახელმწიფოები იქმნება. პატარა სახელმწიფოების ნაწილი ქრება. ნაწილი ძლევამოსილ იმპერიად ყალიბდება. დაუდგრომელ ზევსს ქრისტე გმირავს. არდანდობა და ღალატი ნათესავთა შორის. სულიერებისადმი მიცემული ფიცის გატეხვა. ორი ტამპლიერი – ერთ ცხენზე ამხედრებული. გახელებული ტამპლიერები ერთურთს დაუნდობლად ჭამენ. პირსისხლიანი ტამპლიერი მოქანცულ ცხენს ჭამს. გადარჩენილ ტამპლიერს მძიმე სიცარიელე ეუფლება.

თომა აქვინელი სულისა და სხეულის შეწებებას ცდილობს.

დანტე ალიგიერი მოძველებულ ქრისტეს მოწიწებით ებრძვის.

(დავით მეფეს ისე უყვარდება საქართველო, რომ მტერს მასზე იდევნებს, რათა სტრატეგიულ გეგმებში საქართველოსგან ყურადღება გადაიტანოს.

რომ ქვეყანა მოასვენოს, ამოასუნთქოს).

შოთა რუსთაველი უსასრულო გვირაბში უკან ბრუნდება (თუ გვირაბი უსასრულოა, უკან როგორღა ბრუნდება)?

ჯვაროსნები ქრისტეს უკომპრომისო ბრძოლას უწყებენ.

გაისმის სხეულგასანთლული ქრისტიანების სულის წივილი.

ბრუნოს დედამიწის სიდიადით გათამამებული კაცობრიობის

ცრუ წარმოდგენების მსხვრევისთვის კოცონზე წვავენ.

ისტორია ღმერთის გადაღებული საშინელებათა ფილმია.

ჩვენს ირინეოსში ახლა აქვინელიც, ალიგიერიც, რუსთაველიც, ჯვაროსნებიც, ინკვიზიციის კოცონით ნაწამებნიც, ბრუნოც და მთელი ოქროსთევზისფერ ფილონში გახვეული ისტორიაც ეცემოდნენ, ილეოდნენ, იხრებოდნენ, მერყეობდნენ, იცრემლებოდნენ, ნანობდნენ, გრძელდებოდნენ.

ტირანთა პერფექციონისტურ მისწრაფებებს ეწირება ისტორიული სინამდვილის ჭეშმარიტება.

ევროპის კონტინენტს შეუჩერებელი ოლივერ კრომველი ართობს, მაგრამ მასხარის გვამს მასხარისვე თანამემამულენი დასჯიან, თუმცა მეორე დიდი მასხარა, მაქსიმილიან რობესპიერი ამ თეატრალური წარმოდგენისგან ვერაფერს ისწავლის და ამჯერად მასხარისვე თანამებრძოლნი, თუ ყოფილი თანამებრძოლნი განაშორებენ მის დამძიმებულ თავს არცთუ ისე სიმეტრიული სხეულისგან.

დაუნდობელი ნაპოლეონი ჩასაფრებული ელის დიქტატურის დამყარებას.

ტექნიკური პროგრესი მონობის ინსტიტუტის ფუნქციონირებას ამყარებს.

პეტრე პირველი ლითონის ხელს იდებს შუბლთან.

კავკასიელს მზერა კავკასიისკენ მიუმართავს და თრთის.

ოსმანთა იმპერიას არსებობა მობეზრდა და კვდება.

თბილისის სასულიერო სემინარიაში ბიჭი აბარებს.

ბიჭი ალუმინის ფირფიტასავით ნაზი და ფაქიზია.

მომავალში ეს ბიჭი რკინის კაცად იქცევა.

რკინის კაცი რკინასავით რუსეთს ქმნის.

რკინის კაცი რუსეთს გამიზნულად ამზადებს მსხვერპლშეწირვისთვის.

კვლავაც უტევენ ვანდალთა შთამომავალნი კაცობრიობას.

ფიქრობდა ჩვენი ირინეოსი და თითქოს თავადაც ფიქრად იქცა, მაგრამ ვის ფიქრად? ყველაფერს ხომ პირველწყარო აქვს. ისე ილეოდა, რომ ამ კითხვაზე პასუხს ვერ სცემდა და ფიქრად ქცეულიც დარდობდა.

* * *

ირინეოსს ბუნდოვნად ახსოვდა, როდესაც მეზობლის მოუვლელი ქალი დედას სტუმრობდა და დედაც ზოგჯერ მხიარულად იღებდა სტუმარს, ზოგჯერაც უხასიათოდ, მაგრამ უხასიათობას არ იმჩნევდა, რადგან იცოდა, რომ მეზობლის ქალისთვის ირინეოსის სახლი ერთადერთი თბილი კერა იყო, ან კერა, სადაც მას თავისი არაფრისმთქმელი სიცოცხლის შესახებ შეეძლო მოეყოლა.

დედას ზოგჯერ უხასიათობა მაინც ემჩნეოდა, მაგრამ მეზობლის ქალი ყოველთვის ერთი და იგივე ხასიათზე იყო, არც გაბრაზებული, არც გახარებული, არც დაცემული, არც აღზევებული, არც ახლის გაცნობიერების მოლოდინში, არც უკვე გააზრებულის გამოყენების პროცესში, არც შვილების ბედნიერებით გაბედნიერებული, არც შვილების უბედურებით შეწუხებული, არც გაავებული, არც გულკეთილი, ან მოფუსფუსე, არც მიმკვდარი.

ირინეოსს მეზობლის ქალი ყოველთვის აგონებდა სუბსტანციას, არსებულს სიცივესა და სიცხეს შორის, ზეცასა და მიწას შორის, გაბრაზებასა და დამშვიდებას შორის, სიკეთესა და ბოროტებას შორის, მაგრამ არანაირად – სიკეთისა და ბოროტების მიღმა.

ირინეოსი ხედავდა დედის ფარულ სიხარულს, როდესაც მეზობლის ქალი სტუმრობას დაასრულებდა და შინისაკენ გასწევდა ხოლმე, მაგრამ დედის ეს წამიერი ბედნიერებაც ისეთივე ღონემიხდილი და გამოფიტული იყო, როგორიც უხასიათობა.

– დედა, შეიძლება სათამაშოდ წავიდე? – იკითხავდა მოუთმენლობით შეპყრობილი ირინეოსი.

– გაკვეთილები მომზადებული გაქვს? – კითხვითვე უპასუხებდა სტრატეგიულად მოაზროვნე დედა.

– თამაშს მოვრჩები, ამოვალ და მერე მოვამზადებ, – მიუგებდა ირინეოსი.

– არა, შვილო, არა, თუ გინდა თამაში შეირგო და სირბილისას საკუთარი წონის გარდა გაკვეთილების მოუმზადებლობის ტვირთიც არ გქონდეს სათრევი, ჯერ გაკვეთილები მოამზადე და შემდეგ წადი სათამაშოდ. – ბრძნული გამომეტყველებით ეტყოდა დედა.

ირინეოსს მთელი ცხოვრების განმავლობაში სჯეროდა, რომ დედის რჩევა-დარიგება მართებული იყო, მაგრამ ახლა ინტუიციურად გრძნობდა, რომ ცდებოდა.

ჩვენ ამ ყველაფერს ვწერთ, მაგრამ ჩვენს გმირს ასეთი ცხოვრებისეული და ღრმა აზრები წამის მეასედში გაუელვებდა გონებაში და ეს უწყვეტ რეჟიმში ხდებოდა.

რამდენი ასეთი აზრი დაჰქროდა ირინეოსის არსებობისგან დასივებულ ტვინში.

* * *

ახსენდებოდა ჩვენს უმთავრეს გმირს, როდესაც „კუკუმალობას“ თამაშობდა და მეგობრებს ეხვეწებოდა, მძებნელს არ მიანიშნოთ, სად ვიმალებიო. რომელიმე მეგობარი მიუგებდა ხოლმე, კი მაგრამ, რომ არ გაგთქვა, სანაცვლოდ რას მივიღებო. ირინეოსი ეტყოდა, „მგელობანას“ თამაშისას, როდესაც მგელი ვიქნები, კი იცი, შენზე სწრაფად დავრბივარ და ნებისმიერ დროს შემიძლია დაგიჭირო, მაგრამ თუ ახლა არ გამთქვამ, შევეცდები, არ დაგიჭიროო.

ისიც ახსენდებოდა ჩვენს გმირს, თუ როგორ ჩაგრავდა მას უბნის ერთი ყოჩი, რომელსაც ადრეულ ასაკშივე გაეაზრებინა, რომ „შიში შეიქმს სიყვარულსა“ და ახსენდებოდა, როგორ კლავდა შურისძიების წყურვილი, მაგრამ საკუთარი სიუხეშით გათამამებულ ყოჩს სამაგიეროს მიგებას ვერ უბედავდა.

ზოგჯერ ესიზმრებოდა კიდეც, რომ თითქოს თავგასულ მეგობარს კუთვნილი ადგილი მიუჩინა, ანუ ერთი კარგად მიბეგვა და მიწაზე დაგდებული დატოვა, მაგრამ როდესაც ოფლში ამოვლებული გაიღვიძებდა (მელანში ამოვლებული კალამივით), ხვდებოდა, რომ ეს მხოლოდ სიზმარი იყო.

ომგადახდილი და ომში გამარჯვებული იმპერატორივით თრთოდა ირინეოსი და ოცნებობდა, რომ სიზმარი ოდესმე რეალობად ქცეულიყო და იქცა კიდეც, თუმცა მჩაგვრელისთვის ხელის შებრუნება ვერასდროს გაბედა, უბრალოდ, თავისი ცხოვრებით დაუმტკიცა ყველას, რომ უფრო მეტი ესმოდა, უფრო მეტს ხედავდა და უფრო მეტს უყვარდა, ვიდრე ბავშვობისდროინდელი ყოჩი.

ისიც კარგად ახსოვდა, რომ პატარა ტირანის საქციელი არავის მოსწონდა, მაგრამ ყველა მხარში ედგა, ჩვენმა გმირმა ცოტა მოგვიანებით გაიაზრა, რომ ძალა აღმართს ხნავს, მაგრამ დროის არა ხანგრძლივ პერსპექტივაში, არამედ მოკლეში.

თუმცა ისიც უნდა ითქვას, რომ ყოჩი მაინც გამორჩეული და განსაკუთრებული მოზარდი იყო, რადგან იმ ეპოქაში ადამიანებს სულ არ შესწევდათ ძალა, გაბატონებულიყვნენ და არც თანაადამიანებზე უხეში ძალის გამოყენებით მონუსხვის სურვილი კლავდათ.

* * *

იხსენებდა მიმქრალი ხიზანი, როდესაც სიყრმის მეგობრებთან ერთად მდინარეზე წავიდნენ და ფეხი იტკინა. მოლიპულ ქვაზე ფეხი დაუცდა და ლამის მუხლი ჩაიმსხვრია. ირინეოსის სისხლმა გააწითლა ივლისის ანტარქტიდასავით გაყინული მდინარე და მაშინ პირველად განიცადა ტკივილი, რომელმაც ყველა და ყველაფერი გადაავიწყა (მაშინ პირველად გაიაზრა, რომ თუ ოდესმე ცხოვრე-

ბაში დიდ სულიერ ტკივილს განიცდიდა, ფიზიკური ტკივილი საუკეთესო გზა იყო სულიერი ტკივილის გადასაფარად. ჰოდა, ერთხელაც, ერთმა გოგონამ სიყვარულზე სიყვარულითვე არ უპასუხა და თებერვლის თვეში, როდესაც თოვდა კიდეც, ჩვენი გმირი ზღვისპირას წავიდა და მეზობელს, რომელიც რემონტს აკეთებდა, იმდენი ხრეში და კენჭი მიუზიდა, რომ პალმირას ეყოფოდა სარეაბილიტაციოდ. მთელი დღის განმავლობაში, როდესაც სანაპიროდან მეზობლის სახლამდე ამ უცნაურ ტვირთს ტომრებით ეზიდებოდა, თითქმის არც ერთხელ არ გახსენებია გულგანმგმირავი გოგონა და მისი დამანარცხებელი „არა“).

ჰოდა, ახსოვდა, უბნის ყოჩი როგორ გავარდა ქალაქში, ჭრილობის მოსასუფთავებელი ხსნარი და სამედიცინო სახვევი ამოარბენინა, რათა ირინეოსს ჭრილობაში ინფექცია არ შეჭროდა. უბნის მბრძანებელმა თავადვე მოუსუფთავა ჭრილობა მუხლჩალეწილს, შემდეგ ლამის მხარზე მოიკიდა და ქალაქშიც ასე ჩაიყვანა.

ამ ყველაფერმა არა მარტო ირინეოსი, არამედ დანარჩენებიც გააოცა. არავინ ელოდა გაამპარტავნებული მბრძანებლისგან ასეთ ქრისტესმიერ საქციელს.

მოგვიანებით, როდესაც ბიჭები წამოიზარდნენ, ირინეოსმა თავად კითხა ყოჩს, იმ დღეს რა მზრუნველობისა და კაცთმოყვარეობის ბუშტი გაგისკდაო.

ნაადრევად დაბრძენებულმა (და ეს არ არის მთლად კარგი) მოკლედ მოუჭრა – რამე რომ მოგსვლოდა, ატყდებოდა ერთი ვაი-ვაგლახი, დედაშენი გადაირეოდა და ეს ვაი-ვიში ავირიდე თავიდანო.

* * *

შუაღამის ოთხი საათი იქნებოდა, როდესაც ბატონი ფაუსტულუსის გაყინულ სახლში (თითქოს სახლშიც დეკემბერი იდგა) ტელეფონმა დარეკა. ფაუსტულუსი „მარტოობის ას წელიწადს“ უკვე მერამდენედ კითხულობდა და მარკესის აზრები, ქცეული ასოებად, მის თავში ბზუილით დაჰქროდნენ (ახსენდებოდა, ოდესღაც როგორ დაწვა წიგნი, რომელიც წაკითხულიც არ ჰქონდა. ფაუსტულუსიც ბრბო იყო ერთ დროს).

– ყველაფერი მზადაა. ხელმძღვანელმა ბრძანება გასცა, რომ დღესვე დატოვოთ პლანეტა დედამიწა. – გაისმა ტელეფონის ყურმილში უცნობის ხმა, რომელიც კაცობრიობისთვის ასევე უცნობ ენაზე ლაპარაკობდა.

და ძილ-ბურანში იყო ჩვენი ირინეოსი. მისი ფიქრები მასავით გამოცარიელებულიყვნენ, დამშრალიყვნენ, გაცივებულიყვნენ.

– კარგი, ნახევარ საათში მაქ ვარ, – მიუგო ფაუსტულუსმა და დასძინა, – სილვიუსი (ბაბუა იოსები) და დეიდამია (დალი) უკვე მაქ არიან?

– დიახ, აქ არიან. – უპასუხა უცნობმა და ტელეფონი გათიშა.

ნახევარ საათში ბატონი ფობოსი (ფაუსტულუსი) ქალაქის გარეუბანში მდებარე ცათამბჯენის საგანგებოდ მოწყობილ ასაფრენ ბილიკზე იმყოფებოდა და უსასრულობაში გასაფრენად ემზადებოდა.

თითქოს უკვე გათოვებულიყო, მაგრამ ვერავის შეემჩნია, რომ ფიფქები ჰაერშივე ლანქერად ქცეულიყო.

ცათამბჯენი გაშლილ ველზე მდებარეობდა, რომელიც შირაქის ველს მოგაგონებდათ, ღამითაც გადამწვანებულს. ირგვლივ არავინ სახლობდა და მრავალსართულიანი შენობა, დასჯილი მარტოობით, შეგებრალებოდათ კიდეც. თითქოს ამ შენობის არსებობის შესახებ, აქ მყოფი ადამიანების გარდა, არავინ იცოდა.

სანამ შუადღე არ დადგებოდა, ეკიპაჟი ვერსად მოიცვლიდა ფრთებს. რატომ? მე ვიცი, ჩემო გამორჩეულო მკითხველო, მაგრამ შენც უნდა ჩასწვდე. ამიტომ ამ ამოცანას სულში ხელების საფათურებლად გიტოვებ.

– ბატონო ფობუს, – სიჩუმე დაარღვია დეიდამიამ, – იქნებ ირინეოსიც წამოგვეყვანა. ისიც ხომ უსაზღვროების ერთი უსაზღვრო მარცვალია.

– მოგვყავს ირინეოსიც. – უმშვიდესად მიუგო ფობუსმა, თითქოს ასეთ კითხვას მსგავსსავე სიტუაციაში მემილიონეჯერ უსვამდნენ.

– კი, მაგრამ რატომ იგვიანებს?

– არ იგვიანებს, მისი სული სილვიუსს ჰყავს დატყვევებული. – აუღელვებლად უპასუხა ბატონმა ფობუსმა.

– ო, ეს გავლენები, დეკარტის ულევი სული. – მსახიობური აღტაცებით წამოიძახა დეიდამიამ.

– ჩვენ ირინეოსს ვერასდროს შეველევით. – ლამის ჩაილაპარაკა ფობუსმა და ამონათებასა და ამომრავალფეროვნებაში მოფარფატე სივრცეს გახედა.

დეიდამია უცნაურ და უცხო საფრენ აპარატს მიაშტერდა, რომელიც კოშკიდან გადმოშვებულ „წყალში ხტომის“ ოსტატის ჰაერში გაწვართულ სხეულს წააგავდა.

იქვე იდგა მხცოვანი სილვიუსიც, რომელიც იქით-აქეთ ნერვიულად დადიოდა და ეტყობოდა, რომ გადაქრობა ყველაზე მეტად ეჩქარებოდა.

ამასობაში, ქალაქი მზეს მამაკაცისგან პირველადხელშევლებული ქალწულივით აედუღებინა და მის ხელოვნურად ჩარევით დამახინჯებულ სხეულს ისე ეწაფებოდა, როგორც დაჭრილი ირმების გუნდი – წყარო ანკარას.

ჩვენი ირინეოსიც მზესავით ახურებულიყო და სიზმრის გაურკვეველ ეპიზოდში უნოტიესი სულის დაუღალავი მწვერვალისკენ მიიწევდა, რომელიც კილიმანჯაროს ტყეებივით ჩურჩულებდა...

და ამ ტყეებში უნდოდა ეხეტიალა ჩვენს დაუღალავ, გაქრობასთან მებრძოლ გმირს.

ქალაქს დილის აქარავნება დაესრულებინა და შუადღისეული მოურიგებლობის მიმალულ და ნელ ბრძოლაში გაჩირაღდნებულიყო, გაფუჭებული საათივით გაშეშებულიყო.

სადღაც მოუზომველ მიწაზე, სადაც ჩვენს ერაში ცოცხალ ორგანიზმს ფეხი არ დაუდგამს, ხუთ წლამდე ბავშვი პატარა, ქვის სახლის დაჟანგულ, ცხელ სახურავზე იჯდა და პირველსაწყისი ვნებების დაოკებაზე ოცნებობდა, არადა, მაშინ განცდილის გაცნობიერებაზე რომ ეფიქრა, ასაკში არ ექნებოდა ასეთი მწირი და არაპოეტური მოგონებები. მაგრამ ვინ ხედავდა ამ ბავშვს, თუ ჩვენს ერაში ამ მიწაზე ფეხი არავის დაუდგამს? ვინ და, მხოლოდ ჩვენი ირინეოსი, ან ირინეოსში გაბნეული მსოფლიო სული.

გაქარწყლების პირას მყოფს სწადდა, რომ დიდ გაქარწყლებას ცაში შეხვედროდა, ქარიშხლის მიერ გატაცებული, ისე გატაცებული, როგორც განიმედე არწივად ქცეული ზევსის მიერ, ზეცას კი – უცნობი მიწის უმაღლესი მწვერვალიდან შეუტევდა.

ბრძოლას ყოველთვის მოსდევს ჩასახება.

უცნაური საფრენი აპარატიდან ასევე უცნობი პილოტი გამოვიდა და ჩვენს არცთუ ისე მთავარ გმირებს შეახსენა, რომ შუადღე დამდგარიყო და ასევე უცნობის ბრძანების თანახმად, უშორეულესი მგზავრობის დაწყების ჟამი მოწეულიყო.

ათ წუთში წარსულში ბატონი ფაუსტულუსი, ბაბუა იოსები და დალი საფრენი აპარატის ერთერთ კაბინაში ცისარტყელისფერი ილუმინატორიდან გადმოსცქეროდნენ ბრძოლაში გაწაფულ დედამიწას, რომელიც ირინეოსს ხელში ბადროსავით ეჭირა და სადაცაა, კვლავდაბრუნებისკენ მოის-

როდა, მაგრამ დედამიწაზე თავადაც ხომ იმყოფებოდა და საკუთარი თავის მოსროლა არაა ადვილი საქმე.

ბატონ ფაუსტულუსს ახალდაბადებულის გულივით უცემდა ვერდაცემული გული და სულში ადამიანური სევდა ეღვრებოდა. მან ხომ შვილი სასიკვდილოდ გაიმეტა, სულით და სხეულით განგმირა, სულით იმიტომ, რომ მსოფლიო მელანქოლიაში დატოვა, ხოლო სხეულით იმიტომ, რომ მალე ირინეოსი გაიფანტებოდა.

დალი გადმოჰყურებდა პატარა ბავშვის მიერ გაბერილი „საპნის ბუშტივით“ დრეკად კოსმოსს და ზუსტად იგივეს გრძნობდა, რასაც მაშინ, პირველად რომ შეხვდა ირინეოსს, ისე შეჰყურებდა სივრცეებს, როგორც იმ დღეს, იმ საერთო მეზობლის მძინარე ეზოს.

სახედამშვიდებული ბაბუა იოსები და ვინჩის შივას ინსპირაციით დახატული ნახატის გმირს ჰგავდა, მდგომი ვეებერთელა ილუმინატორის ცენტრში. ცალი ხელი ჯიბეში ჩაედო, ხოლო მეორე, მკერდის გვერდით მიბჯენილ ხელში თეთრი წიგნი ეჭირა, რომელსაც წითელი, წვრილი ასოებით ეწერა – „ირინეოსი“.

ბატონ ფაუსტულუსს უთხრეს, რომ ღილაკზე დაჭერის ჟამი დამდგარიყო და მოქმედების დრო იყო.

ფაუსტულუსი უყურებდა მზის სისტემის ერთ-ერთ უპატარავეს, მაგრამ ყველაზე არაკოსმოსურ, დიად და უნიკალურ პლანეტას, პლანეტას ადამიანებისა.

უყურებდა და თითქოს სააეშაგოს ეძებდა, რომ სააეშაგოში ირინეოსის პატარა ეზო მოეძებნა, ხოლო ეზოში თავად ირინეოსი.

ბოლოს, სუნთქვა ხიფათის მოლოდინში მყოფი შველივით შეაჩერა და ღილაკს მიაჭირა.

ჯერ საკუთარ სხეულში უცნობი ჟრუანტელი იგრძნო, შემდეგ მის წინ ყველაფერი მზისფრად განათდა და ბოლოს ირინეოსის მსგავს სოფელში ატომებად დაიშალა.

ჩვენი გმირი, გატაცებული ქარიშხლის მიერ, ზეცაში შეეგება „დიდ გაქრობას“, ტატოს არ იყოს, ქარიშხალმა დაასაფლავა.

გადაფოტონებამდე დაზაფრული ირინეოსი დეკემბერშეპარულ სიზმარში იმდენად დიდ სიმშვიდეს განიცდიდა, რომ ნათელი იყო მტრის მოახლოება. მტერი ხომ მოულოდნელობის ეფექტს ყოველთვის ეფექტურად იყენებს.

გადადროებულის გადასივრცებული ბიძაშვილის შვილის ქმარი სარკმელს მისჯდომოდა და შუადღისეულ ფიქრებს ისე მოენუსხა, დიდი დაცემისა და დიდი გაქრობის ეპოქის მოახლოება ვერც კი შეენიშნა, ხოლო მარტოსულობის ნაოსნობის ტყვის ცოლი გახუნებულ ბულვარში სეირნობდა.

იდგა ჟამი დიდი გაცივებისა.

მეთორმეტეჯერ მოექნია კალამი ღმერთს, მეთორმეტეჯერ მოსვლია დიდი მუზა ღმერთების ღმერთს, იდგა ბოლო თორმეტი დეკემბერი დედამიწაზე, მაგრამ მაინც გაქრობის მხურვალება იგრძნობოდა.

მე შენ აგიყვან ოლიმპოს მთაზე, გალაკტიონ, და ღმერთებს თავად განგმირავ.

ირინეოსის ბიძაშვილის შვილის ქმარი,

ირინეოსის ბიძაშვილის შვილის ქმრის ცოლი,

ირინეოსი და ყველაფერი, რაზეც ჩვენ ვილაპარაკეთ, აღარ არსებობდა.

– ბატონო იოსებ, „ირინეოსი“ ჩემს სეიფში ჩაკეტე და სანამ ვარსებობთ, არავის მისცე. – გაისმა ბატონი ფაუსტულუსის მომავალში ნამყოფი ხმა.

– რა თქმა უნდა, ბატონო ფაუსტულუსს. – გაისმა იოსებ ბაბუას ჭექა-ქუხილური შეძახილი.

და ახალი ერთდროულად ახალიცაა და ძველიც.

გენრიეტა ქუთათელაძე

ცნობილ პოეტს გენრიეტა ქუთათელაძეს საქართველოს მწერალთა შემოქმედებითი კავშირის აჭარის ორგანიზაცია, აჭარის მწერალთა სახლი და ჟურნალ „ჭოროხის“ რედაქცია ულოცავს საიუბილეო თარიღს. უსურვებს მას შემდგომ შემოქმედებით წარმატებებს.

* * *

ადამიანი სათამაშოა,
რაღაცნაირი სათამაშო,
ღმერთის ხელში – ფიქრობდა ასე პლატონი...
და რა გამოდის? რომ ჩვენ სულ ვთამაშობთ?!
ვთამაშობთ მაშინაც, როცა ვომობთ და ვიბრძვით,
როცა ვაშენებთ სახლს და ეზოს ვრთავთ,
როცა მეწყვილეს ვირჩევთ,
ბავშვებს ვაჩენთ და ვზრდით,
როცა წიგნებს ვწერთ,
ვხატავთ და ვმღერით,
როცა სამართალს ვარჩევთ,
როცა კანონებს ვწერთ
და სახელმწიფოს ვქმნით,
და მაინც, სამართლის ნაცვლად
უსამართლობას ვამკვიდრებთ...
სიკვდილს შიშით ვუყურებთ თვალებში
და უკვდავებაზე ვოცნებობთ?!
ჰო, მთელი სიცოცხლე ვთამაშობთ
და ამიტომაც გაგიჟებით გვიყვარს ბავშვები –
ყველაზე საუკეთესო მოთამაშენი,
უწინ კენჭებითა და ცხენჯოხებით,
ახლა გაჯეტებითა და მობილურებით.
მარადისობაც ხომ ჩამოჰგავს დიდ მოთამაშეს,
კენჭებს რომ ისვრის ჩვენი ცხოვრების ზღვაში...
და ეს მარადისობა,
ჰარმონიას და წესრიგს რომ ამყარებს, იქნებ
ღმერთის დიდი თამაშია წარმატებული,
და დედამიწა –

ეს მრგვალი, მისტიკური ბურთი,
მან ჩააწოდა უცნობ მეკარეს ცარგვალის კარზე.
ჰოდა, ნუთუ მართალია ეს ჩვენი პლატონი –
ანტიკური დროის დიდი ბრძენი,
ხანდახან თავს რომ გვახსენებს?
ხმა მესმა:
– რაღა დროს მასეთი ფიქრია,
ახლა ხელოვნური ინტელექტია დროების გამრიგე,
ახალი, სულ ახალი თამაში დაიწყო,
ჩართე შენი ჩეთბოტი,
ჩემო ბატონო!

ო, ენავ ჩემო...

ეს ახლა მოხდა,
ამ გაზაფხულზე,
აპრილის თვეში,
როცა აყვავდა იასამანი,
სხივდაფენილი და იდუმალი,
როგორც უფალი...
უჩინარ ფუნჯით მოიხატა ეზო და კარი,
ხე და მცენარე...
წითელი, თეთრი, ცისფერი, ლურჯი...
და მინდორში,
უთვალავი ფერის ათინათში
ყვავილები ამოენთნენ ვით ვარსკვლავები...
ბედნიერია, ვინც იხილავს ამ სილამაზეს,
მოვიდეს ვინმე – გულით ვინატრე.
...და აი, ჭიშკარს მოადგა მათხოვარი,
თავდახრილი და ხელგამოწვდილი...
მე ის სუფრასთან მოვიპატიჟე,
მივართვი უხვად საჭმელ-სასმელი
და იმედიანი სიტყვებიც არ დავიშურე,
მერე საგზალიც გავუმზადე,
ავუვსე კალათა პურით და ყველით, ხილით და ღვინით...
მადლიერებით დახედა ძღვენს,
ეზოს მოავლო თვალები და ასე მითხრა:
– დალოცვილია თქვენი ქვეყანა,
თქვენი ენა – ენა უზადო,
ღმერთის ძალა აქვს,
ღმერთის გონი

და ღმერთის სული,
უპუროდაც დააპურებს კაცს;
არ გაქრება თქვენი მოდგმა და ჯიში,
ენა ქართული პურია სულის,
დედაა თქვენი ერისა,
ღვთიურია,
დაუძლეველი,
დროში უკვდავი...
გაუფრთხილდით და უერთგულეთ!
ჩიტებივით იჭიკჭიკეთ აწ და მარადის!
რა ხმა ჰქონდა,
ჩამესმოდა როგორც გალობა...
ღმერთია? – გამიელვა გულში ანაზდად,
თვალი ვეღარ გავუსწორე, ცად რომ ამაღლდა...
კი ასე იყო, ასე ნამდვილად –
ლაპარაკობდა ღმერთი ქართულად.

ზამთრის ესკიზებიდან

დროა ისეთი, შეგძრავს შიში და სიძულვილი,
ყოფნა-არყოფნა? – ასჯერ დასმულ ამ შეკითხვას რას უპასუხებ,
კარგა ხანია საკუთარ თავსაც ეჭვით უყურებ,
ასე ცხოვრება? არ შეიძლება, არა და არა,
საკუთარ თავს რომ ეკამათები,
ეს კი, ბატონო, კარგია მაგრამ...
ხმის ამოღება ისწავლე, კაცო,
რომ მობუზულხარ ტელევიზორთან
და გულზე სკდები,
საიდან მოვიდნენო ეს ვაიპოლიტიკოსები,
ან კიდევ სხვები, ჩინიანები თუ უჩინონი,
ცხვრის ტყავით შემოსილი ტურები;
ნეტა სად ისწავლესო,
ან მხოლოდ ის ისწავლეს, რაც ასწავლესო
და თავისით ვერაფერი გაუგნიათო
ამ ტურბულენტურ ზონაში მოხვედრილთ...
ხმის ამოღება ისწავლე, კაცო,
ხომ ხედავ, გარეთ ელავს და ჭექავს,
იქნებ დროა, ამ ხმებმა მაინც გამოგაფხიზლოს და გაითავისო,
რომ სამყაროში ხარ ერთი წვეთი,
წვეთი, რომელიც თუ შეურთდება სხვა წვეთებს, ოკეანედ გადაიქცევა.

* * *

დროის ციფრებში მოქცევა?
ვერ ეგუება სული ამას, ვერა და ვერა;
ჩასახლებულა ჩემში უსაზღვროება დროის
და ახლა ვით შარავანდედში,
ისე ვარ დუმილში გახვეული;
ზამთრის სუსხსა და ქარის თარეშში
ჟამთაცვლის სავსე თასი დავცალე
და სიბრძნეც გაცხადდა – დუმილის სიბრძნე...
ჩემი დუმილი რომ გაშფოთებს,
სულაც არ მიკვირს,
ეს ხომ ჩემი პასუხია
მაგ გაცვეთილ, უშინაარსო ტექსტებზე,
მაგ ღვარჭნილ სტილზე...
და როცა სხვები ტაშს გიკრავენ,
თავდახრილი ვარ.
დიახ, მრცხვენია იმ სხვების ნაცვლად,
პირფერობა რომ ხელობად გაუხდიათ
და არც წითლდებიან...
ღმერთმა შეუნდოთ.

ნამცრევები

* * *

იმდენ ხანს წვიმდა, ისე სვამდნენ წვიმას ფოთლები, შეზარხოშდნენ და ძირს ჩამოცვივდნენ.

* * *

ჰო, ბალახი ვარ, ფეხს დამადგამენ, გადამივლიან... და მაინც, მიწაში ყოფნას მირჩევნია მინდორში ყოფნა, მზის გულზე.

* * *

დაწერეთ თქვენი ბიოგრაფია – მთხოვეს ამას წინ. რა ვთქვა, მითხარით... გზას რომ მიხერგავდნენ, გულს მტკენდნენ და დამცინოდნენ, ეს დასაწერია თუ საჩივლელი?!

* * *

მოერიდეო სიტყვა მინდას, უმჯობესია თუ გააქრობო ლექსიკონიდან...
თქვენ ეს შეძელით? მეეჭვება, რაღაც ვერ გატყობთ.
სხვისი დამოძღვრა რა იოლია.

* * *

აზროვნებ, მაშასადამე არსებობ – ძველთაგან თქმულა. კი არსებობ, მაგრამ ხარ ბევრისთვის მიუღებელი, რადგან ძნელია შენი მართვა და მტრად გსახავენ. მაინც ასე სჯობს.

* * *

ჩემი პორტრეტი?
ეჰ, აღარ მომწონს...
ისე ბევრს მოსწონს, როგორც სასტიკი ცხოვრების შედეგრი.

* * *

დღე დღევანდელი რომ გამითენდა, კი, ბატონო წყალობა არის ზენაარისა, ცოცხალი ვარ და ზეცას გავყურებ და ეს არის ალბათ უფრო მთავარი.

* * *

ჩემი ჩეთბოტი სამომავლოდ თუ გამაქრობს ამ არენიდან, ეს პროგრესი იქნება თუ რეგრესი?

* * *

ზოგი ფიქრობს, რომ კითხვის დასმა ადვილია, პასუხიაო ძნელი.
მე კი მგონია, კითხვის დასმა ძნელია, მაგრამ აუცილებელი.

* * *

წამალი?
აღარ მოქმედებს ეს წამლები, ძალა დაკარგეს...
ყველაზე უებარი წამალი?
მშვენივრად იცით – სიყვარულია,
დღეს ყველაზე დეფიციტური წამალი დედამიწაზე.

ციკლიდან: რეკვიემი დევნილთათვის - 2023

* * *

მე დამესიზმრა – ვიყავ გვირილა,
ქარი მწეწდა და ფოთლებს მაცლიდა,
ჩამოიარა ჭრელკაბა გოგომ,
დამინახა და უცებ მომწყვიტა;
გული მეტკინა ფესვებს რომ მოვწყდი
და უმალ დავჭკნი.

* * *

რამ დაგაღონათ ჩიტებო ასე,
აღარ ჭიკჭიკებთ, ეჰ, რა ხანია,
ფრთებიც დაგღლიათ,
თოკზე ჩამწკრივებულები და მობუზულები,
რა სევდიანად გაჰყურებთ ზეცას...

* * *

სარეველა ვარ? უცხო ბალახი?
არც თქვენ მოგწონვართ?
იქნებ გგონიათ, არ ვსურდი მიწას,
კი მაგრამ, აბა რისთვის ამომიყვანა?
ჰოდა, მზეს რომ შევხედო, მეც მაქვს უფლება.

* * *

მადლი ვქენი, ქვაზე დავდე
(როგორც ანდაზა მასწავლის),
გავიარე, წინ კი ლოდი აღიმართა...
მერე რაა, გვერდს ავუქცევ,
სხვა გზას შევუყვები,
სადაც ქვასაც გააცოცხლებს სიკეთე.

* * *

ვერ გავექეცი ჩემს თავს ვერაფრით,
არადა მსურდა შორს, შორს გაფრენა
და რამდენჯერაც ქარს დავემგზავრე,
გრიგალმა ბრაზით ძირს მომისროლა...
და დავუბრუნდი ჩემს თავს ისევე,
აწმყომ ძაძებით რომ შემოსა და
წელში მოხარა დარდების ტვირთით...
არ ჩანს სიმაღლე, ველტვოდი რასაც,
ჰორიზონტის ხაზს რომ მკვეთრად გაზრდიდა...
ეჰ, ვერ გავექეცი ჩემს თავს ვერაფრით,
არადა მსურდა შორს, შორს გაფრენა.

* * *

მთელი ცხოვრება ვარ მოლოდინში.
რას ველი? – ნატვრის ახდენას!
– კიდევ?
– რა ვიცი, ზოგჯერ სიტყვითაც არ გამოითქმის...
– ჰოდა, სულ რომ ელი, ამიტომაც... ეხ, როგორ გითხრა;
– მითხარი ბარემ!
– გთვლიან სულელად.

* * *

ვგავარ ნაფოტს მდინარეში მოტივტივეს,
წყლის მოქცევას ძლივს რომ უძლებს...
ჰო, ჩემი მოგონებები მდინარეა წყალუხვი
და რომ არ ადიდდეს, კალაპოტს ვუხსნი –
საოხად სულისა აღსარებას ვამბობ...
ყველა მოგონება გარდასული ამბებია,
ზოგი კარგია და ზოგიც-ცუდი;
რამდენი რამ მაგონდება, სისხლს რომ მიყინავს;
მე მევალება ცუდი მოვიგონო:
რომელი მცნება დავარღვიე,
რა დავაშავე,
რატომ გავბრაზდი,
ვამსგავსე რატომ
ზოგიერთ ფუნაზე ამოზრდილ ყვავილს;
რატომ ვერ ვაპატიე მავანს და მავანს,
მოღალატესა და მზვაობარს,
ცილისმწამებელს;
რატომ ვერ შევიყვარე,
თუ მეტად შევიყვარე
და ზომიერება ვერ დავიცავი,
სასოწარკვეთა რატომ მომეძალა?
დეპრესიამ რატომ შემიპყრო?
რატომ ვტოვებ ზოგ კითხვას უპასუხოდ?
რატომ?
იქნებ იმიტომ, რომ უსამართლობას ვერ ვუმკვლავდებოდი,
ვნება, ჩემ ცხოვრებას ძალას რომ აძლევდა,
შიშმა ჩააქრო,
დამდრიკა, დამაცრო, დამაპატარავა

და დავრჩი ასე გაცრეცილი ფიქრების ამარა;
სიმღერა კი მაინც ვერ მოვიშალე,
მე ჩემებურად ვმღეროდი,
გულში, ჰო, ჩემს გულში...
მერე ამ სიმღერას ლექსები დაარქვეს,
მე კი ფიქრები ვუწოდე,
სულში გაფოთლილი ფიქრები,
ზოგჯერ ჩიტის ენას რომ ირგებს,
ხანაც ფოთლებივით შრიალებს,
სამყაროს ამოხსნას ლამობს
და გალაქტიკებისაკენ მიქრის,
სინათლის სიჩქარეს უსწრებს
და ცდილობს თავი დააღწიოს ბნელ მატერიას...
მაინც სადაა ის პლანეტა,
სიზმარში რომ ვხედავ,
მავანისთვის უცხო, ჩემთვის ასე ნანატრი –
სად დიდს თუ პატარას
უპირობოდ უყვართ ერთმანეთი...
მადლობა უფალს,
იქ არასოდეს ჩამოწვება მეწყერი,
არ შეიმუსრება სიცოცხლე,
არ დაიღუპებიან ბავშვები და მოხუცები,
იქ ხომ ტყეებს და მდინარეებს, როგორც ცოცხალს
ისე შეხარიან და უფრთხილდებიან.
ადამიანო, შენ კი აქ, დედამიწაზე
როგორ იქცევი?!

ვენერა ხურციძე

* * *

ცა ხელის გაწვდენაზეა,
ცხარობ და მაინც ულბები...
ნეტავ, რად გაწვნენ სულში რად
სევდანაჭამი ღრუბლები?

წვიმდა ტკივილის სვეტები
გულგაპობილი ზეციდან,
უკვე თვალებში გეტევი,
უფსკრულის სიღრმეც შემცირდა.

ღიმილმა თითქმის მოლოკა
გულზე ჭრილობა წერაქვის,
თუ გრძნობ ტკივილი როგორ კლავს,
პოეტის ბედისწერად თქვი.

ქარებმა ისევ ამრია,
ვყლაპავ სიმშვიდის მონეტებს,
იქნებ ქარების ბრალია,
რომ ვეღარაფრით მოგენდე...

გარდაცვლილ მეგობარს

მაქ, შენთან, როგორი ამინდია?
ზეცას შეერიე სულნათელი,
გულში მწუხარებად დამიდიან,
წარსულის ლამაზი სურათები.

გაშეშდა კადრები მარტოობის,
კრულ წუთებს ნისლის კაბა ეცვა,
წიგნი კი შენი ავტორიბით,
სახელად სიცოცხლე, დაიკეცა.

ჩვენი ყვავილები გადამხმარა,
გრძნობები არსადაც არ მიდიან,
აქ სეტყვა, გრიგალი და თავსხმაა,
მაქ, შენთან, როგორი ამინდია?

მამაჩემი

ხშირად მწარეა განაჩენი
ნეტავ მტოვებდეს
წუთით წუხილი უმისობის, მოსული ბინდად,
ღმერთივით იყო მამაჩემი
და ჩემს ყოველ დღეს
სასწაულივით
სიყვარულის სიტყვებით ქმნიდა.

იმ სიტყვებიდან მთავრდებოდა გვალვაც და წვიმაც,
ატკბობდა სმენას მისი ხმა და მათბობდა ხელი,
სულელი გოგო ადრე პეპლებს დასდევდა ვინაც,
ახლა ვერ ართობს იადონთა ნარნარა ხმებიც.

დღეები დღეებს არ ენდობა, აღარც ეცნობა,
ახლა მზეც სხვაა, არც ცაზეა ფერები შინდთა,
ღმერთივით იყო მამაჩემი,
ყველა შეცდომას
შვილის სულიდან
თავისივე ხელითვე შლიდა.

ჯადო-ქარი

დავხურავ ფანჯრებს, ქარია გარეთ,
მაგრამ ეს ქარი განა ქარია,
ქრიან და გულში სურვილებს რგავენ,
ქარი ბოროტი ჯადოქარია.

ვერ შემოამტვრევს დაკეტილ კარებს,
მისი ხმა მაინც სულში იჭრება,

ქრიან და ლექსის თოკებით მკრავენ,
სიტყვებმა სული გადამიჭრელა.

კრძალვით დანთებულ იმედის სანთლებს
მაინც მიაგნებს, მაინც ჩააქრობს,
წვიმა მოვა და ქარს გაამართლებს,
გარეცხავს კედლებს, ცოდვით განაქონს.

მინდა ამაყად გულში ვაყვავო
ის, რაც ქარების გამო ცრემლს მადენს,
ოჰ, რა ლამაზი იყო სამყარო
ბოროტი ქარის გამოჩენამდე.

არ ჩამაქრო

გულში მოლოდინის ტრაურია,
წვიმები წარსულს მიალტობენ,
სიყვარულსუჩვევი ბრმა გულიდან
იშვა უნაპირო სიმარტოვე.

ის ხარ, ვინაც სრულად წამიხვედი
სულაც წამის ხედვით განმერიდე,
განსაცდელთა ნისლში როცა მხვევდი
რატომ გპატიობდი ან მე იმდენს.

ველარ შეაგროვებ, რაც განქარდა,
ველარ მომაჩეჩებ მზის საშლელებს,
მე ვერ მიგაცილებ ცის ბაქანთან,
ველარც ჩემი სულით გისაშველებ.

და თუ გადავურჩი ლექსის საშვით
იმ დღეს შენი ნახვის საზვერეებს,
გეტყვი დავრჩენილვარ ისევ ბავშვი,
გეტყვი სანამ სიკვდილს ვისაზღვრებდე.

ახლა მიწაზე ვარ, ცის თოკებსაც
ერთ დღეს უსათუოდ გადაჭრიან,
წარსულს შენ წინ მუხლი მოეკვეცა,
მთვარეც ამღვრეული ცის სარჭია.

ლექსიც, ჩემი სულის მიკიოტი,
ყველა საიდუმლოს აცამტვერებს,

ნისლებს, წარსულივით მიჰკიოდი,
სტრიქონს აწურავდი სევდის მტევნებს.

გახსოვს, რომ ვჯავშნიდი ცაში ბილეთს,
მსურდა, შენ გვერდით რომ მომწეოდა,
აქვე ჯოჯოხეთი მაცნობინე,
უკვე ღიმილითაც უმწეო ვარ.

მაგრამ ყველა ფიქრის გასაყართან
ვრჩები მართალი და არ ხარ ახლოს
სანამდე ლექსებში მაინც მყავხარ,
სულს ნუ შემიბერავ, არ ჩამაქრო.

ჩამორჩენა

დღე შემოკლდება, ღრუბლების სტომაქს
თითქმის ვერაფერს დააკლებს ქარი,
მეც იასამნის ცისფერი შტო მაქვს,
თმაში ჩაწნული და გული მქრალი.

ვერ დავეწიე ვერც ტატოს მერანს,
ვერც ლურჯა ცხენებს გამოვდებ აღვირს,
რასაც ვწერ, ნეტავ მჭირდება მე რად,
ერთ დღესაც წერა უბრალოდ დამღლის.

უბრალოდ წავალ ურითმო ტყეში,
უმეტაფორო ღამეებს დავწერ,
ალუზიების მომხვდება ეშვი
გულზე და ფიქრებს ყველაზე დამწველს

გადავულაგებ ბარგებად მერმისს,
ხვალემ იზრუნოს, ხვალისა მსურს და
ცაზე ლამაზი ნახტომი ირმის,
ჩემში ყოველგვარ ტკივილებს მუსრავს.

მზეს წავუკიდებ დილისკენ ჩემს სულს,
უფლისფერ თვალებს გაახელს ზეცა,
ფერებს კი გულში ბგერებად შესულს
ცხოვრება ლექსის ცრემლებით რეცხავს.

ემიგრანტ მეგობარს

ერთი და ორი და სამი,
მაქ ხარ და ოცნებით შინ ხარ,
თვალებზე ბრჭყვიალებს ნამი,
იხსენებ სანუკვარ იმ ხმას.

ფიქრები სტრიქონებს ერთვის,
აყვავებ შენს გულში ნარგავს,
გოგონა ძვირფასი შენთვის
ქვიშაზე შენს სახელს ქარგავს.

შენს ქალაქს წვიმებით დამბალს
უშენო დღეები სუსხავს,
გწერენ, რომ აკლიხარ ქალაქს,
აგროვებ გზავნილთა ნუსხას.

სიზმრებში ყოველი მოვლე,
გრძნობ ყველა კუთხეს და ალაგს,
შენს ლექსებს ვუკითხავ ხოლმე
შენს თბილ და ქარიან ქალაქს.

დაქრიან აღმა და დაღმა
სიტყვები, ჩნდებიან შენთან,
რა მოსაწყენია დაღლა,
რა უსაშველოა სევდა.

მალე დაბრუნდები, ამინ,
ტალღებში იმედად შლილხარ,
ერთი და ორი და სამი,
თვალებს დავხუჭავ და შინ ხარ.

ბოლო მოჰიკანი

მზემ გადაშალა ცის რვეული,
და თუმცა ხშირად მომიგონებ,
ეხება სულის ორეული
თბილ ღრუბლებს, უფლის ფლამინგოებს.

გახსენდები და მუდამ შენ რომ
ყველა შეგრძნებას მიასმაგებ,

მითხარი, როგორ ვუსაშველო,
რა ვუყო გამხმარ იასამნებს.

ცრემლები წვეთებს დაგეზავენ,
ეს წვიმაა თუ ზეცის მარში?
წადი, სხვის სიზმრებს დაემგზავრე,
არ შემოხვიდე ჩემს წვიმაში.

შენ დამილოცავ გასაფრენ გზებს,
მეც ბნელ ოცნებებს დავეხსნები,
ხშირად ვიფიქრებ არაფერზე,
სხვას ვის ვაკითხო ეს ლექსები...

წყურვილს ვერაფრით მოგიკლავდი,
დე, დაგიფაროს ცის ხელებმა,
ეს ლექსიც, ბოლო მოჰიკანი,
შენი თვალებით იხედება.

აქამდე

წადი და უბრალოდ დამტოვე,
ვერ ვსუნთქავავ, ვერაფერს განვიცდი,
შენგან კი უმწეო რატომებს,
პასუხობს მარტივი „არ ვიცი“.

ნუ საზღვრავ ყველაფერს წვიმებით,
ჩემს გულში სიმშვიდე მარხია,
წარსულის აჩრდილთან წყვილდები,
სულს ვეღარ აგივსებს, ახია.

მიწას კი ნოტიო გობელინს
სანამდე თვალებით ვირეკლავ,
შემაკრთობს შენი ხმა „მოვედი“
და მერე შემშლიდე ვიდრე კვლავ,

ღრუბლების ხალიჩას მთავაზობ,
ხიზნები ვესტუმროთ რომელ ცას,
არ მიგატოვებდი არასდროს,
აქამდე გული რომ მოგეცა.



შაღვა კვასხვაძე

ჩემი ხატიჯე

ბინდისფერია სოფელი,
უფრო და უფრო ბინდდება,
რა არის ჩვენი სიცოცხლე,
ჩიტივით გაგვიფრინდება...

ხალხური

შემთხვევით პარტისტორიის გაერთიანებულ ლექციაზე გავიცანი. ერთ მერხზე, გვერდიგვერდ აღმოვჩნდით და სხვა რა უნდა მექნა, გამოვეცნაურე. კარგად მახსოვს ეს დღე – 5 სექტემბერი, აუდიტორიის ძებნას ზედმეტი დრო მოვანდომე და დაწყებულ ლექციაზე დაგვიანებით შევედი. ლექტორმა, რომელიც მსგავს სიტუაციას, ეტყობა, მიჩვეული გახლდათ, ჩემსკენ არც გამოუხედავს, უბრალოდ, ხელით მანიშნა, სადაც გინდა, იქ დაჯექიო და ვ. ი. ლენინისა და ბოლშვიკების მიერ კაცობრიობის გადარჩენის თაობაზე შთამბეჭდავი თხრობა გააგრძელა. გავიხედ-გამოვიხედე და კარებთან ახლოს, მესამე მერხზე თავისუფალი ადგილი შევამჩნიე, რომელიც უმალ შევავსე. უბრალოდ კი არ ჩამოვმჯდარვარ, ცოდნის მისაღებად მოვემზადე. მამისგან ნათხოვარი ტყავის ჩანთიდან, რომელსაც უკვე მეორე წელია ინსტიტუტში ვატარებ, ლენინგრადიდან ჩამოტანილი ასფურცლიანი რვეული და საწერ-კალამი ამოვიღე და დასვენებული, მაგრამ სწავლა მოწყურებული საბჭოთა სტუდენტის განსახიერებად ვიქეცი. გვერდით მჯდომი გოგოსთვის მოგვიანებით მოვიცალე, როცა ლექციას მაინცადამაინც გული ვეღარ დავუდე, რაც ჩემს სტუდენტურ ცხოვრებაში უცხო ან იშვიათი შემთხვევა სულაც არ ყოფილია. მას ღია წითელი ფერის ახალთახალი კოფთა და ლურჯი კაბა ეცვა, დიდი გულისხმიერებით დავარცხნილი წაბლისფერი თმა შუბლთან დროდადრო ჩამოუცურდებოდა, მაგრამ მარჯვენა ხელით ისწორებდა ვარცხნილობას. რაც გვერდით მივუჯექი, ერთხელაც არ შემოუხედავს ჩემთვის, რამაც იმდენად გამაღიზიანა, რომ მისი გაცნობის სურვილიც ჩამიკლა. „იქნებ მხედველობის პრობლემა აქვს“, – გავიფიქრე ჩემდა უნებურად, თავი მოვაბრუნე და გულდაწყვეტილმა გვერდიდან დაკვირვებით შევხედე.

– ლექტორი იქაა, დაფასთან, პირდაპირ გაიხედეთ... – მესმის წყნარი, აუღელვებელი ხმა და ხელით მანიშნებს საითკენ გავამახვილო ყურადღება.

– დიდი მადლობა, – გულრწფელად ვეუბნები და მზერას არ ვაშორებ, – ლექტორს არ ვეძებ.

– კაი ერთი...

ახლაღა ვამჩნევ, ღია თაფლისფერ თვალებში მინავლული მუგუზალი როგორ ისვენებს. ვარდისფერი ტუჩები სამტრედიიდან ჩამოტანილ, ახლად მოწყვეტილ საადრეო მარწყვს მიუგავს, პომადა ზომიერად უცხია და შვენის. მკლავებზე მზის რუჯის ნაკვალევი ეტყობა, მოცუცქულ ცხვირზე კი ტყავს გადაძრომა ჯერ არ დაუმთავრებია, რაც ზღვის აბაზანის დამსახურებად უფრო ჩავთვალე, ვიდრე უხარისხო მაკიაჟის.

– საინტერესო ლექციაა... – რაღაც ჭკვიანური რომ გინდა თქვა და საპირისპირო გამოგდის, მაგი მჭირს ზუსტად.

– ლექციასაც უსმენთ? – ირონია შეპარული ტონით მეკითხება განაცნობებული ხმა და განწყობას მიფუჭებს.

– თუ რამ გამომრჩა, თქვენს იმედს დავიტოვებ, კონსპექტში ხომ ჩამახედებთ? ცოტა გაფანტული ყურადღების ვარ და... – რაც შეიძლება ვისაწყლებ თავს და წინასწარ ვიბევებ შრომისმოყვარე გოგოს ჩანაწერებს, – სხვა მხრივ არამიშავს, იოლად ვითვისებ, მარჯვე ვარ...

– მაშინ დამხმარე ლიტერატურასაც ჩაგანიშნინებთ, – გულწრფელად შემპირდა წაბლისფერთმიანი და უნდოდ გადმომხედა.

– ვიღაც ლაზღანდარობს და ხელს მიშლის... – უცებ იქუხა ლექტორმა, ტრიბუნიდან ჩამოვიდა, რამდენიმე ნაბიჯი გაიარ-გამოიარა და აუდიტორიას გახედა, – ამას არ მოვითმენ, ყველამ კარგად დაიმახსოვროს... – ამჯერად ზოგადი მუქარით შემოიფარგლა პარტიის ისტორიაში გზის გამკვალავი, შემდეგ მაჯის საათს დახედა, ყურთანაც მიიტანა და თავი უკმაყოფილოდ გადააქნია – სად გავჩერდით, აბა შემახსენეთო, გამომცდელად იკითხა. გაერთიანებული სამი ფაკულტეტის 80-ამდე სტუდენტს ერთდროულად დაემართა გულმავიწყობა და ზუსტად, ჯვარი სწერია, მიახლოებითაც ვერასდიდებით გაიხსენეს, სად გაჩერდა პატივცემული ლექტორი. ყველა მინიშნება დაიწუნა ამრეზილმა ლექტორმა. არა და, ისე ჩანდა, თითქოს გულისყურით უსმენდნენ ფრიად შინაარსიან და საინტერესო თხრობას.

წაბლისფერთმიანს გავხედე, რვეულიდან თავი აეღო და დაფისკენ იყურებოდა. აშკარად სეირის მაყურებელს ჰგავდა და ლექტორის დამხმარების მცირეოდენ სურვილსაც არ ამჟღავნებდა.

– ვერ დავიჯერებ არ იცოდე, შეგვაწიე სიტყვა... – წავუჩურჩულე. მან კი მარცხენა ხელი მერხის ქვევით წაიღო, თითები მუშტად შეკრა და იქედან მომიღერა. აგრესორობა ასე დაშვენებოდეს გოგოს, პირველად დავინახე და გამეცინა.

მასაც ღიმილმა გადაურბინა სახეზე.

დერეფნიდან შემოსულმა მყივანა ზარის ხმამ გვიხსნა.

– შესვენება 15 წუთი, – უხასიათოდ გვითხრა ლექტორმა, ტრიბუნიდან ჩანაწერებით სავსე თაბახის ფურცლები აიღო, მაგიდაზე დაალაგა, ზედ მოსქელო ტანის წიგნი დაადო, შემდეგ სათვალე მოიხსნა, ჯერ მინებს სული შეუბერა, მერე ცხვირსახოცით გაწმინდა და პიჯაკის გულის ჯიბეში ჩაიდო, სკამი მაგიდას მიუჩოჩა და აჩოჩქოლებული აუდიტორიიდან, ვითარცა წაგებული ბრძოლის ველიდან ნირწამხდარი მხედარმთავარი, თავჩაღუნული, ნელი ნაბიჯებით გავიდა.

– მეც დავიღალე, – ნაჯაფარი კაცის გამომეტყველება მივიღე და ალმაცერი გამოხედვა არ შევიმჩნიე.

– გამოდის სულზე მოგისწროთ დასვენებამ, – მესმის ირონიაშეპარებული, აწ უკვე ნაცნობი ხმა, – თორემ გაცვეთას არაფერი გაკლდათ... – აქ მცირე ხნით ისე შეისვენა, ჩემსკენ არც გამოუხედავს, – ბეწვზე ხართ გადარჩენილი...

– ეჰ, ვის აინტერესებს სიმართლე?

გოგო ფეხზე წამოდგა, კაბისფერი ხელჩანთა გახსნა, იქედან პატარა სარკე ამოიღო და სახის თვალიერებას შეუდგა. ლოყაზე თითი მოისვა, ტუჩები მიკუმ-მოკუმა, ენით დაისველა და თმაზეც გადაივლო ხელი.

მერხს შემოვუარე და წინიდან დავუდექი.

– შემთხვევით, ჩვენი ინსტიტუტის სტუდენტი ხომ არ ხართ? – ვითომდა, ძალიან დაინტერესებულმა ვკითხე.

– შემთხვევით არა... – გამიღიმა.

– როგორ მეცნობა თქვენი სახე. მგონი სადღაც მინახიხართ და ვერ ვიხსენებ, სად.

– ასეთი ახალგაზრდა და სკლეროზი? – ძალით გაიკვირვა გოგომ, გალამაზებამორჩენილმა, სარკე ხელჩანთაში შეინახა და თვალი თვალში გამიყარა.

– გიცნობთ? – ვეკითხები.

– სახეზე კი, ისე არა მგონია...

– ასეთი კაი გოგო დადის ჩემს ირგვლივ და მე მისი სახელიც არ ვიცი, ნამდვილი უსამართლობაა...

– ფილოლოგები უფრო ორიგინალურები იყავით მეგონა, – გაცნობის ფორმა დამიწუნა გოგომ, – ნაილე ვარ, მებუკე, ბიოლოგიურზე ვსწავლობ, 19 წლის და ქობულეთის ყველაზე ლამაზი სოფელიდან, წყავროკიდან ვარ, – სხაპასხუპით მომაყარა სათქმელი და ხელი გამომიწოდა.

– მე აჩიკოს მეძახიან, ბათუმში დავიბადე და გავიზარდე, ჯერ ოცის ვარ და ასი წელი მინდა ვიცოცხლო, რათა შენნაირი ლამაზი გოგონების გაცნობით ბევრჯერ დავტკბე, – ნაილეს ხელს ვართმევ, მაგრამ არ ვუშვებ, – კი, მომავალი ფილოლოგი ვარ, დედაც ფილოლოგი მყავს, ბიძაც, ბიძაშვილები... მეზობლებს შეეშალათ ხელი და სხვადასხვა პროფესია აირჩიეს. ისე, რომ იცოდე, ყველას კი არ შეუძლია კაი ფილოლოგობა, ფილოლოგობას ნიჭი უნდა, ბევრი წიგნის კითხვა, ბევრი მუშაობა, თავის მტვრევა და ღამეების თენება, ცოტა შესახედაობაც უნდა გიწყობდეს ხელს, მარიფათი, მიხრა-მოხრა, წარმომავლობა... – აზარტში შესული კიდევ ვაპირებდი თემის გავრცობას, რომ არა ნაილე.

– ცოტა ხნით შეისვენე და ხელი გამიშვი მომავალო დიდო ფილოლოგო, ისე მიჭერ, თითებში სისხლის მოძრაობა შემიჩერდა, – შეწუხებულმა ხმამ ტრაბახის ნირი წამიხდინა და ახლაღა შევამჩნიე, რომ ნაილეს ხელი, ძვირფასი სუვენირივით, ისევ ფაქიზად მეჭირა და განშორებას არც ვაპირებდი.

– რა მოვლილი თითები გაქვთ ნაილე, როგორი თეთრი, ნაზი და სუფთა. ადრე მეგონა სოფლელებს უფრო უხეში და გამურული თითები შვენოდათ... – ეს იმიტომ ვთქვი, რომ დრო მომეგო და ნაილეს თითები უფრო დაკვირვებით შემეთვალიერებინა, რათა გამეგო, რამდენი და რა დანიშნულების ბეჭედი აღმოაჩნდებოდა, თან თუ გავაბრაზებდი, არც ეს იქნებოდა ურიგო საქმე, იმასაც გავიგებდი, როგორი გაბრაზება იცოდა.

ამაოდ, მთელი მონდომება წყალში ჩამიყარა, ჩემი ნათქვამი ერთ ყურში შეუშვა და მეორედან ისე გამოუშვა, რომ მცირედი რეაქციაც კი არ ჰქონია. სახეზე – ნაცნობი ღიმილი, ხმა – ჩვეულებისამებრ, დინჯი და აუღელვებელი, გამოხედვა – აი ვის დაკარგვიაო... ჩემზე, დიდი ალბათობით. ის კი არა, ჩანაფიქრსაც მიმიხვდა, გათავისუფლებული თითები ცხვირწინ გამიშალა და თავდაჯერებულმა მითხრა: – არც გათხოვილი ვარ, არც დანიშნული, არც შეყვარებული მყავს და არც ახლო მომავალში ვაპირებ ვინმეს გაბედნიერებას, – შემდეგ შუათითი გამოაცალკევა და ერთადერთ ბეჭედს ეამბორა – ეს მამიკოს ნაჩუქარია და სანამ ცოცხალი ვარ, სულ ვატარებ... – დაამთავრა სათქმელი და კიდევ რა გაინტერესებსო, ამდაგვარი მზერა მესროლა.

– ვერ დავიჯერებ, მამათქვენს ასეთი მომხიბლავი ქალიშვილის მონაზვნობის პერსპექტივა ხიბლავდეს, – რაც შეიძლება, გულგრილად გამოვხატე ჩემი დამოკიდებულება ნაილეს ნათელი მომავალი ცხოვრების მიმართ.

– ჯერ უნდა ვისწავლო.

– რა თქმა უნდა, სიბერემდე...

– სიბერე შორსაა.

– ერთი თვალის ჩაპაჭუნებაა სიბერემდე და დრო ისე უნდა გადაანაწილო, ოცნებების დაფრთიანება მოასწრო.

– გული მეუბნება ყველაფერს მოასწრებო, – ნიშნის მოგებით ამბობს ნაილე და ჩვეულ ღიმილს ინარჩუნებს.

– რა კარგი გული გქონია, ცავ...

– მაი არაა შენი საქმე, – შემომიტია მოულოდნელად და სახეც მოეღრუბლა.

– ღმერთი შენთან, – დავლოცე.

– ამინ, – მომიგო გაჯავრებულმა.

საუბრის გაგრძელება ვეღარ მოესწრო, ლექტორი თაბახის ფურცლებით ხელში კათედრასთან ბოდიალობდა უკვე.

* * *

კვირაში ორ დღეს გვიტარდება პარტისტორიის ლექციები. კვირაში ორი დღე ნაილეს ნახვა და მის გვერდით ჯდომა გარანტირებული მაქვს. რაც არ უნდა სტუდენტმრავლობა ყოფილიყო გაერთიანებულ ლექციაზე, ადგილს ყოველთვის მინახავდა. ერთი პირობა აუცილებლად უნდა შემესრულებინა – ლექციაზე არ მეღლაბუცა და ლექტორისგან შენიშვნები არ მიმეღო. სანაცვლოდ, გამოცდის ჩაბარების დროს დამეხმარებოდა. მეტი რა გზა მქონდა, ნებაყოფლობით და სრული პასუხისმგებლობით დავყაბულდი იმ მძიმე ხვედრს, რომელიც განგებამ მომიმზადა და მარგუნა. კიდევ, დაქალი გამაცნო, გულნაზი, რა დიდი ასაკის მე ვარ, მაგრამ ამგვარი ცნობისმოყვარე, ინტერესიანი და პირმოუკუმავი არავინ მენახა. შვენოდა ენაწყლიანობა და ამბის ემოციური გადმოცემა. კაფანდარა გოგო იყო, სიგრძე და სიგანე თითქმის თანატოლი ჰქონდა, მაგრამ იმხელა ენერგიას, მხურვალებას, სისხარტეს და ერთგულებას აფრქვევდა, რომ მისით აუცილებლად მოიხიბლებოდით. თუმცა, სამართლიანობა მოითხოვს აღვნიშნო, რომ სხვა ალტერნატიული გზა, ისედაც არ არსებობდა. გაცნობისთანავე ამითვალწუნა, ვერ მიმიღო, ნაილეს გვერდით ტრიფოლიანტის ეკალივით ამოსული რომ დამინახა, ჯერ გადაირია, ივიშვიშა, ითუხთუხა, ათასჯერ გამზომ-ამწონა, მერე დაწყნარდა. გაუჭირდა იმ აზრთან შეგუება, რომ ხშირად დაქალის გვერდით ვერ იპოვიდა კუთვნილ ადგილს, არადა, ისედაც სულ ჩვენთან იყო, გვავსებდა და გვახალისებდა.

– რომ გაითვალისწინო, დღეს მე შეგინახე ადგილი, – მითხრა გულნაზიმ, ფეხზე წამოდგა და წამით შეჩერდა, ჩემ შექებას დაელოდა.

– რატომ შემიწუხდით? – წყალში ჩავუყარე მონდომება.

– უმადური, – მომაძახა და წინა მერხზე ისე დაჯდა, უკან არც მოუხედავს.

– ერთ გოგოს როგორ არ შვენის გაბრაზება�ა... – ჩავილაპარაკე იმ იმედით, რომ წინ მჯდომ გაბუტულს იოლად გაეგონა.

– ამის გაძლება როგორ შეიძლება? – ნაცნობი ხმა მესმის, მთქმელი კი არ ჩანს.

ნაილე მანიშნებს, ნუ აბრაზებო. მისი სიტყვა საბოლოო განაჩენია. მუნჯად ვიქეცი და მთელი არსებით ლექციის მოსასმენად მოვემზადე.

– მეორე საათს ნუ გააცდენ, რა, გთხოვე, ლექტორი სიას თავიდან კითხულობს ხოლმე და არებს წერს, – მაფრთხილებს ნაილე, – წინა ლექციაზე დაგინდო, შეუძლოდ გახდაო რომ ვუთხარი, ბოლოჯერ ვაპატიებ, მერე თავის თავს დააბრალოსო, ასე შემოგითვალა.

– შენც გადაეცი, რა ამბავია ორ საათიანი ლექცია-თქო...

– ნუ დაიწყე ახლა...

– არა, გამაგებინე, შენ ვისკენ ხარ? მითხარი გარკვევით... – ჩავეძიე და არ ვეშვები ნაილეს, რომელიც მშვიდად მისმენს და არ მყვება.

– ამხელა ხარ და სერიოზულობის არაფერი გცხია, – შემომანათა ჩემმა მზემ და მისი სიმხურვალე უმალ ვიგრძენი, – ნუ გადარევ ახლა ლექტორს, მისი გასაჭირი ეყოფა...

– სად ხედავ ლექტორს? ლექცია ათი წუთის დაწყებული უნდა იყოს...

– მოვა სადაცაა.

– ჰო, ლექტორზე რომ ფიქრობ 24 საათი, იმიტომ არ გრჩება დრო ჩემთვის... – ვერ გავბრაზდი ისე დამაჯერებლად, არსებულ მომენტს რომ შეეფეროდა, მაგრამ მონდომება არ დამიკლია და ამან დამამშვიდა, – თუმცა არ მიკვირს, შეძლებული შვილიშვილები ყოლია, გავიგე, დასაოჯახებელი ბიჭები... – საგანგებოდ, ბოლო სიტყვა ხაზგასმით და გამოკვეთილად წარმოვთქვი და ნაილეს შევხედე.

– რას ამბობ, მაი არ ვიცოდი, დღეიდან დავინტერესდები, – დამაიმედა და ცალყბად მკითხა, – ნეტა, შეხედული ბიჭები თუ არიან? რა ვიცი, ბაბუა მშვენიერი სიმპატიური ჩანს და...

– არ გვანან ბაბუას, უშნოები არიან, რძლის გენეტიკას გაყვნენ... – სიმკაცრე ისე გამერია ხმაში, ვერ შევამჩნიე.

– რა გეტაკა? – ეს ნაილეა, ჩემკენ მობრუნებული, ტრადიციული მშვიდი გამოხედვით და მოზომილი ღიმილით.

– ვაჟბატონს მასზე უკეთესი ამქვეყნად, არავინ ჰგონია... – წინა მერხიდან თავი წამოყო გულნაზიმ და რაკი შანსი მიეცა, გახარებული მიკბინა, – არა და, მჯობნის მჯობნს რა გამოლევს ამ ქვეყნად.

– მადლობა გულნაზი. სიკეთეში გადამეხადოს თქვენი პატივისცემა.

– არაა საჭირო, ნუ იჩქარებთ...

– გეყოთ ორივეს, ლექტორი შემოვიდა.

– რა აჩქარებდა, მოეთქვა სული და მერე გამოჩენილიყო, – ხმამაღლა ვთქვი თუ გავიფიქრე, აღარ მახსოვს...

* * *

ძლივს დავიყოლიე გამყოლოდა. გულნაზიმ ბიბლიოთეკა მოიმიზეზა და მარტო დაგვტოვა. ბოლო დღეებში უფრო გონებაგახსნილი გახდა, კი უჭირდა ჩვენი მარტო დატოვება, მაგრამ „შენ რამე გეშველოსო“ – ჩემი მისამართით გულწრფელად იტყოდა რამდენიმე გამამხნევებელ სიტყვას და მხრებაწურული გვშორდებოდა. ბულვარში გასეირნებაზე უარი მითხრა, – მილეთის ხალხი ირევა, ვიღაც დაგვინახავს და სოფელში ასვლამდე მშობლებს გადამირევენო. ინსტიტუტის გვერდით „რვაფეხაში“ შევედით, სადაც ჩვეული ხალხმრავლობა დაგვხვდა, რამდენიმე ნაცნობით და უფულო სტუდენტებით სავსე. ყველაზე მოფარებული კუთხე ავირჩიეთ, შედარებით წყნარი, თანაც თვალშიც იოლად არავის შევეჩხირებოდით. ორი ყავა, ორი ნამცხვარი, ერთი ბოთლი ლიმონათი შევიძინე და მაგიდასთან ფათერაკების გარეშე მივიტანე, რაც ჩემი სიმარჯვის კვალობაზე, პატარა საქმე სულაც არ გახლდათ. ნაილემ გამომცდელი თვალებით შემომხედა და ჩუმად მკითხა:

– ლიმონათი ბოთლიდან რიგრიგობით უნდა მოვსვათ თუ ფილოლოგებმა რამე სხვა, უკეთესი მეთოდი იცით?

რაღას ვიზამდი, შენიშვნა დაბღვერილმა გავიზიარე და დახლისკენ გავემართე. გზად უმნიშვნელო რიგი შუაზე გავყავი, ყვავილებმოხატული „პოდნოსიდან“ ორი უგულოდ გარეცხილი ჭიქა ავიღე და ნაილეს დავუბრუნდი. იგი მელოდა და ნამცხვრიან თეფშს ზევიდან დაჰყურებდა.

– აქაურ ტკბილეულობას აქებენ. შენი აზრიც მაინტერესებს...

– იმდენი შენ რა გითხარი... – მომიგო უმალ და კოვზი ნამცხვრისკენ წაიღო, ზომიერი ლუკმა გამოაცალკევა და პირში ჩაიდო, შემდეგ ყლუპ-ყლუპით ყავა მოსვა და ამომხედა, – გისმენ, შეწუხებული მეჩვენე დერეფანში, ტემპერეტურა გაქვს, წნევამ აგიწია თუ, ისევ მაიმუნობის ხასიათზე ხარ?

– რას ბრძანებთ საქალბატონო ნაილე, თქვენს წინაშეა უსერიოზულესი პიროვნება, რომელიც ეს დღეებია იწვის, დნება და იხრუკება... – ნათქვამის მეტი დამაჯერებლობისათვის ბოთლიდან ლიმონათი ჭიქებში ხელის კანკალით ჩამოვასხი.

– სასწრაფო დახმარება გამოვიძახო თუ შენი ფეხით მიასწრებ საავადმყოფომდე მისვლას? – მესმის გულგრილი ხმა, სხვას არც მოველოდი.

– მასე ხომ? – დავუბრიალე თვალები და ბრაზი ნამცხვარზე ვიყარე, უმალ გავანახევრე.

– დაგახრჩობს, ნორმალურად უკბიჩე, რა გემართება... – ნაძალადევი თანაგრძნობაც დაშვენდა ნაილეს. შემდეგ ჯიბიდან ცხვირსახოცი ამოიღო და მომაწოდა, – რას გავხარ, სახე მოიწმინდე, გაიპუდრე ბავშვივით...

რბილი, ნაზი და შემპარავი სუნამოს სუნი ასდის ნაილეს ცხვირსახოცს. გასაბრაზებლად ცხვირიც მივაწმინდე და ისე დავუბრუნე, მისკენ არც შემიხედავს.

– მადლობა არაა საჭირო, – გაჯავრებულმა დამაწია სიტყვა.

– დიდი გოგო გაიზარდე, – დავლოცე.

– დაიწყე ახლა შენებურად ბუტიაობა, ხომ იცი, არ გიხდება.

– პირიქით, მიხდება...

– კაი ერთი.

ენის ამოუღებლად გავაგრძელეთ ნამცხვრის დარჩენილი ნამცეცების შემუსვრა. ის ჩემსკენ არ იხედება, მე მისკენ. სიტყვის უთქმელად სულ რამდენიმე წუთი ძლივს ვძლებთ. სიჩუმეს, როგორც ყოველთვის, მე ვარღვევ.

– რა კარგი კაბა გაცვია, – სრული სერიოზულობით ვამბობ და ნაილესგან სათანადო რეაქციას ველოდები. მართლა უხდებოდა ფერადი კაბა, თანამედროვე სტილზე შეკერილი.

– კულაშში, სპეკულიანტებთან მიყიდეს, გადაკეთებაც არ დასჭირდა, ისე მომერგო, – გამოუნათდა სახე ნაილეს, – თუნთული დეიდამ შემირჩია, მომიტანა და მაჩუქა გასულ შაბათს. მერე, თუ მიხვდები, ყურში რა ჩამჩურჩულა?

– საიდან უნდა ვიცოდე? – გავიკვირვე.

– არ გაინტერესებს? – შემომიტია.

– რა, დეიდამ დიშვილს რა უთხრა?

– ჰო, რა მიუხდენელი ხარ?

– გამახარე, აბა... – ბეწვზე გადავრჩი, ირონია ვერ შემამჩნია.

– კაი ბედ-იღბალი მისურვა, – ისე ჩუმად მითხრა, ძლივს გავიგონე, – მერე გულში ჩამიკრა და გადამკოცნა.

– ყოჩაღ დეიდას... – საქციელი მოვუწონე ქალბატონ თუნთულს, – მომავალი სიძის გასახარად რას ვიზამო, მაგაზე სიტყვა ხომ არ წამოცდენია?

– ეს საკითხი ჩვენს ოჯახში კიდევ დიდხანს არ დადგება დღის წესრიგში, – დამამშვიდა ნაილემ და თვალები ეშმაკურად აუთამაშდა.

– მაგასაც ვნახავ, – დავიმუქრე.

– კაი ერთი... – არ დაახანა პასუხმაც.

ბულვარში მაინც გავედით. შემოდგომის თბილ საღამოს ზღვიდან მონაბერი სიო აგრილებდა. დამსვენებლები კანტი-კუნტად შემორჩენილიყვნენ შავიზღვისპირა ქალაქში. ზოგი პლაჟზე დარბოდა, ზოგი ძელსკამზე იჯდა, ზოგი ბანაობდა, ზოგი კაფე-ბარში ლუდსა და შებოლილ უთავო თევზს ან ნაყინსა და ყავას შეექცეოდა. ზღვაზე კი თოლიების გუნდი დაფარფატებდა და მხოლოდ მათთვის გასაგებ ენაზე ჟღურტულებდნენ.

– ზღვა გიყვარს? – მკითხა მოულოდნელად ნაილემ და სანაპიროს გაყოლებით გაშენებული ნაძვნარიდან გამომიყვანა.

– მარტო თუ ვარ, ვგიჟდები, შენ თუ გვერდით მყავხარ, მაშინ არა...

– რატომ ვითომ?

– პატარა გული მაქვს და ამდენი სიყვარული სად ჩავატიო? გული ვერ გაუძლებს, – მოვისაწყლე თავი, – რომელიმე უნდა ავირჩიო...

– მდაა... – მცირეხნიანი პაუზის შემდეგ, – არჩევანის შემთხვევაში მე ზღვას ავირჩევდი, – გამწირა ნაილემ.

– მეც მასე მოვიქცეოდი, – გაბრაზებულ გულზე გადავუხადე სამაგიერო.

– ძალიანაც კარგი... – მომიგო ნიშნისმოგებით და ხელმკლავი გამომდო.

– უგულო ხარ... – შეტევაზე გადავედი.

– თან, პატარა გულიანი კაცი ჩემებს არ მოეწონებათ... – შორიდან დაიწყო ნაილემ და ალმაცერად გადმომხედა, – ჩოლოკზე ნახევარი ჰექტარი ყანა გვაქვს, რომელსაც ყველა წელს დახვნა, დაფარცხვა, დათესვა, გამარგვლა, გათოხნა, სასუქის მოყრა სჭირდება, ოცდაათტონიან მანდარინის ბაღსაც, თუ გინდა კარგი მოსავალი მოგცეს, უზარმაზარი ძალა და ენეგია მიაქვს, აქეთ ხეხილი, იქეთ საქონელი. ასე რომ, დროულად ჩამოყალიბდი, მცდარი და მოუზომავი ნაბიჯის გადადგმა არ დააპირო...

რატომღაც, თავის ფხანა ბღერიანივით დამაწყებინა.

– რა გჭირს? – ისე მკითხა, ვითომ ვერ ხედავდა, რა დღეშიც ვიყავი.

– ვატყობ, შენებს სიძედ ჯანიანი, ხისთავა და კუნთმაგარი მუტრუკი უფრო გამოადგებათ, ვიდრე ნასწავლი, ინტელიგენტი და ქალაქში გაზრდილი, ჩემფერი ზრდილობიანი ახალგაზრდა, – დავასკვენი საბოლოოდ.

– რატომ? ჩვენთან კუნთმაგარ ბიჭებსაც არაფერი დაეწუნებათ, შრომაც იციან, მოლხენა

და ოჯახის მოვლა-შენახვაც... – პოზიციებს არ თმობს ნაილე და ღიმილით მაღიზიანებს.

– მოსალოცად გქონია საქმე.

– აბა, როგორ გეგონა...

უცებ მწერების გუნდმა შემოგვიტია. ნაილემ გვერდზე გადადგომა მოასწრო, მე პირდაპირ შევეფეთე, თვალების დახუჭვაც ვერ მოვასწარი. ის კი არა, რამდენიმე გადავყლაპე კიდეც, რამაც ისედაც დამჟავებული განწყობა კიდევ უფრო დამიმჟავა. თვალები ამაოდ მოვისრისე, არ მიშველა, ხინჯივით რაღაც ჩამრჩა თვალში და ცრემლები წამომივიდა.

– ამას რას ვხედავ, – შეიცხადა ნაილემ, – ტირი ყაძახო? ქობულეთლებს ცრემლების არ სჯერათ, კარგად დაიმახსოვრე.

– გულის ფიცარზე დავიწერ, გპირდები.

– მხედრულით თუ ასომთავრულით?

– რომელიც გაგიხარდებათ, ისედაც ასარჩევად გვაქვს.

ბულვარს ბოლომდე ჩავყევით, ცარიელი ძელსკამის ძებნაში დიდი დრო დავკარგეთ, მაგრამ მაინც ვიპოვეთ და ჩამოვჯექით.

– რამდენი გვიარია, – გაიკვირვა ნაილემ და მართალიცაა, – დამატყდა ფეხები. შენი ბრალია, დამხათრე, ბულვარში არ უნდა წამოგყოლოდი, გულნაზიც გადამერევა, დღეს ნამცხვარი უნდა გამოგვეცხო, კარაქია საყიდელი, ფქვილიც წასამატებელია, შეიძლება, არ გვეყოს. მაღაზიაში აუცილებლად უნდა შევიარო...

– გამოდის, ხვალ ყავაზე ნამცხვარი მელის?

– ოჰ, დაიპატიჟა ბიჭმა თავი.

– უჩემოდ შეგერგებათ?

– გავსინჯავ და გეტყვი, – დამპირდა ნაილე.

– თვალებში შემხედე და ისე მითხარი, ერთი ნაჭერი რომ ნაჭერია, ისიც არ გემეტება ჩემთვის?

– არა, ბატონო, რომ დაიმსახურებ, მთელ „ჟარონას" თვითონ გამოგიცხობ, – დიდრონი თვალები ისე ახლოს მომიტანა სახესთან, რომ მისი მომნუსხველი მხურვალება დამთრგუნველად ვიგრძენი და ეს ალმოდებული სითბო ისე ჩამეღვარა მთელ სხეულში, რომ თავის დაღწევის მინიმალური შანსიც გამიქრა. ხელები ნაზად შემოვხვიე წელზე და სუნთქვაშეკრული სათუთად მოვიზიდე ჩემსკენ. სამტრედიულ მარწყვს ჯერ კიდევ აკლდა დამწიფება, მაგრამ უგემრიელესი გემო ჰქონდა და მადაზეც მოვყავდი. უცაბედად, ლოყაზე ბწკენა ვიგრძენი და უმალ გამოვფხიზლდი. მივხდი, ვისი ნამოქმედარიც იქნებოდა. დანისლული, გაბუტული თვალები ჩავუკოცნე და გულში ჩავიკარი. მყავდა ასე ერთხანს გულის ჯიბესთან დამწყვდეული, გაყუჩებული, მოცახცახე და სახეზე ფერდაკარგული. ძალიან ახლოდან მესმოდა მისი აჩქარებული, რითმიდან ამოვარდნილი სუნთქვა და ვგრძნობდი, ამ წამებისთვის მიღირდა მთელი ჩემი დარჩენილი ცხოვრება, რომლის შესახებაც ბევრი არაფერი ვიცოდი, ცხადია. რამდენიმე წუთში თავი ჩემი ხელებიდან გაითავისუფლა, თმა და კაბა გაისწორა, გაბუტული თვალებით შემომხედა და სახეალეწილმა, ჩახლეჩილი ხმით მითხრა:

– თუ ოდნავ მაინც მაფასებ, ასე მეტჯერ აღარ მომექცე, თორემ იცოდე, ხმას არ გაგცემ... – დამემუქრა.

– დედიკოსთან დამასმენ?

მხოლოდ შემომხედა და ღრმად ჩაისუნთქა.

ახლაღა შევამჩნიე, თვალები კურცხალით ჰქონდა სავსე, თქმით კი არაფერი უთქვამს.

რომ არ გამცინებოდა, წამოვდექი და ნაილეს გულში ჩაკვრა ხელახლა მოვინდომე, მაგრამ ნურას უკაცრავად, გაშლილი მტევანი ისე გამეტებით მომხვდა ყბაში, რომ ნაძვის ტოტზე წამოსკუპებულ ციყვს შიშისგან გირჩი თათებიდან გაუვარდა, კენწეროზე წამოსკუპებულმა ყვავმა კი სხვა ხეზე გადაჯდომით უშველა თავს.

მოულოდნელობისგან დავიბენი და სკამზე ჩამოვჯექი. ნაილეც გვერდით მომიჯდა.

– დაიმსახურე, – გაბუტული ხმით მხოლოდ ეს მითხრა, თითები აწითლებულ ლოყაზე მომისვა და... – ქორწილამდე მოგირჩებაო – დამამშვიდა.

მისთვის მეტჯერ აღარ შემიხედავს. უბრად გამოვედით ზღვისპირა ბულვარიდან. მეწვოდა ლოყა და მიხაროდა ის, რომ გვერდით ყველაზე

ლამაზი, ყველაზე უკარება და საოცრად თბილი გოგო მომყვებოდა, გოგო, რომელიც სიცოცხლეს მერჩივნა.

სადარბაზომდე მივაცილე, გამომშვიდობებისას გულმა არ უქნა და დაზიანებული ლოყა სტაჟიანი ექიმივით გულდასმით შეათვალიერა.

– სახლში რომ მიხვალ, აუცილებლად ყინული დაიდე ლოყაზე, სამი თითი გამოკვეთილად გაჩნია.

– ღმერთი სამობითაა, – ხუმრობა ვცადე.

– გაგიმართლა მაშინ... – მითხრა და სადარბაზოს კარებში უკანმოუხედავად გაუჩინარდა...

* * *

იმ საღამოს გვიან დავბრუნდი სახლში. მანამდე ფეხით ბევრი ვიბოდიალე. აფორიაქებული ვიყავი და ვერ დავწყნარდი. დალევასაც მოვერიდე, არც საერთო საცხოვრებელში შემივლია თანაკურსელების სანახავად, მათთან ნამდვილად მოვკლავდი დროს, რომელიც ასე ნერვების მომშლელად მიიზლაზნებდა. დროდადრო მეწვოდა ლოყა და სახისკენ ხელის მიკარებას ვერიდებოდი. გადამავიწყდა, ყინული რომ უნდა დამედო, ან შუა ქუჩაში სად უნდა მენახა ყინული.

შებინდებისას საგრძნობლად აგრილდა. მაღაზიაში პური შევიძინე და სახლში წავედი. კარი დამ გამიღო და „სად ხარ აქამდე, მთლად სწავლა-განათლებას ნუ გადაყვები, ოჯახისთვისაც მოიცალეო“ – მომაძახა და ბრაზილიური სერიალის საყურებლად ტელევიზორის წინ, დივანზე ჩამოჯდა.

– მშობლები სად არიან? – ვიკითხე.

– ბავშვის ნათლობაზე, რომლის არ ვიცი და არ მკითხო, ფილმს ვუყურებ... თუ გშია, საჭმელი და კომპოტი მაცივარშია.

– კაი, ბატონო.

პური სამზარეულოში დავტოვე და ჩემს ოთახში შევედი. ოთახში ცხელოდა და წელზევით გავიძრე. პატარა, ოვალური ფორმის სარკეში, რომელსაც წვერის გაპარსვისას ვიყენებ, სახე ძლივს ჩავატიე. ლოყაზე კარგად მაჩნდა ნაილეს მოფერების კვალი, ყინული არ მქონდა და წყლიანი ფინჯანი საყინულეში შევდგი, აბაზანაში წყალი მოვუშვი, ცოტა ხნით გაგრილება ვაცალე და შემდეგ გახურებული ლოყა მივუშვირე.

მესიამოვნა.

რამდენი წუთი დავყავი აბაზანაში არ მახსოვს. ნახევარ საათზე მეტი, ალბათ. როცა საძინებელში დავბრუნდი, ისევ მეწვოდა ლოყა. ლოგინზე წამოვწექი და „ლიტერატურული საქართველოს“ ბოლო ნომრის გადახედვას შევეცადე, მაგრამ გული ვერ დავუდე და ფანჯრის რაფაზე დავდე, წიგნებისა და კონსპექტების გვერდით. ტანგაუხდელი ჩამეძინა, შრომისგან ქანცგაწყვეტილი კაცივით, ღრმა ძილით. დილით საოჯახო ფუსფუსმა გამომაღვიძა, მამა ქარხანაში წასასვლელად ემზადებოდა, დედა და და – სკოლაში. მე უკვე დიდი ბიჭი ვიყავი და იშვიათად მახსენებდნენ, როგორ უნდა მოვქცეულიყავი.

– წაუხემსებელი არავინ გავიდეს სახლიდან, – ეს დედაა. ეტყობა, მაგიდაზე საუზმე დაალაგა და გველოდება.

წამოვდექი და სამზარეულოში შევედი. ახლად გამომცხვარი ხაჭაპურის და შავი ბაიხის ჩაის სურნელი ოთახში ტრიალებდა. მამა და და მაგიდას უსხდნენ, დედა ფეხზე დამდგარი ილუკმებოდა. მე ფინჯანში ჩაის ფერს ადუღებული წყალი დავასხი და მურაბის შესამატებლად მოვემზადე, როცა დედამ შეიცხადა:

– ამას რას ვხედავ, რას გიგავს სახე, შე უდღეურო, გუშინ იჩხუბე? – მეუბნება და თავისივე სიტყვების დაჯერება უჭირს.

მამამაც ეჭვიანად შემომხედა და ჩაიცინა.

– მომესწრო ბიჭი...

გუშინდელი ფათერაკიანი თავგადასავალი ახლაღა გამახსენდა და ლოყა თავიდან ამეწვა.

– მე და ჩხუბი? – გავიკვირვე, მაგრამ ვინ დაგიჯერა.

– მოფერებულს არ გავხარ და სხვაი შენ იცი, – ხალისიან განწყობაზე მოვიდა მამა.

– ვინ იყო ის უმგვანო, იმას დაატყდეს ხელები, ასე როგორ გაგიმეტა, – აბობოქრებული დედა მომიახლოვდა და თმაზე ხელი წამავლო, –

თავი გააჩერე, კარგად დავინახო, რა გჭირს, თორემ წაგიმატებ, იცოდე... – დამემუქრა და თვალიერება დამიწყო, – იტყვი თუ არა, რა მოხდა?

– რას ამბობ დედა, არ მიჩხუბია, შენ თავს ვფიცავარ.

დედამ იცის, ტყუილზე რომ არ დავიფიცებ.

– არ მეტყვი სიმართლეს და ნუ მეტყვი, შენთვის შეინახე. გახდები ოდესღაც მშობელი და ჩემი ნერვიულობისთვის ერთი ათად გადაგიხდის ღმერთი სამაგიეროს... – უკმაყოფილო გამშორდა და ოთახიდან გავიდა.

– ბეწვზე ხარ გადარჩენილი, – ეს მამის ხმაა, – გაშლილი თითებით ჩხუბობდით?

– კარგად შეათვალიერეთ, რომელიმე თითზე ბეჭდის კვალი ხომ არ ამჩნევია? – ეს კი ჩემი უმცროსი დაა, წელს ამთავრებს სკოლას და მამისგან, ამ ბოლო დროს, ზედმეტადაა განებივრებული.

თვალები დავუბრიალე და გავაჩერე რომ მგონია, მაშინ გამიენაწყლიანდა.

– მასე გარეთ ვერ გახვალ, აჩიკო, უხერხულია. შენს ლოყაზე მანიკური არ ამჩნევია მაგ თითებს, თორემ სხვა მხრივ, არაფერი დაეწუნება...

მამა არ იყოს სახლში, კი ვიცი, რასაც ვუზამდი მაგ თხას, მაგრამ ახლა რას გავხდები. ვითმენ და გულზე ვსკდები.

– კომპრესებია საჭირო და რამდენიმე დღეში გაგივლის, – ჭკუასაც მარიგებს.

დედამ მეზობლის ქალი, ნადია დეიდა შემოიყვანა და წინ დამიყენა.

– რა ეშველება ამ უდღეურს? – ჰკითხა.

ნადია დეიდა ბავშვთა პოლიკლინიკაში მუშაობს ექთნად და სამეზობლოში ყველა გაჭირვებულს როგორც გაახერხებს, ისე ეხმარება. მან ჯერ ალმაცერად შემათვალიერა. შემდეგ ოი, ოი, ოიო, თავი გადააქან-გადმოაქნია, ერთი წუთის შემდეგ, გადარჩებაო, ჩემებს გადაუძახა, მე კი, სხვას რომ არაფერი გაეგონა, ისე ჩამჩურჩულა ყურში.

– გიღირს ბიჭო მაგი გოგო ღრანჯის მონგრევად?

– არ გამამხილოთ და კი...

– მისი ნახელავია?

თანხმობის ნიშნად თავი დავუქნიე.

– ღმერთო, კაი გაძლება მიეცი ამ ბაღანას... – დამლოცა ნადია დეიდამ და დედას გასძახა, – სამსახურში დროზე წადით, არ დაგაგვიანდეთ. მე კი სპირტი ან არაყი, ბამბა, სტერილური ბინტი, წყალი და აი დაფეხვილი დამიტოვეთ.

ექთნის მოთხოვნა ოპერატიულად შესრულდა. ოჯახის წევრებიც სინქრონულად გავიდნენ სახლიდან. მე კი დალილავებული ლოყა ხელახლა ამიწვა ნადია დეიდას მკურნალობის მისეულმა მეთოდმა, მაგრამ ტკივილს, როგორც ნუგეშს ისე ვიღებ და ღმერთს შევთხოვ მალე გამომაჯანმრთელოს და მანახოს გაბუტული ნაილე, რომელიც უკვე მენატრებოდა. მაგრამ ერთი იყო სურვილი და მეორე, მისი ასრულება. ინტენსიურმა მკურნალობამ შედეგი მეხუთე დღეს გამოიღო, მაგრამ რად გინდა? მეხუთე დღე შაბათი გათენდა, რაც იმას ნიშნავდა, რომ ამ დღეს ნაილე ქობულეთში, გულნაზი კი ჩაქვში თავიანთ სახლებში გაემგზავრებოდნენ.

უნდა გამეძლო. ორშაბათამდე სამი მტანჯველი დღე იყო დარჩენილი.

* * *

ორშაბათი ღრუბლიანი დღე გათენდა. ადრიანად გავიღვიძე და აბაზანაში გავვარდი, რათა ყველასთვის დამესწრო თავის მოწესრიგება. წვერი გუშინ ღამით გავიპარსე, თმა ჯერ არ მქონდა შესაკრეჭი, აგვისტოს შუაგულში შემოვიკეთე, ახლა უბრალოდ ცივი წყალი შევისხურე და ტალღებად დავივარცხნე, შემდეგ სახეს დავაკვირდი, მარჯვენა ლოყას გალახულის ფერი დაკარგოდა და გამიხარდა. ხელპირდაბანილი სამზარეულოში პირველი გამოვჩნდი და დედის კომპლიმენტიც დავიმსახურე:

– ოჰ, ეს შენ ხარ? – ჩვეული მზრუნველობით გადმომხედა და ერთხანს დამაკვირდა კიდეც, – ლექციები ცხრაზე არ გეწყება? – მკითხა.

– ცამდე მართალი ხარ, დედა.

– ოც წუთში ინსტიტუტში ხარ და ასე ადრე რატომ ადექი, კარგად გამოგეძინა, რა გეჩქარებოდა?

– დაგვიანებებს ახლა მკაცრად აკონტროლებენ, არ მინდა ვინმეს სალაპარაკო მივცე, – რაც ვთქვი, სიმართლესთან იყო ახლოს. დროდადრო ინსტიტუტის ადმინისტრაცია ზარმაცი და ძილისგუდა სტუდენტების გამოსავლენად რეიდებს ატარებდა. ძირითადათ მახეში დამამთავრებელი კურსის სტუდენტები ეხვეოდნენ, რომლებსაც ეს ამბავი დიდად არც ანაღვლებდათ, რადგან იცოდნენ, გარიცხვით ვერავინ გარიცხავდა, ზეპირ საყვედურებს კი ისე მიეჩვივნენ, როგორც ფრიადოსანი სტუდენტები თვის ბოლოს სტიპენდიის მიღებას.

– არ მოიტიო, მადიანად ჭამე, – მაფრთხილებს დედა და სამზარეულოში ფუსფუსს აგრძელებს, – ხაჭაპური უმარილო ყველიდანაა და რომ ჭამ, ისეთი შეგრძნება მრჩება, რაღაც აკლია...

– ჭამა აკლია მხოლოდ... – ვამშვიდებ. მოზრდილ ნაჭერს მთლიანად პირში ვიდებ და ლოყებდაბერილი მაგიდიდან ვდგები.

– აცალე მუცელში ჩასვლა, დაეტიე სკამზე, – მიწყრება დედა, მაგრამ მისი ვის ესმის? – ვის დაემგვანე ასეთი მოუსვენარი, მაცოდინა მაინც... – წუხს და ვიშვიშებს.

ამ დროს სამზარეულოში მამა შემოდის. მე რომ დამინახა, დედას გასძახა: „მორჩა უკვეო?“ იმან „მაგერ გყავს, ცხვირწინ, მე რას მეკითხები, შეხედე და მიხვდებიო“. მამამ კი ამათვალ-ჩამათვალიერა, მაგრამ არაფერი უთქვამს, მაგიდას მიუჯდა და გაწყობილ საუზმეს მადიანად შეუტია.

ცხრა ახალი დაწყებული იყო, სახლიდან რომ გამოვედი. ნაილეს და გულნაზის ინსტიტუტში მისასვლელი ყველა სავარაუდო მარშრუტი, საკუთარი ხუთი თითივით ვიცი, მაგრამ გზაზე დახვედრას მოვერიდე. არ მინდოდა ისეთი შთაბეჭდილება დარჩენოდა, რომ ეს დღეები სულ მასზე ვფიქრობდი და ერთი სული მქონდა, როდის მოვინახულებდი. ვერ მივართვი ქალბატონს, ჯერ მისგან მინდოდა გამეგო, თუ მოვენატრე. ვიცოდი, თქმით არაფერს მეტყოდა, მაგრამ ერთი გამოხედვით ვგებულობდი მის გულისნადებს. მოტყუება არ შეეძლო, თვალები ამის ნებას არ აძლევდნენ.

არა და, ისე მენატრება, ერთ ადგილზე გაჩერება მიჭირს.

დროის მოსაკლავად პიონერთა პარკში შევედი და ტბაში გაჩერებულ უმგზავრებო გემს პენსიაზე გასული შორეული ნაოსნობის კაპიტანივით სევდიანად გავხედე. ხალხმრავლობა, აბჟღვიალებული, სხვადასხვა ფერის ნათურები, ხმამაღალი მუსიკა, ჟრიამული და გნიასი შვენის გემს, ისე ცარიელმა და დადუმებულმა უსიცოცხლო არსების შთაბეჭდილება და უსიამოვნო განცდა დამიტოვა.

ქუჩას გავხედე. სანდასუფთავების ქალები ხვეტდნენ და ასუფთავებდნენ ტროტუარს, რომელიც მეორე დილისთვის თავიდან მისახედი ხვდებოდათ ყოველთვის. და ეს მათ სრულებითაც არ უკვირდათ, რადგან მიჩვეულები იყვნენ მათი შრომის დაუფასებლობას.

ცხრის ნახევრიდან ინსტიტუტისაკენ მიმავალი სტუდენტების ნაკადი მატულობს. ჯერ პირველ-მეორე კურსელები სჭარბობენ, შემდეგ მაღალი კურსის სწავლით დამძიმებული თავებიც გამოჩნდებიან. კანტიკუნტად, ლექტორებსაც შენიშნავ. მათ უფრო ცხრას რომ ათი-ხუთი წუთი დააკლდება, მაშინ შეამჩნებთ, აჩქარებულად მიაბიჯებენ და მაჯის საათზეც წამდაუწუმ იყურებიან.

ხუთ წუთში სწავლა დაიწყება, ისინი კი არ ჩანან. ნელი ნაბიჯებით ინსტიტუტის შესასვლელისაკენ გავემართე, სადაც რიგი დამხვდა. რიგში ზოგი იბღვირება, ზოგი ილანძღება, რამდენიმე ჩემს წინ მდგომი, საერთოდ ჩუმადაა და თავის რიგს უემოციოდ ელოდება. ახალი წესი წინა ორშაბათიდან შემოიღეს, კარისკაცს სტუდბილეთი უნდა აჩვენო, ისე არ შეგიშვებს. გულის ჯიბე ამაოდ მოვიჩიჩქნე. გუშინ რომ მეცვა, სტუდბილეთი იმ ქურთუკში დამრჩენოდა. ნეტა ვინ დგას კარებში? – ვფიქრობ და ცერზე შემდგარი, ხტუნვახტუნვით, წინ ამაოდ ვიხედები...

– ფილოლოგიის სტუდენტები ყველა ამგვარი ენერგიულები არიან თუ ზოგია ნამეტნავად გამორჩეული? – მესმის ზურგსუკან ნაცნობი, ნანატრი ალერსიანი ხმა და სისხლი მეყინება.

ელვის სისწრაფით ვბრუნდები და აცისკროვნებული მზის წინაშე, რომელიც რამდენიმე მილიონი გრადუსის სითბოს ერთბაშად გამოსცემს, პირისპირ მარტოკა ვეჩეხები.

– გამარჯობა ნაილე, – ჩახლეჩილი ხმით ვესალმები და თავს ძლივს ვიკავებ, გულში არ ჩავიკრა. ამას გოგოც გრძნობს და დისტანციას იცავს.

ნაილეს შემოდგომის ფერებით დახუნძლული სამოსი აცვია, ხელში რვეული და წიგნი უჭირავს და სიცოცხლის, სითბოს და მოფერების სურვილს ერთბაშად აფრქვევს.

– სტუდბილეთი როა საჭირო, დაგავიწყდა? – მითხრა და გვერდით დამიდგა, – ახლა რა გეშველება? – გამომწვევად იკითხა.

– სხვათაშორის, თუ გინდა შეგირიგდე, უნდა დაეხმარო სწავლამოწყურებულ სტუდენტს, რომელსაც სტუტბილეთი სახლში დარჩა და ცოდნის ტაძარში, შესაძლოა, არც შეუშვან...

– მე შესარიგებელი არაფერი მჭირს, პირიქით, ბოდიშის მოხდას აქეთ მოველი... თან, არავის დახმარებასაც არ ვაპირებ, საქვემოქმედო ორგანიზაცია ვარ თუ სოცმუშაკი?

– მე ვარ ზუსტად ერთი აგრესორი, მშვენიერი არსებისგან დაზარალებული, დაუცველი, შევიწროებული, უსაფუძვლოდ მიტყეპილიც კი, რაც სისხლის სამართლის უამრავი მუხლის დარღვევაა და არავინ მიცავს, სად ვეძებო სამართალი, როცა ქვეყნად ასეთი უსამართლობა მეფობს? – აქ ნერწყვი გადავყლაპე და გავაგრძელე, – სახეზეა ასევე ადამიანის უფლებების შელახვის თვალსაჩინო მაგალითი...

– კაი ერთი... – შემაწყვეტინა სიტყვა და მანიშნა, ზარი დაირეკაო.

კარისკაცი, რომელიც დღეს ქალი აღმოჩნდა, ფრიად გულისხმიერი და კეთილმოსურნე გამოდგა და სტუდენტები, შემოწმების გარეშე შეგვიშვა.

– მკაცრი ლექტორი მყავს პირველ ლექციაზე, – ნაილემ ნაბიჯს მოუჩქარა და მეორე სართულზე ასასვლელი კიბეებისაკენ გაემართა.

– ლექციების მერე დაგელოდები, – გზად შევაპარე მორიდებით.

– გაბედავ კიდეც...

– სხვა რა გზა მაქვს, – გუწრფელად ვუთხარი და თვალი გავაყოლე.

ენათმეცნიერების შესავლის მოსმენის ხასიათზე ნამდვილად არ ვიყავი, მაგრამ ლექციაზე მაინც შევედი, რითაც ჯგუფხელის, ციური მიქელაძის გაკვირვებული გამოხედვა დავიმსახურე. ეტყობა, არ მელოდა და კოვზი ნაცარში ჩაუვარდა... ისე, ფეხად შევასწარი ლექტორს, რომელიც კარებთან დამეწია და პერსონალურად მივესალმე. იმანაც ჩათვალა, ალბათ, მე მელოდებაო, ჯერ გამიღიმა, მერე მეორე კურსი ხომ აქ ხართო, ბოხი ხმით მკითხა. მე თავი თანხმობის ნიშნად დავუქნიე, გვერდზე გავიწიე და ლექტორს აუდიტორიისკენ გზა დავუთმე. მან თავაზიანად გადმომხედა, დამიფასა ჯენტლმენობა, ხელი ჩამომართვა და შენს ადგილზე დაჯექიო, ოთახში შესვლისთანავე მითხრა.

* * *

თხუთმეტი წუთის წინ დაირეკა მესამე ლექციის დამთავრების ზარი, ნაილე კი არ ჩანს. კიბეებზე, ვინც არ მაინტერესებს ყველა ადის და ჩამოდის. ზოგი ნაცნობი, ზოგი უცნობი. სტუდენტი, ლექტორი, საცოლის მაძიებელი თუ ცოლზე გაბრაზებული, საქმიანი თუ უსაქმური, მაღალი თუ დაბალი, მსუქანი თუ სუსტი, მოშიებული თუ გამძღარი, დიეტაზე მყოფი, თუ მაგიც რომ ვერ უშველის აწი, იმფერიც. ნაილე კი არ ჩანს. ამ დამლაგებელმა ქალმა ხომ გააწვრილა გული, სადაც ვდგავარ, იქ მომადგა ცოცხით. ადგილი მოვინაცვლე და მალე იქაც მომაგნო.

– მე დამდევთ თუ რაშია საქმე? – შევუღრინე.

– ცოტა ჭკუას მოუხმე და ხმას დაუწიე, – უფრო აგრესიულად შემომიღრინა, – სულ წავიდა ხელიდან ახალგაზრდობა, აღარც უფროსი იციან და აღარც უმცროსი, – წელში გაიმართა, ცოცხი ერთი ხელიდან მეორეში გადაიტანა, ამომხედა, რამდენადაც შეეძლო, იმდენად დამაკვირდა, მაგრამ ეტყობა, ვერ მიცნო და შემოტევა გააგრძელა, – ჩვენი სტუდენტი ხარ?

– რა თქმა უნდა.

– აქ ყველას ვიცნობ და შენ ვერ გიხსენებ?

– ლიტმცოდნეობის ლექტორის ვინ ხართ? – კითხვას კითხვა შევაგებე და დაბნეული დამლაგებლის სახის ყურებით ვტკბები.

– მაგი ვინაა? – მკითხა პაუზის შემდეგ, – მასაც ეუცხოები?

– ხოო, ხუმრობს, როცა კაი ხასიათზეა.

– თქვენს ხელში ხასიათს რა გაუფუჭებს კაცს... – შეებრალა ლექტორი დამლაგებელს და ვატყობ ორჭოფობს, დამშვიდობება უჭირს, – არ იტყუები, ხომ?

– როგორ გეკადრებათ, – ვიწყინე შენიშვნა.

– შორიდან რას შეგატყობს კაცი, ანგელოზებს გავხართ... უფრთო ანგელოზებს... – ცოცხი მოიმარჯვა და ის ის იყო დაგვა უნდა გაეგრძელებინა, რომ მომიბრუნდა და – აქ რატომ ხარ ატუზული, ვის უცდი? – გამომწვევად მკითხა.

– ერთ ლამაზ გოგოს? – ისე ვუთხარი, რომ სიტყვებში მთელი გრძნობა, სული და გული ჩავაყოლე.

– შეენ, ლამაზ გოგოს არა?... – აშკარად შეეტყო, არ დამიჯერა, – სარკეში არ იხედები?

– წვერს რომ ვიპარსავ, მაშინ კი... – ვატყობ, მაბრაზებს უკვე.

– პირს რამდენჯერ იბან კვირაში? – ჩამზდია საფლავში. რასაც ვერ დავუკარგავ, კარგი იუმორის გრძნობა აღმოაჩნდა...

– სტეპანოვკაზე წყალი ხშირად გრაფიკით მოდის, ასე რომ გამართლებას გააჩნია, თუ მივუსწარი ხომ კაი, თუ დავაგვიანებ, მაშინ ნაბელლავით გავდივარ ფონს... ესეც იმ შემთხვევაში, ჩვენს სასურსათო მაღაზიას ნაბელლავი და მე, მისი საყიდელი ფული თუ აღმომაჩნდება... – ავყევი ლაზღანდარობაში.

გახალისებული დამლაგებელი კორიდორის მოხვეტას აღარ ჩქარობს.

– ამ გოგოს ხომ არ ელოდები? – მკითხა მოულოდნელად და გვერდით გამახედა.

კიბეებიდან ჩამოსული ნაილე ორიოდ მეტრში, ჩემ ზურგსუკან დგას და რაც ყველაზე მეტად შვენის, იმას აკეთებს, იღიმის.

– თქვენ კი არ დამიჯერეთ, – ნიშნისმოგებით ვუთხარი დამლაგებელს და ნაილესკენ მივბრუნდი.

– მერე, პატრონი არ ჰყავს მაგ გოგოს? – დამაწია ნაილესკენ მიმავალს გზაში.

– უკვე კი... – უკანმიუხედავად მივაძახე დამლაგებელს, ნაილეს მივუახლოვდი, სხვათა შორის შევხედე და შევუღრინე:

– როგორც იქნა, გამოეტიე აუდიტორიიდან? – მინდოდა ცივი, გაბრაზებული და თავდაჯერებული კაცის ხმა მქონოდა, მოვინდომე კიდეც, მაგრამ საბოლოო შედეგის მისაღებად, სამსახიობო ნიჭი დამაკლდა.

– რაო, პირდაუბანელო, რა საშინელი აღელვება გცოდნია... არ გიხდება... – ამის გამგონე კი შევიჭმუჭნე. მოვინდომე კიდეც, მაგრამ ვერ გავუბრაზდი. პირდაუბანელები თავისკენ, ქობულეთის სოფლებში მოიკითხოს, – გავიფიქრე ჩემთვის და რაკი გული ენის უთქმელად მოვიფხანე, ნასიამოვნები, დავწყნარდი კიდეც.

ერთად გამოვედით უნივერსიტეტიდან. ის ენას არ იღებს, მე – ენის გაჩერება მიჭირს. რამდენი ნაბიჯის გადადგმა შემეძლო ასეთ გაუტანელ ვითარებაში? ათი, ასი, ასორმოცდაათის...

– იქნებ აღმოსავლური ტკბილეულობის კაფეში შევიდეთ, ნამცხვარი, ყავა, წვენები... აქებენ...

ვცდილობ ხელიდან არ დამისხლტეს.

– აა, დაპატიჟებასაც ბედავ? – როგორ დაამუშავა ტაქტიკა. შეუძლია, შენსკენ არც გამოიხედოს, მაგრამ ნერვები მშვენივრად მოგიშალოს, – სადაა ბოდიში? მეტს აღარ ვიზამ? ეს ერთი მაპატიე... უნებლიედ მომივიდა...

– მაგას ვერ შეგპირდები ნაილე, დიდი ბოდიში, – ეტყობა, იმდენად გულწრფელი გამომივიდა ნათქვამი, რომ ნაილემ სიცილი ვერ შეიკავა.

– და ამას აღიარებ კიდეც?

– სრული პასუხისმგებლობით.

– კაი ერთი.

კაფეში ზედმეტი თავპატიჟის გარეშე წამყვა. დრამატული თეტრის წინ მდებარე, ახლად გახსნილი კაფე საზღვაო სეზონზე კლიენტების სიმცირეს არ უჩიოდა, ახლა სხვა რეალობა იყო, დამსვენებლები და ტურისტები წავიდნენ, ქალაქში მცხოვრებლებს აქაური ფასები ისე აფრ-

თხობდა, როგორც უსტუდბილეთო სტუდენტებს ინსტიტუტში არ შეშვებით კარისკაცი.

კაფე ფერადი სარკეებით და ჩუქურთმებით, გემოვნებიანად იყო მორთული. უამრავ თაროზე იმდენი ნამცხვარი ელაგა და ისე მადის აღმძვრელად გამოიყურებოდა, რომ ჯანმრთელ კაცსაც თავის შეკავება გაგიჭირდებოდა. ეკლერს შევჭამო, ნაილემ. მე ნაპოლეონი მიყვარს და გული გავიხარე. ყავა არც ჰქონდათ, დილით უნდა შემოეტანათ და იგვიანებენო. სანაცვლოდ ჩაი შემოგვთავაზეს და ჩვენც დავყაბულდით.

– გემრიელია? – ვკითხე ნაილეს, როცა ნამცხვრის უმეტესობას წირვა გამოულო.

თავი გამიქნია, კიო.

– ჩემიც... – არ მინდა, შეფასებაში ჩამოვრჩე.

ჩაი ახალანადუღარია და გაგრილებას ველოდებით.

მანამ კი...

– საშინლად მეწვის ლოყა, – დავიჩივლე.

ნაილემ ფინჯანში კენჭი შაქრის მორევას თავი დაანება, ამომხედა და მშვიდად მითხრა: – დაიმსახურე... – შემდეგ მომიჩოჩდა, თითები დასჯილ ლოყაზე მომისვა, – მოგრჩენია უკვე, შენ კი ისევ წუწუნებ, არც გრცხვენია?

– ძლივს გადამარჩინეს შინაურებმა.

– რომელმა სასიკვდილემ გაგიმეტა ასე, არ გამიმხელ?

– უგულო ხალხს რა გამოლევს ამ ქვეყნაზე.

– კაი ერთი...

გარკვევით დავინახე, ახალგაზრდა კაცმა ხელით რაღაც ანიშნა დახლთან მდგომ იმ გოგონას, ჩვენ რომ მოგვემსახურა და ორივე დახლს იქით გაუჩინარდა. ასე დავრჩით მარტოდ ამდენ სიტკბოებში ჩაკარგულები მე, ნაილე, მოზღვავებული და ძნელად მოსათოკი, გაუხარჯავი ენერგია, მორჩენილი ლოყა, რომელიც ხელმეორედ შემოლაწუნებაზე, კაი ხანია, ყაბულს იყო.

– ნაილე, იცი... – რაღაც განსაკუთრებული და გამორჩეული მინდა ვუთხრა, მაგრამ სიტყვები გამირბის და ვერ ვიმორჩილებ. ასეთი რამ პირველად მემართება და რატომ, ვერც ამას ვხდები.

– ვიცი, – ნაილეს შინაგანი სიმშვიდე მაოცებს.

– ჯერ არაფერი მითქვამს.

– ვინ გიშლის მერე ხელს, ციცერონო?

– შენ მიშლი...

– კაი ერთი...

ნაილეს დიდრონი თვალები უსაზღვრო, დამთრგუნველ და ამაოხრებელ სითბოს გადმოსცემდნენ, რომლის გაძლება შეუძლებელი და ამავე დროს, სასიამოვნო იყო. იჯდა ჩემს გვერდით გაყურსული, იღიმოდა და ირგვლივ ყველაფერს უცვლიდა სახეს, ფერს, გემოს. მეც მაგრძნობინებდა, რომ მის გვერდით სხვა ადამიანი ვიყავი, იმის მიუხედავად, მინდოდა ეს თუ არა.

– კიდევ გეწვის? – მეკითხება და ლოყაზე ისევ ვგრძნობ მისი თითების სითბოს.

– ძალიან, – უცხვირპიროდ ვიტყუები.

– საწყალი ბიჭი.

– თანაც, როგორი...

ნაილეს უფრო მივუახლოვდი, თმის ჩამოვარდნილი კულულები გავუსწორე და ის იყო, მისი სახე ჩემსკენ უნდა მომებრუნებინა, რომ შეტყუპებული ხუთივე თითი ტუჩებზე ამაფარა.

– არ გინდა, გთხოვ...

მე მისი თითები ჩემს ხელში მოვაქციე და ასე ვიყავით გაყუჩებული ერთხანს, შემდეგ კი ძალიან ახლოდან ვიგრძენი ნაილეს აჩქარებული სუნთქვა, ნამცხვრის არომატი და სამტრედიული მარწყვის ძნელად დასავიწყი გემოც. იმ მარწყვის, სიმწიფეში გადაზრდა რომ დაეწყო უკვე...

აგრესიის მომლოდინე მარცხენა ლოყა ლოდინისგან დაიღალა. მუჭში მომწყვდეული ნაილეს თითები გათავისუფლების სურვილსაც არ ამჟღავნებდა და ეს უზომოდ მახარებდა.

– კარგად ხომ ხარ? – ნიკაპი წამოვუწიე, დანისლულ სახეში ჩავხედე და გაბუტულ თვალებს მზერა ვერ გავუსწორე, – გაგიცივდა ჩაი...

– კაი ერთი... – დამყოლი ხმით მითხრა, ხელი გაითავისუფლა, რამდენიმე წამით შემომხედა, მის ადგილზე გადაჯდა და ფინჯანი აიღო.

* * *

სტუდენტურ საერთო საცხოვრებელს, იმ დროისთვის, მშვენიერი სასადილო ჰქონდა. ერთ მანეთად ისე გამოძღებოდი, ხასიათგამოკეთებული, ინსტიტუტის დერეფანში რომ შეგხვედროდა, დიალექტოლოგიის ლექტორსაც შეუხსენებლად იცნობდი. უცხო ენების, შეიძლება გაგჭირვებოდა, რადგან ხშირად გვიცდენდა ლექციებს. მარტო სექტემბერ-ოქტომბერში, ორჯერ გათხოვდა და გამობრუნდა უკან, ხასიათით ვერ შეეწყოო, ასე ითქვა. ისე, დასაწუნზე მეტს, ჩემთვის რომ ვინმეს აზრი ეკითხა, მოსაწონს უფრო მოვუძებნიდი. გამართულად ფლობდა ფრანგულ ენას, იოლად პოულობდა საერთო ენას აუდიტორიასთან, ლექციიდან გათავისუფლებაზე არავის ეუბნებოდა უარს, უყვარდა სუნამოებზე, ჩასაცმელზე, ჯაზზე და მკერდგანიერ, ჩაფსკვნილ ბიჭებზე საუბარი. იცვამდა მოკლე კაბას და მაგიდას რომ მიუჯდებოდა, გამოკვეთილად შვენოდა ფეხის ფეხზე გადადება. ამ დროს ბიჭები ვიყავით თხელი, მზემონატრებული, მომნუსხველი კანჭების ჭუტუნში და იმავდროულად თანაკურსელი გოგონების გაგულისებული და დამცინავი მზერით გარემოცულნი.

– ორი აჭარული, ვინ უცდის ხაჭაპურებს? – ხმამაღლა კითხულობს დახლიდან თმაშეთხელებული ვასო გაბაიძე, სტუდენტების თვალში მეტად დაფასებული, საყვარელი და ნისიებგანაწვალები კაცი, – გამოცხვა უკვე და აღირსეთ წაღება.

საერთო საცხოვრებლის ბინადარი და ჩემი უცვლელი მასპინძელი, თანაკურსელი ომარ მეგრელიძე უკვე დახლთანაა, ფულს იხდის და ჯერ ხაჭაპურები მოაქვს, შემდეგ ორი ბოთლი ლიმონათი, პატარა თეფშზე დაწყობილი რამდენიმე ნაჭერი კარაქი და პატარა ჭიქებში ჩასხმული არაჟანი.

– შეგვერგოს... – დაილოცა და მკლავაკაპიწებულები შევუდექით სტუდენტისათვის ფრიად ამაღელვებელ და სასიამოვნო საქმიანობას.

გვარიანად მოგვშიებია თურმე, მადიანად ვილუკმებით. თან აქ ყველაფერი გვეგემრიელება, ვახშამი, სადილი, სამხარიც. პირველი, მეორე, მესამეც... თვალი შეეჩვია და მოგვწონს კიდეც წუწუნა დახლიდარი, ლოყებღაჟღაჟა შეფ-პოვარი რიფათ გამარჯობაშვილი, ყველაფერზე უკმაყოფილო სასადილოს გამგე ანუ როგორც ზურგსუკან ეძახიან, თავბეყვერა ვახტანგა სიამაშვილი, ამ დროს რომ შეეფერება, იმ ჭკუაზე მყოფი ჟუჟუნა დამლაგებელი, რომლის გვარი, მე კი არა, შეიძლება, მასაც არ ახსოვდეს, მუდამ გაღიმებული და შესაშურად, აბდლურად მოლაპარაკე. ასეა ახლაც, სულ რამდენიმე წუთია, რაც გამოჩნდა და ბობოქრობს.

– რა გჭირს, შე უმგვანო, პირიდან რომ გიცვივა საჭმელი, ენით უნდა აგატლაკიოს კაცმა პოლიდან... – გაუწყრა ერთს.

– ჭამის დროს რომ არ უნდა იტლიკინოთ, არ უსწავლებიათ ჯერ თუ რაშია საქმე? რატომ გიყრიათ ნახმარი სალფეთქები ძირს? – მიწვდა გვერდით მსხდომ გოგო-ბიჭს.

– ასე თხლად რომ გაცვია, გოვ, რომ გაცივდე, გყავს მომვლელი? – სპორტულად ჩაცმული თამუნია წულუკიძის ჭირისუფლით დაინტერესდა ქალბატონი ჟუჟუნა და ხარბად გააყოლა თვალები გოგოს შხვართ ტანს.

– ერთი ამას დამიხედეთ, შეკრებილან ბიჭები, ხელი თუ დაიბანეთ ჭამის წინ, თქვე მოდღურულებო? – ალმაცერად გადახედა პირველკურსელ სამ ბიჭს და იმათაც, ხელის მტევნები ამოატრიალეს იმის დასტურად, სუფთა რომ ჰქონდათ.

– თავის სტიქიაშია... – თვალით ჟუჟუნაზე მიმანიშნა, – დროზე მოვრჩეთ, თორემ ჩვენც მოგვდგება.

– შეეშვი, გაახაროს მისი ჭია, – ჟუჟუნა მახალისებს, უბოროტო ქალია და ამით ბევრს ჯობნის.

– მაგან ვის რა უნდა დაუშავოს, ბეჩია, – დაასკვნა ომარმა.

– იყოს მერე...

ჟუჟუნა მას მერე დამამახსოვრდა, რაც თანაკლასელმა ჯუმბერ ბერაძემ სახალისო ტაეპი

გამოუთქვა, რომელიც ყოველთვის ეშლებოდა. ჟუჟუნას ქმარი არასოდეს ჰყოლია. ალალი შრომით, პირველი საყვარლიდან ერთი შვილი გააჩინა, მეორედან – მეორე. ქალიშვილი იათამზე იშვიათი სილამაზით და გონიერებით გამოირჩეოდა, ბიჭი გენადი კი ეტყობა, ხასიათით და მანერებში დედას, ფიზიკური მონაცემებით, უფრო მამას დაემსგავსა, ჩამსახველივით მასაც რაქიტიანივით დიდი თავი, უხეში, სქელი წამწამები, ამობურცული მუქი წითელი ტუჩები და ლაბრადორივით ჩამოყრილი ყურები ჰქონდა. როცა ლაპარაკობდა, ენასაც უკიდებდა ხოლმე. გოგო მამასთან იზრდებოდა და დედასთან დროდადრო მოდიოდა, ბიჭი კი, დაწყებითი კლასების მოსწავლე, სკოლას იშვიათად სტუმრობდა, სამაგიეროდ, არამარტო სტუდენტთა სასადილოს სტუმარი, ხშირად ჩვენი მაგიდის მუდმივი წევრიც იყო. ყოველთვის ბევრს ჭამდა და გაძღომას ვერასოდეს ხდებოდა. რატომღაც ყველას გვეცოდებოდა და ყველა ვეფერებოდით...

ერთ დღესაც ჯუმბერმა, ნასადილევს, კარგად დანაყრებულმა ჟუჟუნას მოსწრებულს გადახედა და გამოთქმით თქვა:

გენადი, გენადი,
ყურები გაქვს ფერადი...

– რავალია? – გადმოგვხედა.

– მოგცლია შენაც... – მიიღო პასუხად.

ამ ისტორიის ერთი აღსანიშნავი ნიუანსი ის იყო, რომ არ ყოფილა შემთხვევა ჯუმბერს ტაეპი უშეცდომოდ დაეწყოს. გენადის ნაცვლად სულ ევგენის ამბობდა და როცა რითმას ვერ გამართავდა, მაშინღა მიხვდებოდა და იმ წამსვე გამოასწორებდა შეცდომას.

– გავიდეთ? – მეკითხება ომარი.

– გავიდეთ...

ფეხზე ვდგებით და ოთახში ახლად შემოსულებს ვესალმებით. გენადი დედის გვერდით ზის და ფეხით ცოცხს ეთამაშება.

– როგორ ხარ გენადი? – ბავშვი მოიკითხა ომარმა.

გენადიმ ამოგვხედა, შეგვამჩნია, გაგვიღიმა და ცერა თითი გვაჩვენა, ასე ვარო.

– შეჭამ რამეს? ოღონდ დროზე გვითხარი, გვეჩქარება... – არ მოეშვა ომარი.

გენადი ჯერ დედას მიაშტერდა, დაელოდა, რას მეტყვისო. შემდეგ სკამიდან წამოხტა, ომარს ხელი ჩაავლო და დახლის ვიტრინისკენ წაიყვანა.

– აი, ეს პიროჟნი მინდა და კიდო, ერთი ბოთლი ტარხუნა... – კაი დაზეპირებულივით ჩაარაკრაკა.

ავუსრულეთ გენადის სურვილი.

– მთლად გამიმსუნაგეს ბაღვი... – მოგვაძახა დედამისმა და სანამ ცოცხს კუთხეში მიდგამდა, შუბლზე ოფლი და თვალზე ცრემლი მოიწმინდა, – ღმერთმა ხელი მოგიმართოს ბიჭებო... – დაგვაწია საგზლად.

– შენ საით? – შუქნიშანთან მკითხა ომარმა.

– გავუყვები ამ ქუჩას ღიღინ-ღიღინით... – ხალისიანად მივუგე.

– შეეცადე, ხმადაბლა იღიღინო, რამდენადაც მახსოვს, სმენა შენ არ გაქვს, გამორჩეული ვოკალური მონაცემები და მაინცადამაინც, არც ზრდილობა უნდა გაწუხებდეს დიდად... – გამაფრთხილა გამომშვიდობებისას სახეგაბადრულმა ომარმა.

– გავითვალისწინებ შენ რჩევებს.

– ისე, დროს თუ გამონახავ და საღამოს ამოირბენ ჩვენთან, ჯოკერს შევუბერავდით სანაძლეოზე. მოსულა?

– მოსულა. – ხელი ხელს დავკარით და დავშორდით.

ბათუმში უჩვეულოდ თბილი ოქტომბერი დგას. ტროტუარზე უამრავი ფერგახუნებული, მაგრამ ჯერ კიდევ სილამაზე შენარჩუნებული ფოთოლი ფრიალებს და გამვლელ-გამომლელს ფეხქვეშ ეგება. ერთი სიამოვნებაა ამ დროს ფეხით სიარული. ნელი ნაბიჯებით დადიხარ და რაზეც გინდა, იმაზე ფიქრობ და ოცნებობ, ხარ შენთვის, წყნარად, მშვიდად, შეუმჩნევლად, აშენე და ანგრიე, ალამაზე და როგორც გინდა, ისე გადაასხვაფერე მთელი დუნია, კაციშვილი არ გერჩის. არც მადლობას გეტყვის და არც გასაწირად გაგიმეტებს ვინმე... ესაა ოღონდ, და-

კვირვებული უნდა იარო, ტროტუარზე არავის შეეჯახო და უმალ რეალობაში არ მოადინო ბრაგვანი, თორემ წუთისოფლის სიამტკბილობის გემოს მაშინვე იგემებ...

– რომელი საათი იქნება, ხომ არ მეტყვით? – მკითხა გამვლელმა ქალმა და პასუხის მოლოდინში, გვერდით გამიჩერდა.

მაჯის საათს დავხედე.

– თორმეტი სრულდება.

– მადლობა შვილო, – თავაზიანად მომიგო, განმშორდა და თან წაიყოლა იაფფასიანი სუნამოს მძაფრი სურნელი.

„ნეტავ ნაილე სადაა ახლა? – გავივლე გულში. ვიცოდი, გუშინ ავტობუსით წავიდა სოფელში, არ გამიცილებია, შეთანხმება გვაქვს ასეთი, ჯერჯერობით, ერთად მხოლოდ ინსტიტუტში ან ინსტიტუტის სიახლოვეს თუ გავივლით, ვინმეს გასაჭორი რომ არ გავხდეთ, უფრო იმიტომ, ვინ რას იტყოდა, სულ ფეხებზე მეკიდა, ნაილე იყო სხვა აზრის და მეც ჯენტლმენურად მის გვერდით ვიდექი. იტყოდა არას და ამით მთავრდებოდა ნებისმიერი ჩემი წამოწყება, იდეა, შეთავაზება, აღფრთოვანება და აღტკინება. ამას წინათ თეატრში ვიყავით. არ უთქვამს უარი, პირიქით, შემდეგ შაბათ-კვირას, თუ აქეთ დავრჩი, აუცილებლად წავიდეთო, მითხრა. ვიცოდი, პირობის შესრულება უყვარდა. ეს იყო, რომ ძალიან იშვიათად იცოდა დაპირება. კლდიაშვილის „დარისპანის გასაჭირი“ ვნახეთ. იარუსზე ვიღაც თანასოფლელ გოგონას მოკრა თვალი, მაგარი ჭორიკანა ვინმეაო, ყურში ჩამჩურჩულა, მიმატოვა და წინა რიგში გადაჯდა. მთელი წარმოდგენა ერთი თვალით სცენას ვუყურებდი, მეორეთი ნაილეს, რომელსაც სპექტაკლის დაწყებამდე, გვერდით თმაგაწეწილი, ტანში ბუზანკალშემძვრალი, მოუსვენარი, ყურებდაცქვეტილი, შილიფად და უდიერად ჩაცმული შუახნის კაცი მიუჯდა. ჩემს ადგილზე იჯდა ის კაცი და დარისპანზე უფრო მიშლიდა ნერვებს. ზოგჯერ ნაილესაც გადაულაპარაკებდა რამდენიმე სიტყვას და ვატყობდი, უკვე მიტყეპის რეალური კანდიდატიც იყო. თეატრში სალაზღანდაროდ ვინ დადის, ერთი მითხარით... ნაილეც, ჩემდა დასანახად, ხელების მკვეთრი მოძრაობით, რაღაცას აუხსნიდა თანამოსაუბრეს და ამ ღრმად შინაარსიანი ბაასის დამთავრების შემდეგ, ვითომ სხვათაშორის, ამომხედავდა კმაყოფილი და გამომწვევი სახით... ანტრაქტზე შევუღრინე და ადგილების გაცვლა შევთავაზე, მაგრამ იუარა.

– მე ჩემი მომწონს და შენზე თუ გწყდება გული, სხვა მოძებნე, ხელს ვინ გიშლის, თავისუფალი ადგილების მეტი რაა, გადაჯექი, სადაც გინდა, გაგიწყრება ვინმე თუ რაა?

– არ დაგეკარგოს... – მრავალმნიშვნელოვნად ჩავილაპარაკე და ვითომ ძაან მაინტერესებდა, პირველი იარუსიდან ჩამოსული თეტრმოყვარულების თვალიერება დავიწყე.

– ვინ? – ვითომ ვერ მიმიხვდა ნათქვამს ნაილე, მთელი სერიოზულობით მეკითხება და რაკი ყურადღებას არ ვაქცევ, ბლუზაზე მექაჩება, – ვის გულისხმობ?

– ჰო, გაიკვირვე და გაიშტერე თავი, მაგი კარგად გამოგდის, – ვერ ავუშალე ნერვები ქალბატონს, იმუნიტეტიც გამოუმუშავდა ამასობაში, – წამდაუწუმ, რაღაცას რომ გეკითხება და არ გასვენებს, იმას ვგულისხმობ, იქნებ ენატრები კიდეც ახლა, არ ალოდინო, ცოდოა, იქნებ, მისი მარტო დატოვებაც არ შეიძლება, მარცხი ელანძეა, შენ ხომ ჩემზე უკეთ იცი, ყეზას თვალი არ უჩანს...

– იმაიმუნე, ხო იმაიმუნე... – დამყოლი ხმით მეუბნება ნაილე, – სხვათაშორის, თბილისელი რეჟისორია, დამწყები და პერსპექტიული.

– ეს საიდან გაიგე, მან გითხრა?

– ჰო, არ დაუმალავს...

– საშინელებაა ნიჭიერება, კისერს სად მოგტეხავს, ვერ ამოიცნობ...

– მალე, რომელიღაც თეატრალურ სარდაფში მისი სპექტაკლის პრემიერა გაიმართება...

– დაპატიჟებაც მოასწრო უკვე?

– ჯერ არა, მაგრამ გული მიგრძნობს, არ გამომტოვებს.

– მარტო არ წახვიდე, წამოგყვები, ხომ იცი, როგორ მიყვარს ხელოვნება?

– ვინ გითხრა, რომ მარტო ვიქნები? – ისე გაიკვირვა, ლამის მეც დამაჯერა მის გულწრფელობაში.

ამასობაში ანტრაქტის დამამთავრებელი ზარის ხმაც გაისმა. რამდენიმე წუთიანი დასვენებით გონებაგაგრილებული ხელოვნებამოყვარულები აფუსფუსდნენ და დარბაზისკენ დაიძრნენ. ბუფეტში შეკრებილებმა უფრო დააჩქარეს ნაყიდი ტკბილეულის მირთმევის ტემპი, ერთმა ფინჯანიდან ისე ღრმად მოსვა გაგრილებული ყავა, რომ ეტყობა, ყორყში გადაცდა და მოსასულიერებელი დაურჩა ტექპორსენალს. მათ შესაქებად უსათუოდ უნდა ითქვას ის, რომ შორს მიმავალი პერსპექტივის მქონე ინციდენტის განეიტრალება მცირე დაძაბულობის ფონზე მოახერხეს და თეატრს ერთგული მაყურებელი შეუნარჩუნეს, ბუფეტს კი ბიუჯეტიანი კლიენტი.

ნაილე როდის დავკარგე, ვერ მივხდი. ხალხის ნაკადს უნებურად გავყევი და ჩემი სავარძელი მოვნახე. ჩავჯექი თუ არა, თვალები ქვედა რიგისკენ გამექცა. ნაცნობ ადგილას ორი ცარიელი სკამი ობოლივით გამოიყურებოდა. შემდეგ ერთი სკამი აწ უკვე ნაცნობი რეჟისორით შეივსო... ის ის იყო, შუქი ჩაქრა და დარბაზი გაიტრუნა, როცა ნაილეს ხმამ მომძებნა.

– ხელი მომეცი, ვერაფერს ვხედავ...

წავეშველე, ნაილე გვერდით მომიჯდა და როცა სცენა განათდა, თითები ტუჩთან მიიტანა და მანიშნა, ჩუმად ვყოფილიყავი.

კმაყოფილს და დაწყნარებულს არაფერი მითქვამს, მთელი სპექტაკლის განმავლობაში დარისპანის გვერდით ვიყავი და მის ჭირსა და ვარამს ვიზიარებდი. გულის მოსაფხანად და საკუთარი ეგოს დასაკმაყოფილებლად, სულ რამდენჯერმე ავხედე ნაილეს, რათა კიდევ ერთხელ, თანაც მერამდენედ დავრწმუნებულიყავი, რომ გვერდით ნამდვილად ჩემი ანგელოზი მეჯდა და ჩემი სურვილი რეალურად და არა ჰალუცინაციებით იყო დაკმაყოფილებული.

თეატრიდან მაინც ცალ-ცალკე გამოვედით. შორეული ნათესავი შეხვედრია ანტრაქტზე და წარმოდგენის დამთავრებისთანავე გამშორდა. მე კი უსაზღვროდ ბედნიერი ერთხანს დიდი სიამოვნებით ვუყურებდი თბილისელ რეჟისორს, მის გვერდით ცარიელ სკამს და ემოციურად ვუკრავდი ტაშს სცენაზე რამდენჯერმე ბისზე გამოსულ მსახიობებს, რომლებმაც მეორე განყოფილებაში გამოკვეთილად კარგად ითამაშეს და მარტო მე კი არა, მრავალრიცხოვან აუდიტორიასაც მხურვალე ოვაციები მოსტაცეს.

* * *

უთუოდ განგების სურვილი იყო იმ დღეს ჩვენი მოულოდნელი შეხვედრა. ზოგადად, ერთი რამ მტკიცედ ჩავიბეჭდე გულში, დიდი სურვილის მიუხედავათ, არაფერი დამეჩქარებინა. დავიჯერე, რომ რაც ჩემი იყო, ვერავინ შემეცილებოდა და წამართმევდა. რაც არ მეკუთნოდა, თავგადაკლული მონდომების მიუხედავად, ვერასდროს მივიღებდი. მინდოდა, ყოველთვის გამოუსწორებელი ოპტიმისტი, რომანტიკოსი და სულიერად გაწონასწორებული ადამიანი ვყოფილიყავი, ბევრი სიხარულით, სიყვარულით, მეგობრით, თავგადასავლებით, და რა თქმა უნდა, თანატოლებისგან გამორჩეული, ოღონდ არა გამაღიზიანებელი, გამომწვევი და ნერვების მომშლელი. მწამდა ბედისწერის და უბედობას არ ვუჩიოდი დღემდე მაინც. კი მენატრებოდა ნაილე, ერთი სული მქონდა მენახა და მასთან მესაუბრა, მაგრამ ეს როგორ მომეხერხებინა, არ ვიცოდი. ამიტომ, უცოდინარი კაცის კვალობაზე, უდარდელად დავბოდიალობდი ქალაქში და შემოდგომის შემობრძანებას მაღაზიის დახლებზე დალაგებული ხილ-ბოსტნეულის მრავალფეროვნებით და ჭირვეული მყიდველების უკმაყოფილებით ვაფასებდი. ვერც კი შევამჩნიე, როგორ აღვმოვჩნდი ნაილეს ხუთსართულიანის სიახლოვეს. კიდევ კარგი, დროულად გამოვფხიზლდი. სადარბაზოსთან ახალთახალი „ვოლგაა" გაჩერებული, კარებ და საბარგულ გახსნილი. სადარბაზოდან ნაილე გამოდის და იქვე მდგომ ქალს მიმართავს.

– დედა, კიდევ დარჩა რამე ასატანი?

სანამ ქალი რაიმეს უპასუხებდა, წინა სავარძლიდან შუახანს გვარიანად გადაცილებული

კაცი გადმოვიდა, მანქანიდან ყუთით გაყვითლება დაწყებული მანდარინი გადმოიტანა და ტროტუარზე დადო.

– მოიცა შვილო, ამას ხასანი ეპატრონება, ჩამოვა და აგიტანს... – კაცის ბოხ ხმაში თავდაჯერება, ცოტა სუსხი და ქობულეთელებისთვის დამახასიათებელი ქედმაღლობა იგრძნობა.

– ამდენ მანდარინას ვერ მოვერევით... – ეს ნაილეა.

– თანაკურსელებს გაასინჯე, მეზობლებს მოუკითხე, შენც გიყვარს და არ მოინატრო, – ამბობს ქალი და ვამჩნევ, რომ იგი საგრძნობლად ჰგავს ნაილეს.

სუსტი, შავტუხა და უჭმელის შთაბეჭდილებას რომ დატოვებდა, ისეთი შესახედაობის ბიჭი გამოძვრა სადარბაზოს კარებიდან და კიდევ რა გავაკეთოო, იკითხა.

– ამ ყუთს ეპატრონები? – ჰკითხა კაცმა.

– რა პრობლემაა რიზა ეფენდი... – სასაცილოდ არ ეყო უხორცო ბიჭს, – პავილიონში ათასობით გადაგვაქვს.

– აბა, აარბენინე მესამე სართულზე და დღეისთვის, მოვრჩით, მგონია... – კაცს სათქმელი დამთავრებული არ ჰქონდა, ბიჭი და ყუთი თვალს იყო მიფარებული.

ნაილე ქალმა გვერდით გაიყვანა და, აშკარად, კაცს რომ არ დაენახა, მუჭაში რაღაც ჩაუკუჭა. ნაილემაც, ზედმეტი თავპატიჟის გარეშე, მორიდებით, მაგრამ კმაყოფილმა გამოართვა დედას ფული და არც დაუხედავს, ისე შესაშური ოსტატობით შეინახა უბეში. შემდეგ ქალს ჩაეხუტა და გაილურსა.

– ხატიჯე, მოდი ჩემთან... – დაუძახა კაცმა და ნაილეც უმალ მასთან გაჩნდა. ახლა კაცმა მიმოიხედა ირგვლივ, ქალმაც მზერა შეგნებულად განარიდა და მანქანაში, შოფრის გვერდით, სავარძელში ისე მოკალათდა, რომ ამათთვის ყურადღებაც არ მიუქცევია.

კაცმა ჯიბიდან ტკიცინა ათმანეთიანები ამოიღო და გოგოს გაუწოდა. თავისკენ მოიზიდა და შუბლზე აკოცა.

– აბა შენ იცი, ჩემო სიცოცხლე... – უთხრა და გულში ჩაიკრა, – შემდეგ შაბათს გელოდები, ვარდოს ქორწილია, შენი ბიძაშვილის. მანამ დედაშენი ჩამოგაკითხავს საყიდლებიზა და რაც მოგეწონება, შეიძინე. ჩემი ანგელოზი მზეთუნახავივით უნდა გამოიყურებოდეს... – კაციც უზომოდ კმაყოფილი ჩანს და ნაილეს თვალს ვერ აშორებს.

ხასანიც გამოჩნდა და კაცები ავტომობილში ჩასხდნენ. სანამ პარალელურ ქუჩას გადაკვეთავდნენ და გაუჩინარდებოდნენ, მანამ იდგა და უყურებდა მათ ნაილე. ის-ის იყო, სადარბაზოსკენ უნდა შებრუნებულიყო, როცა ჩემი ხმა მოესმა და ყურებს არ დაუჯერა. მომიახლოვდა გაკვირვებული და ხალიასიანი.

– აქ საიდან? – მკითხა.

ვდგავარ, ვდუმვარ და ვუყურებ.

– დაყრუვდი, აქ რა გინდა?

– როგორ ხარ ხატიჯე? – გამოგონილი სიმშვიდით ვეკითხები და საპასუხო რეაქციას ველოდები.

– რაო? – ყურებს არ უჯერებს, – არ გაბედო, – მაფრთხილებს.

– რატომ?

– ასე მხოლოდ მამა მეძახის და სხვა არავინ.

– მე სხვა არ ვარ... – გავდიდგულდი.

– მაინც... – ხმაში სიცივე გაერია, – როგორ გაიგე?

– მანქანას რომ მართავდა, იმ კაცმა დაგიძახა.

– ეგ კაცი მამაჩემია. მან შემარქვა და მის მეტი ნათესაობაში არავინ მეძახის.

– გამოდის, დღეიდან ორი დაგიძახებთ...

– არც იოცნებო.

– მაგასაც ნახავ... – შევპირდი.

უცებ ნაილე გამოცოცხლდა.

– ოთახის კარი ღიაა, ახლა გამახსენდა. უნდა ავიდე. სახლში არავინაა, გულნაზი ჯერ არ ჩამოსულა ჩაქვიდან, – რამდენიმე ნაბიჯი გადადგა და შეჩერდა, – უსაქმურო, შენ სადმე ხომ არ გეჩქარება?

– საქმეებს რა გამოლევს, მარა, თუ შენ მთხოვ, გადავდებ ყველას, – ჩემი ერთგულება უმალ დავუდასტურე.

– კაი ერთი... – მომიგო და ხელით მანიშნა, დამელოდეო.

მართლაც, მალე ჩამოვიდა. ხელში მუქი ფერის ცელოფნის პარკი ეჭირა, მანდარინით პირამდე სავსე.

– აქვე ახლოს, სკვერის დასაწყისში, ფანჩატურია, მეზობლებმა მოაწყვეს, წამო, ამ დროს შეიძლება არავინ იყოს, ოჯახის მანდარინს გაგასინჯებ...

– ნება თქვენია, ხატიჯე... – პარკის გამოსართმევად ხელი გავუწოდე, მაგრამ უარი მივიღე.

– მე რა გთხოვე? – წარბშეკრული მეუბნება იგი და ადგილიდან არ იძვრის.

– და მე რას შეგპირდი?

– უცხვირპირო ხარ...

– მსმენია უკვე, – ხელს ისევ ვუწვდი, ამჯერად, მაძლევს პარკს და ფანჩატურისკენ მივდივართ. ის – მონატრებული და გაბუტული, მე – -მანდარინის დასაგემოვნებლად გახაზირებული და მის გასაბრაზებლად, ყოველთვის მზად მყოფი.

გაგვიმართლა, სკვერში არავინ იყო. პატარა, კოხტა მაგიდა და ჯერ კიდევ დაუმტრეველი სკამები დაგვხდა. მოშორებით, სპორტულ მოედანზე, ბავშვები კალათბურთს თამაშობდნენ.

– წელს კარგად ასხიაო, მამამ... – ნაილემ რამდენიმე ცალი ამოიღო და გარჩევა დაიწყო.

– ამდენს ვინ შეჭამს? – შევიცხადე.

– რასაც მოერევი, შეგერგოს, დანარჩენი სახლში წაიღე, წლის მოსავალია, თქვენებსაც გაასინჯე, – შევატყვე, ბოლო სიტყვებზე ალმური გადაეფარა სახეზე.

– დაგიფასდება მზრუნველობა, – შევაგულიანე და მანდარინი გამოვართვი. უჩვეულოდ ტკბილი და გემრიელი მეჩვენა. მეც გავარჩიე და მივაწოდე.

– დიდი მადლობა... – მზრუნველობას მიფასებს ნაილე.

– შენსავით ლამაზი შეგირჩიე, ხომ გიყვარს მანდარინი?

– კი...

– როგორ შეიძლება ასეთ კარგ გოგოს მანდარინი არ უყვარდეს?

– შეუძლებელია... – დამყოლი ხმით მეუბნება ნაილე და იცინის, – ბავშვობიდან მაგას ვხედავ, ამოსული მაქვს ყელში...

– ხომ არ გცივა? – ნაილეს მეტად შილიფად აცვია და იმიტომ ვკითხე. არაო, მომიგო. ისეთივე მშვიდი, წყნარი და უნალექო საღამოა, როგორც გუშინ იყო, გუშინწინ, იმის წინ... ზოგჯერ ონავარი სიო თუ შეგვახსენებდა თავს, თორემ სხვა მხრივ, საოცნებო საღამო დგებოდა.

– რაღაც მინდა გკითხო, – წამოვიწყე გაუბედავად.

– მკითხე, რაც გინდა, გისმენ.

– მესამე თვე მთავრდება, რაც გაგიცანი და შენების შესახებ, არაფერი ვიცი.

– მაინც, რა გაინტერესებს?

– ყველაფერი.

– სულ ყველაფერი?

– სულ, სულ...

ნაილე ღიმილიანი თვალებით მიყურებს და მორიგ მანდარინს არჩევს.

– მე მეტს ვერ შევჭამ, – გავაფრთხილე.

– მარტო შენს თავზე ფიქრობ... – გამიწყრა და ერთი ლებანი პირში გამომწვევად ჩაიდო, – ორი ძმა მყავს, ერთი ათი წლითაა უფროსი, მეორე ექვსით, მე ნაბოლარა ვარ...

– ნაბოლარა, გაზულუქებული, ნაფერები და გათამამებული... – რამდენიმე სიტყვით დავახასიათე ნაილე და მის აფეთქებას დაველოდე. ნერვიც არ შეტოკებია სახეზე, ისე მშვიდად მომიგო:

– ზუსტად მასეა, ყმაწვილო და მიფრთხილდი.

– ახლა რაღა დროსია, ქალბატონო, ადრიანად უნდა გაგეფრთხილებინე.

– შენაც დროულად გეკითხა, ვაჟბატონო, სანამ ხათაბალაში გაყოფდი თავს.

– ძმები დაოჯახებულები არიან?

– უფროსი, ელვარდი კი, თბილისში სწავლობდა ზოოვეტში, თანაკურსელი მეგრელი გოგო შეუყვარდა, ნინა ამბალია. ჩამოიყვანა არდადეგებზე, გაგვაცნო. ყველას შეგვაყვარა თავი, უშუალო და თბილი გოგო დარჩა, ჩემებსაც

ისე მოეწონათ, რომ წინააღმდეგი არ წავიდნენ. უმაღლესი დაამთავრეს და დაოჯახდნენ. სამი შვილი ჰყავს, ორი ბიჭი და ერთი გოგო. ნუკრიმ წელს მოახრჩო გეპეი, ჯერ ოფოფები უქრის თავში და მასთან ცოლის შერთვაზე საუბარი, მგლის თავზე სახარების კითხვაა.

– საღ ჭკუაზე ყოფილა კაცი, რას ერჩით...

– და არის კიდევ ერთი ამბავი, რომელიც შენ არ იცი და არც მე ვიცი, როგორ მოგიყვე. ოჯახში, შინ თუ გარეთ, ყველა ვერიდებით მასზე საუბარს, მაგრამ ეს სატკივარი არასდროს გვტოვებს, ჩვენთან ერთად ცხოვრობს, ცოცხლობს, სულდგმულობს და ხშირად გვახსენებს თავს. მისი დავიწყება არ შეგვიძლია, რადგან ჩვენი ცხოვრების ღრმა, მოუშუშებელი და მოურჩენელი ჭრილობაა. მას ჩემი უდროოდ დაღუპული და ჰქვია...

– რას ამბობ, არაფერი ვიცოდი...

– მჯერა, – ამოიხვნეშა ნაილემ და ცრემლიანი თვალები ამარიდა, – მამას ჩააკვდა ხელში მესამე შვილი, მაშინ სულ რაღაც ორი წლის იყო ჩემი პატარა და, ვერ გადაარჩინეს, დაუდგენელმა დაავადებამ იმსხვერპლა.

– თუ ასე განიცდი, ნუ მოყვები, არ მინდა, ამად არ მიღირს, – შევეხვეწე.

ნაილემ თავი გააქნია და თხრობა განაგრძო.

– მამას სიცოცხლე არ უნდოდა და თავს იკლავდა, ისე განიცდიდა ტრაგედიას. ორჯერ მიუსწრეს ნალიაში, თავის ჩამოხჩობას რომ ცდილობდა. დეპრესიიდან ვერაფრით გამოიყვანეს. დედა უფრო ძლიერი აღმოჩნდა, გაუსაძლის ტკივილსაც გაუძლო, მამასაც მიხედა, ოჯახს და ბავშვებსაც. წლისთავზე მე გავჩნდი, ახალი სიცოცხლე, მამის გადამრჩენი და ოჯახში სიხარულის შემომტანი. რომ იცოდე, მე მამას გოგო ვარ და სიცოცხლის ბოლომდე მის გოგოდ დავრჩები. ის ერთადერთი ადამიანია დედამიწის ზურგზე, ვისაც უარს ვერასოდეს შევკადრებ. მისი გამოხედვა, სიტყვა და გადაწყვეტილება ყველაფერია ჩემთვის. მანვე ისურვა და დამარქვა ხატიჯე, რვა თვის ვიყავი მაშინ. ასე უთქვამს, ჩემს გადამრჩენელს ჩემი დარქმეული ისეთი სახელი უნდა ჰქონდეს, რომელსაც მხოლოდ მე რომ დავუძახებო. ასეც მოხდა. ყველა ნაილეს მეძახის, მამა კი, როცა მოესურვება ან მარტო დამიგულებს, ხატიჯეს... ნათესაობაში ვერავინ დამიძახებს ხატიჯეს, მამის უზარმაზარი რიდი და მორიდება აქვთ. დედაც იშვიათად მეძახის...

– მე უნდა მაპატიო მაშინ, ნაილე, მეც ძალიან მომწონს ხატიჯე და მამაშენი...

ნაილემ თვალები დამიბრიალა და არაფერი მითხრა.

მცირე ხნით სიჩუმე ჩამოვარდა. ნაილე ანერვიულებული ფცქვნიდა მანდარინებს, მე კი მუსრს ვავლებდი.

– არ გაწყინოს, – შევებრალე ბოლოს.

– გაგახსენდი? – ნიშნის მოგებით მივუგე და გვერდით მივუჩოჩდი.

– ხომ არ გადაირიე, – უხერხულად შეიშმუშნა, – ჩემს ეზოში ხარ...

– დიდი ამბავი.

– დაჯექი შენს ადგილას, – ეს თხოვნა უფრო ბრძანებას ჰგავდა.

წელმოწყვეტილი წამოვდექი და საწყის პოზიციას დავუბრუნდი.

– ახლა მოგწონვარ? – მორიდებით ვკითხე და გარჩეული მანდარინი ხელიდან გამოვაცალე.

– უშნო... – ჩემსკენ არც გამოუხედავს, ისე შემაქო.

– თუ სიკვდილი მიწერია, დაე, შენი თითებით მიწოდებულმა მანდარინმა მომიღოს ბოლო, – ვუთხარი და ნაყოფი პირში ჩავიდე.

– ვერ ეღირსები... – თავი გააქნია მხოლოდ და ფეხზე წამოდგა, – რამდენადაც მახსოვს, ჩქარობდი...

– რაღა დროისაა, შენი გულიზა დავაგვიანე საქმიან შეხვედრაზე...

– ოჰჰ.. – ჩაილაპარაკა თავისთვის, მანდარინის კანები შეაგროვა და ურნაში ჩაყარა.

– ხვალიდან რა დაგიძახო, ნაილე თუ ხატიჯე? – ვიკითხე მოგვიანებით.

– ხატიჯეს დამიძახებ და მოგკლავ იცოდე... – გულწრფელად დამემუქრა.

– არ ხარ მაგის მქნელი.

– ნუ გამომცდი, გაფრთხილებ... – შავი, დიდრონი მოქუფრული თვალებით შემომხედა, მისი მუქარა უფრო ვედრებას ჰგავდა და ეს თვითონაც კარგად იცოდა.

– ვერ წარმოიდგენ, გაბრაზება როგორ გიხდება... – შევაქე.

– კაი ერთი...

ერთი კვირა, ჩვეულებრივ, მოკვლით მემუქრებოდა, მომდევნო კვირას, ალბათ, ჩათვალა უკვე მკვდარი ვიყავი და აღარ დამმუქრებია, შემდეგ თვეს კი ნაილეს დაძახებაზე უკვე აღარ ჰქონდა რეაქცია, ისე შეეჩვია ჩემგან ხატიჯეს დაძახებას. ასე დაიბადა ჩემი ხატიჯე, რომელსაც ამ სახელით, დედამიწის ზურგზე მხოლოდ ორი ადამიანი მოვიხსენიებდით ნაილეს განსაკუთრებული მოწიწებითა და სიყვარულით, მამამისი და მე. და ორივეს თავზე მეტად გვიყვარდა ეს უსათნოესი და უსაყვარლესი არსება – ნაილე, იგივე ჩემი ხატიჯე...

* * *

ვარდოს დაბადების დღე და ქორწილი ერთ დღეს გადაუხადეს. პატარძლის სეფაში 300 სტუმარი დაეტია, დაუპატიჟებლად მოსულ ორმოცდაათამდე კაცს ეზოში სახელდახელოდ გაუშალეს სუფრა, ღია ჭიშკრიდან კი უამრავი ცნობისმოყვარე თვალი იჭყიტებოდა. დოლ-გარმონის ხმა არემარეს აცოცხლებდა, სიმღერები სახალისო და ცეკვა-თამაშის განწყობას ქმნიდა, თამადის მიკროფონში წარმოთქმული სადღეგრძელოები გარკვევით ისმოდა, თუმცა, როგორც მოსალოდნელი იყო, მალე აღარავინ უსმენდა. ალავერდობამ ერთი ხანობა თავისი როლი ითამაშა, თანამოინახეები ერთმანეთს დააკავშირა, მაგრამ ბახუსმა ნელნელა ისინიც დააშორა და განაცალკევა. თამადას მოადგილეები ენერგიულად ედგნენ გვერდში, რამაც საქორწილო სუფრას დღეგრძელობა შემატა. თუმცა, წასვლას, მაინცადამაინც, ბევრი ისედაც არ ჩქარობდა. სუფრას ჩიტის რძე არ აკლდა, მოქეიფეებს – ღვინის სმის სურვილი და ამაღლებული განწყობა. ამინდიც სამოყვრო იყო, ოდნავ ღრუბლიანი, მშვიდი და რომ არ შეგაწუხებდა, იმდენად გრილი, მომსახურეობა – სამაგალითო, მეფე და დედოფალი – უკეთეს რომ ვერ ინატრებდი, ისეთები, ერთურთის შესადარი გვრიტები...

ნაილე მშობლებთან და ძმებთან ერთად იჯდა და საერთო ზეიმით ტკბებოდა. ერთორჯერ საცეკვაოდ გამოიწვიეს, მაგრამ თავაზიანი უარით გაისტუმრა მთხოვნელები.

– ადექი ნენა და გაშალე მკლავები... – გაუწყრა თუნთული დეიდა, – ვისზე ნაკლები ცეკვა შეგიძლია, ერთი მაცოდინა...

– მორცხვია ჩემი გოგო, იცი შენ, არ უყვარს ხალხმრავლობაში გამოჩენა, ცეკვას კიდევ, ჯვარი სწერია, – ქალიშვილი დაიცვა ფატიმ და შვილს ალერსიანი თვალებით გადახედა, – სახლშია დიდგულზე, სულ ცქმუტავს, მღერის და ერთ ადგილას ვერ ჩერდება... შემოევლოს დედა...

– აქაც გაერიოს მერე თანატოლებში, იმხიარულოს, გაერთოს, გასათხოვი გოგოა უკვე...

– ბევრს ხომ არ ლაპარაკობთ, თუნთულ ხანუმ? – რიზას ღიმილიან გამოხედვას და ხრინწიან ხმას ის ეფექტი მოჰყვა, რომ თუნთულს საუბრის გაგრძელების სურვილი და სახეზე თბილი გამომეტყველება უცაბედად გაუქრა.

ნაილეს გათხოვებაზე საუბარს რიზას გასაგონად ვერავინ ბედავდა.

– ნუ ხარ ასეთი უკმეხი... – მხოლოდ რიზას გასაგონად თქვა ფატიმ და ქმარს მკლავზე უჩქმიტა. ეტყობა, ვერ მოზომა და ნამეტანი მოუვიდა. კაცს მკლავი ისე აეწვა, რომ ტანში გააჟრიალა, ცოლს განგმირალი თვალებით ამოხედა და სიმწრისგან ამოიოხრა.

– ნუ იცი ყველაფრის გაზვიადება, ამდენიც არ მომინდომებია... – დაუყვავა ქმარს და გაუცინა.

კაცმა თავი გააქნია და მაგიდას შემომატებული ცხელი ხაჭაპურის ერთი მოზრდილი ნაჭერი გადაიღო.

– შეგერგოს. – დალოცა ცოლმა.

– გაიხარე.

მაყრად რიზა და ნაილე წავიდნენ, მამა-შვილი, ფატიმ საოჯახო საქმეები მოიმიზეზა და

დარჩა, ბიჭებიდან ერთმა რა და მეორემ, კიდევ რა... წავიდნენ და მშვენიერი კმაყოფილებიც დაბრუნდნენ უკან. სიძის მხარეს არანაკლები მოლხენა და დროსტარება ყოფილა, რიზას ყანწი, ფიალა და ყურადღება არ მიკლებია, მის ქალიშვილს კი ქათინაურები, დითირამბები, შექება და მოწონება.

რიზა შუაღამით გახდა ცუდად, გულმა შეაწუხა. მართალია, ღვინო ბლომად მოუწია, მაგრამ როცა სვამდა, ყოველთვის ირგებდა, ის კი არა, მეორე დღეს გულძმარვაც არასდროს იცოდა. ახლა რა ხდებოდა, ვერავინ ხსნიდა. სუნთქვა უჭირდა, ჰაერის უკმარისობა ჰქონდა, მუცელსაც იტკიებდა. ვერ ისვენებდა და ბორგავდა. ფეხზე დამდგარი შეხვდა ალიონს მთელი ჯალაბი. სასწრაფო დახმარება დილით გამოიძახეს, ერთ საათში მოვიდა. ექიმმა გულდასმით გასინჯა, გამაყუჩებელი ნემსი გააკეთა და სასწრაფოდ საავადმყოფოში გადაყვანა მოსთხოვა ოჯახს, კვალიფიციური კვლევაა ჩასატარებელი, ისე, საშიში სინდრომები არ ჩანს, მაგრამ მაინც, თავი რომ დავიზღვიოთ, კარგი იქნებაო. რიზაც იმ პირობით დათანხმდა საავადმყოფოში წაყვანას, რომ ანალიზების ჩაბარების და გამოკვლევების შემდეგ, გამოუშვებდნენ და საღამოს სახლში გაათევდა ღამეს.

– რამდენი წლის ბრძანდებით, ბატონო? – პაციენტის ასაკით დაინტერესდა ექიმი.

– სამოცდაექვსის. – მიუგო რიზამ.

– დროდადრო, რაიმე ხომ არ გაწუხებთ?

– ცოლის მეტი არავინ, ექიმო...

– რას ამბობთ, გაგმართლებიათ... – შვებით ამოისუნქა თეთრხალათიანმა, – მაგას კაი ხნის შეგუებული უნდა იყოთ აწი...

– მაი სათქმელადაა იოლი, შესასრულებლად თქვი შენ, როგორია მოწყობილის ქალთან შეგუება...

– ჰოოო... – მრავალმნიშვნელოვნად წარმოთქვა ექიმმა და თვალი საგანგებოდ გაწყობილ ტაბლა მაგიდისაკენ გაექცა, რომელიც ის ის იყო შემოიტანეს ოთახში. უფროსმა ვაჟიშვილმა, ელვარდიმ სახლში გამოხდილი არაყი ბოთლიდან რამდენიმე მოზრდილ ჭიქაში ჩაასხა და ერთი ექიმს მიაწოდა, მეორე მძღოლს, მესამე მედდას, მეოთხე კი თავად აიღო.

– დილის მადლი შეგვეწიოს. – დაილოცა და გადაკრა, შემდეგ კეცზე შებრაწულ წიწილას მკერდის ხორცი ააგლიჯა და გემო მადიანად გაუსინჯა.

– ადრეა ჯერ... – თავის შეკავებას შეეცადა ექიმი, მაგრამ არჩევანი მალევე გააკეთა და ჩათრევას ჩაყოლა ამჯობინა, – ეს მწარეა, ჩვენ ტკბილად ვიყოთ... – დალია და ისე დაიმანჭა, მისი შემხედვარე, გული დაგეწვებოდა კაცს, – წყალი, თუ შეიძლება? – ძლივს ამოღეღა ორიოდე სიტყვა, როცა სული მოითქვა და ღრმად ამოისუნქა.

მიართვეს წყალი. ისე ხარბად დალია, დასიცხულ უდაბნოდან ახალ გამოსულს ჰგავდა.

– აი არაყი შინაურებშიც გამოგაქვთ თუ ვინც სასიკვდილოდ გემეტებათ, მარტო იმათთან? – იკითხა ნირწამხდარმა ექიმმა და გააბდლებული თვალებით შეათვალიერა ტაბლა მაგიდა. ეტყობოდა, ჯერ კიდევ ვერ აერჩია, წასახემსებლად რა აეღო.

– საუცხოო არაყია... – დალევისთანავე შეაფასა მძღოლმა, ვაშლი აიღო და ჩაკბიჩა, – აქ ღმერთი რამდენი ჭიქით ილოცება? – იკითხა მოურიდებლად და დაიკრიჭა.

მედდამ დალევა იუარა, სამფეხა სკამზე მოუხერხებლად ჩამოჯდა, თეფშზე თხილი დაიყარა და გატეხვას შეუდგა.

– უქმე დღე კია, მაგრამ ვინ იცის, დღეს რამდენ გამოძახებაზე მოგვიწიოს გასვლა, სერაფიონ ექიმო, ამიტომ დილიდან ნუ დათვრებით, გთხოვთ... – ისე თხოვა ექთანმა, რომ უარის თქმა, თუ კაცი გერქვა, უსათუოდ უნდა გაგჭირვებოდა.

– მეტს, დახვრეტა რომ მომისაჯონ, მაინც ვერ დავლევ, ჩემო ნუნუკა, მთელი მუცელი მეწვის... – აწუწუნდა ექიმი.

ფატიმ შეწუხებულ ექიმს თანაგრძნობით გადახედა და ქმარს გაუწყრა.

– ხომ შეიძლება ეს არაყი ნორმალურ გრადუსამდე დაიყვანო, დალევა რომ შეძლოს კაცმა...

– წყალწყალა არაყს ნურიე ჯინჭარაძე ყიდის და რომ ესტუმრებიან, მაშინ გაასინჯებს, – იხტიბარი არ წაიხდინა რიზამ და სახეკმაყოფილი იყურება, – მთელ ტანში ჟრუანტელივით დაიარა, ხომ? – გასძახა სტუმრებს.

– დასტურ მასეა... – ხელის აწევით დაუდასტურა ნათქვამი ექიმმა.

– შეგირცხვა ნამუსი, ტრაბახობს კიდეც... – აენთო ფატი, – ვინც შენი გამოხდილი არყით დათვრა, ყველა ღამისთევით დარჩა ჩვენთან, ეს ახარებდეს კაცს, დავბერდი ქალი და ასეთი არაფერი მინახავს...

– იცი შენ, დაძალება არ მიყვარს...

– იმდენი შენ რა გითხარი, არ გიცნობდე მაინც... – ჩაილაპარაკა ფატიმ და ქმარს მოშორდა.

– წასვლამდე დროს ნუ დავკარგავთ უქმად, – შეწუხდა მძღოლი და ცარიელი ჭიქა აიღო, – მაგ ბოთლს თავღია დიდხანს ნუ დატოვებთ, აორთქლდება აი სამოთხის წამალი...

მეორე ჭიქა მცირე თავპატიჟის შემდეგ ექიმმა, დაუძალებლად ელვარდიმ და მძღოლმა დალიეს, მესამე მხოლოდ ელვარდიმ და მძღოლმა, მეოთხეს მკაცრი პროტესტი მოჰყვა და ყველანაირი მომდომება და მცდელობა ამაო გამოდგა, მედდამ თავისი გაიტანა.

– აბა, რას შვებით, მოგვყვები თუ არა სავადმყოფოში? – რიზას ჰკითხა ექიმმა.

– ორშაბათს ჩვენ თვითონ ჩამოვიყვანთ, აუცილებლად... – შეპირდა ფატი.

– კეთილი, აი დანიშნულება, სამი წამალი გამოვწერე, აფთიაქებში იშოვნება, ისეთებია, შეუძინეთ და მიიღოს... – გამომშვიდობებისას დაარიგა სერაფიონმა და თავისი ფეხით კი მივიდა სასწრაფო დახმარების მანქანამდე, დაჯდომა ვერ მოახერხა დაუხმარებლად. წამოეშველნენ მძღოლი და ელვარდი, გვერდებში შეუდგნენ, ასწიეს და ავადმყოფისათვის განკუთვნილ გადასატან ლოგინზე წამოაწვინეს ნაჯაფარი ექიმი.

– არ გადმოვარდეს აი შეჩვენებული, სოფლის გზა ისედაც დანგრეულია... – შეწუხდა მედდა.

– ახლავე მივიღებ შესაბამის ზომებს... – დაამშვიდა მედდა შოფერმა, სანახევროდ დაძინებულ ექიმთან მივიდა და თოკით გაკოჭა, – აი თუ აქედან დაუხმარებლად ადგეს, შემირცხვეს ნამუსი...

– რაც არ გაქვს, რა უნდა შეგირცხვეს... – ჩაილაპარაკა მედდამ და შოფრის გვერდით სავარძელში მოკალათდა, – მშვიდობიანად ჩაგვიყვანე ქობულეთში...

– არის უფროსო...

კვირა დღეს ძალიან გაუჭირდა რიზას. წამლებმა ვერ უშველა, საღამოს მაღალი სიცხე მისცა, მთელი ღამე თვალი ვერ მოხუჭა, ტკივილისაგან სახე ემანჭებოდა და კვნესოდა. ამის შემყურე ფერდაკარგული ნაილე მამას გვერდიდან ერთი წუთითაც არ შორდებოდა. ის მამის ერთადერთი უებარი და შეუცვლელი წამალი იყო, რომელიც შვებას გვრიდა. რიზაც, როცა ქალიშვილს გვერდით დაიგულებდა, მშვიდდებოდა და თქვენ წარმოიდგინეთ, იღიმოდა და გაურკვეველ სიმღერას ღიღინებდა კიდეც...

ორშაბათს, დილაუთენია რაიონის მთავარ საავადმყოფოში წაიყვანეს რიზა, ანალიზები აუღეს, გულზე, ფილტვზე, ღვიძლზე რენტგენები გადაუღეს და მოსაღამოვებულს ოჯახის წევრებს მთავარმა ექიმმა ავადმყოფის თბილისში სასწრაფოდ წაყვანა ურჩია.

– ვილოცოთ, დაგვიანებული არ იყოს და მკურნალობას დაექვემდებაროს, – ჰიპოკრატეს ფიცის ერთგულს გაბზარული ხმა და უსიამო სახის გამომეტყველება ჰქონდა.

მესამე კვირის ბოლოს თბილისიდან მიღებულმა პასუხმა ყველაზე ცუდი მოლოდინი გაამართლა – ღვიძლის მეოთხე სტადიის კიბო. გადარჩენის შანსი – ნული. რიზა ჯერ უმადობაზე წუხდა, შემდეგ წონის დაკარგვაზე, თავის ბრუალზე, სისუსტესა და მოდუნებაზე, წარამარა ძილი ნერვებს უშლიდა და ისედაც ფეთქებადი ხასიათის მქონე, სულ უხასიათო და საჩხუბრად შემართული გახდა.

ნაილეც უცაბედად დაჭკნა და დაჩიავდა. მამას გოგო თვალდახელშუა დასევდიანდა. ლექციების გაცდენასაც მოუხშირა, ძველი, ხალისიანი და სიცოცხლით სავსე ნაილე სადღაც დამეკა-

რგა, რატომ, ეს არ ვიცოდი. ისეთი სიტყვაძუნწი გახდა, რომ მისგან ვერაფერს გაიგებდი, თუ რა ხდებოდა მის თავს. უკვე იშვიათად ვხდებოდით და გაგიჟებას არაფერი მაკლდა. ბოლოს გულნაზი დავიმარტოხელე.

– მომკლავს, რომ გითხრა, – შემაცოდა თავი დაქალმა, – შენ არ გეხება, ძველებურად უყვარხარ და წუხს, შენთვის რომ ვერ იცლის.

– რაღაც ვერ ვატყობ. – ბრაზს ძლივს ვიკავებ.

– ნუ ხარ ახირებული, შენ მაინც დამშვიდდი.

– გულნაზი, იცოდე ხმას არ გაგცემ, ადამიანი არ ხარ, მითხარი, რა ხდება? იქნებ დახმარებაა საჭირო... ხომ გჯერა, მისი გულისთვის ყველაფერზე ვარ წამსვლელი...

– ეს იმანაც კარგად იცის...

– თქვენ გადამრევთ... – ხელებს ვშლი და წინ და უკან ვიწყებ უაზროდ სიარულს.

– გეტყვი, ოღონდ ნაილემ არ მინდა გაიგოს, შევპირდი, არავის ვეტყოდი და რომ გაიგოს, შენ გითხარი, ვიცი, არ მაპატიებს...

– ვერ გაიგებს, ნაილეს ვფიცავარ...

– მამა ჰყავს ცუდად... – მითხრა ხმაწართმეულმა.

– რა თქვი?

– მამა უკვდება, დიდი ხნის სიცოცხლე არ დარჩენია, ასე ამბობენ ექიმები და ეს ეტყობა, სიმართლეა.

„ჩემი ხატიჯე ამას როგორ გადაიტანს?“ – გავივლე გულში და განწყობა მომეწამლა.

მეორე დღეს ინსტიტუტში, შესვენებისას, მის აუდიტორიაში ავაკითხე. მერხზე იჯდა და გადაშლილ წიგნს ჩაშტერებოდა. აშკარად, ფიქრით, აზრით და განწყობით სხვა სამყაროში იმყოფებოდა. ისე მივუახლოვდი და ჩამოვუჯექი გვერდით, რომ ვერ შემამჩნია.

– გამარჯობა ხატიჯე, როგორ ხარ?

მოულოდნელობისაგან გაოცებულმა შემომხედა და თვალცრემლიანმა მითხრა:

– ბოლო კვირაა მამას ჩემთვის ხატიჯე არ დაუძახია... – თავი ჩაღუნა და აქვითინდა. ასეთი დათრგუნული და განადგურებული ადრე არასოდეს მენახა. გული მომიკვდა და მის დაწყნარებას შევეცადე, მაგრამ ამაოდ. ყველა სიტყვა ზედმეტი, უშინაარსო და უძლური აღმოჩნდა ხატიჯეს ტკივილთან.

ამის შემდეგ მხოლოდ ერთხელ ვნახე, ისიც შემთხვევით, ქუჩაში. აფთიაქიდან მოვდივარო, მითხრა, ხელში წამლებით სავსე ქაღალდის პარკი ეჭირა, რამდენიმე წუთით შემიჩერდა, მისთვის ჩვეული, თბილი გამოხედვა მისახსოვრა, ცივი დეკემბერია, თბილად ჩაიცვი, არ გამიცივდეო, ლაბადის ზემოდან კაშნი შემომხვია და ჩამინასკვნა, ასე უფრო გიხდებაო, შემდეგ ლოყაზე მაკოცა და სანამ წავიდოდა, მანიშნა, უკან არ გამომყვეო. მე უარი ვუთხარი, რადგან ხატიჯეს მარტო დატოვება აზრადაც არ მომსვლია, მაგრამ მან ისეთი თვალებით შემომხედა, რომ მივხვდი, სხვა არჩევანი არ მქონდა. მხოლოდ თვალი გავაყოლე, როგორ მიდიოდა და მშორდებოდა. მე გაუნძრევლად, ერთ ადგილზე ვიდექი, სევდამოძალებული და მანამ ვუყურებდი, სანამ თვალს არ მიეფარა. ვიცოდი, რომ ის ახლა მხოლოდ მამაზე ფიქრობდა და მთელი სამყარო ახლა მისთვის მხოლოდ მამამისი იყო, რომლის სიცოცხლეც დედამიწაზე არსებობის ბოლო დღეებს ითვლიდა.

* * *

შუადღისას რიზამ ორივე ძმას, ჯემალსა და იუსუფს შეუთვალა, მინახულეთ, საქმე მაქვსო. საღამოსპირს ორივე ძმა ეწვია. მაგიდას მიუსხდნენ. ხელმარცხნივ, ჯემალი დაიჯინა რიზამ, ხელმარცხნივ – უსუფი. პირველი სათქმელი თავად თქვა.

– არ გაშინებთ, მაგრამ ვხვდები, რომ ვერა ვარ კარგად. ვგრძნობ, მალე წავალ მშობლებთან, იქაც დიდი სანათესაო დამხვდება, თავს ობლად არ ვიგრძნობ და ეს მამშვიდებს... – აქ შეისვენა მცირე ხნით, ნერწყვი გადაყლაპა და თვალები მოისრისა, – ამ წუთისოფელში შვიდი ათეული წელია ჩემებურად ვჯახირობ, ვახარებ ჩემს გულის ჭიას, ვიცი, უფრო მეტი გასაკეთებელი მრჩება, ვიდრე ვისურვებდი, მაგრამ მაგის

შიშით თავს არ ვიმძიმებ, ნაგრამს ვტოვებ, ჩემს სისხლ-ხორცს, ჩემს სიამაყეებს და მათი მჯერა, მწამს. მათ ისეთი ფესვები აქვთ, ქარიშხალიც ვერაფერს დააკლებს. ამიტომ, არ მეშინია სიკვდილის, ამას გულწრფელად ვამბობ.

– თავი წამოგტკივდა და რა ყიამეთი დაათენე, ძმაო? რა სიკვდილზე გველაპარაკები, წლებმა ხომ არ დაგამძიმეს, თუ ცუდი სიზმარი ნახე გუშინ? – შეუტია ჯემალმა და რიზას ახედა.

– გამაკვირვე, რიზა, შენ და ასეთი საუბარი? – ნაბოლარა იუსუფის სიტყვები ნაკლებ დამაჯერებელია, მაგრამ გულწრფელი.

– გეყოფათ, სანუგეშებლად არ დამიძახნია თქვენთვის, სასაუბრო მაქვს.

– გისმენთ, რიზა.

– მიდი, დაიწყე.

რიზამ რამდენიმე წუთი იყუჩა და ვითარება კიდევ უფრო დაძაბა.

– ხატიჯე კარგ ოჯახში უნდა გავათხოვოთ, – ამოღერღა სვენებ-სვენებით და ძმებს გადახედა, – და ეს ყველაფერი მალე უნდა მოესწროს.

ოთახში რამდენიმე წუთიანი სიჩუმე ისევ ჩამოწვა.

– მშვენიერი სურვილია. მეც ვფიქრობ, რომ გოგო, რაც მალე დაოჯახდება და ჩაბარდება პატრონს, მისთვისაც აჯობებს და ჩვენთვისაც. რამდენი წლისაა ნაილე ახლა? – დაინტერსდა ჯემალი.

– ცხრამეტი შეასრულა უკვე.

– მაგ ხნისას ფადიკო ბებიას ორი შვილი ჰყავდა. – გაიხსენა იუსუფმა გამზრდელი ბებია.

– სხვა დრო იყო მაშინ, სხვა დროა ახლა, არ დაგავიწყდეს უსუფ. ცხოვრება წინ მიდის, 15-16 წლის ასაკში ვინღა თხოვდება?

– ნაილეს კითხა ვინმემ, იქნებ შეყვარებული ჰყავს, შესახედი გოგოა, მოყვასი, გულგახსნილი, ტოლ-ნაცნობების მეტი რა ეყოლება...

საუბრის ამ კუთხით წაყვანა აშკარად არ ესიამოვნა რიზას და წარბები შეჭმუხნა.

– ხატიჯეს რა ჭკუა უნდა მოვკითხო, ჯერ ბავშვია, რძე არ შეშრობია პირზე, რა იცის ცხოვრება? – გაიკვირვა რიზამ და თვალები დააბრიალა, – მე რასაც ვეტყვი, იმას იზამს, ხატიჯე ჩემი გოგოა, ჩემი სიცოცხლე, ჩემი სუნთქვა და გულისცემა, ჩემი ფიქრი და ოცნება, კარგად დაიმახსოვროს ყველამ... მამას მისთვის ყოველთვის ყველაფერი საუკეთესო ემეტება, ასე იყო აქამდე და ასე იქნება მაშინაც, როცა მე არ ვეყოლები ამ ქვეყანაზე.

– კაი, დაწყნარდი, მშვიდად ვისაუბროთ... – შუათანა ძმა, ჯემალი ამაოდ აწყნარებს აბობოქრებულ რიზას, – ისე, რომ იცოდე, ჩემი ნატრული მაგ ასაკში გამეპარა. და იცი რატომ? არ მოვუსმინე, არაფრად ჩავაგდე მისი სიყვარული, ჯერ კიდევ პატარა გოგოდ მიმაჩნდა და როდის წამომეზარდა, ვერც შევამჩნიე. გავბრაზდი და გადავირიე. ეს როგორ გამიბედა. ეს როგორ მაკადრა მე, ოჯახს, გაიპარა და თავის გულისსწორს გაყვა, ვინც უყვარდა, იმას გაყვა და შექმნა ოჯახი, რომელშიც მისი მშობლების სითბოს ნატამალი არ ერია. სამი წელი არ ველაპარაკებოდი ჩემს გოგოს, მოყვრებს, სამი წელი ავკრძალე ოჯახში ნატრულის ხსენება და რა მივიღე სანაცვლოდ? ნერვიულობა, უამრავი თეთრად გათენებული ღამე, ქალიშვილის გაუსაძლისი მონატრება და ბოლოს, ინფარქტი. კინაღამ გავფშიკე ფეხები და რამ მომაბრუნა ამ ქვეყანაზე? მარტო ექიმების მკურნალობამ? არა. მარტო ჯანმრთელმა ორგანიზმა? არა. ნათესავების მზრუნველობამ? არა. ეზრაილს შეეზარა ჩემი წაყვანა? არა. იღბლიანი ვარ და იმიტომ? არა. დანამდვილებით ვიცი, ჩემმა წლინახევრის ბადიშმა, გიორგიმ, პალატაში შემოსულმა ძნელად გასაგები ენით რომ იკითხა, ჯემალი ბაბუა სადაარ? როცა აუხსნეს, აგერ, აქ წევსო, არეული, აჩქარებული ნაბიჯით რომ წამოვიდა ჩემსკენ და გაშლილი ხელებით ჩამეხუტა. ამან გადამარჩინა და მომაბრუნა ამ ცოდვიან დედამიწაზე. მივხდი, სამი წელი მარტო შვილს კი არა, ჩემ თავსაც წავართვი. ის სიხარული დავკარგე, რომლის თანამონაწილე უნდა ვყოფილიყავი და დღემდე ვერ მომინელებია, თავი ასე უაზროდ, ჩემი უხიაგი ხასიათის გამო რომ დავისაჯე, შვილს, სიძეს, შვილიშვილს, მოყვრებს მოფერება მივაკელი,

რომელიც ასე კარგად გამომდის და მეხერხება. შენც ამას გირჩევ რიზა, შეეკითხე ბავშვს, იქნებ ვინმე მოსწონს, დამიჯერე, ასე აჯობებს. შენ თუ გერიდება, ფატის მოაფერებს მაგ ამბავს, დედაა და შვილთან საერთო ენას იოლად გამონახავს, ნაილეს გულისნადებს მარტივად გაიგებს.

– ჭკუა რომ დამარიგოთ, მაგისთვის არ დამიძახნია თქვენთვის, – ხმას აუწია რიზამ და სახე დაეძაბა, – მურადი და მისი ცოლი, ზექია იყვნენ დილით ჩვენთან. ამბავი მომიტანეს, ჩემი ხატიჯე მეზობელი სოფლიდან, სულიკო რომანაძის ბიჭს, მურთაზას მოსწონებია ვარდოს ქორწილში, ცეკვაც მოუნდომებია, მაგრამ ხატიჯე არ გაჰყოლია საცეკვაოდ. სულიკოს ოჯახი მიქეს, თვითონაც პატიოსანი და მშრომელი კაციაო, ბიჭს კი, შარშან დაუმთავრებია უმაღლესი, თუ არ ვცდები, აგრონომის დიპლომი აქვსო, ასე მითხრეს. თუ მშობლები დათანხმდება, თბილისში აპირებესო საცხოვრებლად გადასვლას. მაგრძნობინეს, რომანაძეებსაც ძალიან უნდათ ვაჟიშვილის დაქორწინება, სასურველ სარძლოს გაფაციცებით ეძებენ თურმე. იქნებ მათი ბიჭი ჩემი ხატიჯეს ბედია, გული კარგს მიგრძნობს. მეც დამშვიდებული წავალ ამ ქვეყნიდან, თუ ეს ამბავი გამოვიდა. რაღა ბევრი გავაგრძელო და თქვენი იმედი მაქვს, მომავალ მოყვრებზე ყველაფერი დაწვრილებით გამოიკითხეთ და ორ დღეში მომიყევით, რასაც გაიგებთ...

– მე ისევ ჩემ აზრზე ვრჩები, რიზა, ბავშვს დაელაპარაკეთ ჯერ, აჯობებს.

– შენზე კარგად ვიცი, რა აჯობებს, – უკმეხად უთხრა რიზემ ჯემალს და ამით გვერდით მყოფთ აგრძნობინა, რომ გადაწყვეტილებას მის ოჯახში მხოლოდ ის იღებდა და ვინმეს შეხიდებას ვერ მოითმენდა, – ჩემი თხოვნა კარგად გაიგეთ?

– კი, ძმაო... – უხასიათოდ მიუგო ჯემალმა და ფეხზე წამოდგა.

იუსუფმაც აითრია წელი.

– რას შვებით, წასასვლელად ემზადებით? – გაბრაზდა რიზა.

– წავალთ აწი...

– ორივე დაჯექით... – რიზას ყვირილი და კარებიდან ფატის და თუნთულის შემოხედვა ერთი იყო.

– ხომ მშვიდობაა, გაგვისკდა გული. – ეს ფატია.

– მშვიდობაა და გააწყვეთ მაგიდა. მოგვშივდა, – ხმადაბლა, ალერსიანად უთხრა ცოლს რიზამ, – ხატიჯე სადაა? – იკითხა.

– ღუმელთან ზის, სითბოში და გამოცდებისთვის ემზადება, დავუძახო?

– შემომიხედოს ერთი წუთით, მომენატრა.

– ახლავე, დეიდა შემოევლოს.

ნაილე ოთახში თეფშებით ხელში გამოჩნდა.

– გისმენ მამა...

– ჩემი ანგელოზი. – რიზა ქალიშვილს მოეხვია და ლოყაზე აკოცა.

ძმები სუფრას გვიან ღამემდე შემორჩნენ. როცა დაიშალნენ, კეცზე გამომცხვარი ჭადივით მრგვალი მთვარე ყინვამოძალებულ გარემოს გვარიანად ანათებდა, სუსხიანი და სისინა ქარი კი დაგვიანებული პირველი თოვლის მოლოდინს ამძაფრებდა.

* * *

ინსტიტუტში ლექციები ახალ წლამდე სამი დღით ადრე დამთავრდა. ვინც მოასწრო, ჩათვლები მოილია და გამოცდებისათვის მომზადება განაგრძო. იანვრის სესიაზე ხუთი გამოცდა გველოდა და დეკანის დახმარებით, გრაფიკი ისე შევადგინეთ, არც გამოცდებზე შეგვშლოდა ხელი და არც საახალწლო სუფრისთვის მიგვეკლო ღირსეული ყურადღება. ხატიჯე ისევ არ ჩანდა. გულნაზი არ ტყუოდა, როცა მეუბნებოდა, მასზე ახალი არაფერი ვიციო. გულისფანცქალით ელოდა მის გამოჩენას და ეტყობოდა, ჩემზე ნაკლებად არ ენატრებოდა დაქალი. ისევ მარტო ცხოვრობდა ერთად ნაქირავებ ერთოთახიან ბინაში, თუმცა ხატიჯე თავის წილ თანხას ყოველთვის, დაუგვიანებლად იხდიდა.

– დღეს სოფელში წავალ, ხვალ დილით წყავროკაში ავირბენ ნაილესთან, ახლა დრო მაქვს, არსად მეჩქარება. სულ დამეკარგა აი გოგო, მა-

მამისსაც მოვინახულებ, გავიგებ, როგორაა... ჭორიკნობითაც გულს ვიჯერებ, მარა ეს არაა შენი საქმე... – გამომწვევად გადმომხედა, – რაიმეს ხომ არ დამაბარებ, მითხარი და სიტყვასიტყვით გადავცემ მემარნის ქალს...

– უთხარი, რომ ძალიან მენატრება და ერთი სული მაქვს, როდის ვნახავ. მეტი არაფერი...

– არის, ჩემო დამწვარო და დათუთქულო რომეო...

კიდევ კარგი, გულნაზი რომ მყავს. ის მამშვიდებს და მაიმედებს. ეხერხება გვერდით დგომა, მხარდაჭერა, გამხნევება და ხშირად, ნერვების მოშლაც. მაგრამ, რა გაეწყობა, ესაა რაცაა, ასეთიც მომწონს...

* * *

ძმებმა რიზას დავალება პირნათლად შეასრულეს. შინაური წრის ქალებმაც იაქტიურეს და რისი გაგება-მოძიება შეიძლებოდა, ხელი არ მიაკლეს, დაწვრილებით გამოიკითხეს, ბევრი ჭორ-მართალი გაიგეს, შეაჯერეს, აწონ-გაზომეს და შესაფასებლად რიზასთან შეიკრიბნენ. ამ დროს ნაილე მეზობელ სურიე ჯინჭარაძის ოჯახში გააგზავნეს, თანაკლასელი ნატოს მოსაკითხად, რომელსაც გაციება, თურმე, ჯერ კიდევ ვერ მოერჩინა. თან ბიის მურაბა, ქილა თაფლი და ღუმელში გამომცხვარი, თანატოლად დაჭრილი, ნიგვზით გაძეძგვილი ჩეხური ბაქლავა გაატანეს. სურიეც გაფრთხილებული ჰყავდათ, ნაილეს სანამ არ მოიკითხავდნენ, არ გამოეშვათ. ნაილეც, ისედაც იშვიათად გადიოდა გარეთ, ისეთი გახარებული გაფრინდა თანაკლასელთან, რომ არაფერი უეჭვია. ფატის დაჟინებით, ამჯერად თავყრილობას ქალებიც დაესწრნენ. მიტანილი ამბით რიზა კმაყოფილი დარჩა. დაავადებით შეწუხებული, დამოუკიდებლად ძლივს გადაადგილდებოდა და გალეული სხეულიც დღითიდღე ეურჩებოდა. ამიტომ, მეტწილად, ადიალაში შეფუთული, სავარძელში იჯდა და ისე ღებულობდა მომკითხველებს. ახლაც ასე იყო, ენის ამოუღებლად ისმენდა მონათხრობს და გონებაში ფიქრის კორიანტელს ალაგებდა.

– სიკეთეში გადამეხადოს თქვენი ამაგი, – რიზას წართმეულ ხმას ჯერ კიდევ შემორჩენოდა ოჯახის თავიკაცის მონავლული სიმტკიცე, – ელვარდი, შვილო, შენი აზრიც მაინტერესებს?

უფროსი შვილი ფეხზე წამოდგა.

– მე მამა, ჯერ ნაილეს მოვუსმენდი, გავიგებდი, ის რას ფიქრობს, უნდა ახლა გათხოვება? ვინმე მოსწონს ან უყვარს? მის ნაცვლად, ჩვენ რატომ ვმსჯელობთ, ეს ხომ მას ეხება, მის ცხოვრებას...

– ესაა სულ შენი სათქმელი? – თვალები გადმოკარკლა რიზამ.

– კი მამა... – იყო პასუხი.

– გასაგებია. შეგიძლია წახვიდე, ჩქარობდი და აღარ შეგაყოვნებ, მიბრძანდი...

– მამა, შენი გაბრაზება აზრადაც არ მომსვლია.

– მშვენივრად მოახერხე, ყოჩაღ... დროს ნუ დაკარგავ, გელოდებიან.

– რა გაეწყობა... – სავარაუდო კონფლიქტს თავი აარიდა ელვარდიმ და ოთახიდან გავიდა.

– მასე არ შეიძლება, მამა, – მოულოდნელად ენა ამოიდგა აქამდე ჩუმად მყოფმა ნუკრიმ, – ნაილე მარტო შენი შვილი არაა, ჩემი დაა და მის სიყვარულში ყველას შეგეცილებით.

– როდის მერე დამიბრძენდი? – ირონია გაერია ხმაში რიზას, – შენი თავისთვის ვერ მიგიხედავს, სარკეში მაინც ჩაიხედე, რას გავხარ...

– რა დაერიე ბაღნებს, რას ერჩი, რა გემართება. – შემოუწყრა ქმარს ფატი და სახეზე უკმაყოფილება აშკარად გამოეხატა.

– შენი ბრალია, მიაკელი ხელი... – ახლა ცოლს დაუბრიალა თვალები რიზამ და ისე ჩაახველა, ლამის გული ამოატანა ნახველს, – ჯემალ, რაც შენ მითხარი, მოდი, კიდევ ერთხელ გამიმეორე...

– კი ბატონო...

და დაიწყო ჯემალმა რომანაძეების ქება. რაც მოისმინა, გაიგო, უთხრეს, არაფერი შეულამაზებია: მშრომელი, შეძლებული, სტუმართმოყვარე და პურმარილიანი ოჯახი, სამეზობლოში პატივსაცემი, სიტყვის მთქმელი და ნა-

თქვამი სიტყვის პატრონი ხალხი, კარგი შვილების აღმზრდელი, რაც შეეხება მურთაზს, მშვიდია, წყნარი, უკონფლიქტო, განათლებული და მშობლების დამჯერი...

– მათაც ეჩქარებათ ბიჭის დაოჯახება? – ეს კითხვა მოსწონს რიზას, პასუხი იცის, მოსწონს პასუხი და უკვე მერამდენედ იკითხა, მგონი, სათვალავი მასაც აერია.

– არ დაუმალავთ, ძალიან უნდათ... თან ნაილეს აღმერთებენ, ისე მოსწონთ.

– დარწმუნებული ვარ, ეს ბიჭი ხატიჯეს ბედია. – ჩაიხვია რიზამ და მისი გადარწმუნება, უკვე შეუძლებელი ხდება.

– სასიხარულო ნამდვილად არის, ესაა ოღონდ, ამით ნაილეს რამდენად გავახარებთ, – შეცბუნებული ხმით ამბობს ჯემალი, – შემოევლოს ბიძია...

– მენდე, გაიხარებს, ხატიჯე მამას გოგოა, მამას ჩუქურთმა და სალოცავი ხატი...

– ნაილე ჩემი სალოცავი ხატიცაა, – შვილის სიყვარულში შეეცილა რიზას ფატი, – რომანაძეებს რომ მოსწონს, არ მიკვირს, რა აქვს ვინმეს დასაწუნი ჩემს გოგოს, არც მათ ბიჭზე ვართ ცუდი აზრის, მაგრამ ბავშვები ერთმანეთს არ იცნობენ, უცხოები არიან, ნაილე ხომ ბაიბურში არაა, აზრადაც არ მოუდის, რას ვუმზადებთ. ამაზე დაფიქრებულხარ, რიზა?

– შენ რომ მოგიყვანე ფატი, რამდენჯერ მყავდი ნანახი? – შეტევაზე გადავიდა რიზა, – სულ ორჯერ, მაგრამ ვერ შევქმენი ოჯახი? შეგვედაროს, ვინც უნდა, ერთი მშრომელი, პატიოსანი კაცის პირობაზე რა გვაკლია. მითხარი და გავჩუმდები. ან შენ, იუსუფ, მაჭანკლობით არ დაოჯახდი? გულიკოს მარცხენა ლოყაზე ხალი რომ ჰქონდა, ქორწილის დღეს არ შენიშნე? რა წააგე ამით, დიდებული, მრავალშვილიანი და სტუმართმოყვარე ოჯახი გყავს, ძმაო, ყველას გვიხარია შენთან სტუმრობა, ხომ ასეა თუ ვცრუობ?

– რას ამბობ რიზა, ცამდე მართალი ხარ, ვაღიარებ, ძალიან გამიმართლა, მაგრამ მაშინ სხვა დრო იყო, ახლა ახალგაზრდები მასე აღარავინ ფიქრობენ.

– სწორი ხარ, არ ფიქრობენ, ეს ჩემს შუათანა ბიჭს ეტყობა კარგად.

– დაიწყე ახლა თავიდან... – შვილებს გამოექომაგა ფატი.

– დაიცავი, ხომ დაიცავი, მე მალე წავალ ამ ქვეყნიდან, შენ იფიქრე, ვისთან მოგიწევს დარჩენა და მერე, რომ მოგენატრები და ყვავილებით ამომაკითხავ სასაფლაოზე, არ ამავსო საყვედურებით... – ცოლს გაუწყრა რიზა.

– სად მიგეჩქარება ასე სულმოუთქმელად, ერთი მაცოდინა?

– მე არსად, სიკვდილს მოკითხე მოუთმენლობა. ჩემთვის ყველა ახალი დღის გათენება, თქვენი დანახვა, სტუმრის შემობიჯება, ბადიშების ჟრიამული, ხატიჯეს გაღიმება, ღია ფანჯრიდან შემოსული ცივი და სუფთა ჰაერის ჩასუნთქვაც კი უკვე დიდი ზეიმია და იმის გაფიქრებაც მიჭირს, რასაც უნდა შეველიო, დავტოვო და განვშორდე. ამიტომ დამიდექით გვერდით და ხატიჯე გამაბედნიერებინეთ. ამას მინდა მოვესწრო. ეს ჩემი ბოლო ამქვეყნიური ნატვრაა...

– შენ წაწყდი აღარა, ისე იტყვი და დაგვზაფრავ, ვითომ წყალი გქონდეს გადაწურული. – თუნთულმაც ამოიღო ენა და იქ მყოფთ ოთახში მისი არსებობა შეახსენა.

ამ დროს კარი გაიღო და ოთახში ნაილე შემოვიდა.

– ამდენი სტუმარი გვყოლია და მე თანაკლასელთან ვერთობი... – შემოვიდა და შემოიტანა ენით აუწერელი სიხარული, სიცოცხლე, ახალგაზრდული სიმკვირცხლე, უშუალობა და მომხიბვლელობა, – დედა, მაგიდის გაწყობაში მოგეშველები, არ შეგვფერის, ცარიელია მაგიდა.

– არაა, ცუდი აზრი. – ნაილეს მხარდამჭერები იმაზე მეტი გამოუჩნდა, ვიდრე საჭირო იყო.

– ერთი წუთით მოიცა, მამას სათქმელი აქვს შენთვის. – ფატიმ ქალიშვილს გახედა.

– ჩემს მამიკოს, ჩემს სიცოცხლეს? გისმენ მამი... – ნაილე მამასთან მივიდა და ტაბლა მაგიდასთან, სამფეხა სკამზე ჩამოჯდა.

რიზა მოულოდნელობისგან დაიბნა და სანამ სათქმელს თავი მოუყარიდა, გარკვეული დრო დაჭირდა.

– ხატიჯე, იცი შენ, როგორ მიყვარხარ.

– ვიცი.

– ისიც მინდა იცოდე, რომ მძიმედ ვარ ავად.

– მერე რა, გამოგაჯანმრთელებთ, ექიმები გვპირდებიან, ორ თვეში ფეხზე დავაყენებთო. – შესაშური ოპტიმიზმით უპასუხა ნაილემ.

– ნუ დაუჯერებ ექიმებს, მამას დაუჯერე, მამას დაუგდე ყური და დაიმახსოვრე, რასაც ახლა გეტყვი, ოღონდ ცრელები არ დამანახო, შენ ჩემი ხატიჯე ხარ, ჩემსავით ძლიერი, უშიშარი და დაუმარცხებელი...

– ნამდვილად მინდა მასეთი ვიყო, მამა.

– მე მალე აღარ გეყოლები შვილო და ამას აქედანვე მინდა შეეგუო, სიტყვა არ გამაწყვეტინო, ისედაც მიჭირს ლაპარაკი. ბოლომდე მომისმინე, – რიზამ შეისვენა, წყალი მოითხოვა, მოუტანეს, რამდენიმე ყლუპი მოსვა და ჭიქა მაგიდაზე დადო, – შენ ასე, ბედის ანაბარად ვერ დაგტოვებ, ვერ მოვისვენებ სამარეში, მინდა ბედნიერი, ძლიერი და წელგამართული მყავდე. ამიტომ შენი დაოჯახება გადავწყვიტე.

– რას ამბობ, მამა, გათხოვებაზე ჯერ არც მიფიქრია!

– მე ვიფიქრე და სასიძოც შეგირჩიე.

– მე ალტერნატიულ კანდიდატურას შემოგთავაზებთ და ავირჩიოთ, რომელი აჯობებს? – ხუმრობა სცადა ნაილემ, მაგრამ გაცინებით არავის გაცინებია. ოთახში ყველას ერთიანად გაყინული სახე და გამომეტყველება ჰქონდათ, ზუსტად ისეთი, როგორც რიზას. უცაბედად ჩამოვარდნილმა სიწყნარემ ავისმომასწავებელი განწყობას შექმნა. ეს იგრძნო ნაილემ და დაიძაბა.

– მე არ ვხუმრობ, – ჩაილაპარაკა რიზამ და ნაილეს ფოტოსურათი გაუწოდა, – ეს მურთაზ რომანაძეა, შენზე სერიოზულად ფიქრობს და დაქორწინებას აპირებს.

ნაილემ სურათი სახეწართმეულმა გამოართვა მამას და დახედა.

– გეცნობა? – ჰკითხა მამამ.

– მგონი კი, ვარდოს ქორწილში ვნახე, თუ არ ვცდები, საცეკვაოდ გამომიწვია და არ ვეცეკვე...

– რომ ვერ დაიწუნებ, ისეთი ბიჭია.

– შეიძლება, საუკეთესოა, მაგრამ მე არ მაინტერესებს...

– ხატიჯე, დაუფიქრდი, რას ამბობ, მამას ესაუბრები ახლა.

– ვიცი მამა და ხომ არ მოგატყუებ?

– მოგწონს ვინმე?

– კი... – მცირე პაუზის შემდეგ ძლივს ამოიღო ხმა და დარცხვენილმა, თავი ძირს დახარა.

– რა ქვია, – ხმას აუწია რიზამ, – ნურაფერს დამიმალავ...

– აჩიკო.

– რას წარმოადგენს, თუ საიდუმლო არაა, იქნებ გვითხრა?

– მეორე კურსელია, ჩემსავით, სხვადასხვა სპეციალობაზე ვწავლობთ.

– დიდი ხანია იცნობ?

– ოთხი თვეა.

– აქ მყოფთაგან, ვინმე იცნობთ აჩიკოს? – იკითხა განრისხებულმა რიზამ და ხმას აუწია.

ოთახში კვლავ ჩვეულმა სიჩუმემ დაისადგურა.

– მამა, მე უმაღლესის დამთავრებამდე, არ ვფიქრობ გათხოვებას.

ნაილეს სიტყვებს მამის ირონია მოჰყვა.

– სამი წლის შემდეგ, მამა თუ გეყოლება, ამაზე თუ გიფიქრია, შვილო...

კვლავ სიჩუმე, გულის გამაწვრილებელი და დამთგუნველი.

– მაგ ფოტოს კარგად დააკვირდი?

თანხმობის ნიშნად, ნაილემ თავი დააქნია.

– დაიმახსოვრე, ეს იქნება შენი ქმარი.

– არა მამა, მე ეს ბიჭი არ მიყვარს და გთხოვ, ამაზე ნუღარ ვილაპარაკებთ.

– რაო... – დაიღრიალა რიზამ.

– გთხოვ მამა...

– ეს რა მესმის, – რიზა სავარძლიდან წამოხტა და მაგიდას მუშტი გამეტებით დაარტყა, – მე არ მყავს ქალიშვილი, მე არ მყავს ხატიჯე, – წამოიხრიალა და მოწყვეტით დაეცა ძირს.

სასწრაფო დახმარებამ, მართალია, დაიგვიანა, მაგრამ რიზას მაინც სულზე მიუსწრო.

ჯერ მამა მოასულიერეს თეთრხალათიანებმა, შემდეგ შვილი. კაცზე უთხრეს, მაგის ნერვიულობა სიკვდილის ტოლფასიაო, ისედაც ორი პარასკევი დარჩენია და შეეცადეთ, მოარიდოთო, გოგო კი შეუქეს, ისეთი ანგელოზია, უსათუოდ ბედნიერებას მიიტანს იმ ოჯახში, სადაც ფეხს შეადგამსო.

რიზა გადაარჩინეს და რამდენიმე დღეში, ნაილეს სიყვარულმა ჩაილულის წყალი დალია.

ეტყობა, განგებამ ასე ისურვა და აღესრულა კიდეც მისი ნება...

* * *

სამოყვროდ შეწკეპილი ხალხი რიზა მემარნის ოჯახს საშობაოდ, ხელდამშვენებულები ეწვივნენ. უამრავი ტკბილოულობა, თაიგული, ოჯახის ყველა წევრს ინდივიდუალური საჩუქარი, ქალებს – სუნამოები, კაცებს – იმ დროისთვის იშვიათობა, უცხოური წარმოების, წვერის საპარსი საშუალებები. სასიძო ახალთახალ შარვალ-კოსტუმში გამოწყობილი, ავ თვალს არ ენახებოდა, ისეთი მიმზიდველი იყო. ყველაზე დიდ ოთახში გაშლილი სუფრა სანახევროდაც ვერ შეივსო, ათამდე სტუმარს ორი ამდენი მასპინძელი უნდა დახვედროდა, მაგრამ ვერ მოხერხდა. დაძახილთაგან, ბევრმა თავი შეიკავა. ნუკრი დილიდან გავიდა სახლიდან და დაიბარა, მე არ დამელოდოთო. უსუფსაც, მოულოდნელად, გადაუდებელი საქმე გამოუჩნდა და გაუჩინარდა. ელვარდმა სუფრის ორგანიზება ითავა და დედას არ მოშორებია გვერდიდან, რძალი ნაილეს არ ტოვებდა მარტო და როგორც შეეძლო, ამხნევებდა და ანუგეშებდა.

პატარძალი სადააო, ოთახში შესვლისთანავე იკითხა მოყვრების თავკაცმა სულიკო რომანაძემ და ვარდების მოზრდილი თაიგული ხელში შეათამაშა.

– გვერდით ოთახშია, სასიძოს უცდის, მივიდეს და გამოიყვანოს, – უთხრეს სულიკოს და მანაც შვილი თვალებით მოძებნა, – მიდი, რაღას უცდიო, ანიშნა.

ოდნავ დაბნეული, ლოყაშეფართქალებული მურთაზი თუნთულს გაჰყვა და სანამ მეორე ოთახში შევიდოდა, კარებზე მორიდებით დააკაკუნა, შემდეგ კარი გააღო, შეიხედა და მორიდებით იკითხა, – შეიძლება?

– მობრძანდით...

მურთაზი ოთახში შევიდა და ნაილეს თაიგული მიაწოდა, შემდეგ გოგოსკენ გადაიწია და ლოყაზე აკოცა. ნაილე არც განძრეულა, გაქვავებული იდგა და ადგილიდან არ იძვროდა.

– გამარჯობა ნაილე. – თქვა ბიჭმა.

– გაგიმარჯოს, ბატონო. – შეაგება გოგომ.

– იმაზე მეტად ლამაზი ხარ, ვიდრე წარმომედგინე. – ვერ დამალა აღტაცება ბიჭმა.

გოგომ კომპლიმენტი უპასუხოდ დატოვა, მხოლოდ ამოიოხრა და ნერწყვი ნერვიულად გადაყლაპა.

– ღელავს ჩემი გოგო დღეს, – ეს თუნთული დეიდაა, – ეპატიება.

– არც მე ვარ უკეთეს დღეში... – დაიმორცხვა ბიჭმა და თითების წვალება დაიწყო, – იმედია, შევეწყობით და უფრო უკეთ გავუგებთ ერთმანეთს.

– მთელი ცხოვრება წინ არ გაქვთ, მოასწრებთ. – გაამხნევა ახალგაზრდები თუნთული დეიდამ და ოთახიდან გავიდა. მარტო დარჩენილებმა სიტყვის თქმაც ვერ შეძლეს, ბიჭი სიხარულისგან ღელავდა და სათქმელს ვერ უყრიდა თავს. გოგო კი უმძიმეს ტკივილს განიცდიდა და ცდილობდა საკუთარი გაცდები არ გამოეხატა. მშობლიური კერა მისთვის იმდენად უცხო და მიუღებელი აღმოჩნდა, რომ სუნთქვა უჭირდა უკვე და ერთი სული ჰქონდა, აქედან რაც შეიძლება მალე გაეღწია თავი...

ძველით ახალ წელს ნაილე ახალ ოჯახში და მეუღლის მკლავებში შეხვდა, ერთ კვირაში კი მამა გარდაეცვალა.

დაკრძალვაზე მისულს, მასაც გაუკვირდა, როგორ უემოციოდ უყურებდა მამის უსულო სხეულს. ცრემლიც არ ჩამოვარდნია თვალებიდან. იჯდა ჭირისუფლებში, დედის გვერდით და იღებდა სამძიმარს. ის უკვე აღარ იყო რიზას ხატიჯე, მამას რჩეული და ნებიერა. არადა, მამის კუბოსთან ნამდვილად მისი ქალიშვილი ნაილე

იჯდა, რომელსაც გამზრდელი მამა აღარ ტკიოდა და ეს ამბავი, რაც არ უნდა უცნაურად მოგჩვენებოდათ, საერთოდ არ ანაღვლებდა „მამას გოგოს“.

* * *

იანვრის სესიის ნახევარი ისე ჩაილია, ნაილე თვალით არავის უნახავს. შემდეგ ხმა გავრცელდა, ძალით გაათხოვეს და სწავლას თავი დაანებაო, რამდენიმე დღეში, მამაც გარდაეცვალაო... ასე გაქრა ჩემი ცხოვრებიდან ჩემი ხატიჯე და უზარმაზარ ტკივილთან და მონატრებასთან ერთად, დამიტოვა უამრავი ტკბილი და ძვირფასი მოგონება, რომელიც წლების განმავლობაში მახსენებდა თავს და ხშირად, ჩემს უაზრო და უშინაარსო ცხოვრებას შნოს და ლაზათს მატებდა.

ზუსტად, ოცდაათი წლის შემდეგ, ბათუმის ბულვარში სეირნობისას, საპირისპირო მხრიდან მომავალი ქალი ხატიჯეს მივამსგავსე, ხუთიოდე წლის ბავშვთან ერთად მოდიოდა, მზის სათვალე ეკეთა და მზესავით ანათებდა. ეტყობა, მანაც შემამჩნია და ნაბიჯი შეანელა, შემდეგ გაჩერდა, სათვალე მოიხსნა და დამელოდა. მეც მივუახლოვდი და მის წინ გავჩერდი.

– გამარჯობა აჩიკო. – მითხრა მან და გამიღიმა.

– გაგიმარჯოს ხატიჯე. – ვუთხარი მე და თვალი მოვარიდე.

– როგორა ხარ ყაძახო? – გახუმრება სცადა ქალმა.

– ისე, რა... – ვუთხარი აღელვებულმა.

– სულ არ შეცვლილხარ. – გული გამიკეთა.

– ეს შენზე ითქმის, თუ ითქმის, უფრო დამშვენებულხარ და გალამაზებულხარ, შენ ქმარს არ ეშინია, მარტოს რომ გიშვებს გარეთ, ვინმემ რომ მოგიტაცოს? – ავღლაბუცდი და ისიც ამყვა.

– წარმოიდგინე, კი, მაგრამ ახერხებს შიშების დაძლევას.

– ეს პატარა ვინ იქნება? – ბავშვზე ვკითხე.

ნაილემ ბავშვი ჩემკენ მოატრიალა.

– აბა, ბიძიას უთხარი, რა გქვია.

პატარა უცებ დასერიოზულდა, ამომხედა და სხაპასხუპით მომიგო:

– აჩიკო. – შემდეგ ხელი გამომიწოდა და ჩამომართვა.

– გვარი? – ეს ისევ ნაილეს ხმაა.

– ჩავლეიშვილი.

– საიდან ხარ?

– ოზურგეთიდან.

– ჩემი შვილიშვილია, ნაბოლარა ქალიშვილის მესამე სიხარული.

– რას ამბობ, ღმერთმა სასახელო ვაჟკაცი გაგიზარდოს. – დავლოცე ბავშვი და ხუჭუჭ თმაზე ხელი გადავუსვი.

იქვე, ზღვისპირა კაფეში ჩამოვჯექით. ნაყინი, ყავა, ნამცხვარი მალე მოგვიტანეს და მოუსვენარი პატარა აჩიკოც მალე მოიდღურა.

– მთელი საუკუნეა არ მინახიხარ... დასუსტებულხარ... წვერი არასოდეს გიხდებოდა, რატომ მოუშვი? – მისაყვედურა ნაილემ.

– სახლში მისვლისთანავე გავიპარსავ. – შევპირდი.

– როგორ ხარ, რას საქმიანობ, ყველაფერი მაინტერესებს და მომიყევი, დრო მაქვს. – მთხოვა ჩემმა ხატიჯემ და ნაყინის ჭამა დაიწყო.

– კეთილი, მაგრამ ბევრი არაფერი მაქვს სატრაბახო. სკოლაში ვმუშაობ, ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი ვარ, ადრე ბავშვებსაც ვამზადებდი, მაგრამ რეპეტიტორობას გული ვერ დავუდე და გავაგდე, ნებისყოფა არ მეყო.

– ოჯახი, შვილები?

– პირველ ცოლს მე ვერ შევეგუე, მეორე – მე ვერ შემეგუა და დამშორდა. პირველიდან ბიჭი მყავს, ახლა უცხოეთში ცხოვრობს და მუშაობს, მეორედან – გოგო, ერთ სკოლაში ვასწავლით, ფიზიკის მასწავლებელია, დაოჯახებულია და ორი შვილიშვილის ბაბუა ვარ...

– ახლა მარტო ცხოვრობ? – მკითხა შეცბუნებულმა და ხმაში სინანული გაერია.

– თითქმის არა. მეგობარი ქალი მყავს, ქვრივია, ხან მე ვარ მასთან, ხან ისაა ჩემთან, ერთმა-

ნეთს ვავსებთ და ვაიმედებთ. აფთიაქში ფარმაცევტად მუშაობს. ერთი ბიჭი ჰყავს, მოსკოვში ცხოვრობს და მუშაობს. იქაური ცოლი შეირთო და საქართველოში ჩამოსვლას არც აპირებს, დედას შეძლებისმაგვარად ეხმარება, ისე, გარუსებულია და ქართველის გვარიღა აქვს შემორჩენილი.

– შენგან უფრო მეტს ველოდი, რომ იცოდე, გული დამწყვიტე...

– გთხოვ, არ გინდა სენტიმენტები... ნერვები მეშლება, როცა ვინმე მიბრალებს. ან თანამიგრძნობს... მე ასეთი ვარ და ვერაფერი შემცვლის, ვერც სიკვდილი...

– ჰო, კარგი, კარგი... – შეწუხდა ქალი და უხერხულად შეიშმუშნა... – რა დროის სიკვდილია, აღარ გადაეჩვიე ბუტიაობას? – იკითხა მორიდებით.

– რა შემცვლიდა...

– წლები.

– ჰოო, წლებმა კი დამატყო ხელი. – ვთქვი დანანებით და ფიჭვნარში უდარდელად მოსეირნე ახალგაზრდა წყვილს გავაყოლე თვალი. ისინი ხელგადახვეულები ნელი ნაბიჯით მიდიოდნენ და დროდადრო, ტელეფონით სამახსოვრო სურათებს იღებდნენ.

– ეს ბულვარი ჩემთვის უძვირფასესი მოგონებებითაა გაფერადებული.

– ჩვენი საზიარო მოგონებებით... – შევუსწორე და ისიც უსიტყვოდ დამეთანხმა, – მაინც, სად დაიკარგე ნაილე, ხმა რომ ვერ მოგაწვდინე, ვერც მოგაგენი, მთვარეზე გადასახლდი?

– არა, რას ამბობ, – თავი ჩაღუნა, – მაშინ საშინელ დღეში ვიყავი, ქობულეთში გაჩერება არ შემეძლო. ჯერ ქუთაისში გადავედით საცხოვრებლად, იქ დავამთავრე უმაღლესი, შემდეგ მეუღლე სპეციალობით სამუშაოდ ზუგდიდში მიიწვიეს, შვიდი თუ რვა წელი იქ ვიყავით, თბილისშიც ვცადეთ დამკვიდრება, მაგრამ არ აღმოჩნდა ჩვენი ქალაქი თბილისი, ვერ შევეგუეთ და მეუღლის მოხუცი მშობლების მოვლის მიზეზით დავბრუნდით სახლში. კარგიც ვქენით, შინაურ გარემოში ფეხი იოლად მოვიკიდეთ და წელშიც გავიმართეთ.

– რამდენი შვილი გყავს ხატიჯე?

– ხუთი – სამი გოგო და ორი ბიჭი. ყველა დაოჯახებული მყავს. თოთხმეტი შვილიშვილის ბებია ვარ.

– ქმარი როგორი შეგხვდა? – მორიდებით ვკითხე.

– საუკეთესო, შენზე გაცილებით უკეთესი, რა თქმა უნდა...

– ეჭვიც არ მეპარება.

– შენზე უარეს რატომ წავყვებოდი, ერთი მითხარი?

– მოგიტაცა?

– რას ამბობ, მაგი ფიქრადაც არ მოსვლია თავში, მამამ გადაწყვიტა ასე, მას გავყოლოდი. თქვა და ვერავინ გადაათქმევინა. ვერც მე. ვერ წარმოიდგენ, რა გადავიტანე...

– აბა ერთი მე მკითხე.

– მჯერა... – მითხრა გაკაწრული ხმით, შუბლთან ჩამოვარდნილი შეჭაღარავებული თმა თითებით შეისწორა და ბავშვს გადახედა.

პატარა აჩიკო უდარდელად მიირთმევდა ნაყინს და დროდადრო თუ გამოგვხედავდა უმანკო თვალებით, თორემ არ მგონია, იმ წუთში ჩვენი არსებობა საერთოდ ახსოვდა.

– დროულად რომ შემეტყო შენი ამბავი, აუცილებლად ჩამოგაკითხავდი სოფელში და მოგიტაცებდი.

– ნუ ამიტრაბახდი ახლა, რა გვჭირს ქობლეთლებს გურულების მოსატაცებელი, თუ რამეს შნო და მარიფათი გქონდა, გამოგეჩინა მაშინ, ან შემოგეთვალა და ჩემი ფეხით მოვიდოდი იქ, სადაც ისურვებდი...

– არ გინდა ხატიჯე, ასეც ნუ გამწირავ, თუ არ დამინდობ, შემიბრალე მაინც... – გულწრფელად შევეხვეწე.

– კაი ერთი... – მომიგო და თეთრ, ფითქინა ლოყებზე ალმურმა გადაურბინა.

* * *

ზუსტად აღარ მახსოვს, რამდენი წელი გავიდა ამ შეხვედრიდან, რვა თუ ცხრა, ოზურგეთის ავტოსადგურში ვარ, ნაცნობის დედის და-

კრძალვაზე ვაპირებ წასვლას. მელექედურისკენ მიმავალ ავტობუს ველოდები და დროის მოსაკლავად, წინ და უკან დავბოდიალობ. გავერანებულა ავტოსადგური, შენობა მშვენიერია, მაგრამ მოუვლელი, გარემოვაჭრეები და უპატრონო, დამშეული ძაღლები უფრო მეტია, ვიდრე მგზავრი. ისეა, როგორც ქვეყანაში, ყველა თავის გადასარჩენად იბრძვის, დიდი თუ პატარა. და თან ისე, როგორც შეუძლია.

– შრომის ავტობუსი როდის ჩამოდგება? – კითხულობს თავზე ყაბალახჩამოფხატული კაცი და მძიმე ტომარას იატაკზე დებს.

– გრაფიკით, ათ წუთში. ისე, შეიძლება დაიგვიანოს, საბურავი გაუსკდა და ვახოიას პროფილაქტიკაში ცვლის მძღოლი. – პასუხობს დისპეტჩერის ფუნქციაშეთავსებული მელოტი კაცი და იაფფასიან, უყველო ხაჭაპურს მადიანად ილუკმება, თან ისე, რომ ადევნებულ ორ დამშეულ ძაღლს ფეხის მოქნევით, გაჭირვებით იშორებს.

– თქვენ რომელ ავტობუსს ელოდებით? – მორიდებით მკითხა ყაბალახიანმა.

– მელექედურისკენ მიმავალს.

– წავაო, შეგპირდნენ?

– კიო და არ მგონია, სიტყვა გატეხონ.

– არ იკადრებენ მაგას... – გული გამიკეთა ყაბალახიანმა და გამშორდა.

ამ დროს, ვიწრო ჩიხიდან, რომელიც ბაზრიდან ავტოსადგურისაკენ მომავალ მოკლე, მაგრამ ალტერნატიულ გზას წარმოადგენდა, ახალგაზრდა ქალი, კაცი და მოზარდი გამოჩნდა. ამ ერთი შეხედვით, უმნიშვნელო ამბავს სათანადო ყურადღებას ნამდვილად არ მივაქცევდი, ერთი ნიუანსი რომ არა, შავებში ჩაცმული ქალი ძალიან წააგავდა ხატიჯეს. თვალები, ნიკაპი, ლოყა, გამოხედვა და ლაპარაკის მანერაც კი ხატიჯეს ალიკვალი იყო.

– დიდი ბოდიში, რაღაც მინდა გკითხოთ და გთხოვთ, არ გამიწყრეთ. – მორიდებით მივმართე ახალგაზრდებს, როგორც კი მომიახლოვდნენ და მძიმე ჩანთები ძელსკამზე დადეს.

– გისმენთ ბატონო... – ხალისიანად შემეხმიანა კაცი.

– იქნებ ვცდები, მაგრამ ეს ახალგაზრდა ქალი ჩემს ერთ ნაცნობს მივამსგავსე, მინდა გკითხოთ, ხატიჯეს ხომ არ იცნობთ?

– მასეთს არავის. – სამივემ იუარა.

– ნაილეს?

ახლა სამივე ერთდროულად შეცბა და დაკვირვებით შემომხედეს.

– ნაილე დედა იყო ჩემი, – მეუბნება ქალი და მაკვირდება, – იცნობდით?

– როგორ არა, ძალიან კარგად, ერთ ინსტიტუტში ვსწავლობდით, სხვასხვა ფაკულტეტზე.

– თქვენ რომელი ხართ?

– მე აჩიკო ვარ. – ვთქვი ხმადაბლა, გაბზარული ხმით.

– აჩიკო მშვიდობაძე? – თვალები გაუფართოვდა გოგოს, – მე ნაილეს ნაბოლარა გოგო ვარ, თამილა...

– ეს ვაჟკაცი პატარა აჩიკო ხომ არაა? – ვიკითხე.

– კი, იცნობთ? გაიზარდა უკვე...

– ბებიასთან ერთად შემხვდა ბათუმის ბულვარში, მაშინაც ძალიან ცელქი და მოუსვენარი იყო.

– ჰოო, მოუსვენრობა გენში აქვთ ჩავლეიშვილებს. – შეაქო ქმრის გვარის გამორჩეულობა რძალმა.

– რა დაემართა ნაილეს?

– გულმა უმტყუნა დედას, მეორე თვეა, რაც მამასთან წავიდა...

– რას ამბობთ, – ჩამწყდა გული, – იწვალა?

– არა მგონია, ძილში გაგვეპარა, დილით, წამოდგომა რომ შეაგვიანდა, უფროსმა რძალმა მიაკითხა ოთახში. ცივი იყო უკვე, აღარ სუნთქავდა.

– კარგი დედა გყავდა შვილო, საუცხოო ადამიანი, დიდი სიყვარულის შემძლე და მომფერებელი.

– მადლობა ბატონო.

– ღმერთმა გაანათლოს მისი სული. – ვთქვი და გამობრუნება დავაპირე, არ მინდოდა ბავშვებს თვალცრემლიანი დავენახე.

– ბატონო აჩიკო, – გოგოს ხმამ შემაჩერა, – იცით, რა იყო დედის ბოლო სურვილი?

– არა, არ ვიცი... – ვიკითხე გაკვირვებულმა.

– სიკვდილამდე ორი კვირით ადრე გამანდო, მასთან რომ ვიყავი, სოფელში, – თამილას ლაპარაკი უჭირდა და ეტყობოდა, თავს ძალას ატანდა, – პოლაროიდის ერთი ძველი სურათი ჰქონდა, რომელსაც მთელი ცხოვრება უფრთხილდებოდა თურმე. საკვირველია, აქამდე როგორ მოაღწია. ამ სურათში დედა ცხრამეტი წლისაა, თქვენ კი, ბატონო აჩიკო, ოცის. სუფრასთანაა გადაღებული და ორთავე ძალიან ბედნიერები ჩანხართ, უდარდელად იცინით და თავები ერთმანეთისთვის გაქვთ მიტყუპებული, მარჯვენა ხელით დედის მარცხენა გიჭირავთ და ისეთი შთაბეჭდილება რჩება, რომ არასოდეს გაუშვებთ.

– მომკალით და არ მახსენდება შვილო, რომელ ფოტოზეა ლაპარაკი.

– შეიძლება, რადგან ფოტო ერთადერთი ცალი იყო.

– ახლა სადაა ეს ფოტო?

– დედის სურვილისამებრ, დაკრძალვის დღეს, უბეში ჩავუდე და ჩავაყოლე საფლავში.

– რას ამბობთ, დაჯერება მიჭირს და ტირილი მინდება, – მადლობა, სურათის შესახებ რომ მომიყევი...

– მინდოდა გცოდნოდათ, დედა ძალიან გაფასებდათ...

– ეჭვიც არ მეპარება, შვილო... – გამოვემშვიდობე და მოგვიანებით, მელექედურში წასვლის ნაცვლად, ბათუმისკენ მიმავალ სამარშრუტო ავტობუსში ჩავჯექი.

ახლა სხვისი ტირილის თავი არ მქონდა, ჩემი დამირჩა სატირალი...

4 ივნისი-10 ოქტომბრი. 2023 წ.

ბათუმი



ირინა ხინიკაძე

* * *

ისევ უცნაურ ზღაპარში მოვხვდი –
ხეებზე თეთრი ჭინკები წვანან.
მოდის და მოდის ფაფუკი თოვლი
და ამ თოვაში შენ ჩემთან არ ხარ...
და ამ თოვაში ღმერთია ახლოს
მის ნაფეხურებს მივდევ და ვთბები,
მე მახსოვს თოვლი, მე თოვლი მახსოვს
და ჩვენი სოფლის ლამაზი მთები.
რომ იდგა მინდვრად უჭერო ქოხი –
არც ისე შორი ცაა ქოხიდან...
როგორ არა ხარ?! როგორ არ მოდი?!
ან თოვლი მარტო როგორ მოვიდა.

* * *

ერთ დღეს... უნდა გავიცივო გული.
კარგია – როცა გული ცივია.
ერთ დღეს... უნდა დავჭრა...
საგულდაგულოდ შენთვის შენახული კაბა –
სახელოებზე ლურჯი კესანებით.
ერთ დღეს... ღმერთი უნდა ვათოვო.
უღმერთობის დრო აღარა მაქვს.
ერთ დღეს... ორპირები უნდა გამხილოთ
და დაგილოცოთ უჩემო გზები.
ჰოდა ამიტომ... როგორმე
უნდა გავიცივო გული.
კარგია... როცა გული ცივია.

* * *

მე მინდა ისევ წვიმაში ვიდგე
გავქრე, გავექცე სასხლეტს და ჩახმახს...
რომ ღმერთი ციდან სიყვარულს ცრიდეს
ღმერთი – რომელიც არის და არ ჩანს.
მინდა გესმოდეს ჩემი სიმღერა
რომელიც სხვების სიმღერას არ ჰგავს,
შემთხვევა იყო თუ ბედისწერა –
ჩვენი შეხვედრაც და ჩვენი წასვლაც.
ოთახში ჩუმი ლანდები ქრიან
გარეთ კი აწვიმს ლამაზ ქვეყანას...
რა გვექნებოდა სხვა უფრო წმინდა
ერთმანეთი რომ არ დაგვენახა.
მე მინდა ისევ წვიმაში ვიდგე
გავქრე, გავექცე სასხლეტს და ჩახმახს...
რომ ღმერთი ციდან სიყვარულს ცრიდეს
ღმერთი – რომელიც არის და არ ჩანს.

* * *

ძვირფასო! რას ცვლის ეს განშორება
რას ცვლის ეს ხალხის აურზაური...
არ კვდება, ცოცხლობს ჩვენი ოცნება –
ხელუხლებელი და უცნაური.
რას ცვლის ეს შენი ბრაზი და დაღლა
ან რას ცვლის სევდა ეს უსაშველო?
ნუ გგონია რომ ღმერთია მაღლა,
შენში ღმერთს შენვე უნდა უშველო.
ვიცი ძნელია, ძნელია ვიცი
რომ შევძლო შენზე ფიქრი და წერა...
რომ სიყვარულის ჩვენა ვართ ღირსი
შემთხვევა იყო თუ ბედისწერა.
ქარში, წვიმაში, თოვაში, მზეში
განა იცვლება ასე მარტივად
ღმერთი რომელიც ვიპოვე შენში,
მამა რომელიც არ დამავიწყდა.
ძვირფასო რას ცვლის ეს განშორება
რას ცვლის ეს ხალხის აურზაური?
არ კვდება, ცოცხლობს ჩვენი ოცნება –
ხელუხლებელი და უცნაური.

* * *

აღარავის არ მესმის.
ვარ ჯადოსნურ მხარეში.
სადღაც ახლოს, იქვე –
შენი ფრთების ჩრდილქვეშ.
როგორ შლიან წუთები
მტყუანსა და მართალს
თოვლის თეთრი ბურთებით,
ჩვენს ეზოში თუთები –
მოურთია ზამთარს.
აღარ ველი არავის!
შენ შემომრჩი მარადის!
სხვას რაც იყო რაც არის...
თოვლი თეთრად ბარდნის.

* * *

საღამოობით... „ვეფხისტყაოსანს“ ვკითხულობ ხოლმე.
რა ბედნიერებაა, რომ არსებობს იგი.
ასეთი ლამაზი და ასეთი ქართული.
სასწაულები რომ მართლა ხდებოდეს და რომ მართლა არ მომკვდარიყო რუსთაველი...
შევჩივლებდი მას.
ჩემს მონატრებაზე – რომელსაც ვერაფრით ვშველი.
ჩემს შეცდომებზე – რომლებიც არ უნდა დამეშვა... მაგრამ დავუშვი.
მამაჩემზე – რომელიც აღარასოდეს დაბრუნდა.
ჩემს პატარა ქალაქზე – რომელმაც გადაუღებელი წვიმები იცის.
ჩემს სიყვარულზე – რომელიც გვიანია. მაგრამ მართალი.
ჩემს სიძულვილზე – რომელიც არ მაქვს.
ჩემს სიმღერებზე – რომლებსაც ვმღერი მაშინ, როცა არ მემღერება.
სასწაულები რომ მართლა ხდებოდეს...
და რომ მართლა არ მომკვდარიყო რუსთაველი.

* * *

დაქანდა წვიმა, წვეთების გუნდი
სავსეა ქუჩა სველი ჩიტებით...
ვისთვის მღეროდი, ან ვისთვის დუმდი –
თუ შენაც ჩემს ხმას ვერ გაიგებდი.

დაქანდა ციდან მჭვირვალ პეპლებად
და მე უშენოდ ყოფნა არ ვიცი...
ასე ივსება წვიმით ნელ-ნელა
მე და შენს შორის დრო და მანძილი.
და რაც სიმართლე თქმულა თუ ჭორი
ისიც ივსება წვიმით ნელ-ნელა...
მე და შენს შორის, მე და შენს შორის
რაც იყო, არის და რაც იქნება.
დაქანდა წვიმა, წვეთების გუნდი
სავსეა ქუჩა სველი ჩიტებით...
ვისთვის მღეროდი, ან ვისთვის დუმდი –
თუ შენაც ჩემს ხმას ვერ გაიგებდი.

* * *

არ გამახსენო რომ მიყვარდი... არ გამახსენო!
უკვე ვისწავლე – გული როგორ ვაქციო ფერფლად.
ღმერთი კი არა, უღმერთობაც თურმე არსებობს
და უღმერთობაც... თუ ღმერთი გწამს, არ გამახსენო.
სად დარი იყო, სად წვიმები, სად ცისარტყელა
დღეს სულერთია და ამიტომ არ გამახსენო!
მე უსათუოდ... ეს სიჩუმე უნდა გამეგო
და ეს სიჩუმეც... გევედრები არ გამახსენო.
სულ მალე მოვა ისევ თოვლი – ფრთამალი ფიფქით
დაიფარება ჩემი სულის მზეცა და ჩეროც
და რომ იმ თოვლზე... უფრო თეთრი თოვლიც არსებობს
გთხოვ არასოდეს...
არასოდეს არ გამახსენო!



დედა მეტონიძე

* * *

წვნიანი ტაბაკაა... ფლავი თუ ქაქაბუა,
ამან გადარია, ამანვე გააბრუა.
იჯდა, მხიარულად რეგვენი კაკაბი,
ქვაბი ირწეოდა, ითმენდა საქვაბე.
აზრი, უჩვილესი ზამთარს უმიზნებდა,
ცეცხლი ბერდებოდა,
უფრო გიზგიზებდა.
არც რა იქნებოდა, მასში – არაჩემი,
მთლიანად ცეცხლი იყო,
ცეცხლისგან გასარჩევი.
ქვეყანას მომეწყინა ისე გამიხარდა,
დავხატე ყარყარა
და ღვინო გამითავდა.
ვაიმე! რა ქენიო იკივლა
ორთქლმავალმა,
მე აქ დავრჩებიო, გაჭედა მომავალმა.
ისე ნაზებია მაჯებზე საბუხარი,
არასდროს გათავდება
დედლის საწუხარი.
თორმეტი პინაკი წაბლის განჯინაში,
კოჭლი და ნაკლია თვალი
ამ ჭიქაში...
ვიცი მე-ლოდები, მე არ ვაგვიანებ,
უნდო და უპიროვნო სიტყვები
მეზმანება,
როგორც ამ ლექსს
ყავდა პატრონი – ნამეტანი,
მშვიდობით გაეტანოს, ბაყვებში შუბისტანი!
წვნიანი ტაბაკაა... ფლავი თუ ქაქაბუა,
ამან გადარია, ამანვე გააბრუა...

* * *

ფუჭ სასიტყვეთში დააფენს ოგრას,
ჩვენი-ობაა და ჩვენი ხანი.
მე, შენს გულამდე დავაგებ ბოგას,
ლურჯი იაბო გაკვალავს ღამეს.
და მე, ვიქნები ზამთრის მეხოტბე,
უმორჩილესი მტვირთველი
კვერთხის,
და მე, ვიქნები იმის მე-ოხე,
რაც უნდა დარჩეს სიკვდილის მერე.
სული, გაივლის ვიწრო ოთახებს,
შეღერებული მცივანა სევდით,
ის, აუყვება თოვლის გორახებს,
ადამიანი – უგულო ღმერთი!
ფუჭ სასიტყვეთში დააფენს ოგრას,
ჩვენი-ობაა და ჩვენი ხანი.
მე, შენს გულამდე დავაგებ ბოგას,
ლურჯი იაბო გაკვალავს ღამეს.

* * *

ენკენს ელეოდა სულის ჩინი,
თაფლის დატკბანურდა მაჭარი,
კვერში გაურია დარიჩინი,
ხორბალს უმძიმებდა თავთავი.
ასე, არაფრისთვის არ მოვცდები,
თუთუნს დაგილევ და დავწვები,
სიზმარს მოუცურდა ბალდახინი,
ბალღის კულულებით ნაშენი.
ცოტაც და ერთ სისხამს,
ლალეს გეტყვი,
მერე, აქეთურსაც მოვყვები,
თუმანს გიფეშქაშებ ა-ლალებით,
განა უსასყიდლოდ მოვკვდები.
ინდის ხურმასავით დამიძვირდა,
პირწყალს მომიყვანდა ჭერამიც,
განა იმნაირად ბევრი მინდა,
ჩემთვის შრიალებდეს ხეივანი.
მიყვარს, ანცი ჩრდილის თამაშობა,

კენწლავს ათინათი ბულულებს,
გულმა მოინდომა თავკაცობა,
გონი, ბუხარივით გუგუნებს.
(ვიყო ეული და ულამპარო)
შენაც სევდის რიდე დაგხვიე,
ნეტავ, რას გერჩოდი მეგობარო,
მოდი, ერთხელაც მაპატიე.

* * *

არც კარი იყო, მზით ნატუსალი,
არც გული ეცხო იმ კარს შიგნიდან,
რაღაც უბელო და ტანმხურვალი,
იკვეთებოდა რუხი ჩრდილიდან.
სიმინდის ქეჩეჩს ის, ეხვეოდა,
ფუნთხით შემთვრალი, იწვა ალერდი,
ხანს, მის ფეხებთან ილერწებოდა,
რომ, გაეკაწრა კვესი ა-ბედით...
ის, იყო უტყვი მოლაპარაკე,
და ევლო სუნი, თეთრი პიონის,
ის, იგონებდა იგავ-არაკებს,
დიდ წამებაზე, კუშტი იობის.

LUX EX TENEBRIS...

ადრეც ეს იყო, მე, დავიკარგე,
შავმა ბურუსმა შთანთქა სიზმარი,
იქვე, მოწყენით, იდგა სიმართლე,
როგორც, პატარა ყრმა – ნაბიჭვარი...
გული, ძაღლივით ყმუოდა წუხელ,
მე, უფალივით ვიყავი მშვიდი,
და-მიკოცნიდნენ, ეჭვები მუხლებს,
პეპელასავით თრთოდა ნიკაპი...
ცა – მოჟამული, მიკრავდა ფშვიადს,
დიდედის ხატთან ჩაიწვა კვარი,
და, უმატებდნენ ჩრდილები შრიალს,
და, მოდიოდა, თვით ქარიშხალი...
ადრეც ეს იყო, მე, დავიკარგე,
ახლა, ტალანებს მიყვება წუხი,
და, ყვავილებზე უფრო ძვირფასი,
მიჯრით-მიდიან-ღრუბლები-რუხი...

* * *

სიოს მონა-ბერი, უხეივნო ღრეში,
სიპი ყინულივით გაჩრილ
გულს ატოკებს,
ჰოი, ამ დაფლატულ ადგილს
აღარ ვერჩი,
ვერა, ვერ მოღრიცავს,
თვალი სიმარტოვეს...
ზამთარს აუღია ხარკი
დავიწყების,
ცრუა ის პოეტი,
ცრუობს სევდის მისხალს,
ჩემთვის ყველაფერი
არის მისაღები,
ჩემთვის მიუღებელ,
რამეს თუ იკითხავ..
ისევ, ვერ გაცდება
თვალი ამ სანახებს,
სადაც გამიმართავს
ფეხი არეული,
სადაც ჩემი სული,
ეძებს ამხანაგებს,
აგე, ღოღიალობს
ფოთლის მთვარეული..
სიოს მონა-ბერი უხეივნო ღრეში,
სიპი ყინულივით გაჩრილ
გულს ატოკებს,
ჰოი, ამ დაფლატულ ადგილს
აღარ ვერჩი,
ვერა! ვერ მოღრიცავს,
თვალი სიმარტოვეს.

* * *

გათოვდებოდეს, გეფიცები
ახლა იმგვარად,
ბამბის ფთილებით,
თავმოქცევით,
დაღმაფრენებით,
რომ დაუშენდეს პანტა ქულებს

დაღლილ ფილაქანს,
სადაც, დადიან დაღვრემილი ანგელოსები...
რომ სხვა გზებიდან მოდიოდეს სამარიტელი,
არ ემჩნეოდეს ამრევი დაღლა
და შემცივნება,
რომ იწროებზე გაკვანძული
ნარის ტიხრები,
არ მიღობავდეს შენსკენ სავალს,
თოვლის თექაზე...
გათოვდებოდეს, გეფიცები
ახლა იმგვარად,
ჩამოიტანდეს ფარტენების
მყიფე ნაგლეჯებს,
ჩამოფერთხავდეს ცის კალთიდან
ყინვის ინახად,
ჩვილი ბავშვივით დამარწევდეს
და მომივლიდეს...
ჩამონამცვრევდეს, ჩამოიფქვას,
ჩემოქათქათდეს,
როგორ მიყვარხარ,
არც კი იცი და ვერ გაიგებ,
მე, დაგინახე ჩამომჯდარი,
მწვანე ხილნართან,
დაგინახე და გეფიცები,
თოვლით ვიტირე.

დაღი თედორაძე

უჩვეულო ახალი წელი

(ზღაპარი)

ძალიან, ძალიან დიდი ხნის წინათ, ტყესთან ახლოს, სუროს მწვანე ფოთლებით დაფარული ერთი პატარა ხის სახლი იდგა, რომელიც ულამაზეს, ზღაპრულ ქოხს ჰგავდა. ოთახებში მუდამ ნაძვის ფისის და ყვავილების საოცარი სურნელი ტრიალებდა.

სახლში პატარა, ცქრიალა ნილინა ცხოვრობდა, გრძელი, კოჭებამდე დაყრილი, ოქროსფერი ბურბუშელა თმით, საოცარი, მაყვალივით შავი თვალებით და წკრიალა ხმით. როცა ნილინა იცინოდა, მზის სხივების წკრიალი და ნაკადულის რაკრაკი ერთმანეთს ერწყმოდა. ჯერ ცაში აიჭრებოდა, მთებს გადასერავდა, ველზე გაინავარდებდა, შეიჭრებოდა ტყეში, აშრიალდებოდა ფოთლები, აჭიკჭიკდებოდნენ ჩიტები, მინდორი აივსებოდა ბაჭიებით, ციყვებით, ზღარბებით, მელიებით. ნილინას წრეში მოაქცევდნენ და მათი მხიარულება ცას სწვდებოდა.

ნილინას დედას, რომელსაც ბებიისგან მემკვიდრეობით მკურნალის ნიჭი ერგო, ბალახებით ათასნაირ მალამოს ამზადებდა. უსასყიდლოდ მკურნალობდა ავადმყოფებს. თბილი და ყურადღებიანი ბელამიდა უყვარდა ყველას და პატივს სცემდნენ.

ნილინა დედას ყოველთვის დიდი სიამოვნებით დაჰყვებოდა ტყეში. ეხმარებოდა სამკურნალო ბალახების კრეფაში. აგროვებდა სოკოს, ეფერებოდა ხეს, ბალახს, ყვავილებს, პეპლებს. ერთხელ, ხის ძირში, ახლად შებუმბლული ციყვის შვილი, დღნაშვი ნახა. შეშინებული, აკანკალებული ცდილობდა ბუჩქში შემალვას. ალბათ, რომელიმე მტაცებელ ფრინველს დაუვარდაო – გაიფიქრა ნილინამ. დიდხანს ეძება დღნაშვის სახლი, მაგრამ ვერანაირ კვალს ვერ მიაგნო და შინ წაიყვანა. ციყვს ბელუკა დაარქვა. თავისი ხელით ასმევდა რძეს, გულმოდგინედ უვლიდა, ეფერებოდა. დღნაშვი შეეჩვია ნილინას, ტყეში წასვლა არც უფიქრია და მას შემდეგ გულითადი მერგობრები გახდნენ.

იმ ქვეყნის ხელმწიფეს ძალიან ჯიუტი და თავნება ცოლი ჰყავდა. სახელმწიფოს შემოსავლების ყველაზე დიდი წილი მის სადღესასწაულო ჩასაცმელ–მოსართავებში, მეჯლისებში და ათასნაირ გამაახალგაზრდავებელ აბაზანებში იხარჯებოდა. მეფე ვერაფერს გახდა, მოსწყინდა ჩხუბი. ხელი ჩაიქნია და უმეტეს დროს ნადირობასა და მეგობრებთან ერთად ნადიმებში ატარებდა.

დედოფალს უამრავი მოსამსახურის და სეფექალების გარდა, ერთი მკურნალი ჰყავდა, რომელიც ბალახეულის აბაზანებს, მალამოებს უმზადებდა. ეს ქალი ჯადოქარი იყო. ამ ამბავს საგულდაგულოდ მალავდა, მაგრამ დედოფლის გარდა ყველამ იცოდა ეს და ერიდებოდნენ მასთან ურთიერთო-

ბას. დედოფალი მუდმივად უკმაყოფილო იყო მისით. – ახალგაზრდობას თუ არ დამიბრუნებ, გაგაგდებო, – ემუქრებოდა. ბოლოს დედოფალმა ბელამიდას შესახებ გაიგო. სასწრაფოდ დაიბარა და უბრძანა, მას მომსახურებოდა. ბელამიდას არ უნდოდა, მაგრამ დედოფალს უარს როგორ შეჰკადრებდა.

ერთადერთი, სასახლეში გადასვლასა და ცხოვრებაზე შეჰბედა უარი ბელამიდამ. დედოფალმა ალმაცერად გადახედა და უთხრა: – სასახლეში ცხოვრებაზე ოცნებობენ! შენ, ეტყობა, თივაში ძილი გირჩევნია, ნება შენიაო – და ისე მოიქნია აბრეშუმის კაბის ბოლო, ახლო მდგომი სეფექალი კედელს მიენარცხა.

როცა ბელამიდა დედოფალთან მიდიოდა, ნილინა სახლში რჩებოდა ბელუკასთან ერთად. პაწია ხელებით რეცხავდა, სახლს ალაგებდა, ცდილობდა, დედისთვის შრომა შეემსუბუქებინა.

ერთხელ, დედას გაჰყვა სასახლეში. შორიდან უყურებდა უშველებელ, ფერად კოშკებიან სასახლეს. მისწონდა მისი დიდებულება და ძალიან აინტერესებდა, როგორი იყო იქაურობა. ეზოში შესულს, თვალები გაუფართოვდა. ცად აწვდენილ სასახლეს ორივე მხრიდან თეთრი, მარმარილოს კიბეები აუდიოდა, რომლის ფართო ვერანდაზე ულამაზესი ყვავილები, დეკორატიული ბუჩქები და ჯუჯა ხეები ხარობდა. ეზო შადრევნებით და ყვავილების გაზონებით იყო სავსე. ფერად, ულამაზეს, მდიდრულ ტანსაცმელში გამოწყობილი ადამიანები ხონჩებით, კალათებით, ფეხაკრეფით ადი-ჩამოდიოდნენ კიბეებზე. უჩვეულო, დამრთგუნველი სიჩუმე და სიცივე იდგა.

ძელსკამზე ჩამომჯდარი ნილინა ბელუკას ესაუბრებოდა. უცებ, ჩრდილი დაეცა თავზე, აიხედა და ლამაზ ტანსაცმელში გამოწყობილი ბიჭი დაინახა, რომელიც გაოცებული უყურებდა ნილინას და ბელუკას. ბიჭი უფლისწული აღმოჩნდა. უფლისწულს ასე ახლოს არასდროს ენახა ციყვი. ჩამოჯდა სკამზე, ჩაისვა კალთაში ბელუკა, ეფერებოდა და თან ნილინას უყურებდა. უკვირდა გოგონას არაბუნებრივი სილამაზე. ასეთი გრძელი აბრეშუმის თმა, დიდი, მეტყველი და სიკეთით სავსე თვალები, გაბუსხული, ვარდისფერი ტუჩები მხოლოდ ზღაპრებში ენახა. ნილინაც მოკრძალებით ათვალიერებდა უფლისწულის ოქრომკედით მოქარგულ ტანსაცმელს, ლამაზ, მაგრამ სევდიან სახეს.

ბელუკა კი ორივეს ათვალიერებდა. გულში ეცინებოდა. უფლისწულის კალთიდან გადახტა, ეზოში სირბილს და ხტუნვას მოჰყვა, თან ნილინას და უფლისწულს თვალებით იწვევდა. ნილინა ბელუკას აჰყვა. უფლისწული იდგა, გაღიმებული უყურებდა გოგონასა და ციყვის თამაშს. მერე, გაბედა და ნილინას დაედევნა. ნილინა კისკისით დარბოდა გაზონებში, წრეს არტყამდა შადრევნებს. ჟრიამულით გახარებულმა შადრევნებმა ერთმანეთს გადახედეს, აზვირთდნენ, მაღლა აიჭრნენ, მკლავები გაშალეს და იქაურობა გრილი წვეთებით მორწყეს.

ღრუბლების სიგრილეში მიძინებულ მზეს ცელქი სხივი გამოექცა. გზად, ცისარტყელას ჩაავლო ხელი და აქაფქაფებულ შადრევანში თავით გადაეშვნენ. ულამაზეს ფერებად აბრჭყვიალებული შადრევნიდან ცის კიდურამდე ულამაზესი, მუსიკალური ცისარტყელა გადაიჭიმა. ნილინამ ხელი ჩასჭიდა უფლისწულს და ბელუკას, ცისარტყელას ქიმზე შემოსკუპდნენ და ცაში აიჭრნენ. უფლისწულის სიხარულს და გაოცებას საზღვარი აღარ ჰქონდა. გადაუქროლეს ტყეებს და მთებს, ისრიალეს ზღვის ტალღებზე, იფრინეს ფერად ღრუბლებში.

მათი ჟრიამული და კისკისი ცას და მიწას სწვდებოდა.

სასახლეში დაბრუნებული უფლისწული გრძნობდა, რომ სულ სხვა ადამიანი გახდა – ხალისიანი, ბედნიერი, გულში ფერად-ფერადი პეპლები უფრთხიალებდა, მაგრამ მისი ბედნიერება დიდხანს არ გაგრძელდა, რადგან სასახლეში დიდი აურზაური დახვდა. ვიღაცას ხმა გაევრცელებინა უფლისწულის დაკარგვის გამო და სასახლე ზანზარებდა.

უფლისწული ოთახში ჩაკეტეს და ნილინას გარეთ გაუძახეს.

ჯადოქარმა, რომელიც დედოფალმა სასახლიდან გააგდო, გამოიყენა ეს ამბავი. მოისყიდა სეფექალი და დედოფლის აბაზანისთვის გამზადებულ ნახარშში შხამი ჩაასხმევინა. როცა აბაზანიდან შხამისგან დაფუფქული დედოფალი ამოიყვანეს, სეფექალმა კივილი მორთო, ბელამიდას დედოფლის მოწამვლაში და დაჯოქრობაში დასდო ბრალი. დედოფალმა სასწრაფოდ მოითხოვა პირველი მკურნალის დაბრუნება. მოიყვანეს ჯადოქარი, რომელმაც შხამი გაანეიტრალა და დედოფალს სიცოცხლე დაუბრუნა.

სასახლეს სწრაფად მოედო ამბავი ბელამიდას ჯადოქრობის შესახებ. ელვის სისწრაფით გავრცელდა ხმა სოფელშიც. ადამიანები, რომელთაც ბელამიდა უფასოდ მკურნალობდა და მუდამ მადლიერები იყვნენ მისი, ჯერ ჩურჩულით, შემდეგ ხმამაღლა და წყრომით ჰყვებოდნენ ათასნაირ გამოგონილ ამბებს.

ბელამიდა დაიჭირეს, ჯადოქრობისთვის სახალხოდ დასჯა მიუსაჯეს. სასახლესთან ახლოს, ორმოში ჩააგდეს და მძიმე, რკინის ცხაურა დააფარეს. ჯადოქარი ამით არ დაკმაყოფილდა, ვეზირებს გაახსენა უფლისწულის დაკარგვის ამბავი. დედოფალი და მეფე გოგონას ჯადოქრობაშიც დაარწმუნეს და ისიც დაიჭირეს.

დაღამდა. სოფელმა მშვიდად დაიძინა. ტყეში დიდი სამზადისი გამართულიყო. ბელუკამ ტყის ბინადრებს გააგებინა ნილინას და ბელამიდას დაჭერის ამბავი. ირმები, კურდღლები, ციყვები, დათვები, მგლები შეიკრიბნენ და დაპატიმრებული მეგობრების გამოხსნის გეგმა შეიმუშავეს.

ფეხაკრეფით მიუახლოვდნენ ორმოს, სადაც გუშაგებს ცეცხლი დაენთოთ. ზოგი კოცონთან იჯდა, ზოგი იარაღით ხელში ბოლთას სცემდა. კოცონთან ახლოს ბაჭიებმა დაიწყეს სირბილი, თითქოს ერთმანეთს ეჩხუბებოდნენ. სინამდვილეში, გუშაგების გატყუება უნდოდათ. გამოუვიდათ კიდეც. კურდღლების დანახვაზე გუშაგებს პირზე ნერწყვი მოადგათ. წარმოიდგინეს შამფურზე აშიშხინებული ხორცი და კურდღლებს დაედევნნენ. კურდღლებმა შორს გაიტყუეს ისინი. ამ დროს ბელუკა, ციყვები და დათვები ორმოსთან მივიდნენ. დათვებმა გადასწიეს მძიმე ცხაურა. ბელუკამ დათვს ჩასჭიდა ხელი, მეორე ციყვი ბელუკას კუდს ჩაეჭიდა, მესამე – მეორეს და ასე ერთმანეთის კუდებზე გამობმულებმა ორმოს სიღრმეში ჩააღწიეს. ჯერ ნილინა ამოიყვანეს, შემდეგ – ბელამიდა და სანამ სირბილისგან დაღლილი, იმედგაცრუებული გუშაგები დაბრუნდებოდნენ, ტყეს მიაშურეს. ტყეში ირმებმა დედა-შვილი ზურგზე შეისვეს და გააქროლეს.

მცველებმა შეამჩნიეს პატიმრების გაქცევა და ყვირილით, შეძახილებით დაედევნნენ, მაგრამ შეშინებულნი, ადგილზე გაშეშდნენ. საგუშაგოსთან უამრავი მგელი ჩაცუცქულიყო, რომლებმაც ალყაში მოაქციეს მცველები და გათენებამდე განძრევის საშუალება არ მისცეს.

დიდი ხნის სიარულის შემდეგ ირმებმა დედა-შვილი ერთ ტრიალ მინდორზე გაიყვანეს. მინდორში ასწლოვანი მუხის ხე იდგა, საოცრად ლამაზი, ფართოდ გაშლილი ტოტები ყავისფერი ნაყოფით დახუნძვლოდა. ბელუკამ ხესთან მიირბინა, ფესვებზე ხელი გადაუსვა, კარი გაიღო. ბელამიდა და ნილინა საოცარ სამყაროში აღმოჩნდნენ.

მუხის ხის სიღრმეში ორსართულიანი ხის სახლი იყო. პირველი სართულის სამზარეულო და მისაღები ოთახებიდან ხის რიკულებიანი კიბე პატარა საძინებლებში ადიოდა, სადაც კოხტა საწოლები იდგა. საწოლის თავზე ფერადი სანათურები ანათებდა. სახლში საოცარი სითბო, სინათლე და სიმყუდროვე სუფევდა. ბედნიერი ბელამიდა და ნილინა გადაეხვივნენ ბელუკას, მადლობა გადაუხადეს და იმ დღიდან ტყეში მშვიდად და ბედნიერად ცხოვრობდნენ.

ბელამიდა და ნილინა მთელი გაზაფხული, ზაფხული, შემოდგომა აგროვებდნენ ხილს, კენკრას, წაბლს, რკოს, სოკოს. აშრობდნენ, აფასოებდნენ და ზამთარში, როცა თოვლი თვეობით ჩამოწვე-

ბოდა ტყეში, მიჰქონდათ ნუგბარი, ტყის ბინადრებს უმასპინძლდებოდნენ, შიმშილით რომ არ დახოცილიყვნენ. თუ რომელიმე ცხოველი ფეხს ყინულზე დაიზიანებდა, მან კარგად იცოდა, ბელამიდა სასწაულმოქმედი მალომოთი უმკურნალებდა. საღამოობით კი, დედა-შვილი აგიზგიზებულ ბუხართან კენკრის ჩაის მიირთმევდა, მუსაიფობდნენ, ჰყვებოდნენ ზღაპრებს და გადიოდა დრო.

სასახლეში თითქოს სიმშვიდე იყო. დიდხანს ეძებდნენ გაქცეულებს, მაგრამ ვერსად მიაგნეს. ჯადოქარი არ ისვენებდა. მიუხედავად იმისა, რომ დედოფალს სიცოცხლე მოუსწრაფა, მეფეც მოაჯადოვა და დედოფლის ტახტზე ავიდა. სიმშვიდედაკარგული, მუდმივად ტაროს ატრიალებდა, მკითხაობდა, დაგეშილ მეძებრებს აგზავნიდა ტყე-ღრეში, მაგრამ ვერაფერი გაარკვია ბელამიდას და ნილინას შესახებ. ცუდ დღეში აგდებდა მოსამსახურეებს, მუდმივად საყვედურობდა უკვე მოხუც მეფეს და განსაკუთრებით ავიწროებდა უფლისწულს, რომლისთვისაც თავისი ქალიშვილის ცოლად შერთვა უნდოდა. ხედავდა, უფლისწული მის ქალიშვილს ზედაც არ უყურებდა; გრძნობდა, რომ მას ნილინა უყვარდა და გამწარებული, გაათმაგებულად ცდილობდა მათ პოვნას და განადგურებას.

ნილინას გაუჩინარების შემდეგ უფლისწული დანაღვლიანდა. ჯერ ფეხით, შემდეგ, როცა წამოიზარდა, თავისი საყვარელი ფეხმარდი ცხენით, დილიდან დაღამებამდე ეძებდა. ერთი წუთითაც არ დაუკარგავს მისი პოვნის იმედი.

ერთ დღეს, ისევ გაუდგა გზას. გადაწყვიტა, ნილინას თუ ვერ იპოვიდა, სახლში აღარ დაბრუნებულიყო. ჯადოქარმა რადგან ვერ მიაგნო ნილინას, გადაწყვიტა, უფლისწული მოეცილებინა თავიდან და ტახტზე თავისი ქალიშვილი დაესვა. ამიტომ, როცა უფლისწული გაემგზავრა, თავისი კატა აფთრად გადააქცია და მისი მოკვლა დაავალა.

უფლისწული ეძებდა ნილინას ტყეში, თვალუწვდენელ მინდვრებში და მთებში. ღამეს ხან გამოქვაბულში, ხან ტრიალ მინდორში ათენებდა. აფთარი რამდენჯერმე მოულოდნელად დაესხა თავს. უფლისწულმა მოიგერია, დაჭრა კიდეც, მაგრამ თავიდან ვერ მოიშორა, შორიახლო დაჰყვებოდა ჩუმად. დაღამებას ელოდებოდა, მაგრამ შებნელდებოდა თუ არა, სასწაული ხდებოდა. უამრავი თეთრი მგელი წრეს შემოარტყამდა ხოლმე მის სამყოფელს და ასე იცავდნენ აფთრისგან მძინარე უფლისწულს.

დაზამრთდა. უშველებელი თოვლი მოვიდა. უფლისწული დაიღალა, საგზალიც გამოელია, მაგრამ არ ნებდებოდა. ერთ დღეს, შებინდებისას, ძლივს რომ მიიკვლევდა წელამდე თოვლს, თოვლში უგონოდ მყოფი ბაჭია იპოვა. აიყვანა ხელში, ქურთუკში გახვია, ხელები მოხვია, გაათბო და როცა გამოაცოცხლა, ჩანთაში დარჩენილი უკანასკნელი პური და ყველი თავისი ხელით აჭამა. გამთბარი და მოსულიერებული ბაჭია ხელიდან დაუსხლტა და მიაძახა: – არ შეჩერდე, თითქმის სამშვიდობოს ვართო და წინ გაიჭრა.

მთელი დღე შეუჩერებლად იარეს. დაღამდა. უფლისწული დაიღალა, შიმშილმა დააუძლურა, ფეხი ვეღარ გადაადგა და თოვლზე გულაღმა დავარდა. ბაჭია შეწუხებული დარბოდა. თათებს სახეზე უსვამდა, ვერ მოაფხიზლა. თოვა არ წყდებოდა. უფლისწული ცოცხლად იმარხებოდა. ბაჭია პატარა თათებით სახიდან თოვლს აცლიდა, რომ არ დამხრჩვალიყო.

თეთრი მგლები გათენებამდე ყმუოდნენ, თავდასასხმელად გამზადებულ აფთარს აფრთხობდნენ და მშველელს უხმობდნენ. ნილინას და ბელამიდას ესმოდათ მგლების ყმუილი. მიხვდნენ, ტყეში რაღაცა ხდებოდა. როგორც კი ირიჟრაჟა, მგლების ხმის მიმართულებით თოვლი გაკვალეს და ძლივს მიაღწიეს უფლისწულამდე.

გონდაკარგული, გათოშილი და გაფითრებული უფლისწული ლაბადაზე დააწვინეს, თოკების ერთი ბოლო ლაბადას შემოაკრეს, მეორე დასახმარებლად გამზადებულ მგლებს კისერზე შემოახვიეს და სახლისკენ დაიძრნენ.

აფთარი ჩუმად, ფეხდაფეხ მისდევდა. კარგად დაინახა, სად მიიყვანეს უფლისწული. ბელამიდა და ნილინაც შეიცნო და გახარებული გაიქცა, ჯადოქრისთვის რომ ეცნობებინა ეს ამბავი.

შუა გზამდე მისულს, მგლები წამოეწივნენ. მიხვდა, თუ ეშმაკობით არ უშველიდა თავს, ერთ ლუკმად არ ეყოფოდა მათ. დიდი ხნის სირბილის შემდეგ მაღალ კლდეზე ავარდა, ქვემოთ პირდაღებული ხრამი მოჩანდა. მგლები უახლოვდებოდნენ. ზუსტად ასე ჩაიფიქრა: კლდიდან გადაეშვებოდა, მგლებს თავს დააღწევდა და თავს უშველიდა. მართლაც, თავქვე გადაშვებული, სანამ კლდის ქიმს დაენარცხებოდა, კატად გადაიქცა და ნაპრალებში გაუჩინარდა. მგლებმა იფიქრეს, მოვიშორეთო და თავი დაანებეს. შინ მშვიდობით მისულმა კატამ კი ჯადოქარს მოახსენა ყველაფერი.

განრისხებული ჯადოქარი ოთახში ჩაიკეტა. მთელი ღამე ღმუოდა, ბოროტ ძალებს უხმობდა. წყევლიდა ნილინას გაჩენის დღეს. მეორე დღეს მოისხა ლაბადა, მშვილდ-ისარი გადაიკიდა, კატა ისევ აფთრად გადააქცია, ზურგზე შემოაჯდა და გზას გაუდგა.

ამ დროს, უფლისწული, რომელიც ავადმყოფობის დროს სულ ნილინას სახელს აბოდებდა, უკვე გამოჯანმრთელებულიყო და ბედნიერი, მეგობრებთან ერთად საახალწლო სამზადისს შესდგომოდა.

ახალი წელი დგებოდა. დილიდან, მუხის უშველებელი ხე ციყვებმა გამომშრალი რკოსა და გირჩის ნაყოფებით, ჩიტებმა – ბლის კუნწულებით და მსხლის ჯაგნით მორთეს. ტოტებზე ყურძნის აკიდო ჩამოკიდეს. საგულდაგულოდ შენახული ფერადი ფოთლების ასხმულა წვიმებივით შემოახვიეს. დათუნიებმა მუხის ძირში უშველებელი თოვლის ბაბუა დადგეს. კურდღლებმა დაწნული კალათით სტაფილო მოიტანეს, ერთი თოვლის ბაბუას გაუკეთეს ცხვირის ნაცვლად, დანარჩენი, ეზოში გაშლილ მაგიდაზე ჩამოარიგეს. საახალწლო სუფრა ნელ–ნელა ივსებოდა ნუგბარით.

დაღამდა. საიდანღაც ციცინათელები მოფრინდნენ. ზოგი მუხის ტოტებზე ჩამოჯდა და აციმციმდა, ზოგი ხის კენწეროზე ვარსკვლავად აკიაფდა. მუხის ხის მარჯვენა მხარეს ჩამწკრივებული მურა დათვები და თეთრი მგლები სიამოვნებით უსმენდნენ ბულბულის არიას, რომელსაც იადონების აკაპელა შეუერთდა.

ტყის შუაგულში უჩვეულო ახალი წელი დგებოდა. უსასრულოდ ბარდნიდა.

აფთარზე ამხედრებული ჯადოქარი მუხის ხესთან შეკრებილთ მიუახლოვდა. მიხვდა, ადვილად ვერ მიაღწევდა მიზანს. მაღალ ხეზე აცოცდა და დაბოღმილი, იქიდან აკვირდებოდა ყველაფერს. ამ დროს გაისმა საოცარი მუსიკის ხმა. მუხის ხის კარი ფართოდ გაიღო, ჯერ ბელამიდა და ბელუკა გამოვიდნენ, შემდეგ – ხელიხელჩაკიდებული ნილინა და უფლისწული. მხიარულმა შეძახილებმა გააყრუა ტყე. ჯადოქარი სიბრაზისგან ისე შეხტა, კინაღამ ხიდან ჩამოვარდა. საათმა თორმეტჯერ ჩამოჰკრა და ცაზე ირმებიანი მარხილით თოვლის ბაბუა და ფიფქია გამოჩნდნენ.

– უნდა ვიჩქარო, თორემ დავიღუპები, – ჩაილაპარაკა ჯადოქარმა, მშვილდი მოიმარჯვა. ის იყო, უნდა ესროლა, რომ უცებ ზურგზე ბრჭყალების ჩასობა იგრძნო. გაფიქრებაც ვერ მოასწრო და, არწივმა ცაში აიტაცა. მეორე ფეხის ბრჭყალებში აფთარი მოემწყდევია. გადაიფრინა არწივმა ცხრა მთა და ცხრა ზღვა და ერთ მიუვალ ადგილას დატოვა, საიდანაც გზას ველარ გაიკვლევდნენ.

ამ დროს კი, ციცინათელებისგან გადანათებულ მინდორზე თოვლის ბაბუა და ფიფქია შემოსრიალდნენ საჩუქრებით სავსე მარხილით. თოვლის ბაბუამ დალოცა შეკრებილნი და უთხრა: – მე, ჩემი სამფლობელოდან გაკვირდებოდით. დავინახე თქვენი ერთგულება, სიყვარული, თანადგომა და ის, რომ მიუხედავად დიდი საფრთხისა, უკან არ დაიხიეთ და განსაცდელში არ მიატოვეთ მეგობარი.

ფიფქიამ თავის მოქნევით ულამაზესი თმა ზურგზე გადაიყარა, გაიცინა და დასძინა: – ამიტომ, მე და ჩვენი კეთილი თოვლის ბაბუა დილამდე დავრჩებით თქვენთან და ვიმხიარულებთ.

ყიჟინმა შეაზანზარა ტყე. მთელი ღამე იმხიარულეს. დილით, კი როცა თოვლის ბაბუა და ფიფქია ირმებმა გააქროლეს, მოულოდნელად, დათოვლილ მინდორზე ცისარტყელას ფერები დაეცა, ერთმანეთში აირია, მერე ცაში აიჭრა და ულამაზესი, შვიდფეროვან კაბაში გამოწყობილი ცისარტყელას დედოფალი გაჩნდა. თავზე შვიდფერად აბრჭყვიალებული გვირგვინი უელავდა. დედოფალმა კვერთი აღმართა. უფლისწული და ნილინა საქორწინო ტანსაცმელში გამოაწყო. მერე უფლისწულის სასახლემდე გადაჭიმა ცისარტყელას ხიდი და წინ წაუძღვა ბედნიერებით გაცისკროვნებულ ნილინას და უფლისწულს, რომლებსაც მაყრიონი მხიარული შეძახილებით მიაცილებდა.

გახარებულმა, მოხუცმა მეფემ უფლისწული სამეფო ტახტზე აიყვანა. გვერდით ნილინა მიუსვა და დალოცა.

ეთო
მახვილაძე

* * *

ჩვენ ვნებებს ავყევით, სიგიჟე გვეწვია,
ოქტომბერს დავუწყეთ ფარჩების შემოხსნა,
აალდა ფერები, გაშმაგდა ვნებები
და ჩვენი სულები ერთმანეთს შეჰკიდა!

მზის სხივზე ავედით, გავთბით და გავცეცხლდით,
სითბომ და სიგიჟემ სხეულიც დაგვიწვა,
ეროსით დამთვრალნი გავყევით ბილიკებს
უფსკრულის პირას რომ ერთ-ერთი გავიდა!

უშიშრად შეაღე უფსკრულის კარები...
მოგყვები ფეხდაფეხ, ვჯიუტობ არ გვინდა...
ცაზე გაიკლაკნა ფარული ნათება...
იჭექა ელვამ და ღრუბელიც გაწვიმდა!

დასველდა ფიქრები, ჩააქრო ვნებები,
წამოდი წავიდეთ ამ ბნელში რა გვინდა?!
უაზროდ ვირბინეთ წვიმიან ბნელში და
წვეთ-წვეთად გულებშიც სიცივე ჩავიდა!

ცაზე ნათელი წერტილი გამოჩნდა,
ვარსკვლავი დაგვყურებს, ავიდეთ
არ გინდა? წავიდეთ ვარსკვლავზე,
უფსკრულში რა გვინდა?!

ჩვენ ვნებებს ავყევით, სიგიჟე გვეწვია,
ოქტომბერს დავუწყეთ ფარჩების შემოხსნა,
აალდა ფერები, გაშმაგდა ვნებები
და ჩვენი სულები ერთმანეთს ვერ მიხვდა!

* * *

მოდი ვიცეკვოთ მზის გულზე ტანგო
ჩვენი გრძნობები ცეკვაში ჩავდოთ...
მოდი მოვიდოთ მთვარე ზურგზე და
გზად და ბილიკად მშვიდობა გავდოთ!

წამო გავიქცეთ მთისკენ და ცისკენ
კლდის ნაპრალებთან ჯიუტად ვიდგეთ
წამო მოვტაცოთ ღრუბელს წვიმა და
პეშვით დავლიოთ სპეტაკი სითხე!

წამო წავიდეთ აქაც და იქაც,
კიდით კიდემდე, ცის ბილიკებზე,
გადავიფინოთ ჩვენს მხრებზე მზე და
აპრილს ვაუწყოთ ჩვენი სიკეთე!

წამო დავანთოთ მზის გულზე ცეცხლი
გრძნობის და ვნების მძაფრი ქარცეცხლი!
წამო მზის ქორწილს მოვტაცოთ წამი...
სევდის სამყაროს მოვპაროთ ნამი!
მზის ქორწილია, ვიცეკვოთ ტანგო
აპრილიც მოდის, წამოდი, წამო!

* * *

არ წავალ თუკი მომიყვან აპრილს
მზის სხივს, მთვარის შუქს, ვარსკვლავის კაშკაშს...
ფრთებს გამომასხამ ანგელოზისას, რომ
ქროლვით გავცდე უფსკრულის ნაპრალს!

ჰორიზონტს გავწვდე... მზის დისკოს ავწვდე...
გარდავისახო ქარიშხლის ქალად,
რომ ბობოქარი ტალღებით ნაპირს
გადავუქროლო თოლიის მსგავსად!

არ წავალ! მაგრამ ხანდახან წავალ
მზის სხივით ჩავწნავ ვარდისფერ ფიქრებს...
ბონდის ხიდს გავდებ აქაც და იქაც...
ახლაც და მერეც... ასეც და ისეც...

ვიფრენ და ვიფრენ თუ ფრთებს არ დამჭრი!
თუ გალიაში არ ჩამსვამ შენს ტყვედ!
თუ გამოსტაცებ მთვარეს რიონს და
მარგალიტებად მომახვევ მის სხივს!

არ წავალ, მაგრამ ხანდახან წავალ!
მზის სხივებს დავწნავ ვარდისფერ ფიქრით
ოთხივე სეზონს მოგიყვან წამში
წავიდეთ მაღლა... ვიფრინოთ ცაში!

* * *

ამ ღამის წუხილი ქარებსაც არ ახსოვს,
ამ ღამის აჩრდილი მთვარესაც დაახრჩობს,
იყო და არა იყო რა ზღაპარი,
გოგოს და ბიჭის მთვარე და ლამპარი!
ფორტე და პიანო, ლუდვიგ ვან, ფრედერიკ,
ლიუციფერ, ბელზიბელ ვგონივარ სატანა,
აღარ მაქვს ამდენი ცოდვების ატანა!
გრძნეული ფიქრები და სირინოზები,
გვეწვია, გვეწვია და ასე გაგვყარა!
სულთა სავანეში ლანდები ლაციცებს
გალაკტიონს ახლა ეს ლექსი აფიქრებს,
ალბათ შოთაც ახლა გიშრის ტბას ადიდებს
და შენი გიტარაც Dos Normas აკივლებს...
ფორტე და პიანო, ლუდვიგ ვან, ფრედერიკ,
ლიუციფერ, ბელზიბელ მგონია სატანა
აღარ მაქვს ამდენი ცოდვების ატანა!
იყო და არა იყო რა ზღაპარი,
გოგოს და ბიჭის მთვარე და ლამპარი!
გაქრება წყენა და სულის ავდრები,
მხოლოდ ეს ლექსი დარჩება ამაღამ,
ლექსადაც არ ღირხარ, ზღვის ფსკერზე ჩაგძირავ,
ზეცის ხვეულებს ჩამოვშლი ნაწნავად,
მე კი აფროდიტე დავრჩები მარადჟამს!

მზია თავართქილაძე

ნეტამც არ გამღვიძებოდა

ნეტამც არ გამღვიძებოდა,
შემომრჩენოდი სიზმრადა,
რა ტკბილად გეფერებოდი,
გულს მოდებულო ჭირხლადა.
სასთუმალს კორიანტელად,
მოზღვავებულო ფიქრადა,
ღამის სიზმართა თეატრში,
მონატრებულო ხილვადა.
უჩინარ კადრთა მეუფევ,
დაღვრილო ღამის ცრემლადა,
ბადრი მთვარისა ციაგო,
მოშველებულო პეშვადა.
წყვდიადში შემოპარულო,
შემოხიზნულო ცისკრადა,
თითქოს ციურო ზმანებავ,
ჩამოღვენთილო სანთლადა.
საფერებ საალერსებლად,
მოძალებულო გულადა,
აჟღერებულო ორკესტრო,
როგორც ვარსკვლავთა ბალადა.
ღამე გაჭრილო ფიქრებო
სევდად აწვდილო ზეცადა,
შეყრილო ცრემლის ბურთებად,
გადაცდენილო ყელადა.
სტუმარო მთვარის კოშკისა,
ღამეს შთენილო მხევლადა,
აისზე გადაგმალე და
გულს შეგიტოვე მძევლადა.

ნეტამც არ გამღვიძებოდა,
შემომრჩენოდი სიზმრადა,
მზისგან დამფრთხალო ფირალო,
ღამე გნატრულობ ხილვადა.

ვაი სამშობლოვ ბედკრულო...

ვაი, სამშობლოვ ბედკრულო!
რა ავბედითად გაქციეს.
აყვავებულსა სამოთხეს,
ჯოჯოხეთის დღე გაწიეს.
გმირების სისხლით ნაჯერო,
მთავ, მინდორ-ველო, ხეობავ,
განწირულ გმირთა ნაგრამო,
როგორ იცვლები თაობავ.
გმირთა პატივის მიგება,
ვის ახსოვს, ვიღას სჭირდება,
შვილშეწირული დედები,
დარდი-ბოღმისგან იხრჩობა.
ვაი, სამშობლოვ, ბედკრულო,
რა ავბედითად გაქციეს,
ოდეს ნაქებარ ედემსა,
თავსლაფი გადმოგაქციეს.
შემოგესივნენ მგლებივით,
შვილის ხელები გმუსრავენ,
ტყავი გაგაძრეს და შიშველს,
მოდის ეპოქით გფუთავენ.
გაუფასურდა ღირსება,
ვინ სქესს იცვლის, ვინ შიშვლდება,
ჭკუამოკლეთა ზეიმში,
ჭკვიანი უქმად ირჯება.
შენთვის არავის სცალია,
გასხვანაირდა ქართველი,
დღეს აღარავის ადარდებს,
ნაძრახ-ნაკურთხი სახელი.
და თუ კი ასე გაგრძელდა,
ვაი, რომ მართლა ბედკრულო,
როგორ გაგფცქვნეს და დაგკუწეს,
ოდეს ერთ მუშტად შეკრულო.

შორენა
მახარაძე

ცხელ-ცხელი რეცენზია

(სანდრო ბერიძის „აზღარბული წელიწადი“)

„სიტყვის, ლექსის, პოეზიის, ხელოვნების ძალაცა და
მადლიც ხომ ესაა, უკან მოაბრუნოს გარდასული,
ფერფლიდან აღადგინოს, სული ჩაუდგას და გააცოცხლოს
დროის ულმობელი დინებით წაღებულ-წამოღებული
ტკივილები და სიხარულები, რის გამოც ღირს უმშვენიერესი
სიცოცხლეცა და ულამაზესი სიკვდილიც“ –



ეს სტრიქონები სანდრო ბერიძის დოკუმენტურ-მემუარული წიგნიდანაა – „აზღარბული წელიწადი“ რომ ჰქვია. მასში დიდოსტატურადაა დახატული გასული საუკუნის 90-იანი წლები, ნიჭიერი კალმითაა გაცოცხლებული „აზვირთებული ეროვნული მოძრაობის უკვე გაქვავებული ისტორიის“ ფრაგმენტები (სანდრო ბერიძე, „აზღარბული წელიწადი“, ქუთაისი, 2022, გვ. 203); *[შემდგომში ციტატებს მოვიყვანთ ამ გამოცემიდან, მივუთითებთ მხოლოდ გვერდებს].*

სათაურში რომ ტექსტის სულია დაშიფრული, ამას „აზღარბული წელიწადიც“ ადასტურებს: აჯაგრული, თან გამახვილებული, საბრძოლველად მიმართული ეკლებით, დაუნდობლად რომ იჩხვლიტება – ასეთია წელიწადიცა და მისი შესაფერისი ტექსტიც. ჩემი აზრით, ეს მეტაფორა ბრწყინვალედ გამოხატავს 90-იანებს: პოლიტქაოსს, ახლად დამოუკიდებლობამოპოვებული ადამიანების დაბნეულობასა და გაოგნებას, რომლებმაც აღარ იციან, რა უყონ ამ თავსდამტყდარ თავისუფლებას, საით მიმართონ ათწლეულების მანძილზე შეკავებული, არტახებდადებული და ამჟამად გამოთავისუფლებული სამოქმედო ენერგია, როგორ გამოიყენონ ბოძებული სიტყვის, რწმენის, ქცევის თავისუფლება...

ბოლო პერიოდში ნამდვილად არ წამიკითხავს ასეთი მკაცრად რეალისტური ტექსტი, მოურიდებელი, ყოველგვარი დიპლომატიური რევერანსების, შეფერადება-შელამაზების გარეშე, ხისტად

დაწერილი. შესაძლოა, ასეთი შთაბეჭდილება იმიტომ დამრჩა, რომ თითქმის ყველა „პერსონაჟს“ ამ წიგნისას, პირადად ან დაუსწრებლად მაინც ვიცნობდი... მეც იმ 90-იანებიდან მოვდივარ და ერთი ჩვეულებრივი მოსამსახურის ოჯახის ტიპური, შეჭირვებულ-ჩაბნელებული ცხოვრებაც გამოვიარე, მართალია, ნამდვილად არ დავრბოდი მიტინგებზე (ლოგინად ჩავარდნილი მშობლების, პატარა შვილების მომვლელსა და 2-3 ადგილას პურის ფულისთვის მომუშავეს – ამისთვის არ მეცალა), მაგრამ იმ წლების სიდუხჭირის, სიბნელისა და ქაოსის შეგრძნება და შიში დღემდე გამომყვა. სანდრო ბერიძის ტექსტმა კი ის საშინელი წლები გამიცოცხლა და მეც ერთ დღეში წავიკითხე „აზღარბული წელიწადი“. თუ ავტორს, რბილად რომ ვთქვათ, ჩვენი გაოცება სურდა, ეს ნამდვილად მოახერხა. მან, ასევე, შეძლო საქართველოს ერთი კუთხის, უფრო მეტი, ერთი პატარა რაიონის/პრეფექტურისა და მისი ხელმძღვანელის ყოველდღიური რუტინული ყოფის დახატვით ეჩვენებინა ე. წ. გარდამავალი პერიოდის სირთულეები, გაურკვევლობა, ხალხის მიერ სწორი ცხოვრებისეული, პრაქტიკული, პოლიტიკური თუ ზნეობრივი ორიენტირების დაკარგვა და ამის სავალალო შედეგები.

ვფიქრობ, ის მკაცრად მშრალი, ლამის კანცელარიული სტილიც ამბის გადმოცემისა, „აზღარბულ წელიწადს“ რომ ახასიათებს, მწერალს შეგნებულად აქვს მომარჯვებული. ამით ხაზს უსვამს მოთხრობილი ეპიზოდების დოკუმენტურობას, ზუსტად გვაგრძნობინებს სულიერებადაცლილი, ეპოქათა/საზოგადოებრივ წყობათა მიჯნაზე შექმნილი არეულობის, გაურკვევლობის, დაბნეულობის განცდას. სანდრო ბერიძე, უპირველესად, ნიჭიერი პოეტია, მისთვის არც ტროპული მეტყველებაა უცხო და არც – ლირიზმი, მაგრამ სწორედ ასეთი – ყოველგვარი მხატვრულობისაგან დაცლილი თხრობის მანერით ახერხებს ის თავის მემუარებში მკითხველის ყურადღების დაპყრობას.

აქვე დავაზუსტებ: ნაწარმოებს აწერია – „რომანი-დილოგია“. რა თქმა უნდა, ეს რომანი ნამდვილად არაა, აი, დილოგია კი შეიძლება ვუწოდოთ, რადგან ის, ფაქტობრივად, ორი დამოუკიდებელი ტექსტისგან შედგება: ერთი გახლავთ მოზრდილი, როგორც ზემოთ ვთქვი, დოკუმენტურად გადმოცემული რეალისტური ისტორია, რომელიც იწყება 1978 წლის 26 მაისს ბათუმში ქართული ენის სახელმწიფო სტატუსის დაცვისადმი მიძღვნილ მიტინგზე ედუარდ შევარდნაძის ჩამოსვლით, ხოლო მთავრდება „ვარდების რევოლუციითა“ და იმავე შევარდნაძის გადადგომით.

დილოგიის მეორე ნაწილი არა მარტო შრიფტით განსხვავდება პირველისაგან, არამედ წერის სტილითა და შინაარსით. ის ასეა დასათაურებული: „ნიამორის კოპლებიანი დღიურიდან“. მართალია, ამ „ნიამორის“ ვინაობა და მისი მოულოდნელი გაუჩინარების მიზეზი ჩემთვის ბოლომდე მაინც გაურკვეველი დარჩა, მაგრამ რაც გაგვიმხილა მწერალმა, ისიც საკმარისია, რომ დავრწმუნდეთ: ის ან რეალური პირველი, როგორც იტყვიან, ერთადერთი და განუმეორებელი სიყვარულია ავტორისა, ან – სულაც, შესაძლოა, მისი წარმოსახვითი ფერია, ერთგვარი მუზა, რომელსაც თავს შეაფარებს ხოლმე რუტინული ყოფით თავმობეზრებული შემოქმედი. დღიურების ჩანაწერები გვახსენებს, რომ ტექსტის ავტორი მშვენიერი პოეტია, მისთვის რომანტიკული, მგრძნობიარე სტრიქონები, პირველი სიყვარულის ვნებით თავბრუსხვევა და თრობა უცხო არაა, ამასთან ერთად, ეს ჩანაწერები მკითხველს სულის მოთქმის, უხეში და წვრილმანებით დატვირთული, ურთიერთდაპირისპირებით, ღალატითა და სისხლით სავსე ყოველდღიურობიდან თავის დაღწევის საშუალებას აძლევს, ამასთან – არღვევს მონოტონური თხრობის ერთფეროვნებას: „დღიური ხომ მეტი არაფერია, გარდა საკუთარი სულის მოძრაობის, ცნობიერების, ემოციის, შთაგონების და ფიქრის მიმდინარეობაზე ყოველდღიური დაკვირვება, ყოველწუთიერი დანახვა, თვითგამოხატვა, თვითდახასიათება და, როგორც ფსიქოლოგები იტყვიან ხოლმე, ინტროსპექცია“ (8). ასეთი ინტროსპექცია განსაკუთრებულ ხიბლს სძენს ამ ტექსტს, თვალწინ გადაგვიშლის ავტორის შინაგან „მეს“, იმ მეორე „მეს“ – ესოდენ რომ

განსხვავდება დილოგიის მეორე ნაწილში დახატული, „პოლიტიკაში ყელამდე ჩაფლულ-ჩამალული“, ცხოვრებისეული სიმშრალითა და გამოფიტულობით ლამის გაგუდული პიროვნებისგან (286).

დღიურებში დაფიქსირებულია ილუზიური – ლამაზი და მშვენიერი სამყარო, ხოლო ტექსტის მეორე ნაწილში – რეალური – მკაცრი და უშეღავათო. პირველში იხატება ფეერიული მშვენიერების ოქროსთმიანი, „ფოთოლივით მოშრიალე, ცეკვა-ცეკვით მონარნარე“ (16) გოგონა, „გოროზი მთების უსახელო... მადონა“, რომელსაც „მიწიდან ცაში გადარგული, არამიწიერი და არაამქვეყნიური ღიმილი ჰქონდა“ (27), ხოლო „მისი საყვარელი ხმის უმსუბუქესი ჰარმონია“ (50) წლების შემდეგაც ჩაესმის მთხრობელს. გოგონასთან მისი დიალოგებიდან კი ნათელი ხდება, რომ ამ „ფრიალო კლდეებში მოფარფატე ნისლივით წმინდა“ (40), „თოვლივით თეთრი და ხმათაფლა“ (174) ქალიშვილის სულიც ისეთივე ფაქიზი და მშვენიერია, როგორიც თავადაა. ისიც პოეზიის, ხელოვნების მოტრფიალეა, სწორედ ეს „ვერსალის ბროლივით ლამაზი ნიამორი“ (84) იქცა მთხრობელის „ცხოვრების ამრევადაც და ორიენტირადაც“ (84). მისი შეგონებები, მართლაც რომ, საინტერესო და ყურადსაღებია, აი, ერთ-ერთი მათგანი: „ჯუნგლის კანონებით მოსაწყენსა და მოსაბეზრებელ ცხოვრებას რომ გაექცე, საამისოდ საჭიროა სულის კანონებით იცხოვრო“ (189).

სწორედ ნიამორისადმი გრძნობით შთაგონებული მწერალი ამბობს სიყვარულის მშვენიერ სადიდებელს, იმ სიყვარულისას, რომელსაც შეუძლია „გააუკვდავოს სიცოცხლე და გაამოკვდავოს სიკვდილი“ (183).

ასევე, მიმზიდველია სანდრო ბერიძის მიერ თქმული ლირიკული აღსარება ბათუმს, რომელიც მას პირველი და უკანასკნელი სიყვარულის სიძლიერით უყვარს, უყვარს ყველანაირ ტანსაცმელში გამოწყობილი ბათუმი, თავისი „ზღვითა და ბულვარით, მისი წვიმებითა და აგვისტოს ხვატით, მისი ბაღნარებითა და ეკალ-ბარდებით, მისი სიქათქათითა და ყოფითი ჭუჭყით, მისი სიტკბოთი და სიმწარით, მისი გულმხურვალებითა და გულგრილობით...“ დიახ, თავდავიწყებით უყვარს მისი „სიყვარულისა და წყევლის ქალაქი“ (145).

მაგრამ „კოპლებიანი დღიურის“ ჩანაწერებიც იმის ნათელი მაგალითია, რომ ამქვეყნად რომანტიზმის ადგილი არაა, სენტიმენტალური გრძნობები პოეტების მოგონილია და მათსავე პოეტურ სტრიქონებში რჩება, ცხოვრება კი დაუნდობელია და თავისი ულმობელი კანონებით ყველასა და ყველაფერს ანადგურებს, სპობს, თვითმკვლელობამდე მიჰყავს და თუკი ადამიანი მაინც გადაურჩება მას, საკუთარი საღებავებით აფერადებს, უცვლის სახესა და იერს, სულსა და გულს, ინტერესებსა და მისწრაფებებს... ასე ხდება სინამდვილეში და ასეა სანდრო ბერიძის დოკუმენტურ-პროზაულ ტექსტშიც. შემთხვევითი არაა, რომ წიგნის მეორე ნახევარში დღიურების ჩანაწერებიც კარგავს თავის ამაღლებულ-რომანტიკულ-ემოციურ ხასიათს, იცვლება მწერლის წერის მანერაც და ძირითადი ტექსტისგან მხოლოდ შრიფტითღა თუ განსხვავდება. მასშიც „აზღარბული წლის“ ისტორიის ფრაგმენტებს ვაწყდებით. მხოლოდ აქა-იქ გაიელვებს, მირაჟის მსგავსად, ნიამორის შორეულ-ბუნდოვანი სახება: „ქალში გასხივოსნებული ქალღმერთის სიდიადე და ქალღმერთში გაფანტული ქალური კდემამოსილება“ (253).

სანდრო ბერიძე გულწრფელად გვიამბობს, როგორ ცდილობდა ერთ პიროვნებაში პოეტისა და პოლიტიკოსის შეთავსებას, როგორი შინაგანი წინააღმდეგობა იყო მათ შორის. ეს არცაა გასაკვირი, როგორც თავად შენიშნავს: „პოეტი მხურვალე გულია... პოლიტიკოსი კი – ცივი გონება“ (132), ამასთან, „პოეტი ყოველთვის მოჯანყეა“ (133), პოლიტიკოსის ფუნქცია კი მშვიდობისა და წესრიგის შენარჩუნებაა. მიუხედავად ამ წინააღმდეგობისა, პოეტი-პოლიტიკოსის შემოქმედებითი „თანამშრომლობა“ ერთ ადამიანში წარმატებული აღმოჩნდა ხელოვნებისათვის. ვფიქრობ, სწორედ ეს „გაორება“ დაეხმარა ბევრწილად სანდრო ბერიძეს და მან გვიჩვენა შიგნიდან დანახული პოლი-

ტიკური პროცესები, გარეშე თვალისგან დაფარული ქვემდინარებები, შიგაპარტიული ვნებათღელვანი, დაპირისპირებები და, რაც მთავარია, დოკუმენტალისტის ობიექტივმომარჯვებულმა, ახლო რაკურსით დაგვანახა მწერლის მახვილი თვალით აღქმული პოლიტიკოსების და მისი თანამედროვეების ნიღაბჩამოხსნილი სახეები.

მათ შორის უპირველესი, რა თქმა უნდა, უდაოდ ნიჭიერი, მაგრამ „მუდამ ბელზებელთან წილნაყარი ედუარდ შევარდნაძეა“ – „ჩრდილოეთიდან მზის ამომყვანი რენეგატი და ანტიქართული მოღვაწე“ (6), რომელსაც „ბედმა ერთდროულად უფეშქაშა... როსტომ-ხანის „ბაბაიას პოლიტიკის“ კეთების ნიჭი და ჟოზეფ ფუშეს პოლიტიკური ინტრიგების ხლართვის საოცარი უნარი“ (292). „შევარდნაძისადმი უნდობლობას კი მისივე მომხიბვლელი ღიმილის უკან ჩასაფრებული ცბიერება წარმოშობდა“ (308).

სწორედ ამიტომ არ ენდობოდა მას „აჭარის ლომი“, რომელიც შევარდნაძეს შაჰ-აბასად მოიხსენიებდა, როგორც ვერაგსა და ცბიერ კაცს (307), ეტყობა, ამიტომაც ვერ ჩაიტყუა თბილისში „დიდმა ბაბუმ“ – „პატარა ბაბუ“, რომლის „მწვანე თვალებში აღმოსავლური ცბიერება იყო ჩაბუდებული“ (150). ამ „კუთხური აზროვნებისა და ცნობიერების ადამიანმა“ (149) საკუთარი ძალაუფლების შესანარჩუნებლად, ფაქტობრივად, „აჭარის დამოუკიდებელი სახელმწიფო შექმნა“ (150).

სანდრო ბერიძე ხატავს ასლან აბაშიძის – ძლიერი, საკმაოდ პრინციპული და მოქნილი პოლიტიკოსის პორტრეტს, რომლისთვისაც, ამავე დროს, უცხო არ იყო ე. წ. „ძველი ბიჭის“ მანერები, მას ჰქონდა უნარი, სათავისოდ გამოეყენებინა ადამიანი და შემდეგ დაუნდობლად გაეწირა. მისთვის, ვინც მის გვერდით არ იდგა და ყურმოჭრილ მონასავით არ ემსახურებოდა, მისი მტერი იყო. არც დემაგოგოია იყო უცხო ასლან აბაშიძისთვის, მუდმივად შეახსენებდა ხალხს, რომ დიდი ეროვნული მოღვაწის – მემედ აბაშიძის შვილიშვილი იყო და „გენეტიკური კოდი“ ავალებდა აჭარის პატრონობას (261), თუმცა საქმით საპირისპიროს აკეთებდა.

სანდრო ბერიძის ობიექტურობაზე ისიც მიგვითითებს, რომ ის მოურიდებლად ამხელს არა მარტო აჭარის ხელისუფალს, არამედ დედაქალაქიდან აჭარაში ჯიბის გასასქელებლად, ქონების შესაძენად პერიოდულად „ჩამობრძანებულ სტუმრებს“, რომელთა, აბაშიძისადმი მიძღვნილი პანეგირიკებით ავსებული იყო ტელევიზია და პრესა. ეს „ელიტური ინტელიგენცია“ აბაშიძის გაქცევის შემდეგ ისეთივე მონდომებით ლანძღავდა და ლაფში სვრიდა მას, როგორც იქამდე აქებდა!

არანაკლები პირდაპირობითაა მოხაზული ასლან აბაშიძის გარემოცვის პორტრეტები. „აზღარბულ წელიწადში“ აშკარად პოსტმოდერნისტული „ავტორიტეტთა კრიზისი“ გვაქვს: დაწყებული სელიმ ხიმშიაშვილიდან – დამთავრებული ერისკაცებით, დასრულებული – საპატრიარქოთი – მწერალი არავის ინდობს (ერთადერთი გამონაკლისი ზვიად გამსახურდიაა, რომლის მოქმედებაშიც ვერანაირ შეცდომას ვერ ხედავს ავტორი). მემუარისტის დამოკიდებულება შეიძლება დიდი დავით გურამიშვილის მიერ ჩამოყალიბებული ფორმულით გადმოვცეთ: „ავს თუ ავი არ ვუწოდე, კარგს სახელად რა დავარქო?!“

ჩემი, როგორც მკითხველის, დამოკიდებულება ასეთია: უმრავლესობის შეფასებაში შეიძლება დაეთანხმო ავტორს, ოღონდ მთლად ასეთი უშეღავათო-უკომპრომისო, კატეგორიული შეფასებაც, ცოტა არ იყოს, გადაჭარბებული მგონია, რადგან, ჯერ ერთი, ეპოქა იყო თავისთავად ქაოსური, ასეთ ვითარებაში ცალსახად რთულია მტყუან-მართლის გარჩევა, ამასთან, ყველას თავისი სიმართლე აქვს. მახსენდება იმავე პოსტმოდერნისტი მწერლების ტექსტები: ერთ ამბავს ორი განსხვავებული ფინალი რომ აქვს, ან კიდევ, ერთსა და იმავე ამბავს სრულიად განსხვავებული ინტერპრეტაციით რომ გვიყვება რამდენიმე პერსონაჟი. მაგრამ, შევთანხმდეთ, ასეთია მემუარისტის პოზიცია, მისი

თვალთახედვის კუთხე და ეს მისი უფლებაა, აქ ვერ შეედავები, ხოლო ვინ მიიღებს, ვინ – არა, ეს უკვე მკითხველის გადასაწყვეტია.

სხვა საქმეა, რომ მკითხველს შეიძლება გაუჩნდეს კითხვები, ვთქვათ, რატომ არიან მოხსენიებულნი უმრავლესი პიროვნებები სრული სახელით, გვარით და რატომ არის ზოგიერთის მხოლოდ ინიციალები დაფიქსირებული, ან რატომ არ არიან ტექსტში მოხსენიებული სხვა, საზოგადოებისთვის ფრიად ცნობილი, „საქმოსან-ჩამშვებ-მოღალატე-მექრთამეები“ და ა. შ., თუმცა აქაც მწერალს აქვს სრული უფლება, აირჩიოს ის მასალა, რომელსაც საჭიროდ თვლის, „აზღარბული წელიწადი“ ხომ მხატვრულ-დოკუმენტური პროზის ნიმუშია და მას მემატიანის სიზუსტეს ვერ მოვთხოვთ.

გამოვტყდები, ზოგიერთი სახელისა და გვარის წაკითხვა, როგორც „ჩამშვები“, სრულიად უსამართლო და თვალთმაქცი ადამიანისა, ჩემთვის მოულოდნელი და, გარკვეულწილად, გულდასაწყვეტიც იყო, მე ხომ მათ პატიოსან ინტელიგენტებად ვთვლიდი. მაპატიეთ, ამ სუბიექტური შენიშვნისთვის, მაგრამ ეს პატარა წერილიც მკითხველის „ცხელ-ცხელი“ შთაბეჭდილებებითაა შთაგონებული და, ვფიქრობ, მეპატიება. სანდრო ბერიძის წიგნი რომ ზღვა ემოციებს (შესაძლოა, – ნეგატიურსაც) გამოიწვევს, ეს უკვე გასაგებია, მაგრამ კრიტიკოსთა გასაგონად მინდა ვთქვა, რომ წიგნში სჭარბობს ობიექტური შეფასებები, მწერლის თანამედროვეთა ოსტატურად დახატული ფსიქოლოგიური პორტრეტები, ძალუმად იგრძნობა ეპოქის მაჯისცემა, მკითხველი ხედავს – როგორ შეესივნენ კომუნისტური საქმოსნები დაქცეულ ქვეყანას, როგორ გაძარცვეს და გააპარტახეს ყველაფერი, როგორ ებრძოდნენ „რომანტიკული პატრიოტიზმით“ გულანთებულ მამულიშვილებს, როგორ გადააყოლეს პოლიტიკანებმა საკუთარ ამბიციებს სახელმწიფოს ინტერესები, როგორ დაერივნენ ერთმანეთს მოძმეები და ცოდვის კალოდ აქციეს საქართველო...

სანდრო ბერიძის მემუარებში, ასევე, რეტროსპექციის მეშვეობით, იკვეთება ავტორის ბავშვობისა და სიჭაბუკის არაერთი საინტერესო მომენტი, ჩემდათავად შემიძლია ვთქვა, რომ ამ წიგნის წაკითხვის შემდეგ მე უკეთ გავუგე პოეტ სანდრო ბერიძეს, უფრო ღრმად ჩავწვდი მწარე ირონიით შეფარული იმ ქვესკნელთ უღრმესი სევდისა და ტკივილის ფესვებს, ასე რომ შეგვძრავს მისი სტრიქონებიდან...

და ბოლოს, „აზღარბული წელიწადი“ „მართლის თქმის“ პრინციპით, სიტყვის კარგი ოსტატის ხელით შექმნილი საინტერესო მხატვრულ-დოკუმენტური პროზაა. მასში საქართველოს უახლესი ისტორიის გარდამტეხი მომენტებია ასახული – მიკერძოებისა და სუბიექტურობის გარეშე – ეს კი იშვიათი ღირსებაა თანამედროვე მემუარული ლიტერატურისა.

ეკა კვანტალიანი

ლოცვა ლექსებით ანუ ცა ჩვენი სულის მისამართია...

(შტრიხები ვაჟა ოთარაშვილის შემოქმედებიდან)

სიბრძნე და სიკეთე არ ეტევა მხოლოდ სიტყვების საზღვრებში, გადმოდის პიროვნების გულიდან, სულიდან, ავსებს გარემოს, სხვა ადამიანთა სულიერ სამყაროს ეხება და დაუვიწყარ შთაბეჭდილებებს ტოვებს...

განსაკუთრებით პოეზიის ცეცხლოვან ქურაში გამოწრთობილ ლექსებს შეუძლია ახსნას იდუმალი და მიღმიერი ქვეშეცნეული... ასე ახასიათებთ დიდებულ პოეტებს...

სწორედ ასეთი, განსაკუთრებული, ქართულ ძარღვმაგარ მუხასათვით შეუდრეკელი, განუმეორებელი ხმისა და ტემბრის მქონე პოეტია ვაჟა ოთარაშვილი, რომელიც თავისი ლექსთშედვრებით, მისი სიტყვის ღვთიური ძალმოსილებით სულსა და გულს იპყრობს...

პოეტი-თეოლოგი, პოეტი-მეცნიერი, პოეტი-მკვლევარი, პოეტი-ისტორიკოსი, პოეტი-კიბერნეტიკოსი, პოეტი-რედაქტორი და გამომცემელი, პოეტი-პოლიტიკოსი, არასოდეს რომ არ ჰქონია სინდრომი ჩინოვნიკური განდიდებისა...

ვაჟა ოთარაშვილის მრავალწახნაგოვან შემოქმედებაზე და საოცარ ნიჭიერებაზე უსასრულოდ შეიძლება ვისაუბროთ: მის კოსმიური, დადებითი ენერგიით სავსე ლექსებზე, ისტროიულ მოვლენათა ღრმა ფსიქოანალიზისა და მათემატიკური სიზუსტის მქონე სულისშემძვრელ კვლევებზე ისტორიოგრაფიაში, მის მიერ დაარსებულ ახალ მიმდინარეობაზე „სააკაძეოლოგიაზე“, მგზნებარე პატრიოტიზმზე...

თეოლოგიის დოქტორი, პროფესორი, ილია ჭავჭავაძის, გალაკტიონ ტაბიძის, ლადო ასათიანის, ქრისტიანული პოეზიის ფესტივალის (და სხვ.) პრემიების ლაურეატი, ქართული კულტურის დესპანი ევროპაში, მონაწილეობდა მსოფლიო პოეტთა ასამბლეის მუშაობაში კუნძულ როდოსზე, უამრავი წიგნისა და სამეცნიერო წერილის ავტორი... მათ შორის, მისი იდეითა და რედაქტორობით გამოცემულია უახლესი ქართული პოეზიისა და პროზის ანთოლოგია, დედა ქართულ პოეზიაში და ა. შ... ასევე, მისივე რედაქტორობით არის გამოცემული ცნობილი ქართველი მწერლების – ჭაბუა ამირეჯიბის, გურამ დოჩანაშვილის, გიორგი შატბერაშვილის, ვახუშტი კოტეტიშვილისა და სხვათა წიგნები...

პოეტის ყოველდღიური ცხოვრების წესი კი მისსავე მრწამსშია ჩამოყალიბებული ლექსად:

„ქარი სანთელს ხატთან მიქრობს,
მაგრამ ანთებ რწმენას – მწეს...
წერე ისე, როგორც ფიქრობ
და იცხოვრე, როგორც წერ...“

მარად ყმაწვილური, ცეცხლოვანი ჟინის მქონე, სიყმაწვილიდანვე ბრძენი, სიჭარმაგეში შესული მუდამ ახალგაზრდა... მისი პოეზიის სული სავსეა ხალხური სიბრძნის სურნელებით, პატრიოტული ლირიკითა და სასულიერო სულისკვეთებით, ღრმა ფილოსოფიურ-რელიგიური ანალიზით, რიტმის კოსმიური ჟღერადობითა და სიმსუბუქით, ულამაზესი დისონანსური რითმებით:

„იქნებ ზეცაში სულები
ვარსკვლავად ილექებიან,
დედამიწაზე დაყრილი,
მხოლოდ ღორღი და ქვებია...
იქნება ზეცა ფსკერია,
ჩვენ კი მიწაზე ვტივტივებთ...
ამაყი მყინვარწვერია –
ცა თავზე ჩამოიმტვრია...“

ეს ლექსები ჩემი ცხოვრების დღიურია, ჩემი აღსარებაა უფლისა და მკითხველის წინაშე“, – წერს ავტორი მისი ერთ-ერთი წიგნის „ხეკორძულელის აღსარების“ წინასიტყვაობაში და თავადაც ქართული სულის ღვთიური ფენომენით აღსავსე ჭეშმარიტი შემოქმედი, სვეტიცხოვლის დიდებული ხუროთმოძღვრული ბრწყინვალების პირისპირ მდგომი არსუკიძის სახით შეჰღაღადებს:

„მადლობა ღმერთო, ჩემი მარჯვენა,
ღირსი გახადე ტაძრის კედლისა...
ივერთა რწმენის გადასარჩენად
ხუროთმოძღვრება რომ დამეკისრა...
დაე, მომკვეთონ მეორე მკლავიც,
ოღონდ ერთობა იყოს ქართველთა...
ვერც წიწამურთან ვეღარ მომკლავენ
თუ საქართველოს გული გამთელდა...“

შთამბეჭდავია ვაჟა ოთარაშვილის პოეტური ხატსახეები, გულში ჩამწვდომი გულწრფელი ტკივილით ამოძახილი მამულის ბედზე, მაგრამ მუდამ შეუპოვარი, ეპოქალური ხედვით სამყაროს სულიერი დეგრადირების ირგვლივ, იგი გონებრივი ჭვრეტით ჭეშმარიტების ძიებაშია, რომელიც ქრისტეს სახელთან მიდის ყოველთვის:

„იესო არ ჩანს,
თორემ იუდა,
ამ ქვეყანაზე მრავალი დადის...“

ან:

„ო, მონაზვნებო, თქვენი სიმართლით
უნდა გაკვეთოთ ბნელი, ბოროტი...

და თაფლისფერი სანთლის სინათლით
მეორედ მოსვლის უძლებთ მოლოდინს...
ო, მონაზვნებო, თქვენი ლოცვებით,
იცავთ სამყაროს წონასწორობას
და ჩაკირული მკერდში ბორცვები,
სულაც არ ნიშნავს ვნების მონობას...
ო, მონაზვნებო, წმინდა დედებო,
ნანეტარებნო ლოცვით და მარხვით,
ისევ და ისევ მეიმედებით,
ღვთის შეწევნით რომ გადარჩეს ხალხი...
ო, მონაზვნებო...“

თუ არ გტკივა ვერ დაწერ, თუ არ გიყვარს ვერ აღიქვამ... პოეტი მამულის ჭეშმარიტი ჭირისუფალია, რაც მგზნებარე ქართული ხასიათით, ჰუმანიზმითა და სულის სიკეთით აღმავსებელი სიტყვების ღვთიური ძალმოსილებით გადმოცემულია მის ლექსებში... ვაჟა ოთარაშვილის პოეზია სულის შეძვრამდე ტკივილიანია, დამცველი ქართული მიწის თითოეული გოჯისა, გარეჯია თუ ტაო-კლარჯეთი:

„გაირუჯა გარეჯი,
მწველი მზით და ქარებით...
ანგელოზთა თვალები,
ცრემლით ამომქრალები...
გაირუჯა გარეჯი
და ჯეჯილი გადახმა...
ჯაჭვის პერანგს გაგლეჯილს
ძვრა ვერ უყო ალაჰმა...
მოძალებულ ურჯულოს
თავი არ დაუმდაბლო!
მონასტერი გარეჯის
შეხიზვნია უდაბნოს...
თიბათვის ცის თავანზე,
ღრუბლის არ ჩანს ნაგლეჯი...
სასოებით ამავსებს,
ჩემი დავით გარეჯი...“

ან:

„საკვირველია ჯვარი და ჯვარცმა,
ცად ამაღლების იდუმალება...
აქ ძველ ხანძთაში,
აღდგომის განცდა
ზე აიტაცეს რეკვით ზარებმა...“

დროსთან და ისტორიასთან შეჭიდებულა გენიალური მკვლევარ-მეცნიერი, რომელიც თავისი პატრიოტულ-მამულიშვილური, მაღალი იდეებითა და მიზნებით, ქართული სულის უკიდეგანო თვალსაწიერის პოეტური მსოფლაღქმით მუდამ სიკეთის მიმართულებით იბრძვის... მამულის, მშობელი

კუთხის ერთგული გულშემატკივარი ვერასოდეს შეეგუება ქართველი კაცის სულიერ წახდენას... თითქოს სამშობლოს წარსწული, აწმყო და მომავალი პოეტური ქრონოტოპით წარმოგვიდგინა ერთ-ერთ ლექსში, სადაც იგი ათქმევინებს დავით გურამიშვილს:

„ქვეყნის წახდენის მიზეზით, ვცხოვრობდი სხვის ქვეყანასა“

დ. გურამიშვილი

„არ მომიტაცეს!
გავეცალე შხამსა და ბოღმას,
რომ არ მენახა
ქართველთაგან წაბილწვა ქართლის...
ისე, უბრალოდ
მიმიზიდა ლეკურმა დოღმა,
რომ ვერ შევნიშნე,
უცხო მხარეს შემოსვლა ნათლის...“

უბადლო ლიტერატორს ეროვნული სულისკვეთების საძირკველზე სურს დააშენონ ქართველებმა თავიანთი მომავალი... აქაც პოეტი თავისი პოეტური ხილვებით არის ერთგვარი „ხმა მღაღადებლისა უდაბნოსა შინა...“ იგი ერთგან წერს:

„ტაძრის ფრესკებს ჩამორეცხილს,
უხილავი მტერი ჩეხავს,
არ გვახარებს ფრენა მერცხლის,
ძელქვა-მუხა მოსპო მეხმა...
ქართვლის დედის
მტკივან ძუძუს,
სიტყვით ველარ ვამთელებო...
გაიღვიძეთ!
ვიღუპებით!
დარდით მთვრალო ქართველებო...“

აქვე წარმოგვიდგება მისი ომახიანი ხმა, პოეტი, რომელიც არაჩვეულებრივი ხმის ტემბრითა და ტონალობით, საკუთარი ლექსების იდეალურად მთქმელია...

შეუძლებელია მისი მომაჯადოებელი პოზეიისაგან თავის დაღწევა... განსაკუთრებით გულზე აღგებეჭდება პოეტის სიტყვები, რელიგიურ-ფილოსოფიური ხედვით პატრიოტულ ჭრილში... ამ მხრივ არაორდინალური და საოცარი ლექსი აქვს მიძღვნილი საქართველოს პატრიარქისადმი:

უწმინდეწსსა და უნეტარესს,
საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქს ილია II-ს

სიზმრად ვნახე შემოსული მაჰმად ხანი,
კრწანისზე კი
სისხლისფერად ისევ წვიმდა...
მხოლოდ უფლის იმედიღა ჩანდა ხვალის
და ქართველებს
გვასახლებდნენ თბილისიდან...

რუსთაველზე აეხვეტათ პოეტები,
მტკავრს მიჰქონდა
დაგლეჯილი ეტრატები...
იუდები ისხდნენ ვერცხლის მონეტებით,
ჯვარზე გაკრულს,
უფლის დედავ, მენატრები...
სხვა ვეღარა, სხვა ვერავინ გადაგვარჩენს,
ვერც მოხუცი, ვეღარც ყრმა და
ვეღარც ჩვილი...
ყოველივე იქნებ მხოლოდ
სიზმრად დარჩეს –
გევედრები, ერის მამავ, დაჩოქილი...

ამ ეროვნულმა პოეზიამ, რომელიც ვაჟა ოთარაშვილის გულის სიღრმიდან ამოხეთქილა, მისმა პატრიოტულმა შემოქმედებამ, არ შეიძლება ქართველს არ გაუღვიძოს მამულის სიყვარული... მკითხველი აუცილებლად მიჰყვება პოეტს ბოლომდე მისი აზროვნების სიღრმეებში, რომელიც ხან სიოსავით მსუბუქია და გულში ჩამწვდომი, ხანაც სააკაძის მოქნეული მახვილივით მჭრელი:

დიდი მოურავის დაბრუნება...

სულ ჩემია ეს პატარა მიწა-წყალი,
მაგრამ ამ გულს ჩახუტებად არ ჰყოფნის...
ივერიის სიცოტავე ნუ გაწვალებთ,
მოვიგონოთ გამარჯვება მარტყოფის...
ტაო-კლარჯეთს იმდუღრება აზრი ქვაში,
საგალობლებს კვლავ აძლევენ ბანს გულში...
ისევ ვხედავ მაუზერით მაზნიაშვილს,
ქართულ ჯარით თურქით სავსე ბათუმში...
ვერ ჩააქრეს აჭარული ნაღვერდალი,
ბებერ ლაზეთს ვენაცვალე სარფიდან...
ამ მიწაში დევს მატათას ორივ თვალი,
თუმცა სული უფლისაკენ გაფრინდა...
ჭოროხს იქით სიო ისევ ქართულია,
პონტოს ზღვაზე კვლავ ტალღების დოღია...
ვაზის ჯვარი ზეცად კვლავ აღმართულია,
წმინდა ნინო უმზერს კაბადოკიას...
ვერ წაგვაქცევს მოძალადე ქარიშხალი,
ყური ვუგდოთ ნენეს – ტკბილად მოუბარს...
საქართველოს კვლავ უელავს ქარში ხმალი,
გაუმარჯოს ხმალშემართულ მოურავს!..

მის პოეზიაში უსასრულო სათნოებაა და სიკეთე გონიერებით შეზავებული, სატრფიალო ლირიკა – მარადიულად პოეტური და ამაღელვებელი რითმებითა და რიტმულობით, რომელშიც ჩაძირვა გწყურია მკითხველს... ცრემლებამდე სულისშემძვერლია მისი ლექსები დედაღვთისაზე და „დედის“

ხატებაზე... მისი შემოქმედებითი თავისუფლება ზოგჯერ „ტრამალის მგელივით“ მარტოსულია და დაუმორჩილებელი, ზოგჯერაც მერანივით დაუდგრომელი... ყოველთვის რაფინირებული ლექსთწყობითა და ლიტერატურული სისავსით დიდბუნებოვანი...

და მაინც, რა არის ვაჟა ოთარაშვილის პოეზიის მთავარი სათქმელი?...

სად გაივლის პოეტური მერიდიანის წრეხაზი და რომელ პოლუსებს უერთდება?.. პასუხი მისივე ლექსებში უნდა ვიპოვოთ – ერთი პოლუსია „ლოცვა ლექსებით“:

„ჩემი ლექსებით შენზედ ვლოცულობ,
ჩემო ენავ და ჩემო მამულო!..
რწმენავ, იესოს ჯვარით მოსულო
და ნინოს ცრემლით გადანამულო...“
მეორე პოლუსი უფალია პოეტითვის:
„და გიხაროდა თვალის გახელის,
როცა ნახავდი ნიშებს სანთლიანს...
მიწაზე რჩება მხოლოდ სახელი,
ცა – ჩვენი სულის მისამართია...“

ამ პოლუსებთან შემაერთებელი მერიდიანი კი პოეტის გულწრფელი მამულიშვილური სიყვარულია, უანგარო... და როგორც ქართლში იტყვიან გულქართლა სიყვარული...

ᲓᲘᲐᲜᲐ
ᲖᲝᲠᲘᲫᲔ

ᲪᲘᲤᲠᲣᲚᲘ ᲢᲔᲥᲜᲝᲚᲝᲒᲘᲔᲑᲘᲡ ᲓᲐᲜᲔᲠᲒᲕᲐ ᲖᲝᲒᲐᲓᲡᲐᲒᲐᲜᲛᲐᲜᲐᲗᲚᲔᲑᲚᲝ ᲡᲙᲝᲚᲔᲑᲨᲘ

ენისა და კულტურის ციფრული დოკუმენტირება და არქივირება კულტურული მემკვიდრეობის კვლევის აუცილებელ წინაპირობას წარმოადგენს XXI საუკუნეში. დღეისათვის დადგენილია, რომ 7000-მდე არსებული ენიდან 2150 წლისათვის თითქმის ნახევარს გაქრობა უწერია – საფრთხეში მყოფი ენების საკვლევი ინსტიტუტის **Living Tongues Institute for Endangered Languages** მონაცემების მიხედვით, ენები უფრო სწრაფად ქრება, ვიდრე ცხოველთა ან მცენარეთა სახეობები: ყოველ ორ კვირაში არსებობას წყვეტს ერთი ენა. საგულისხმოა, რომ გაქრობის საშიშროება უმეტესად ინდიგენური ხალხების ენებს ემუქრება, რომელთაგან უმრავლესობა ჯერ კიდევ არ არის დოკუმენტირებული, რაც იმას ნიშნავს, რომ ამ ენებთან ერთად გაქრება არა მარტო ენა, როგორც სისტემა, არამედ ინდიგენური მოსახლეობის სულიერი კულტურაც. შესაბამისად, ენისა და კულტურის ციფრული დოკუმენტირება და არქივირება XXI საუკუნის გამოწვევაა და კულტურული მემკვიდრეობის გადარჩენის აუცილებელ წინაპირობას წარმოადგენს. საკითხის აქტუალობიდან გამომდინარე, საგანმანათლებლო და სამეცნიერო საზოგადოებამ – **დიგიტალური ჰუმანიტარიის აკადემია – საქართველო** – სწორედ ამ თემას მიუძღვნა საერთაშორისო საზაფხულო სკოლა „ენისა და კულტურის დოკუმენტირება და არქივირება ციფრულ ეპოქაში“, რომელიც 10 დღის განმავლობაში (29 აგვისტოდან 8 სექტემბრამდე) ტარდებოდა ზემო აჭარაში, კერძოდ სხალთა-ხიხანის ხეობაში. პროექტი განხორციელდა საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის მხარდაჭერით (გრანტის ნომერი MG-ISE-23-1017).

საზაფხულო სკოლა საერთაშორისო ღონისძიებას წარმოადგენდა და ფრანკფურტის გოეთეს უნივერსიტეტისა და ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორების მონაწილეობით ჩატარდა. პროექტის ხელმძღვანელი, ფრანკფურტის უნივერსიტეტის პროფესორი მანანა თანდაშვილი 2002 წლიდან მუშაობს ქართული ენისათვის ციფრული **კორპუსებისა** და **ტექნოლოგიების** შექმნის საკითხებზე, ასევე **ენისა** და **კულტურის დოკუმენტირების** საკითხებზე და კარგად იცნობს კვლევის თანამედროვე მეთოდებსა და ინსტრუმენტებს. პროექტის განხორციელებაში ასევე მონაწილეობდნენ გერმანელი მეცნიერები ჰამბურგის უნივერსიტეტიდან – პროფ. იოსტ



გიპერტი და დოცენტი მარიამ ყამარაული. ქართულ მხარეს წარმოადგენდა მკვლევართა ჯგუფი ბათუმის უნივერსიტეტიდან – ლინგვისტები პროფ. მამია ფაღავა და პროფ. მალხაზ ჩოხარაძე, რომლებიც უკვე რამდენიმე წელია აწარმოებენ ინტერდისციპლინურ კვლევებს როგორც აჭარის, ისე მდინარე ჭოროხის აუზში მცხოვრები ეთნიკური ქართველების მეტყველებას თურქეთში, ახალგაზრდა ეთნოლოგი ასოც. პროფესორი რუსლან ბარამიძე, ლინგვისტები ასოც. პროფესორები მზია ხახუტაიშვილი, ნანა ცეცხლაძე და ფოლკლორისტი პროფესორი თინა შიოშვილი, რომლებიც მონაწილეობდნენ ბათუმის ლინგვოკულტუროლოგიური არქივის შექმნაში და ფლობენ დოკუმენტირებისა და არქივირების თანამედროვე მეთოდებს. საზაფხულო სკოლის პროგრამა, შესაბამისად, ინტერდისციპლინურ ხასიათს ატარებდა: დიგიტალური ჰუმანიტარიის აქტუალური საკითხების გარდა ლექციები ჩატარდა მომიჯნავე დისციპლინებში, რომლებიც მიეძღვნა ლინგვისტური, ფოლკლორული, ეთნოგრაფიული და კულტურულ-ისტორიული მონაცემების შეგროვებისა და დოკუმენტირების თანამედროვე მიდგომებსა და საერთაშორისო სტანდარტებს.

საზაფხულო სკოლის ფარგლებში ასევე ჩატარდა **ვორკშოპი დოკულინგვისტიკის** პრაქტიკულ საკითხებზე, როგორებიცაა, მაგალითად, დოკუმენტირებისა და არქივირების პროგრამული ინსტრუმენტები **(EAF)** და სტანდარტები **(XML, TEI-P5),** ენობრივი რესურსების დამუშავების **მულტიმედიალური ფორმატი (ELAN), ენობრივი რესურსების ლინგვისტური** დამუშავების ძირითადი პრინციპები დიგიტალურ ეპოქაში და რესურსების ლინგვისტური დამუშავების პროგრამული საშუალებები **(Flex),** რომელსაც უძღვებოდა საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ასოც. პროფესორი რუსუდან პაპიაშვილი.

საზაფხულო სკოლა თეორიულ ცოდნასთან ერთად ითვალისწინებდა პრაქტიკული უნარ-ჩვევების შეძენასაც. ლექციებსა და ვორკშოპზე შეძენილი ცოდნა სტუდენტებმა გამოიყენეს საზაფხულო სკოლის მიერ მოწყობილ ექსპედიციაში, სადაც გამოცდილი ექსპერტების ხელმძღვანელობით თავად ჩაიწერეს მასალები, მოახდინეს მოპოვებული მასალის დიგიტალური დამუშავება და არქივირებისათვის მოამზადეს მასალა, რომელიც განთავსდება ბათუმის ლინგვოკულტუროლოგიურ დიგიტალურ არქივში (DigiArchive: http://digiarchive.bsu.edu.ge/) ღია რესურსის სახით.

საზაფხულო სკოლა ასევე ითვალისწინებდა რესურსების მოპოვების, დამუშავებისა და კვლევის შედეგების პრეზენტირების უნარ-ჩვევების დაუფლებას. ამ მიზნით საზაფხულო სკოლის პროგრამაში დაგეგმილი იყო სასერტიფიკატო მოხსენებების მომზადება და წარმოდგენა სკოლის ფარგლებში მოპოვებული და დამუშავებული მასალის საფუძველზე. საზაფხულო სკოლის ექსპედიციაში მოპოვებული მასალა საანალიზოდ გადანაწილდა 5 ჯგუფში, რამაც დამატებით ჯგუფური მუშაობის გამოცდილება შესძინა საზაფხულო სკოლის მონაწილეებს. 8 აგვისტოს შეჯამდა საერთაშორისო საზაფხულო სკოლის მუშაობა: უფროსმა კოლეგებმა ყურადღებით მოისმინეს მონაწილეების მიერ წარმოდგენილი მოხსენებები და შეფასებები მისცეს მათ ნაშრომს. საუკეთესო პრეზენტაციის რესურსები მომავალში ინტეგრირებული იქნება ბათუმის ლინგვოკულტუროლოგიურ დიგიტალურ არქივში, რაც დამატებით წამახალისებელი ფაქტორია საზაფხულო სკოლის მონაწილეებისათვის.

ის ფაქტი, რომ საზაფხულო სკოლის საკვლევი არეალი ისტორიული სხალთა-ხიხანის ხეობით განისაზღვრა, არ იყო შემთხვევითი. საკვლევი არეალის არჩევანი განპირობებული იყო მისი ლი-

ნგვოკულტურულოგიური თავისებურებებით: აქ ერთმანეთის გვერდით ცხოვრობენ ქრისტიანული და მაჰმადიანური აღმსარებლობის ადამიანები, რომელთა თანაცხოვრების საფუძველზე წარმოიქმნა კულტურათა ერთგვარი სიმბიოზი. სხალთა-ხიხანის ხეობაში მოპოვებული მასალის ანალიზმა აჩვენა, თუ ჯერ კიდევ რამდენ ენობრივ და კულტურულ სიმდიდრეს ინახავს ზემო აჭარის ეს ხეობა და თუ დროზე არ მოხდება ამ, და არა მარტო ამ ხეობის, ენისა და კულტურის დოკუმენტირება თანამედროვე მეთოდებისა და ტექნოლოგიების გამოყენებით, შესაძლოა იგი ძალიან მალე გაქრეს და ვეღარ შემოვუნახოთ მომავალ თაობას ამ ხეობის უნიკალური მოზაიკური სურათი.

საერთაშორისო საზაფხულო სკოლამ „ენისა და კულტურის დოკუმენტირება და არქივირება ციფრულ ეპოქაში“ კიდევ ერთხელ დაგვარწმუნა იმაში, თუ რამდენად საინტერესო რესურსებს გვთავაზობს მაღალმთიანი აჭარა ინტერდისციპლინური კვლევების განხორციელებისათვის და რამდენად საჩქაროა ადგილობრივი დიალექტური მეტყველების, მეხსიერებაში ჯერ კიდევ შემონახული ფოლკლორისა და ტრადიციების აღწერა, დოკუმენტირება და არქივირება, რომ მომავალ თაობას შემოვუნახოთ მაღალმთიანი აჭარის უნიკალური ლინგვოკულტუროლოგიური სიმდიდრე.

იმედია, საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდი მომავალშიც მისცემს საშუალებას ქართველ და გერმანელ მეცნიერებს, რომ გააგრძელონ მაღალმთიანი აჭარის და არამარტო მაღალმთიანის, არამედ ბარისა და მთის შერწმის შედეგად მიღებული ცოდნის საფუძველზე. ინტერდისციპლინური კვლევა და მკვლევართა ახალგაზრდა თაობას შეასწავლონ ენისა და კულტურის დოკუმენტირების ტექნოლოგიები და ინსტრუმენტები, რომლის გარეშეც წარმოუდგენელია დოკუმენტირება და არქივირება ციფრულ ეპოქაში.

მე, როგორც სტატის ავტორი, ვფიქრობ, ასეთი მნიშვნელოვანი პროექტების დაგეგმვა და განხორციელება უმნიშვნელოვანესია არამარტო მეცნიერულ დონეზე, არამედ ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში მასწავლებლებისა და მოსწავლეების აქტუალური ჩართვისა და დანერგვის თვალსაზრისითაც. ჩვენ შევხვდით შუახევის რაიონის მასწავლებლებს და ძალიან დიდი ინტერესი და მზაობა გამოითქვა მათი მხრიდან.

ციფრულ ეპოქაში დაბადებული თაობა დღეს ციფრული მედიუმის საშუალებით ეცნობა გარესამყაროს, რამაც ახალი გამოწვევების წინაშე დააყენა საგანმანათლებლო სისტემა: დიგიტალური მეთოდებისა და ტექნოლოგიების დანერგვა და გამოყენება სწავლისა და სწავლების პროცესში 21-ე საუკუნის მოზარდის მენტალური და ინტელექტუალური ფორმირების აუცილებელ კომპონენტად







იქცა, როგორც მასწავლებლისთვის, ჩემთვის საინტერესო. თუმცა ერთგვარი გამოწვევა ასეთი პროექტების დანერგვა და განხორციელება ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში, უმნიშვნელოვანესად შეცვლის მოსწავლეებიის ინტერესს ციფრული და პროგრამული შესწავლის თვალსაზრისით. მიუხედავად იმისა, რომ უკვე ორ ათწლეულზე მეტია მიმდინარეობს ქართული ენის დიგიტალიზაცია – დღეისათვის ქართულ ენაზე შექმნილია ისეთი ციფრული სამომხმარებლო რესურსები, როგორიცაა ელექტრონული წიგნები, ელექტრონული ლექსიკონები, საგანმანათლებლო პროგრამული საშუალებები, რომლებიც ნაკლებად არის გამოყენებული ზოგადსაგანმანათლებლო სისტემაში და რომელთა დანერგვაც გაცილებით მიმზიდველს გახდის სწავლების პროცესს დიგიტალურ თაობაში. ამიტომ აუცილებელია ასეთი საჯარო ლექციის წაკითხვა და გაცნობა ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში ციფრული ტექნოლოგიების დანერგვა სწავლა-სწავლების პროცესში“ (მომხსენებელი ფრანკფურტის გოეთეს უნივერსიტეტის პროფესორი, მანანა თანდაშვილი, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი დიანა ზოიძე). პირველი შეხვედრა დავგეგმეთ და განვახორციელეთ შუახევის მუნიციპალიტეტის მასწავლებლებთან, რომელიც მიზნად ისახავს ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელთა და დამამთავრებელი კლასების მოსწავლეებისათვის ციფრული რესურსების გაცნობას, დიგიტალური ტექნოლოგიების გამოყენების უნარ-ჩვევების შეძენის შესაძლებლობებსა და თეორიული ცოდნის ათვისებაში ემპირიული მონაცემების გამოყენების უპირატესობებს.

ჟურნალი 6

2023

მალხაზ ფაღავას
პირადი ციფრული
ბიბლიოთეკა
2023
malkhaz.pagava@gmail.com